საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№11 (293)
25 - 31 მარტი, 2015
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

«დასავლეთისგან შეშფოთება, წყალი და პამპერსი მივიღეთ!» 2

## თემურ ჩალაბაშვილი: 8
# ეს არის სახელმწიფო?! ამას მივეცით ხმა?!



«არ მოველოდი, თუ ასეთი სუსტები და უნიათოები იქნებოდნენ, მაგრამ ზუსტად ოცნებასავით ფარატინები აღმოჩნდნენ. შედეგის ლოგიკურია, – ოცნებაში დავრჩით. როგორც ჩანს, რამე სერიოზულ ცვლილებებს არც უნდა ველოდოთ...»

# რისთვის დასვეს ამერიკელებმა ადეიშვილის მარჯვენა ხელი უკრაინის მთავრობაში 9



«საყვარელიძე, შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრ ვანო მერაბიშვილსა და ზურაბ ადეიშვილთან ერთად, «ნაცმოძრაობის» იმ ლიდერთა შორის იყო, რომლებიც ცხოვრებაში ახორციელებდნენ სააკაშვილის ლოზუნგს: «ნულოვანი ტოლერანტობა — ყველანი ციხეში!»

3 Morning Star
## დასავლეთმა უკრაინაში ფაშიზმი ააღორძინა!

6
## არშემდგარი დაბრუნება



«ბატონ გიგი უგულავას, როგორც ზოგად სახეს გარყვნილების, მამათმავლობის, ჩვილთა მუცელში კვლის, ბოლო ჟამის მქადაგებლებისა — მისი ცდომილებების პასუხად» 10

# მაზოხიზმის აჩრდილი რუსეთის ქართულ დიასპორაში 4







14
## «ნატოსა და ევროკავშირის წევრობაზე საუბარი უკვე დაგვიანებულია»

## სტალინის როლი ქართული საგანძურის საქართველოსთვის დაბრუნებაში 16



## რაბინი იეჰუდი:
# სტეპან ბანდერა თვითკმარი ნაცისტი იყო

«როგორც იმ ერის შვილი, რომელსაც ნაციზმი ჰპირდებოდა ამოწყვეტას და მნიშვნელოვან წარმატებასაც მიაღწია ამ საქმეში, ნაციზმს მივიჩნევ აბსოლუტურ ბოროტებად. იმ ძალებს, რომლებმაც დაამხეს ნაცისტური რაიხი, მივიჩნევ აბსოლუტური სიკეთის მიერ მოვლენილ ძალებად» 15

«გერმანიაში გერმანელების მიერ ჩადენილი დანაშაულების ფაქტები ჩამოთვლილია, დასახელებული და დაგმობილი. უკრაინაში კი ამდაგვარი არაფერი ხდება»



## «პოლსკიე რადიო»:
# რიგის სამიტზე საქართველოსა და უკრაინას ცუდი ამბები ელით

**აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე, რომელიც მაისში რიგაში გაიმართება, ევროკავშირი საქართველოსა და უკრაინას სავიზო რეჟიმის გაუქმების შესახებ არაფერს სთავაზობს. ამ ინფორმაციას რადიოსადგურ „პოლსკიე რადიოს" ვებგვერდი ავრცელებს და სამიტის დეკლარაციის პროექტსაც აქვეყნებს.**

სამიტის დეკლარაციის პროექტში ევროკავშირთან უკრაინისა და საქართველოს სავიზო რეჟიმის გაუქმების თაობაზე არაფერი წერია. პროექტში საუბარია მხოლოდ საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის ევროპულ არჩევანზე.

**„საქართველო, უკრაინა და მოლდოვა ის სამი ქვეყანაა, რომელიც უახლოეს მომავალში ევროკავშირთან ურთიერთობის უფრო გაღრმავების იმედს გამოთქვამდა, თუმცა არსებობს მრავალი ფაქტი პროგნოზისთვის, რომ მათ რიგაში ცუდი ამბები ელოდებათ. რიგის სამიტის დეკლარაციის პროექტი მაისამდე, შესაძლოა, შეიცვალოს, მაგრამ იმის შანსი, რომ ეს ცვლილება მნიშვნელოვანი იქნება, ძალიან მცირეა",** — წერს გამოცემა.

დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ამ ქვეყნების პროგრესი, მათ მიერ გატარებულ რეფორმებზეა დამოკიდებული და კონკრეტული მიზნებისთვის თარიღები გაწერილი არ არის, როგორც ამას უკრაინასა და საქართველოში იმედოვნებდნენ.

18
## ოპერაცია «გზა შინისკენ»

ვლადიმერ პუტინმა ყირიმის ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებაზე, «მწვანე კაცუნებსა» და კიევში განხორციელებულ გადატრიალებაზე ისაუბრა

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## 9 მაისს გორში სტალინის ძეგლს აღმართავენ



**„სტალინის ძეგლის აღმართვა გორში 9 მაისს იგეგმება“, — განუცხადა საინფორმაციო სააგენტო „ნიუპოსტს“ კომუნისტური პარტიის წარმომადგენელმა ალეკო ლურსმანაშვილმა.**

ლურსმანაშვილის თქმით, სტალინის ძეგლის 9 მაისს აღმართვის პირობა ქალაქის მერმა ზურაბ ჯირკველიშვილმა მისცა. გორის მერიაში მერის მიერ სტალინელებისთვის მიცემულ დაპირებას ადასტურებენ, თუმცა ჯერჯერობით საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი, როდის და რა ფორმით მოხდება ძეგლის აღმართვა მუზეუმის ეზოში. სტალინის ძეგლი გორის ცენტრალურ მოედანზე 60 წელზე მეტხანს იდგა, საკრებულოს გადაწყვეტილებით, 2010 წელს აიღეს და უკვე მეხუთე წელია, კარალეთში, ერთ-ერთ მიტოვებულ შენობაში ინახება.



### ზაზა პაპუაშვილი:

## რუსეთი მარადიული მეზობელია... დასავლეთისგან შეშფოთება, წყალი და პამპერსი მივიღეთ!

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ზაზა პაპუაშვილმა გაზეთ „ასავალ-დასავალთან“ ინტერვიუში რუსეთთან და დასავლეთთან ურთიერთობაზე ისაუბრა**

„რუსეთი ჩვენი მარადიული მეზობელია, რომელსაც ვერ ამოვჭრით და სხვაგან ვერ გადავიტანთ, ამიტომაც ისე მოქცევა გვმართებს, როგორც ჩვენი წინაპრები იქცეოდნენ და ქვეყანას იცავდნენ! რას აკეთებდნენ ჩვენი მეფეები? — ქვეყანა აწიოკებისგან რომ გადაერჩინათ, ხშირად ხარკსაც იხდიდნენ, შვილებს მძევლად ატანდნენ მტერს, თავიანთ დებსა თუ ქალიშვილებს მტერზე ათხოვებდნენ, ოღონდ საქართველო გადაერჩინათ. მე არ მინდა, ჩემი ქვეყანა ორი ზესახელმწიფოს ჯახის დროს შუაში გაიჭყლიტოს და გაქრეს! არ შეიძლება, გიჟებივით ვიძახოთ, პროევროპელები ვართ, პროამერიკელები ვართ, პრორუსები ვართ, პრო... პრო... პრო... ამდენი „პროს“ ძახილში საქართველოზე აღარ ვლაპარაკობთ! პატრიოტიზმზე აღარ ვლაპარაკობთ! მიკროფონთან დგომით და რუსეთის ხმამაღალი გინებით რა მივიღეთ, ვინმემ გამაგებინოს! დღე-ნახევარში წაგებული ომი მივიღეთ! ბრძოლის ველიდან სამარცხვინოდ გაქცეული მთავარსარდალი მივიღეთ! რატომ ელაპარაკებიან რუსეთს სხვა ქვეყნების ლიდერები და რატომ არ უნდა ველაპარაკოთ ჩვენ?! ჩვენს მეფეებს დამპყრობლებთან არ ჰქონდათ დიალოგი?! გამაგებინეთ, თუნდაც 2008 წლის ომის დროს რა დახმარება მივიღეთ ჩვენი მეგობრებისგან? — მხოლოდ შეშფოთება, აღშფოთება, წყალი და პამპერსი?! დიახ, ჩვენ ჩვენი ფასეულობებით ევროპული ოჯახის წევრი ვართ და არავისთან სამათხოვრო არ გვაქვს ამ ოჯახის წევრობა. დიახ, მსოფლიო ცივილიზაცია საქართველოს გვერდს ვერ აუვლის! გვერდს ვერ აუვლის ქართულ დამწერლობას, ქართულ პოლიფონიას, ქართულ ხუროთმოძღვრებას!“ — განაცხადა ზაზა პაპუაშვილმა.





## IRI-ის კვლევებით, სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ყველაზე დიდი ნდობა აქვს ჯარს

**საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) კვლევების მიხედვით, სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ყველაზე დიდი ნდობა აქვს ჯარს — 87%. სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ნდობის მაჩვენებელი ასეთია: განათლების სისტემა — 61%; პრეზიდენტის ინსტიტუტი — 51%; პარლამენტი — 49%; მინისტრთა კაბინეტი — 48%; მთავარი პროკურატურა — 36%; სასამართლო — 41%; პოლიცია — 65%.**

პოლიტიკოსთა შორის გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნდობით საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი** და ჯანდაცვის მინისტრი **დავით სერგეენკო** სარგებლობენ; მესამე ადგილს თავდაცვის ყოფილი მინისტრი და „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია იკავებს; მეოთხე ადგილს 56%-ით საქართველოს პრემიერმინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი** და პარლამენტის თავმჯდომარე **დავით უსუფაშვილი** იყოფენ.

კოალიციაში შემავალი პარტიების მიხედვით სარეიტინგო სია ასე გამოიყურება: გამოკითხულთა 40% პარტია **„ქართულ ოცნებას“** უჭერს მხარს, „თავისუფალ დემოკრატებს“ — 12%, რესპუბლიკურ პარტიას — 13%, კონსერვატიულ პარტიას — 3%, „ეროვნული ფორუმსა“ და „მრეწველებს“ — 2-2%.



### ბიძინა ივანიშვილი:

## არავის არაფერი აღარ ეპატიება!

**„საზოგადოება გამოფხილდა!“ — განაცხადა საქართველოს ყოფილმა პრემიერმინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ტელეგადაცემა „კვირის 20/30“-ის ეთერში სასამართლოს სისტემაზე და სამართლიანობის აღდგენის შესახებ საუბრისას. ივანიშვილის თქმით, საზოგადოება, უკვე დიდი ხანია, სამართლიანობის აღდგენის მოლოდინშია და მოსამართლეებს შეცდომის დაშვების უფლება არ აქვთ.**

„გადამწიფდა საზოგადოება ამ მოლოდინში, რომ როგორმე სამართლიანობა აღდგეს. მომავალში არავის არაფერი აღარ ეპატიება, მთავარი ფილტრი ისევ საზოგადოება იქნება და ვისურვოთ, რომ სასამართლო ძალიან მალე მოვიდეს ისეთ ფორმაში, როგორსაც საზოგადოება ითხოვს.

სხვანაირად არავის არ გამოუვა მუშაობა! შევახსენოთ მოსამართლეებს, რომ მთელი საზოგადოება მათგან სამართალს ელის და იქნებ მერყევი მოსამართლეებიც როგორმე გამოსწორდნენ,“ — განაცხადა ივანიშვილმა.

## საქართველოს მოქალაქეობაზე უარი «ნაცმოძრაობის» კიდევ ოთხმა მაღალჩინოსანმა განაცხადა

**„საქართველოს მოქალაქეობაზე უარი კიდევ ოთხმა ყოფილმა მაღალჩინოსანმა თქვა და განცხადებით უკრაინის მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე ამ ქვეყნის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს მიმართა“, — წერს უკრაინული მედია.**



უკრაინის მოქალაქეობის მიღების თხოვნით პოროშენკოს მიმართეს: **გია გეწაძემ** — საქართველოს შს მინისტრის ყოფილმა მოადგილემ; **ხატია შელიამ** — საქართველოს აღსრულების ეროვნული ბიუროს იურიდიული სამსახურის ყოფილმა უფროსმა; **ჯამბულ ებანოიძემ** — საქართველოს ფინანსთა მინისტრის ყოფილმა მოადგილემ; **გიორგი წიკლაურმა** — საქართველოს შსს-ს ყოფილმა მაღალჩინოსანმა.

უკრაინული მედიაში ჯერჯერობით არ ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა თანამდებობების კანდიდატებად განიხილებიან „ნაციონალური მოძრაობის“ კადრები. უკრაინის ხელისუფლების მაღალ თანამდებობებზე რამდენიმე ქართველია: **დავით საყვარელიძე** — უკრაინის გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე; **ლევან ვარშალომიძე** — უკრაინის პრეზიდენტის მრჩეველი; **ეკა ზღულაძე** — შს მინისტრის მოადგილე; **ალექსანდრე კვიტაშვილი** — ჯანდაცვის მინისტრი; **მიხეილ სააკაშვილი** კი უკრაინის პრეზიდენტის შტატგარეშე მრჩეველია.

საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონის თანახმად, პირი კარგავს საქართველოს მოქალაქეობას, თუ სხვა ქვეყნის მოქალაქეობას მოიპოვებს.



### გოგი თოფაძე:

## ევრაზიული კავშირი ერთ-ერთი შესაძლებლობაა, კარგად რომ ვიყოთ

**საპარლამენტო ფრაქცია ,,მრეწველების“ ლიდერი გოგი თოფაძე თვლის, რომ ნატო აგრესიული სამხედრო ბლოკია და მასში გაერთიანება ქვეყაჩნას არ წაადგება.** „ნატო არის აგრესიული სამხედრო ბლოკი. არ მინდა, რომ ჩემი ქვეყანა რომელიმე სამხედრო ბლოკში იყოს, იმიტომ, რომ კონტურები მესამე ბირთვული ომის უკვე ცხადდება. ევროკავშირი არ არის სამხედრო ბლოკი, არც ევრაზიული კავშირი. ევრაზიული კავშირი ერთ-ერთი შესაძლებლობაა, უფრო კარგად რომ ვიქნეთ. რუსი რომ აგრესორია და რუსეთმა, რომ ტერიტორიები წაგვართვა, ეს ვიცით, მაგრამ რუსოფობია რას მოგვიტანს?“ — განაცხადა გოგი თოფაძემ.

## საბერძნეთში, საერთაშორისო კრედიტორების წინააღმდეგობის მიუხედავად, სიღარიბის შესახებ კანონი მიიღეს



**საბერძნეთის პარლამენტმა სიღარიბის შესახებ კანონი მიიღო. ახალი რეგულაციის თანახმად, ღარიბის სტატუსის მქონე მოქალაქე ელექტროენერგიას უფასოდ მიიღებს, 300 000-მდე ადამიანს კი საკვები პროდუქტების ვაუჩერები დაურიგდება. ახალი კანონი ქირავნობის შემწეობასაც (თვეში 220 ევრომდე) ითვალისწინებს.**

პარლამენტის მიერ მიღებული კანონი მკაცრი ეკონომიკური ზომების შესახებ საერთაშორისო კრედიტორების მოთხოვნებს უგულებელყოფს.

პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას საბერძნეთის პრემიერმინისტრმა ალექსის ციპრასმა განაცხადა, რომ ათენის შეშინებას ვერავინ შეძლებს.

ადგილობრივ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, საერთაშორისო კრედიტორები სიღარიბის კანონის მიღებას ეწინააღმდეგებოდნენ.

## შსს-მ კანონიერი ქურდი დააკავა





**შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა თბილისის საერთშორისო აეროპორტში 1978 წელს დაბადებული ლევან მარღია კანონიერი ქურდობის ბრალდებით დააკავეს.** გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული აღიარებს ქურდულ სამყაროს და გარკვეული პერიოდიდან მისი წესების დაცვით ცხოვრობს.

ამბები

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მთვრალმა პოროშენკომ უფეხებო ინვალიდს ბურთი აჩუქა

**პეტრე პოროშენკო, როგორც ჩანს, რეალობის განცდას კარგავს: უკრაინის პრეზიდენტმა უკრაინის შეიარაღებული ძალების 95-ე ბრიგადის მებრძოლს, რომელმაც დონბასში ბრძოლისას ორივე ფეხი დაკარგა, ფეხბურთის ბურთი აჩუქა.**

პოროშენკომ ჯარისკაცი კიევის საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ შარფით, საათითა და ბურთით დაასაჩუქრა. ამ მომენტში უკრაინის პირველი პირი სიამაყით იყო აღვსილი და ბედნიერების სხვებს აფრქვევდა. თუმცა თვითმხილველები უკრაინის პრეზიდენტის შეწითლებულ სახესა და მხიარულ განწყობას სხვა რამეს მიაწერენ: უკრაინული მედია, უკვე კარგა ხანია, წერს, რომ პეტრე პოროშენკო ალკოჰოლს ეძალება.



Morning Star

# დასავლეთმა უკრაინაში ფაშიზმი ააღორძინა!

**„ნატოსა და ევროკავშირის ლიდერების აგრესიული განცხადებების შედეგად ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ფაშიზმმა აღორძინება დაიწყო“, — წერს ბრიტანული ანტიფაშისტურ ორგანიზაციის წევრი ალექს გორდონი ბრიტანული გამოცემა Morning Star-ის ფურცლებზე.**



**„საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტებით, რომლებიც თითქოს გაკოტრებული სახელმწიფოებისთვის არის განკუთვნილი, სინამდვილეში აფინანსებენ კერძო სამხედრო სტრუქტურებს, რომლებიც ნაციონალისტური მისწრაფებებით გამოირჩევიან. უკრაინის პოლიტიკურ პარტიებში ნეონაცისტების რაოდენობის მატება შემთხვევითი არ არის: ევროპაში რუსოფობიური რასიზმის გაღვივება და წამოწევა აშშ-ის ნეოკონსერვატიული სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია და რუსეთის იზოლირებას ითვალისწინებს.**

მიმდინარე წლის თებერვლიდან დღემდე მხოლოდ ბალტიისპირეთის ქვეყნებში 4 ნეონაცისტური მარში გაიმართა, მიუხედავად ამისა, ევროპაში ფაშიზმის ყველაზე ცუდი მიმართულება უკრაინაში აღორძინდა, როდესაც სტეპან ბანდერას პატივსაცემად ნაცისტური მსვლელობა გაიმართა.

უკიდურესი მემარჯვენე დაჯგუფებები — „მემარჯვენე სექტორი“ და „სვობოდა“ არც კი ცდილობენ რასიზმის დამალვას. უკრაინის პოლიტიკური სპექტრი უკიდურესი მემარჯვენე 2014 წელს გახდა, ხელისუფლებაში პრეზიდენტ პოროშენკოსა და პრემიერ-მინისტრ იაცენიუკის მოსვლის შემდეგ.

ამას გარდა, უკრაინის პარლამენტში სადეპუტატო მანდატები აქვთ რადიკალურად განწყობილ პოლიტიკოსებს — დიმიტრი იაროშსა და ოლეგ ლიაშკოს, თუმცა დასავლეთის მედია მათზე თითქმის არაფერს წერს.

ნაცისტები არც ერთ სახელმწიფოში არ აკონტროლებენ უშიშროების სამსახურს და არ იკავებენ მნიშვნელოვან პოსტებს პარლამენტსა და შინაგან საქმეთა სამინისტროში. **დასავლეთი მხარს უჭერს და აქეზებს ნაციონალიზმს უკრაინაში და ამით ახორციელებს გეგმას, რომლის მიხედვით უკრაინა „ანტირუსეთი“ უნდა გახდეს“,** — წერს ალექს გორდონი.

**«საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტებით, რომლებიც თითქოს გაკოტრებული სახელმწიფოებისთვის არის განკუთვნილი, სინამდვილეში აფინანსებენ კერძო სამხედრო სტრუქტურებს, რომლებიც ნაციონალისტური მისწრაფებებით გამოირჩევიან»**

ერიკ ზიუსი:

# აშშ-ის ტყუილები ძალიან ძვირი დაგვიჯდება!

**„თეთრი სახლის ტყუილმა სადამ ჰუსეინის შესახებ, რომელიც ამერიკელებს 3 ტრილიონი დოლარი დაუჯდათ, წარმოშვა „ისლამური სახელმწიფო“ და ერაყს სიკვდილი და ნგრევა მოუტანა. თუ საზოგადოებრიობა მოტყუებულია, დემოკრატიის აშენება შეუძლებელია. სწორედ ამას ვხედავთ დღეს დასავლეთში“, — წერს ანალიტიკოსი ერიკ ზიუსი კანადურ პორტალ Clobal Research-ის გვერდზე გამოქვეყნებულ სტატიაში.**





2002-2003 წლებში თეთრი სახლის ყველაზე დიდი ტყუილი სადამ ჰუსეინისა და ერაყის შესახებ ითქვა. იმ ტყუილმა, რომელიც ამერიკელებს 3 ტრილიონი დოლარი დაუჯდათ, წარმოშვა „ისლამური სახელმწიფო“ და ერაყს ისეთი სიკვდილი და ნგრევა მოუტანა, რომ მასთან შედარებით სადამის დიქტატურა „ნათელი მომავალია“.

2014-2015 წლებში აშშ-ის ყველაზე დიდი ტყუილი — ეს არის რუსეთსა და უკრაინის შესახებ ტყუილი, რომელიც შეიძლება გაცილებით ძვირად დაგვიჯდეს, რადგან არ არის გამორიცხული, ატომური ომი გამოიწვიოს და კაცობრიობა განადგურების პირას მიიყვანოს.

ამას ხელს უწყობს ტელერადიოკომპანია „თავისუფლების“ („თავისუფალი ევროპა“) მიერ გაჩაღებული პროპაგანდისტული კამპანია, რომლის მიზანია, აშშ-ის კონგრესსა და პრეზიდენტს თავს მოახვიოს გადაწყვეტილება უკრაინისთვის სამხედრო დახმარების შესახებ. ეს სამთავრობო ტელერადიოკომპანია ამერიკის ხელისუფლებამ სსრკ-ისა და აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური რეჟიმების წინააღმდეგ საბრძოლველად შექმნა. და, ლოგიკის მიხედვით, როგორც კი ეს დაპირისპირება დასრულდა, უნდა გაუქმებულიყო, მაგრამ ისევე, როგორც ნატო, კვლავაც განაგრძობს არსებობას, და ახლა ამ კომპანიის ამოცანა ამერიკის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაა, რათა გადასახადის გადამხდელებმა მისი დაფინანსება განაგრძონ.

ტელეკომპანია ამტკიცებს, რომ კონგრესის ორივე ძალა — დემოკრატებიც და რესპუბლიკელებიც — უკრაინის შეიარაღებას უჭერს მხარს და ამის წინააღმდეგ მხოლოდ პრეზიდენტი ბარაკ ობამა ილაშქრებს. მათ მასალებში მხოლოდ კრემლია დამნაშავე, მაგრამ ეს არის სიცრუე. უფრო მეტიც — **სტატიების ავტორები გულმოდგინედ ცდილობენ, არ შეამჩნიონ, რომ კიევი ულტრანაციონალისტური ძალების დიქტატით მოქმედებს, ხოლო სახელმწიფო გადატრიალებას, რომელიც მაიდნის შედეგად განხორციელდა, ფაშისტური პუტჩის ყველა ნიშანი ჰქონდა**.

ატომური ომი, რომელიც ასეთი უპასუხისმგებლო პოლიტიკის შედეგად შეიძლება დაიწყოს, ყველას დააზარალებს, მაგრამ „ამერიკის არისტოკრატიას“ სულაც არ ადარდებს მოსახლეობის 99%-ის ბედი, მისთვის მთავარია მსოფლიოზე ბატონობა. ისინი ტყუილებით უფსკრულისკენ გვიბიძგებენ“, — წერს ერიკ ზიუსი.

**«2014-2015 წლებში აშშ-ის ყველაზე დიდი ტყუილი — ეს არის რუსეთსა და უკრაინის შესახებ ტყუილი, რომელიც შეიძლება გაცილებით ძვირად დაგვიჯდეს, რადგან არ არის გამორიცხული, ატომური ომი გამოიწვიოს და კაცობრიობა განადგურების პირას მიიყვანოს»**



# ბოლივიის ვიცეპრეზიდენტმა აშშ-სა და ევროკავშირს მოუწოდა, სისხლიანი წარსული გაიხსენონ

**„ამერიკის შეერთებული შტატები საფრთხეს წარმოადგენს ლათინური ამერიკის ქვეყნების სუვერენიტეტისთვის, ეს სახელმწიფო საფრთხეს უქმნის ლათინური ამერიკის მოსახლეობას“, — განაცხადა ბოლივიის ვიცეპრეზიდენტმა ალვარო გარსიამ და დასძინა, რომ აშშ-მა და ევროპამ, ვიდრე მოითხოვდნენ ვენესუელისგან პოლიტიკურ დათმობებს, უნდა გაიხსენონ თავიანთი სისხლიანი წარსული და შეწყვიტონ სამხედრო და მტაცებლური გავლენა ე. წ. მესამე სამყაროს ქვეყნებზე.**

ესპანელმა პოლიტოლოგმა, Media Global Watch-ის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა **იგნასიო რამონეტმა** ბოლივიის ვიცეპრეზიდენტის ნათქვამის კომენტირებისას აღნიშნა, რომ არსებობს კონკრეტული ფაქტები აშშ-ის მხრიდან ვენესუელისა და ბრაზილიის საშინაო საქმეებში ჩარევისა. კერძოდ, ლაპარაკია, ბრაზილიაში ატეხილ კორუფციულ სკანდალზე, რომელშიც გარეულია ნავთობკომპანია Petrobas-ი. რამონეტის თქმით, ეს სკანდალი ნაწილია კამპანიისა, რომელიც ბრაზილიის მთავრობის დელეგიმიტაციისკენ არის მიმართული და მიზნად ისახავს ახალი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებასა და მოქმედი პრეზიდენტისთვის უფლებამოსილების შეწყვეტას, გარდა ამისა, როგორც რამონეტმა განაცხადა, აშშ ვენესუელის პრეზიდენტის — ნიკოლას მადუროს მთავრობის დამხობას გეგმავს.

# «მემარჯვენე სექტორი»: უკრაინაში შექმნილ ვითარებაში დამნაშავე ებრაელები არიან!

**რამდენიმე დღის წინათ უკრაინის ქალაქ როვნოში რამდენიმე ასეულმა ადამიანმა საპროტესტო აქცია გამართა. აქციის მონაწილეთა უმრავლესობა უკრაინის ნაციონალისტური ორგანიზაცია „მემარჯვენე სექტორის“ წარმომადგენელი იყო, რომლებსაც ანდრე მიტიუხინი და ალექსანდრე პანტუხინი ხელმძღვანელობენ.**

ნაციონალისტებმა უნდობლობა გამოუცხადეს როვნოს საოლქო საბჭოს თავმჯდომარე მიხეილ კირილოვს და ამ გადაწყვეტილების შესახებ რეზოლუცია „ერთხმად“ მიიღეს.

აქციის მონაწილენი კირილოვის მიმართ გამოთქმული ბრალდებებით არ დაკმაყოფილდნენ. გამომსვლელები ჩიოდნენ, რომ ცხოვრების დონე დაბალია და რევოლუციის შემდეგ ქვეყანაში არაფერი შეცვლილა. „მემარჯვენე სექტორის“ წარმომადგენელი **ლიუბოვ უკრაინჩუკი** ყველას უმტკიცებდა, უკრაინელები ცუდად რომ ცხოვრობენ, ებრაელების ბრალია, რომლებმაც ხელისუფლება ხელში ჩაიგდესო. როვნოს ებრაული თემის თავმჯდომარემ **გენადი ფრიდმანმა** კი განაცხადა, რომ: „ასეთი გამოსვლების შემდეგ, შესაძლოა, გაისმას მოწოდება ებრაელების დარბევის შესახებ. არადა, ხელისუფლება ხალხმა აირჩია და ებრაელები რა შუაში არიან?!“ დიდი სამამულო ომის წლებში, როდესაც უკრაინაში ნაციონალისტი სტეპან ბანდერა და მისი ბანდები დათარეშობდნენ, ათიათასობით ებრაელი აწამეს და გამოასალმეს სიცოცხლეს.

ჩეკლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთში არ არსებობს დიასპორის ისეთი ხელმძღვანელი, რომელიც ირონიას ან დაუფარავ ზიზღს არ იწვევდეს ქართველ საზოგადოებაში, რაც, რა თქმა უნდა, ნეგატიურად მოქმედებს რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე და ხელს უწყობს ისეთი თვალსაზრისის ფორმირებას, თითქოს ეს ოდიოზური ფიგურები რუსეთის მიერ არის შერჩეული და დაწინაურებული დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელებად.**

# მაზოხიზმის აჩრდილი რუსეთის ქართულ დიასპორაში

**ბავშვობაში არც ერთი მათგანი არ აწვალებდა შინაურ ცხოველებს, არ იყვნენ შემჩნეული სხეულის თვითდაზიანებაში, მოკლედ, სადიზმის, მაზოხიზმის ან სხვა თანდაყოლილი პათოლოგიების ნიშნებს არ ავლენდნენ, მაგრამ ზრდასრულ ასაკში ლამის კარიერის პიკზე აღმოაჩნდათ როგორც სადისტური, ასევე მაზოხისტური მიდრეკილებები. ზოგ მათგანს ნეტარებას ჰგვრის, როდესაც საჯაროდ, პირდაპირ ეთერში საყოველთაო დაცინვისა და აბუჩად აგდების საგნად აქცევენ და ყოველ ჯერზე ახალ-ახალ სიბრიყვეებს როშავს, რათა უფრო დაამცირონ, გალანძღონ, თავლაფი დაასხან. ზოგჯერ ეს მაზოხისტური ტკბობა სადიზმში გადაიზრდება და ეს ადამიანებიც დაუფარავად ტკბებიან ქართულ-რუსულ ურთიერთობებში დიასპორის როლის სრული დისკრედიტებითა და გამასხარავებით...**
**სიცხადისათვის განვმარტავ — საუბარია რუსეთში ქართული დიასპორის არაადეკვატური, კომიკური ლიდერების ქცევაზე, რომელიც სრულიად კონტრპროდუქტიულია ამ ორგანიზაციების მიერ დეკლარირებული მიზნებისა.**


მიხეილ ხუბუტია


ალექსანდრე ებრალიძე


გოჩა ქასოხოვი


მინდია გულუა


ვლადიმერ ხომერიკი

## ამ პანოპტიკუმს ავსებს კიდევ ერთი პერსონა, რომელსაც ზედმიწევნით ახასიათებს ცნობილი ფრაზა ფილმიდან «მიმინო» — «კტო ეტოტ პატერპევში, ჩევო ონ ხოჩეტ?»

ძნელბედობის არც ერთ ჟამს საქართველოს არ ახსოვს მკვიდრი მოსახლეობის ემიგრაციის ისეთი მაღალი ტემპი, როგორსაც ბოლო 20-25 წლის მანძილზე ჰქონდა ადგილი. ემიგრაციის ამ არნახული ტალღის გამო, რუსეთში, მათ შორის, მოსკოვშიც, უამრავი სახელოვანი, წარმატებული ქართველი მოღვაწეობს. მათგან ბევრს აქვს საკმარისი გავლენა, შესაძლებლობები, კონტაქტები იმისათვის, რომ დადებითი გავლენა მოახდინოს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე, თუმცა იმისათვის, რომ ეს გავლენა იყოს შედეგიანი, სასურველია ქართული დიასპორის შესაბამისი სტრუქტურული ჩამოყალიბება.

გამოცდილებამ აჩვენა, რომ **ქართული დიასპორული ორგანიზაციების მოქმედება, მსუბუქად რომ ვთქვათ, არაეფექტურია, ხშირად კი კონტრპროდუქტიულიც.** ამას, ერთი მხრივ, ისიც განაპირობებს, რომ ქართველებს არ გვაქვს დიასპორების მუშაობის ისტორიული გამოცდილება, მეორე მხრივ კი, ვითარებას ძალიან ამძიმებს ის გარემოება, რომ **ქართველთა დიასპორის ხელმძღვანელებად თავი გამოაცხადეს ადამიანებმა, რომლებიც საქართველოსა და მის დიასპორას პირადი მიზნების მისაღწევად იყენებენ. შედეგად კი მივიღეთ რამდენიმე დიასპორული ორგანიზაცია, რომელთა სათავეშიც აღმოჩნდნენ უკიდურესად ამბიციური, მწირი ინტელექტის მქონე პირები, რომელთათვისაც მთავარი მიზანი დიასპორის საფარით ბიზნესსაქმიანობის წარმართვაა.** პირადი ინტერესებისა და ბიზნესის ლობირებისათვის კი დიასპორული საქმიანობის საფარი ერთობ ხელსაყრელი აღმოჩნდა.

საკმარისია გადავხედოთ, ვინ ხელმძღვანელობს ქართველთა დიასპორულ ორგანიზაციებს და ვინ წარმოადგენს მრავალსაუკუნოვანი კულტურის მქონე საქართველოს დიასპორების სახელით რუსეთში, რომ, სულ ცოტა, უხერხულობის განცდა გაგვიჩნდება. იშვითია ქართველი, რომელსაც სამარცხვინოდ არ მიაჩნდეს ქართული დიასპორის ლიდერობა ისეთი პირებისგან, რომლებსაც ქელეხის სუფრაზე თამადად არ აირჩევენ. სამწუხაროდ, **დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელების დონეზე, ქართველებს ხშირად წარმოგვადგენენ ადამიანები, რომლებიც არიან ელემენტარული უწიგნურები — არა მხოლოდ რუსული, არამედ მშობლიური ენის ცოდნის თვალსაზრისითაც; ვერ ერკვევიან მსოფლიოს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ჰუმანიტარულ პროცესებში, ძალიან მწირი წარმოდგენა აქვთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე და თავიანთი ლექსიკით, ტლუ მანერებითა და ზოგადი განათლების სიმწირით აშკარად ტოვებენ ჯიბესქელი ხეპრეების შთაბეჭდილებას.** ამ ყოველივეს ამძიმებს ის გარემოებაც, რომ ისინი არ ერიდებიან საჯარო გამოსვლებს და მათი ნებისმიერი აქტივობა იწვევს საზოგადოების სამართლიან უკმაყოფილებას, რაც ნამდვილად კონტრპროდუქტიულია იმ მიზნებისა, რომლებსაც ეს დიასპორული ორგანიზაციები დეკლარირებენ.

ქართველი საზოგადოება, ქართველი ხალხი დაინტერესებულია, რომ მას წარმოადგენდნენ ღირსეული მამულიშვილები, რომლებიც სარგებლობენ პატივისცემითა და დაფასებით როგორც საქართველოში, ისე რუსეთში.

სინამდვილეში კი გვაქვს საპირისპირო რეალობა და **აგერ უკვე ორი ათეული წელია, ვხედავთ, რომ ქართულ დიასპორას (რომელიც სიმრავლით სრულიად საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარია) რუსეთში წარმოადგენენ ადამიანები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ საჯარო საქმიანობის ელემენტარულ ნორმებსაც კი.**

ჩნდება კითხვა — **ვინ არიან ეს ადამიანები, ვინ საუბრობს დღეს ქართული დიასპორის სახელით?**

ყველაზე მსხვილ დიასპორულ ორგანიზაციას —„ქართველთა კავშირს რუსეთში" — ხელმძღვანელობს ვაჭრობით დაკავებული ბიზნესმენი **მიხეილ ხუბუტია,** რომელიც უხერხული სატელევიზიო გამოსვლებისა თუ სკანდალური საქციელის გამო კარგად არის ცნობილი საქართველოში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მას კომიკურ-ირონიულ კონტექსტში აღიქვამენ, **ვაჭრობით დაკავებულ ამ ბიზნესმენს აქვს აკვიატებული აზრი, რომ ვლადიმერ პუტინის მეგობარია და აქვს ამბიცია, წარმოადგინოს არა მხოლოდ საქართველო რუსეთში, არამედ რუსეთის ხელმძღვანელობა საქართველოში, რაც ახდენს არამხოლოდ პირადად ხუბუტიას, არამედ რუსეთის ხელმძღვანელობის დისკრედიტებას საზოგადოების თვალში.**

არავინ უარყოფს იმ დადებით მომენტებს, რომლებსაც „ქართველთა კავშირი რუსეთში" და ხუბუტია აკეთებენ კულტურული კავშირების აღსადგენად, ძალიან კარგია, რომ ხდება ქართველი მომღერლების, მოცეკვავეების, მანსანკანელების გასტროლების დაფინანსება და სხვა, მაგრამ ამ ამოცანის შესასრულებლად საკმარისი იქნებოდა ორმხრივი კულტურული ურთიერთობების ასოციაციის საქმიანობა, **პოლიტიკურ-ეკონომიკურ საკითხებზე მუშაობას კი ხელმძღვანელის სხვა კვალიფიკაცია, სხვა იმიჯი სჭირდება. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ამ უმძიმეს პერიოდში უპრიანი იქნებოდა, დიასპორული ორგანიზაციებისათვის ეხელმძღვანელა არა ბიზნესმენსა და დაბალი განათლების ქორვაჭარს, არამედ ქართული ინტელიგენციის ისეთ წარმომადგენელს, რომელსაც, როგორც საქართველოში, ასევე რუსეთში პატივისცემა, დაფასება და ავტორიტეტი აქვს.** ასეთები კი რუსეთის ქართულ დიასპორაში არაერთი მოიძებნება. მხოლოდ მოსკოვში მოღვაწეობს მსოფლიო ავტორიტეტის მქონე უამრავი ქართველი ექიმი, ინჟინერი, კონსტრუქტორი, სხვადასხვა სფეროს წარმატებული წარმომადგენელი, რომელთაც ვერავინ დასდებს ბრალს უვიცობაში, სიხარბეში, ავანტიურისტობაში და რომელთა ბიოგრაფიაც სუფთაა. დღეს სწორედ ინტელექტი, საკითხისადმი ფი- ▶

## აგერ უკვე ორი ათეული წელია, ვხედავთ, რომ ქართულ დიასპორას (რომელიც სიმრავლით სრულიად საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარია) რუსეთში წარმოადგენენ ადამიანები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ საჯარო საქმიანობის ელემენტარულ ნორმებსაც კი

მოკლედ



## ემზარ კვიციანი — მიხეილ სააკაშვილს: შენს მომავალს გადარჩენა არ უწერია, გამყიდველო!

**პოლიტპატიმარმა ემზარ კვიციანმა „ნაციონალური მოძრაობის" მიერ დაგეგმილ აქციაზე საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილის გამოსვლას უპასუხა და განაცხადა, რომ სააკაშვილი საბრალდებო სკამზე აუცილებლად დაჯდება.**

„შენს მომავალს გადარჩენა არ უწერია, გამყიდველო! ქართველები გადავდივართ კონტრშეტევაზე! მალე ჩამოგათრევთ საქართველოში და დაჯდები საბრალდებო სკამზე!" — წერს კვიციანი სოციალურ ქსელში.

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ივანიშვილის „ოცნებას" ხალხისთვის ხეირი არ მოაქვს და „ხელისუფლება თავის ყოველდღიურ ტყუილებში გაიჭედა და გაიხლართა".

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ამ უმძიმეს პერიოდში უპრიანი იქნებოდა, დიასპორული ორგანიზაციებისათვის ეხელმძღვანელა არა ბიზნესმენსა და დაბალი განათლების ქორვაჭარს, არამედ ქართული ინტელიგენციის ისეთ წარმომადგენელს, რომელსაც, როგორც საქართველოში, ასევე რუსეთში პატივისცემა, დაფასება და ავტორიტეტი აქვს.

ლიგრანული მიდგომა და ავტორიტეტი სჭირდება რუსეთში ქართული დიასპორის ლიდერს, რადგან ამ დიასპორის როლი ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის მომავლის ბედისათვის. **ასეთ ვითარებაში კი დიასპორული საკითხების იმ კომიკური პერსონების იმედად დატოვება, რომლებიც დღეს ეწევიან ამ საქმიანობას, სულ მცირე, საბოტაჟია...**

ხუბუტიას საწინააღმდეგო პიროვნულად არაფერი მაქვს, უბრალოდ, საქმე ის არის, რომ დიასპორული ორგანიზაციების სხვა ხელმძღვანელების თვალსაზრისითაც მეტად მძიმე სურათია. მაგალითად, **კიდევ ერთ დიასპორულ ორგანიზაციას — „საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესს“ — ხელმძღვანელობს ასევე ვაჭრობით დაკავებული, გაურკვეველი წარსულის მქონე ბიზნესმენი ალექსანდრე ებრალიძე.**

ნიშანდობლივია, რომ ბატონი ებრალიძის სურვილი და პრეტენზია, გამხდარიყო საქართველოს პირველი პირი, საზოგადოების მიერ ისეთივე ირონიულ-კომიკურ კონტექსტში იქნა შეფასებული, როგორც ბატონი ხუბუტიას სურვილი — წარმოადგენდეს რუსეთში საქართველოს, ხოლო საქართველოში — რუსეთს. **ხუბუტიასგან განსხვავებით, ბატონი ებრალიძე, როგორც ჩანს, მიხვდა ამ მიმართულებით შემდგომი საქმიანობის უპერსპექტივობას და ბოლო ხანს ჩრდილში ყოფნას ამჯობინებს.**

ხუბუტია-ებრალიძის დუეტს არაფრით ჩამოუვარდება კიდევ ერთი „დიასპორული ლიდერი“ და „პუტინის მეგობარი,“ ვინმე **მინდია გულუა,** რომელიც რუსეთში ბიზნესმენია, საქართველოში — პოლიტიკოსი, მის „თვითშეფასებას“ ერთდროულად ამშვენებს „რუსულ-აფხაზური სეპარატიზმის წინააღმდეგ საომარ მოქმედებებში აქტიური მონაწილეობა“ და რუსეთის მმართველ წრეებთან „ახლო მეგობრობა“. ის, როგორც “რუსეთის ხელმძღვანელი პირების მეგობარი” და „კრემლში ფრიად გავლენიანი სუბიექტი“ ქართველი ამომრჩევლისგან მხარდაჭერას, ხოლო რუსეთისგან სოხუმიდან და ცხინვალიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანას ერთდროულად ითხოვს. როცა ხელს აძლევს, სააკაშვილის რეჟიმთან ძმაკაცობს, ხოლო როცა აღარ — „რუსეთუმეს“ მანტიას ირგებს.

მოკლედ, **ბატონი გულუა, რუსეთში ქართული დიასპორის ლიდერის როლს ვერა, მაგრამ ილფისა და პეტროვის უკვდავი ნაწარმოების გმირის — პატივცემული დირექტორის — ფუნტის როლს ნამდვილად ერგება.**

ზემოთ ნახსენებმა სამეულმა, რომელიც სხვადასხვა პერიოდში აქტიურად ჩნდებოდა ქართულ მედიაში და ლამის „რუსეთის ხელმძღვანელობის სახელით“ ათასგვარ ფანტასტიკურ სისულელეს როშავდა, წარმატებით მოახერხა ამ მიმართულების დისკრედიტირება, თუმცა საქმე ამით არ მთავრდება.

რუსეთში დიასპრული ორგანიზაციების კიდევ ერთი ლიდერია ერთ დროს მიხეილ სააკაშვილის ფავორიტი და „ნაცმოძრაობის“ სული და გული **გოჩა ძასოხოვი. მას შემდეგ, რაც შავბნელი საქმეების გამო სააკაშვილთან ურთიერთობა დაეძაბა, ძასოხოვი ძველ თბილისში მდიდრული აპარტამენტებიდან რუსეთში გადაბარგდა, აქტიურ დიასპორულ საქმიანობას მიჰყო ხელი და დააარსა „საქართველოს ხალხთა ასამბლეა“...**

ეს ასამბლეაც, სხვა ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციების მსგავსად, აქტიური „დიასპორული“ საქმიანობით იყო დაკავებული, მაგრამ „რუსეთში ქართველთა კავშირისა“ და „საქართველოს ხალხთა კონგრესისგან“ განსხვავებით, არ გაუმართლა — სამართალდამცავთა ყურადღების ცენტრში მოხვდა და გაირკვა, რომ შავ-ბნელი ბიზნესმაქინაციებით იყო დაკავებული. დანაშაულებრივი ორგანიზაცია მიუხურეს, თვითონ ძასოხოვი კი, ასე ვთქვათ, იატაკქვეშეთში გადაბარგდა...

ამ პანოპტიკუმს ავსებს კიდევ ერთი პერსონა, რომელსაც ზედმიწევნით ახასიათებს ცნობილი ფრაზა ფილმიდან „მიმინო“ — „კტო ეტოტ პატერპევში, ჩევო ონ ხოჩეტ?“

ეს „პატერპევში“ არის **„რუსი და ქართველი ხალხების ერთიანობის ფონდის“** პრეზიდენტი **ვლადიმერ ხომერიკი.** დიასპორის საკითხებში ამ ადამიანის მონაწილეობა ძალიან ბევრს უკვირს, რადგან, **თუკი ხუბუტიასა და გულუას ქართველობა მაინც აკავშირებთ რუსეთში ქართველთა დიასპორასთან, ხომერიკის შემთხვევაში ამგვარ კავშირს პულსიც კი არ ესინჯება.** თუმცა ბატონი ხომერიკიც შეპყრობილია ახალი ფსიქიატრიული სენით — „პუტინთან მეგობრობის“ აკვიატებული აზრით და ისიც წარმატებით უწევს დათვურ სამსახურს რუსულ-ქართულ ურთიერთობებს. ალბათ, არიან კიდევ სხვა წვრილი დიასპორული ორგანიზაციები,

**იმედია, რომ ქართველთა დიასპორა რუსეთში ამ საკითხს სათანადო პასუხისმგებლობით მოეკიდება და პრობლემას დინჯად, უხმაუროდ, მაგრამ პრინციპულად და თანმიმდევრულად მოაგვარებს...**

რომელთა შესახებაც არაფერი ვიცით, მაგრამ ჩამოთვლილი ორგანიზაციებისა და მათი ლიდერების საქმიანობის ანალიზიც საკმარისია, დავასკვნათ — **რუსეთში არ არსებობს დიასპორის ისეთი მოქმედი ხელმძღვანელი, რომელიც ირონიას ან დაუფარავ ზიზღს არ იწვევდეს ქართველ საზოგადოებაში, რაც, რა თქმა უნდა, ნეგატიურად მოქმედებს რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე და ხელს უწყობს ისეთი თვალსაზრისის ფორმირებას, თითქოს ეს ოდიოზური ფიგურები რუსეთის მიერ არის შერჩეულნი და დაწინაურებულნი დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელებად.** ამ თვალსაზრისს ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ თვითონ ეს „დიასპორული ლიდერები“ ყოველ ნაბიჯზე უსვამენ ხაზს მითურ და განსაკუთრებულ ურთიერთობებს რუსეთის პრეზიდენტთან და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან. შედეგად კი **მივიღეთ სურათი, როდესაც პრეზიდენტ პუტინს იმდენი „ქართველი მეგობარი“ ჰყავს, ამის შესახებ რომ გაიგოს, ფრიად გაკვირვებული დარჩება.**

არადა, იგივე **ბატონი ხუბუტია, როდესაც ერთ-ერთ თბილისურ რესტორანში საყოფაცხოვრებო ხასიათის შელაპარაკებისას გალახეს, სწორედ „პუტინთან მეგობრობით“ ხსნიდა ცემის ფაქტს და არა შეუფერებელი საქციელით.**

რაც შეეხება ბატონ ხუბუტიას (და არა მხოლოდ მას) უკვე **აუტანელია, როდესაც რუსეთში ქართული დიასპორის ხელმძღვანელის ყოველი საჯარო გამოსვლა მთავრდება სკანდალით, გამომსვლელის მძიმე შეურაცხყოფით, დაცინვით, მის უვიცობაზე პირდაპირ ეთერში ქილიკითა და გამასხარავებით.**



**აუტანელია, როდესაც რუსეთში ქართული დიასპორის ხელმძღვანელის ყოველი საჯარო გამოსვლა მთავრდება სკანდალით, გამომსვლელის მძიმე შეურაცხყოფით, დაცინვით, მის უვიცობაზე პირდაპირ ეთერში ქილიკითა და გამასხარავებით**

გასაგებია, რომ ნებისმიერი, თუნდაც მცირერიცხოვანი (ზემოჩამოთვლილთა მსგავსად) ორგანიზაციის მუშაობისათვის საჭიროა ფინანსები, მაგრამ ნუთუ ეს ნიშნავს იმას, რომ ამ უაღრესად მნიშვნელოვან ორგანიზაციებს ყეყეჩი, ჯიბესქელი უვიცები ხელმძღვანელობდნენ? **საქმე იქამდეა მისული, რომ საზოგადოებას ურჩევნია, საერთოდ არ გვქონდეს დიასპორული ორგანიზაციები, ვიდრე მათ ასეთი სამარცხვინო ტიპები მართავდნენ, რომლებიც თავიანთი ლექსიკით, უვიცობითა და ტრაბახით აკნინებენ ქართველის სახეს.**

არადა, მიუხედავად მქუხარე პრეტენზიული სახელებისა, ეს ორგანიზაციები სინამდვილეში აერთიანებენ წევრთა მინიმალურ რაოდენობას და ძირითადად თითო-ოროლა ადამიანის კერძო ინტერესებს ემსახურებიან, მაგრამ სწორედ მჟღერი და პრეტენზიული სახელები აძლევთ საშუალებას, საჯარო სივრცეში მთელი დიასპორის სახელით ისაუბრონ ათასგვარი სიბრიყვე აქტუალურ საკითხებზე. **ამ ორგანიზაციების ლიდერებს სძულთ ერთმანეთი, კონკურირებენ ერთმანეთთან, ლანძღავენ მედიაში ერთიმეორეს და თავს ირცხვენენ ამ ქიშპობით, რაც ასევე ჩირქს სცხებს, საზოგადოდ, დიასპორის საკითხებს.**

თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს წიაღში იშვა **სტალინისა** და **ბერიას** ინტელექტი, და მათ თავის დროზე განსაზღვრეს ზესახელმწიფოს განვითარების გზა, რომელიც დღემდე განაპირობებს პოსტსაბჭოთა სივრცისა და, მათ შორის, რუსეთის ფედერაციის არსებობას; თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველომ მისცა ქართულ-რუსულ საზოგადოებას კორიფეები — **არჩილ გელოვანი, ალექსანდრე ნადირაძე, დავით იოსელიანი, მიხეილ კალატოზოვი, გიორგი დანელია, ლეო ბოკერია** და უამრავი სხვა პატივცემული ადამიანი, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს — **სამარცხვინოა, რომ ქართულ დიასპორას რუსეთში წარმოადგენდნენ ბრიყვი და გაბღენძილი ქორვაჭრები ან ვირეშმაკა ავანტიურისტები.** დღეს, როგორც არასდროს, მნიშვნელოვანია რუსულ-ქართული ურთიერთობების დარეგულირება და განუზომელია ამ საქმეში ქართული დიასპორის როლი...

იმედია, რომ **ქართველთა დიასპორა რუსეთში ამ საკითხს სათანადო პასუხისმგებლობით მოეკიდება და პრობლემას დინჯად, უხმაუროდ, მაგრამ პრინციპულად და თანმიმდევრულად მოაგვარებს... თუნდაც იმ დონეზე, რომ რუსეთში ქართული დიასპორის ლიდერის ტელევიზორში მორიგი გამოჩენა საყოველთაო ირონიას, ცუდად შენიღბულ დაცინვას ან სულაც დაუფარავ ზიზღს აღარ იწვევდეს.**

**გიორგი გაჩეჩილაძე**

**სამარცხვინოა, რომ ქართულ დიასპორას რუსეთში წარმოადგენდნენ ბრიყვი და გაბღენძილი ქორვაჭრები ან ვირეშმაკა ავანტიურისტები**

---

ამბავი

## C ჰეპატიტით დაავადებულების სამკურნალო მედიკამენტს აპრილში შემოიტანენ

**ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს განცხდებით, C ჰეპატიტის სამკურნალო პროექტზე ხელშეკრულებას ხელი 21 აპრილს მოეწერება, მედიკამენტის პირველი დიდი პარტიის შემოტანა კი ხელშეკრულების ხელმოწერიდან უახლოესი დღეებში მოხდება. პირველი პარტია 5 ათასი ადამიანის სამკურნალო დოზას მოცავს და ის პაციენტები მიიღებენ, რომლებსაც კლინიკური მდგომარეობის გამო ყველაზე მეტად სჭირდებათ.**

„ის პაციენტები, რომლებიც დაიწყებენ მკურნალობას, ძალიან კარგად უნდა აცნობიერებდნენ, რომ მკურნალობა არ ნიშნავს, რომ ღვიძლის ფუნქცია სრულად და მყისიერად დაუბრუნდება საწყის მდგომარეობას, ეს არის ინფექციის მოსპობა და არა საკუთრივ ღვიძლის ფუნქციის გაუმჯობესება. ძალიან ხშირია შემთხვევა, როდესაც პაციენტებმა გაიგეს ამ მოსალოდნელი პროექტის შესახებ და რეჟიმს, თავის მოვლას თავი დაანებეს. კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს, ანტივირუსული მკურნალობის პროექტს ხელი მოეწერება 21 აპრილს და უახლოეს დღეებში დაიწყება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ძირითად თავის მოვლის წესებზე უარი თქვან, ეს არის ფატალური რისკების შემცველი ქმედება“, — განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ.

მკურნალობა ახალი თაობის პრეპარატ „სოფოსბუვირით“ განხორციელდება. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საქართველოში C ჰეპატიტით 200 ათასი ადამიანია დაავადებული, თუმცა არ არის გამორიცხული, რეალური რიცხვი გაცილებით მეტი იყოს.

**ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**რა უნდა უწოდო მთავრობას, რომელსაც უკან მოხედვის ეშინია, რადგან აშშ-ის ელჩი და „ნაციონალთა“ სხვა მეგობრები დამნაშავის დასჯის საშუალებას არ აძლევენ? უნიათობა „ნაციონალების“ ენაზე იმას ნიშნავს, რომ „ოცნებამ“ 2012 წლის ოქტომბრის ბოლომდე არ გააკეთა ის, რასაც „ნაციონალები“ სწორედაც რომ ჩაიდენდნენ — არ დააპატიმრა, არ გააკულაკა, არ დაატერორა და არ აკრძალა! ახლა მოფერიანდნენ და შეტევაზე გადავიდნენ.**

# არშემდგარი დაბრუნება

**21 მარტი ვისთვის ქართული ჟურნალისტიკის დღეა, ვისთვის – დაუნის სინდრომიანი ბავშვების დღე, ვისთვის – ნოვრუზ ბაირამი და ვისთვის — გაზაფხულის ბუნიობა. წელს ეს დღე მზის დაბნელებითა და „ნაციონალური მოძრაობის“ საპროტესტო მიტინგითაც აღინიშნა, თუმცა „აღნიშვნა“ მასშტაბური ვერ გამოდგა – საქართველომ ვერც მზის დაბნელება დაინახა და ვერც „ნაციონალების“ რაოდენობამ შეძრა. დახარჯული ფულისა და კონტროლს დაქვემდებარებული მედიის დანთებულმა ცეცხლმა შედეგი ვერ გამოიღო. არც საიმისო განწყობაა საზოგადოებაში, რომ სნაიპერმა ერთი-ორი „ნაციონალი“ შეიწიროს და ამას „მაიდანი“ მოჰყვეს.**

ტრადიციულად, „ნაციონალების“ სასარგებლოდ შეშფოთებულმა აშშ-ის ელჩმა მოწონებით მიიღო ის, რომ მოქმედი ხელისუფლების პოლიციის მაღალჩინოსნებს „კომუნიკაცია ჰქონდათ“ ყოფილი ხელისუფლების ლიდერებთან; დაანონსებულ საპროტესტო გამოსვლამდე ორი დღით ზურა ჯაფარიძე და გიგა ბოკერია თბილისის საპატრულო პოლიციის უფროსსა და ქალაქის პოლიციის სამმართველოს ხელმძღვანელს შეხვდნენ. მათ პოლიციის მაღალჩინოსნებს 21 მარტს დაგეგმილი აქციის გეგმა, დაწყების დრო, ხანგრძლივობა და გადაადგილების მარშრუტი გააცნეს.

თავის მხრივ, სამართალდამცველებმა საპროტესტო გამოსვლის ორგანიზატორებს პირობა მისცეს, რომ შაბათს უსაფრთხოების განსაკუთრებულ ზომებს მიიღებდნენ და აქციის მშვიდობიანად ჩატარების უზრუნველყოფისთვის მობილიზებული იქნებოდა პოლიციის დამატებითი ჯგუფები.

ამას ხელი არ შეუშლია ორგანიზატორებისთვის, რომ აქციის ჩატარების წინა დღეს შეკრების ადგილი შეეცვალათ. მიზეზად **ზურაბ ჯაფარიძემ** აქციაზე მისვლის მსურველთა რაოდენობა დაასახელა: „როგორც მოგეხსენებათ, ქვეყანაში შექმნილ უმძიმეს ეკონიმიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ხვალ, 21 მარტს, ჩვენ ვმართავთ თბილისში საპროტესტო აქციას, რომლის მთავარი მოწოდებაც არის, — გადადგეს საქართველოს უნიათო მთავრობა სრული შემადგენლობით.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, **იმდენად დიდი არის სურვილი აქციაზე მომსვლელების, რომ გადავწყვიტეთ, აქციის დისლოკაცია შევცვალოთ და ნაცვლად რუსთაველის გამზირისა, აქცია გაიმართება თავისუფლების მოედანზე.** მანამდე იქნება ორი დიდი შეკრება: ერთი — ვარდების მოედანზე, მეორე — ეგრეთ წოდებულ კოლმეურნეობის მოედანზე, საიდანაც მოეწყობა მსვლელობა თავისუფლების მოედნისკენ. აქცია დაიწყება თავისუფლების მოედანზე 16:00 საათისთვის და სწორედ იქ შედგება აქციის ძირითადი ნაწილი, ეგრეთ წოდებული მიტინგი“.

**„ნაციონალების“ მიტინგი რომ „ეგრეთ წოდებულია“, ეს ისედაც ცნობილი იყო, რადგან მრავალმიტინგგამოვლილ საქართველოს ასეთი უმუხტო, უძარღვო და მართლაც უნიათო მიტინგი არ ახსოვს. „იმდენად დიდი არის სურვილი აქციაზე მომსვლელების“ — ეს ფრაზაც არ არის შემთხვევითი: ისიც ვერ თქვეს, რომ იმდენი მსურველია, ვერ დავეტევითო და ამიტომ აქცენტი „დიდ სურვილზე“ გადაიტანეს, თითქოს სურვილის სიდიდეს მიტინგის დისლოკაციის შეცვლა სჭირდებოდეს!**

ჩვენ რომ დავივიწყოთ, „ნაცლიდერებს“ ხომ კარგად ახსოვთ, რომ მათ წინააღმდეგ საპროტესტოდ ასიათასობით ადამიანი გამოდიოდა და ისიც კარგად იციან, რომ ამ რაოდენობას ისინი ვერასოდეს მოაგროვებენ. სოციალურ ქსელებში იმავე დღეს დაიდო ერთი რაკურსით გადაღებული ორი ფოტო – 2012 წელს გამოსული ხალხისა და „ნაციონალების“ „ეგრეთწოდებული“ მიტინგის. **ბაკურ სვანიძემ** კი იქვე დააწია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს:

„ინტერნეტით ვრცელდება ასეთი ფოტოები, რომლებზეც ნაჩვენებია ერთ მხარეს 2012 წლის სექტემბერში „ოცნების“ თბილისის აქციაზე გამოსული ხალხი და მეორე მხარეს — 2015 წლის მარტის „ნაცების“ აქციაზე მისული ხალხი. მინაწერი ამ ფოტოებს აქვს აუცილებლად ისეთი აქცენტით, რომელშიც ხაზგასმულია, – რა ბევრი ხალხი უჭერს მხარს „ოცნებას“ და რა ცოტა — „ნაცებს“!

კატეგორიულად ვაცხადებ: **2012 წლის ფოტოზე არ არიან „ოცნების“ მხარდამჭერები! ეს ხალხი არის „ანტინაცი“! და არა „ოცნებისტი“! მაშინ ამდენი ხალხი გამოვიდა „ნაცების“ წინააღმდეგ და არა „ოცნების“ მხარდასაჭერად!**

პირადად მე და ბევრი ჩემი ნაცნობი და მეგობარი ასე ვიყავით!

ოცნებისტი კერპთაყვანისმცემლები ნუ ვაჭრობთ ახლა მაგ რაოდენობით!

**ახლა კონკრეტულად „ოცნების“ მხარდასაჭერად მიტინგი რომ გამოცხადდეს, მაგის მესამედიც არ მოვა!**

ნუ მიიწერთ თქვენს თავზე!

რაც შეეხება „ანტინაცებს“, კი, ბატონო! მაგდენიც იქნება და მეტიც!

აქვე მინდა, ხაზი გავუსვა, რომ 2012-ის სექტემბერში ხალხი რაიონებიდან არ ჩამოუყვანიათ... მაგ ფოტოზე მხოლოდ თბილისელები არიან“!




**რომელ დაპირებებზე გვესაუბრებიან ეს ვაჟბატონები, რომლებსაც, საკუთარი კეთილდღეობის გარდა, სხვა არაფერი აწუხებდათ და ახლაც იმას მისტირიან, რომ, რაც მოესურვებათ, იმას ვერ სჩადიან?**

ასეა ეს და **ნურც „ოცნებას“, ნურც „ნაცმოძრაობას“ ნუ ეგონებათ, რომ ერთმანეთით დაშინება ან ერთს მოუმატებს მხარდამჭერებს, ან — მეორეს!** ძალიან არ მოსწონს „ქართულ ოცნებას“, როცა „ნაციონალები“ მათ მთავრობას „უნიათოს“ უწოდებენ, მაგრამ რა უნდა თქვა, როცა დემოკრატიის შეტევით შეპყრობილი პრეზიდენტი მარგველაშვილი ორასამდე პოლიტპატიმრისა და გაცილებით მეტი უსამართლოდ მსჯავრდადებული პატიმრის პირობებში კოტე კუბლაშვილს მადლობას უხდის?

**რა უნდა უწოდო მთავრობას, რომელსაც უკან მოხედვის ეშინია, რადგან აშშ-ის ელჩი და „ნაციონალთა“ სხვა მეგობრები დამნაშავის დასჯის საშუალებას არ აძლევენ? უნიათობა „ნაციონალების“ ენაზე იმას ნიშნავს, რომ „ოცნებამ“ 2012 წლის ოქტომბრის ბოლომდე არ გააკეთა ის, რასაც „ნაციონალები“ სწორედაც რომ ჩაიდენდნენ — არ დააპატიმრა, არ გააკულაკა, არ დაატერორა და არ აკრძალა! ახლა მოფერიანდნენ და შეტევაზე გადავიდნენ.**

**„ინტელექტუალი“ ზაზა ბიბილაშვილი** მიტინგზე მისულებს დაჰპირდა, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ბიძინა ივანიშვილის ფულით შეგისრულებთ მის დაპირებებსო: „დიახ, ივანიშვილი უნდა წავიდეს. შემდეგმა ხელისუფლებამ კი მისი დანაპირების ნაწილი მისივე ქონებითა და ფულით უნდა შეასრულოს — აკი თავად თქვა, ყველაფერს გადავიხდი მე, პირადადო“! ანუ პირდაპირ და წინსწრებით გამოაცხადა ის, რასაც ხელისუფლებაში დაბრუნების შემთხვევაში „ნაციონალები“ აპირებენ — ტერორს!

ბიბილაშვილის შემდეგ გამოსულმა **დავით ბაქრაძემ** კი სულ თაფლი და ბადაგი აფრქვია: „ეს მთავრობა აღვივებს დაპირისპირებას, შუღლს. ვნახეთ, რა მოხდა ამ დღეებში ზუგდიდში, როცა შეიარაღებულები მიუვარდნენ ჩვენს ოფისში მყოფ ადამიანებს დასარბევად. მათ არ ესმით, რომ ამ ზიზღითა და ძალადობით ჩვენ ვერაფერს გვიზამენ, მაგრამ საქართველოს დაანგრევენ. ამიტომ მინდა, ვუთხრა მთავრობასაც და ყველა იმ ადამიანს, რომელთაც ჯერ კიდევ ეშინიათ წარსულის — დღეს ამ მოედანზე, მე საჯაროდ ვდებ პირობას თქვენი და ქართველი ხალხის წინაშე, რომ, როდესაც ჩვენ მოვალთ ხელისუფლებაში, პირველი ორი ინიციატივა, რომელსაც მე პირადად წამოვაყენებ, იქნება ინიციატივა პოლიტიკური შერიგებისა და ეკონომიკური ამნისტიის შესახებ. ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავუსვათ წერტილი დაპირისპირებას, ზიზღს. წერტილი უნდა დავუსვათ ერთმანეთის ქვებით დევნას და, თუ დღეს გვყავს მთავრობა, რომელიც მოსახლეობის ერთ ნაწილს ხელში ქვას უდებს და ეუბნება, წადი და მეორე ადამიანს ესროლეო, ჩვენ ვიქნებით ის მთავრობა, რომელიც დააყენებს პოლიტიკური შერიგების ინიციატივას და ყველას ექნება საშუალება, ქვეყანაში მშვიდად იცხოვროს“.

**როგორია?**

ვისაც არ ახსოვს, შევახსენებ, რომ **ქვის სროლით სწორედ ეს სუბიექტები მოვიდნენ ხელისუფლებაში და მერეც ბევრჯერ ჩაუდეს ადამიანებს ხელში ქვები ერთმანეთთან ანგარიშის გასასწორებლად. იმაზე ნუღარ ვილაპარაკებთ, ტყვიებითა და ხელკეტებით როგორ უსწორდებოდნენ ოპოზიციას ან როგორ ხვრეტდნენ ქუჩებში პოლიციის ხელით ადამიანებს!**

**ვისი უფრო გჯერათ — ბიბილაშვილის, რომელიც „ნაციონალების“ კარგად ცნობილ ხელწერას აანონსებს, თუ ბაქრაძის, რომელიც თავს იკატუნებს, დავბრუნდებით და ყველას მოგეფერებითო? — მე ბიბილაშვილის დაპირების უფრო მჯერა.**

„ნაციონალების“ კრიზისის კიდევ ერთი მაჩვენებელი არის ის, რომ მიტინგის მონაწილეებს **გიგა ბოკერიამ** მიმართა. მისი „პოპულარობა“ ხომ საყოველთაოდ ცნობილია და თვითონ სააკაშვილიც მიხვდა, რომ ბოკერიას საჯაროდ გამოჩენა ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მყოფი „ნაციონალური მოძრაობისთვის“ უკიდურესად წამგებიანი იყო. ახლა მან მიკროფონი იხელთა და, სხვა მრავალთან ერთად, „პოლიტპატიმრებზე“ გვამცნო:

„მინდა, მივესალმო ჩვენს ყოფილ პრემიერმინისტრს, ჩვენს გენერალურ მდივან ვანო მერაბიშვილს, ქალაქის მერს — გიგი უგულავას, თავდაცვის მინისტრს — ბაჩო ახალაიას, ჩვენს კანდიდატებს, ჩვენს პოლიციელებს და სხვებს, ჩვენს პოლიტპატიმრებს, რომლებიც მარტო იმიტომ დაისაჯნენ, რომ კრიმინალებს ებრძოდნენ და ჩვენს შვილებს იცავდნენ. ყველანი ციხიდან გამოვლენ და, რაც მთავარია, ეს მთავრობა ააშენებს ჩვენი ქვეყნის მომავალს“.

**მხოლოდ მათ შვილებს რომ იცავდნენ და სხვისას ან კლავდნენ, ან აწამებდნენ, ეს ისედაც ვიცოდით, მაგრამ ბოკერია სწორედ იმას სჩადის, რასაც მისი თანამომიტინგე ზაზა ბიბილაშვილი ბიძინა ივანიშვილს აბრალებს: „ჩვენ აღარ მოვითმენთ ივანიშვილის მიერ ყველა ღირებულების თავდაყირა დაყენებას: იმას, რომ უსამართლობას სამართლიანობა დაარქვა. თავისუფლებისთვის მებრძოლს დამნაშავე უწოდა, მკლელებს, ჯაშუშებსა და საქართველოს წინააღმდეგ მებრძოლ ექსტრემისტებს კი — პოლიტპატიმრები.**

ამის შემდეგ ეს „ინტელექტუალი“ აცხადებს: „მთავარი, რაც ჩვენ გვაერთიანებს, არა ვინმეს სიძულვილი, არამედ თავისუფლების სიყვარული და სიმართლეა“. და ცოტა ხნის შემდეგ სწორედ იმ ენაზე იწყებს მეტყველებას, რომელსაც სწორედ სიძულვილის ენა ჰქვია: „რუსეთის მონები, კა-გე-ბე-ს აგენტები, ჩუნგა-ჩანგას მომღერალი ამებები და კლოუნები“ მხოლოდ მცირე ნაწილია იმ „მარგალიტებისა“, რომლებიც მან უხვად დაუყარა ფეხქვეშ მიტინგის მონაწილეებს.

**ხელისუფლებაში „ნაციონალების“ დაბრუნების, მათ მიერ დაპირებული „პოლიტიკური შერიგებისა“ და „ეკონომიკური ამნისტიისა“ ვისაც სჯერა, მას აღარაფერი უშველის. ვის შეუსრულებელ დაპირებებზე ლაპარაკობენ ეს სუბიექტები, რომელთა ლიდერმაც თავისი დაპირება — მეორე საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე საქართველოს გამთლიანება — ისე შეასრულა, რომ საქართველო დღეს იმაზე გაცილებით ნაკლებ ტერიტორიას აკონტროლებს, ვიდრე ხელისუფლებაში მის მოსვლამდე?**

**რომელ დაპირებებზე გვესაუბრებიან ეს ვაჟბატონები, რომლებსაც, საკუთარი კეთილდღეობის გარდა, სხვა არაფერი აწუხებდათ და ახლაც იმას მისტირიან, რომ, რაც მოესურვებათ, იმას ვერ სჩადიან?**

**საზოგადოდ, მთავრობის გადადგომის მოთხოვნაში ცუდი არაფერია — ხალხს ამის უფლება აქვს, მაგრამ, როცა ამას „ნაციონალები“ ხალხის სახელით აცხადებენ, ეს სწორედ ხალხის დაცინვაა და სხვა არაფერი!**

მთავრობის კრიტიკის უფლება უნდა გქონდეს. ეს უფლება კი „ნაციონალებმა“ დიდი ხნის წინათ დაკარგეს. ბოლო წერტილი 2011 წლის 26 მაისის სადამსჯელო ოპერაცია იყო, როცა ასეულობით ადამიანს სასტიკად გაუსწორდნენ, ხელებშეკრული მიცვალებულები მაღაზიის სახურავზე შემოაწყვეს და სრულიად საქართველოში წინასწარი დაკავების იზოლატორები გაავსეს.

გაგიკვირდებათ, მაგრამ ამას არც ამერიკის იმჟამინდელი ელჩი შეუშფოთებია და არც ახლანდელი. არც ძველი ხელისუფლება იძიებდა ამ სასტიკ დარბევას და არც ახალი.

**თუ დავით ბაქრაძის სიტყვას ვენდობით, ეს ორი პოლიტიკური ძალა ერთმანეთს, რამე რომ იყოს, ისევ შეურიგდება.**

**საკითხავი მხოლოდ ის არის, შეურიგდება თუ არა ამას ქართველი ხალხი.**

**„400 ათასი ლარი მებაღჩეობისთვის არის გამოყოფილი. მებაღჩეობა თურმე ხეების დარგვას ნიშნავს, მაგრამ საინტერესოა, სად დარგავენ? „ზალაში“ თუ დამირგავენ, არ ვიცი და ისე, ქალაქში ყველა სკვერი და პარკი გაყიდულია. თვითმფრინავების, რკინიგზის, საგზაო და საზღვაო მოწყობილობების შესაკეთებლად, ტექნიკური მომსახურებისთვის კი 16 ათასი ლარია გამიზნული“.**

რეგიონი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გოგი წულაია: რა რკინიგზებსა და თვითმფრინავებს არემონტებენ ან რომელი საზღვაო მოწყობილობები აქვთ ამ ქუთაისში, არ ვიცი

**„თავისუფალი საქართველოს“ იმერეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე გოგი წულაია ქუთაისის მერიას დიდი ოდენობით თანხების არამიზნობრივ ხარჯვაში ადანაშაულებს. ბატონი გოგი „საქართველო და მსოფლიოს“ კონკრეტულ ინფორმაციას აწვდის, თუ რა თანხების გახარჯვას გეგმავს ქუთაისის მერია წლის განმავლობაში:**





— მაქვს ოფიციალური დოკუმენტები, რომელთა მიხედვით, ცხადი ხდება, რა შესყიდვები უნდა განახორციელოს 2015 წელს ქუთაისის მერიამ. რამდენიმეს ჩამოგითვლით: მაგალითად, მხოლოდ **ავტოპარკის გასაახლებლად წელს 175 ათასი ლარია გამოყოფილი** და ქალაქის მერი ამას იმით ასაბუთებს, რომ ძველი მანქანების შეკეთება მერიას უფრო ძვირი დაუჯდება, ვიდრე ახლის შეძენა. **142 ათასი ლარია გამიზნული ავეჯის შესაძენად**, ხოლო **23 ათასი ლარი — ქაღალდებისთვის;** კომპიუტერული მოწყობილობებისა და მარაგებისთვის — 156 ათასი ლარი; ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის — 300 ათასი ლარი (თუმცა აქ რა იგულისხმება, ჩემთვის გაუგებარია); **საოფისე მოწყობილობებისთვის,** კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა — **186 ათასი ლარი** (ასევე გაუგებარია, რას გულისხმობენ); **400 ათასი ლარი მებაღჩეობისთვის არის გამოყოფილი.** მებაღჩეობა თურმე ხეების დარგვას ნიშნავს, მაგრამ საინტერესოა, სად დარგავენ? **„ზალაში“ თუ დამირგავენ, არ ვიცი და ისე, ქალაქში ყველა სკვერი და პარკი გაყიდულია.**

**თვითმფრინავების, რკინიგზის, საგზაო და საზღვაო მოწყობილობების შესაკეთებლად, ტექნიკური მომსახურებისთვის 16 ათასი ლარია გამიზნული, თუმცა რა რკინიგზებსა და თვითმფრინავებს არემონტებენ ან რომელი საზღვაო მოწყობილობები აქვთ ამ ქუთაისში, არ ვიცი...**

**რესტორნებისა და სხვადასხვა კვების ობიექტის მომსახურეობისთვის — 61 ათასი ლარი, ბუნების წიაღში დასასვენებლად და სხვა ადგილებში დასაბინავებლად, სასტუმროს გარდა, 54 ათასი ლარია გამოყოფილი.**

**— ეს დასვენება მერიის თანამშრომლებისთვის არის გამიზნული?**

— მეუბნებიან, ეს თანხა ბავშვებისა და პენსიონერების დასასვენებლად არისო, მაგრამ არ მჯერა და მიმაჩნია, რომ ამით ფულს „ათეთრებენ“, ვინაიდან ქუთაისის პირობებისთვის 54 ათასი ლარი ძალიან დიდი თანხაა.

**— ქუთაისის მერიის ადმინისტრაციის განცხადებით, ისინი არ აპირებენ ავტოპარკის განახლებას. როგორ ფიქრობთ, მას შემდეგ შეიცვალეს აზრი და უკან დაიხიეს, რაც თქვენ ეს ინფორმაცია გაასაჯაროეთ?**

— დაახლოებით ორი კვირის წინათ საკრებულოს სხდომა ჩატარდა, მერმა დაუმტკიცა საკრებულოს წევრებს, რომ 175 ათასი უნდა გამოეყოთ ავტომობილების შესაძენად. სხვათა შორის, ამის თაობაზე ტელეკომპანია „რიონის“ პირდაპირ ეთერში საკრებულოს სხდომის მიმდინარეობისას განაცხადეს და ამ ჩანაწერის ნახვა ყველას შეუძლია.

თუმცა მას შემდეგ, რაც ამ ინფორმაციას მოჰყვა ხმაური და პროტესტი, ახლა გაიძახიან, რომ ეს თანხა აქტივში აღარ გვაქვს, პასივში გადავიტანეთო. თითქოს უკან დაიხიეს, მაგრამ ეს ფული აკუმულირებულია ბიუჯეტში ავტომობილების შესაძენად და როდის გამოიყენებენ, არავინ იცის. ამბობენ, მხოლოდ საკრებულოს თავმჯდომარისთვის ვყიდულობთ 25 ათასლარიან ავტომობილსო.

რაც ჩამოვთვალე, ეს არ არის სრული სია. ყველაფერი რომ წავიკითხო, რასაც აპირებენ, გაოცდებით.

**— ამ ყველაფერს ხელისუფლება ქვეყნის იმიჯზე ზრუნვით ხსნის და აცხადებს, რომ ყველაფერი უცხოელი სტუმრებისთვის კეთდება.**

— დანგრეული და დაფეხვილი რომ არის ქალაქი, უცხოელი სტუმრები ამას ვერ ნახავენ? ქალაქის იერ-სახეს და ამათ გაკეთებულ საქმეებს უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ ეს უცხოელები. მსოფლიოში არსად, არც ერთ წარმატებულ ქვეყანაში მსგავსი რამ არ ხდება, რაც ჩვენთან. სამსახური და ხელფასი გაქვს და შენი ვალდებულებაა, ამ სამსახურში მიხვიდე და წახვიდე. თუ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაგჭირდება გადაადგილება, შეიძლება გამოიყენო სამსახურის მანქანა, მაგრამ შენი სამსახურის მანქანით ცოლი სამსახურში ატარო და ბავშვები — ბაღში, ასეთი რამ არსად ხდება. მერიას სულ ხუთი მანქანა უნდა ჰყავდეს, რომელიც იდგება მერიის ეზოში და, როდესაც დასჭირდებათ, საქმისთვის გამოიყენონ. **ეს მანქანა მერიის თანამშრომლის**

**«თუ ეს ხელისუფლება 2016 წლის ოქტომბრამდე დარჩა, ასარჩევიც აღარაფერი გვექნება, ნახევარი საქართველო გაქცეული იქნება საქართველოდან, მეორე ნახევარი — დაქცეული, დანარჩენი კი — საფლავში. ასეთი ვითარება კი ხელს «ნაციონალურ მოძრაობას» აძლევს. ოპოზიცია ჰქვიათ და უნდა იყვირონ, თორემ კარგად იციან, ხმების საკმარის რაოდენობას ვერ მოაგროვებენ»**

**საკუთრება არ უნდა იყოს და მერიის მაღალჩინოსანს უფლება არ უნდა ჰქონდეს, მძღოლს უთხრას, ჩემს ცოლს მიაკითხე, — ბაზარშია გასაყვანი ან სიდედრი მყავს საავადმყოფოდან გამოსაყვანიო.**

**— ანუ ასეთი ფაქტები ხდება ქუთაისში?**

— რა თქმა უნდა.

**— ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ რა გაკეთდა ქუთაისში, რა დარჩა კვლავ გადაუჭრელი და რა პრობლემების წინაშე დგას მოსახლეობა?**

**— ქუთაისში არც ერთი პრობლემა არ გადაჭრილა. ქალაქში არის წყლისა და დასუფთავების პრობლემა, უმუშევრობის პრობლემა, ყველაფერი კი იქიდან გამომდინარეობს, რომ ქალაქმა ფუნქცია დაკარგა. ქუთაისი ასე უფუნქციო არასდროს ყოფილა,** მაშინაც კი, როდესაც რუსეთმა საქართველო დაიპყრო. იმხანად, მოგეხსენებათ, ქუთაისს გუბერნიის ფუნქცია მიენიჭა; შემდეგ, კომუნისტების პეროდში, ინდუსტრიის ქალაქად იქცა. **რუსეთიც კი ხვდებოდა, რომ ქუთაისს ფუნქცია უნდა ჰქონოდა და ესენი ვერ ხვდებიან. არადა, რამ უნდა არჩინოს და განავითაროს ქალაქი? — ამაზე არც ერთი ხელისუფლება არ ფიქრობს.** აქედან მომდინარეობს ყველა ის პრობლემა, რომლებიც ქალაქს გააჩნია.

პრობლემაა გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის საქმიანობა, ვინაიდან „ქუთაისის წყალი“ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას ეკუთვნის, იქ ძირითადი თანხის შემტანი ქუთაისია, ეს კი მძიმე ტვირთად აწვება ქუთაისელებს. მასში ისეთი დიდი ქალაქები, როგორიცაა თბილისი, რუსთავი და ბათუმი, გაერთიანებული არ არის. **ადგილობრივი თვითმმართველობისა და წყალმომარაგების კომპანიის მუშაობა არაკოორდინირებულია. ზის 400 უსაქმური და ხელფასს იღებს. „ქუთაისის წყალი“ განსაკარგავად ქალაქს უნდა გადმოეცეს.** წერილობით სამინისტროსაც მივმართე, საიდანაც ეს პასუხი მივიღე: „თქვენს წერილში დასმული საკითხის გადაწყვეტა დამოკიდებული იქნება პარლამენტის მიერ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ კანონპროექტის მიღებაზე. იმ შემთხვევაში, თუ კანონპროექტის მეორე მოსმენით განხილვისას პარლამენტმა წყალმომარაგების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების ნუსხიდან ამოიღო, შესაძლებელია, მთავრობამ დაიწყოს მსჯელობა აღნიშნული კომპეტენციების ადგილებზე დელეგირების მიზანშეწონილობაზე, რისი განხილვაც ამჟამად, პარლამენტის გადაწყვეტილების მოლოდინში არ ხდება“.

**— იმერეთის რეგიონში ხელისუფლების მიერ გამოცხადებული „ქამრების შემოჭერის“ პოლიტიკა ხორციელდება?**

— რა თქმა უნდა, არა. რა „ქამრების შემოჭერაზეა“ საუბარი, როცა თითქმის ყველა რაიონში უმუშევრობა და კორუფციაა გამეფებული.

**— თქვენ მიერ ხუმრობით ნათქვამს ნახმარი კომპიუტერებისა და ქალების შესახებ სოციალურ ქსელში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ბევრს მოეწონა და იცინა, ბევრმაც ასეთი ტერმინებით საუბარი ქალების შეურაცხყოფად ჩათვალა. როგორ ფიქრობთ, პოლიტიკოსის მხრიდან მართებულია ასე საუბარი? ქალბატონებიც ხომ არიან თქვენი ამომრჩევლები?**

— ისეთი ცხოვრება გვაქვს, ვცდილობ, ყოველთვის იუმორით მივაწოდო ხალხს მწარე სიმართლე, თუმცა ვაღიარებ, რომ ამ შემთხვევაში მართლაც „შავი იუმორი“ გამომივიდა. მე მხოლოდ ვიხუმრე, მყავს მეგობარი ქალბატონები და მათ ძალიან ჩვეულებრივად მიიღეს ეს ხუმრობა, რადგან მიცნობენ და იციან, რომ სულ ვხუმრობ, მაგრამ, როგორც ჩანს, სიტყვები ვერ შევარჩიე და ამიტომ, იმ ადამიანებს, რომლებმაც ჩემი ნათქვამი შეურაცხყოფად მიიღეს, ბოდიშს ვუხდი!

**— ორიოდე დღის წინათ „ნაციონალებმა“ მთავრობის გადადგომის მოთხოვნით აქცია გამართეს და ახლა იმპიჩმენტის მოწყობასაც აპირებენ. როგორ ფიქრობთ, თუ ამდენი უკმაყოფილო ადამიანი ჰყავს ხელისუფლებას (ამას წინათ, თქვენც თქვით, რომ, მაგალითად, ქუთაისის მოსახლეობის 80% ამ მთავრობის უკმაყოფილოა), მიაღწევენ „ნაციონალები“ მიზანს?**

— მე ასე ვიტყოდი: „ნაციონალები“ ასეთი განცხადებებით მხოლოდ საკუთარ თავს იპიარებენ, რომ ვითომ მთავრობის გადაყენება სურთ. სინამდვილეში „ნაციონალებს“ სწორედ ახლა არ აძლევთ ხელს რიგგარეშე არჩევნების ჩატარება. **თუ ეს ხელისუფლება 2016 წლის ოქტომბრამდე დარჩა, ასარჩევიც აღარაფერი გვექნება, ნახევარი საქართველო გაქცეული იქნება საქართველოდან, მეორე ნახევარი — დაქცეული, დანარჩენი კი —საფლავში. ასეთი ვითარება კი ხელს „ნაციონალურ მოძრაობას“ აძლევს. ოპოზიცია ჰქვიათ და უნდა იყვირონ, თორემ კარგად იციან, ხმების საკმარის რაოდენობას ვერ მოაგროვებენ.**

ჩემი აზრით, ახლა არჩევნების ჩატარება ყველაზე მეტად ხელისუფლებას უნდა აძლევდეს ხელს, ვინაიდან ამჟამად რეიტინგის რაღაც 20% მაინც თუ აქვს შემორჩენილი „ქართულ ოცნებას“ თავის ბიძინა ივანიშვილიანად, წელიწად-ნახევარში ამასაც დაკარგავს.

**— სწორედ იმიტომ, რომ „ნაციონალები“ ხალხის აზრს არ ითვალისწინებდნენ, ნელნელა გროვდებოდა უკმაყოფილება, რომელიც საბოლოოდ ხელისუფლებიდან მათი წასვლით დამთავრდა. რატომ არ ითვალისწინებს ეს მთავრობა წინამორბედის გამოცდილებას?**

— ამათი შემხედვარე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ცნობილი ირლანდიელი დრამატურგის — ჯორჯ ბერნარდ შოუს სიტყვების სიმართლეში: „ისტორიიდან მხოლოდ იმის სწავლა შეიძლება, რომ ხალხს ისტორიიდან არაფერი უსწავლია“.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ხელისუფლების სამივე შტო რომ ერთი პიროვნების ავტორიტეტს იქნება ჩამოკიდებული და თან ის პიროვნება უკვე ოფიციალურად აღარ არის პოლიტიკაში, ამაზე მეტი შეურაცხყოფა რაღა გინდა?! ჩემი აზრით, ივანიშვილს რა ჰგონია, იცით? მილიარდები რომ აქვს, კანონის ყიდვაც შეიძლება და კონსტიტუციისაც. ასე არ არის, ბატონო ბიძინა, სამართალი ყველაფერზე მაღლა დგას და კიდევ უფრო მაღლა ხალხი და უფალია“

# თემურ ჩალაბაშვილი: ეს არის სახელმწიფო?! ამას მივეცით ხმა?!

**მიმდინარე მოვლენებზე სასაუბროდ ყველასათვის საყვარელ პოეტს, მართალ კაცსა და სუფთა სინდისის ადამიანს, ჭეშმარიტ მამულიშვილს — თემურ ჩალაბაშვილს ვეწვიეთ. პირველივე შეკითხვა ბოლოდროინდელ პოლიტიკურ პერიპეტიებზე უნდა დამესვა (გასაგებ მიზეზთა გამო თავიდანვე ასე მქონდა განზრახული, — პოლიტიკამ ხომ ყველაფერი შთანთქა და საზოგადოებაც ერთობ პოლიტიზებული გახადა), მაგრამ შემოქმედის ერთმა ფრაზამ საუბრის გეზი გარკვეულწილად შეცვალა (იქნებ ასეც სჯობდა): „მარტის ყოველთვის მეშინია, გალაქტიონის გარდაცვალების თვეა,“ — მითხრა ბატონმა თემურმა საუბრის დასაწყისში... ჰოდა, ამ „შიშნარევი“ პათოსით (გნებავთ, პესიმიზმი დაარქვით) ვაგრძელებთ საუბარს, ოღონდ არა პოეზიასა და ქართული სიტყვის ჯადოქარზე, მეფე-პოეტზე, არამედ იმ საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ჭირ-ვარამზე, რომელმაც ესოდენ დაგვავიწყა და გაგვიერთფეროვნა ყველაფერი...**



**— ბატონო თემურ, შიში და უნდობლობა დღეს საზოგადოებაშიც გაბატონდა, ნიჰილიზმი ჩვენი რეალობის განუყოფელი ნაწილი გახდა. როგორ ფიქრობთ, რა არის ამის მიზეზი?**

— ჩვენ არ ვართ ის ერი, რომელიც ფარ-ხმალს იოლად დაყრის, მაგრამ მზაკვრობასა და მუხანათობას მაინც თავისი გააქვს. ოცი წელია, ტყუილებში ვიხრჩობით, — გამოჩნდება ვიღაც „მხსნელი“, მერე ვხედავთ, რომ გაგვაცურა, მერე კიდევ გამოჩნდება ახალი „მხსნელი“, ისიც მოტყუებულს გვტოვებს... ყველაფერს ხომ აქვს საზღვარი? ქართველი ერიც სადაცაა გატყდება. არც კი მინდა, წარმოვიდგინო, რომ ჩვენში ჩაკვდება ის მებრძოლი სული, რომელიც ოდითგანვე მოგვდგამდა, მაგრამ ყველაფერი კეთდება ამისთვის. ის ნიჰილიზმიც აქ შემთხვევითი არ არის, ყველამ ვიცით, ვინც არიან ამის მთესველები, ვის დაკრულზეც ცეკვავენ და ვის ხმალსაც იქნევენ...

**— ხელისუფლებას გულისხმობთ?**

— არამხოლოდ, საზოგადოდ, პოლიტიკურ სპექტრს. სიტუაციაა კომიკური; ოღონდ ეს არაა კომედია, რომელიც, უბრალოდ, ღიმილს მოგგვრის, ეს არის ტრაგიკომედია, უბედურება.

რაც შეეხება ხელისუფლებას, არ მოველოდი, თუ ასეთი სუსტები და უნიათოები იქნებოდნენ, მაგრამ ზუსტად ოცნებასავით ფარატინები აღმოჩნდნენ. შედეგიც ლოგიკურია, — ოცნებაში დავრჩით. როგორც ჩანს, რამე სერიოზულ ცვლილებებს არც უნდა ველოდოთ. ვაის გავეყარეთ და უის შევეყარეთ...

**— რაც მთავარია, სააკაშვილის რეჟიმის მიერ ეროვნული იდეოლოგიის წინააღმდეგ დაწყებული პროპაგანდა უცვლელად გაგრძელდა. ამჟამინდელი ხელისუფლება წინამორბედზე არანაკლებ აქტიურად ცდილობს ერის მენტალიტეტის შეცვლას და ე.წ. დასავლური ღირებულებების რელსებზე გადაყვანას. როგორ ფიქრობთ, სადამდე მიგვიყვანს ეს პროცესი?**

— გააჩნია, რის საშუალებას მივცემთ. **თუ მათი ჩანაფიქრი ბოლომდე განხორციელდება, მივიღებთ წელში გადამსხვრეულ, იდეოლოგიურად დაცემულ, გაღატაკებულ და ამორალურობის მორევში ჩაძირულ საქართველოს, რომელსაც არანაირი კავშირი არ ექნება საკუთარ ისტორიასთან; ხოლო, თუ ფხიზლად ვიქნებით და ზოგიერთ ელემენტებს, მაგალითად, როგორიცაა რესპუბლიკური პარტია, თავისუფალი მოქმედების საშუალებას არ მივცემთ, მაშინ ღვთის წყალობით გადავრჩებით;** ანუ აქ საკითხი დგას პრინციპულად: ან ვთმობთ და მკვდარი თევზებივით მივყვებით ეროვნული გადაგვარების პროცესის დინებას, ან ვეწინააღმდეგებით...

**— „ნაცმოძრაობის“ აქციაზეც გკითხავთ, მათ ერთადერთი მოთხოვნა ჰქონდათ — მთავრობის გადადგომა, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ კოალიცია არსებული გამოწვევების წინაშე უუნაროა. პრეტენზიები, ალბათ, არც ისე უსაფუძვლოა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, 15 ათასზე მეტი კაცი ვერ გამოიყვანეს. როგორ ფიქრობთ, საზოგადოებაში პროტესტის მუხტი არაა მეტი თუ, უბრალოდ, „ნაციონალებს“ არ გაჰყვა ხალხი?**

— გეთანხმებით, რომ **ის მოთხოვნები, რომლებიც აქვს ე. წ. მთავარ ოპოზიციურ პარტიას, საფუძვლიანია, მაგრამ, რაც უნდა სიმართლე ილაპარაკოს დღეს „ნაცმოძრაობამ“, მის დაძახილზე არავინ გამოვა.**

საპროტესტო მუხტს რაც შეეხება, რა თქმა უნდა, საზოგადოებაში ძალიან დიდია უკმაყოფილება და უბედურება ისაა, რომ ხელისუფლება ამას ერთ ყურში უშვებს, მეორიდან ატარებს. არ ვიცი, ამას რა შეიძლება დაარქვა. ერთი ჩამახედა ჩვენი პრემიერის ტვინში, პრეზიდენტის, მინისტრების... რას ფიქრობენ. როგორ? კარგად ვართ და ჩვენ ვერ ვხვდებით?! ეგ რას ჰგავს, იცით?! ბრმას რომ ცოლი მოუკვდა და არ ეუბნებოდნენ. რა, გვერდით რომ აღარ მიუწვება, ხომ მიხვდება, რომ აღარ ჰყავს?! აი, ზუსტად ასეა ჩვენი საქმე და ამიტომაა ხალხშიც უკმაყოფილება, თორემ, ბოდიშს ვიხდი, მე ბინძური სიტყვები არ მიყვარს, და **ძაღლი მიაკვდათ ნაციონალებს!..**

**— აქციის დასასრულს „ნაცმოძრაობის“ ლიდერებმა განაცხადეს, რომ პროცესი დაიწყო და ხელისუფლება აუცილებლად შეიცვლება. ბევრმა ამაში სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხეც დაინახა. როგორ ფიქრობთ, არსებობს მსგავსი საშიშროება?**

— თუ ესენი არ მოიშლიან ამ გამოსვლებს და ხელისუფლებაც გონს არ მოვა, აუცილებლად მივალთ სამოქალაქო დაპირისპირებამდე. ვერ ხედავთ, რა განცხადებებს აკეთებენ ეს უნამუსო გაბაშვილები? თარგამაძეც, რომელსაც პირი ვერ გაუღეს კოვზითაც კი, უკვე როგორ ლაპარაკობს?

გივი თარგამაძეს ერთხელ ვკითხე — ნეტა ძუძუს როგორ წოვდი-მეთქი? პირს არ აღებს კაცი და როგორ აჭმევდნენ, მიკვირს. არადა, ახლა როგორ წაიგრძელეს ენები, ხედავთ?!

**— იქამდეც მივიდნენ, რომ უკვე პოლიტიკურ დევნაზე ლაპარაკობენ. თურმე გიგი უგულავა და ვანო მერაბიშვილი პოლიტპატიმრები ყოფილან...**

— და რა გიკვირთ?! **როდესაც ხარ ისეთი უსუსური და უუნარო, რომ დამნაშავეს ვერ უმტკიცებ ბრალს, ვერ იყენებ მტკიცებულებებს და ვერ აცხადებ ძებნას საზღვარგარეთ გაქცეულ დამნაშავეებზე, გასაკვირია, რომ ის დამნაშავეები აქეთ გამუნათებენ?!**

**— ამას წინათ დავით უსუფაშვილმა განაცხადა, თუ ჩვენ მიზნად დავისახავთ „ნაცმოძრაობის“ ან რომელიმე სხვა პარტიის გაქრობას, ეს მას მხოლოდ გააძლიერებსო. რას უპასუხებდით?**

— რომ არ ვიცოდე, ვინაა და რას წარმოადგენს ბატონი უსუფაშვილი, ვიფიქრებდი, რომ ესაა რეალობას მოწყვეტილი ადამიანის განცხადება, მაგრამ მან ძალიან კარგად იცის, რა მოთხოვნებიც არსებობს დღეს საზოგადოებაში. „ნაცმოძრაობის“ გასამართლება ვინმეს მიზანი და აჩემება კი არ არის, ეს აუცილებელია, რომ სამართლიანობა აღსდგეს. უსუფაშვილს ეს ყველაფერი ძალიან კარგად ესმის და, რასაც ლაპარაკობს, საუბედუროდ, მიზანმიმართულად ლაპარაკობს.

**— დავუბრუნდეთ ისევ „ნაცმოძრაობის“ შეკრებას, ამ აქციაზე ბევრი იყო ე. წ. ინტელიგენციის წარმომადგენლები, მათ შორის, ის მსახიობები და მომღერლები, რომლებსაც ივანიშვილის ფონდი წლების განმავლობაში აფინანსებდა...**

— ეგეთი ინტელიგენცია გინდ გყოლია, გინდ — არა, ეგენი არიან არარაობები. სხვათა შორის, თავის დროზე მე ამ ხალხზე მივმართე ბიძინა ივანიშვილს: ბიძინა ბატონო, აბა, ერთი შეუწყვიტეთ მათ ფულის მიცემა, რა ზნეს მიიღებენ-მეთქი... **ესაა პირადი კეთილდღეობისთვის მებრძოლი, სტომაქს დახარბებული ე. წ. ინტელიგენცია, რომელსაც სირცხვილის მეტი არაფერი მოაქვს ქვეყნისთვის. ეს არის ინტელიგენცია, რომელიც სააკაშვილმა ინდაურებით იყიდა, აბა, რა უნდა გაგვიკვირდეს მათგან?!**

**— ისე, კოალიციაში შემავალი სუბიექტებიც ნაყიდი ჰყავს ივანიშვილს.**

— ამიტომაც არ შეიძლება მათი ნდობა. რესპუბლიკური პარტია და ეს ხიდაშელები, უსუფაშვილები თუ სხვები იგივე ძალა არიან, რაც „ნაცმოძრაობაა“.

**— იდეოლოგიურად თუ გულისხმობთ, ამას არც მალავენ.**

— ვერც დამალავენ. შენ არ უნდა მოგივიდეს ისეთი შეცდომა, რომ ეს ძალები დაიყენო გვერდით, თორემ ხიდაშელი და უსუფაშვილი რომ ბოკერიებისა და გაბაშვილების იდეოლოგიური ძმები არიან, მაგას რად უნდა ბევრი ლაპარაკი.

**— თანამდებობებზე ხალხის ნათესაური ნიშნით დანიშვნა ერთ-ერთი ბრალდებაა, რომელსაც ხელისუფლებას ხშირად უყენებენ. ეს რამდენად საფუძვლიანად გეჩვენებათ?**

— ეს ფაქტია. ხიდაშელი ხომ იყო საგარეჯოს მაჟორიტარი? ჰოდა, იქ ახლა ბენზინგასამართ სადგურზე ვერ ნიშნავენ კაცს მომსახურედ, თუ მაგასთან არ იქნება შეთანხმებული. რატომ, რისთვის? იმიტომ, რომ ყველაფერი მაგათია. ეს არის სამართლებრივი სახელმწიფო?! **ამას მივეცით ხმა 2 ოქტომბერს?!**

**— ხმის მიცემას რაც შეეხება, რა აზრის ხართ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებზე? ბევრი ფიქრობს, რომ ეს გააჯანსაღებს პოლიტიკურ სპექტრს.**

— რად უნდა მაგას ლაპარაკი, ახლა რომ არჩევნები ჩაატარო და ხალხს მართლა მისცე არჩევანის საშუალება, „ნაციონალები“ ხომ გაქრებიან პარლამენტიდან, „ოცნებიდანაც“ 90 პროცენტი გარეთ დარჩება. ეს ძალიან კარგად იციან იმ პარტიებმა, არსებობის მანძილზე რომ სამ პროცენტს არ ამცდარან და ბუნებრივია, მათ ხელს არ აძლევს რიგგარეშე არჩევნები.

**— ივანიშვილსაც არ აძლევს ხელს. ყოველ შემთხვევაში, მან თქვა, პატივი ვცეთ კონსტიტუციასო.**

— კონსტიტუცია დღეს რომ მაა შეურაცხყოფილი, ასე ოდესმე ყოფილა?! პარლამენტი, პრემიერი, პრეზიდენტი... **ხელისუფლების სამივე შტო რომ ერთი პიროვნების ავტორიტეტს იქნება ჩამოკიდებული და თან ის პიროვნება უკვე ოფიციალურად აღარ არის პოლიტიკაში, ამაზე მეტი შეურაცხყოფა რაღა გინდა?! ჩემი აზრით, ივანიშვილს რა ჰგონია, იცით? მილიარდები რომ აქვს, კანონის ყიდვაც შეიძლება და კონსტიტუციისაც. ასე არ არის, ბატონო ბიძინა, სამართალი ყველაფერზე მაღლა დგას და კიდევ უფრო მაღლა ხალხი და უფალია...**

**— შეისმენს ამას, როგორ ფიქრობთ?**

— არ შეისმენს და კიდევ ვეუბნები: ყველაფერზე მაღლა ხალხი და უფალია. ვისაც ეს არ ესმოდა, ხალხმა უკვე მოისროლა ისტორიის სანაგვეზე და მომავალშიც არაერთი აღმოჩნდება იმ ურნაში, თუ საზოგადოების პატივისცემას არ ისწავლის...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

## რესპუბლიკური პარტია და ეს ხიდაშელები, უსუფაშვილები თუ სხვები იგივე ძალა არიან, რაც «ნაცმოძრაობაა»

## «ესაა პირადი კეთილდღეობისთვის მებრძოლი, სტომაქს დახარბებული ე. წ. ინტელიგენცია, რომელსაც სირცხვილის მეტი არაფერი მოაქვს ქვეყნისთვის. ეს არის ინტელიგენცია, რომელიც სააკაშვილმა ინდაურებით იყიდა, აბა, რა უნდა გაგვიკვირდეს მათგან?!»

**2010 წელს, როდესაც საყვარელიძე საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე იყო, ამერიკულმა არასამთავრობო ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსმა“ გამოაქვეყნა ანგარიში, რომლის მიხედვითაც „საქართველოში კორუფცია 1999-2000 წლების დონეზეა და კვლავ პრობლემად რჩება“.**

ძალი შინ არ ჰარგოდათ...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რისთვის დასვეს ამერიკელებმა ადეიშვილის მარჯვენა ხელი უკრაინის მთავრობაში

## უკრაინაში კორუფციასთან მებრძოლის საქართველოში ჩადენილი საქმენი საგმირონი

**ცნობილია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთ ლიდერზე, წარსულში საქართველოს მთავარი პროკურორის ყოფილ მოადგილესა და ამჟამად უკრაინის გენერალური პროკურორის პირველ მოადგილე დავით საყვარელიძეზე ბავშვობაში სექსუალური ძალადობა არ განხორციელებულა. მას არც კატა უწვალებია სასტიკად და არც ესპანეთის მეფის — ფილიპე II (1527-1598) მსგავსად, როგორც შარლ დე კოსტერი აღწერს თავის ცნობილ წიგნში „ლეგენდა ტილ ულენშპიგელზე“, სადისტურად არ დაუწვავს გალიაში გამომწყვდეული მაიმუნი და არც ფანჯრის მინაზე სიამოვნებით გაუსრესია ბუზები, მაგრამ საკითხავია, ცნობილი სერიული მკვლელის — ანდრეი ჩიკატილოს მსგავსად, ახალგაზრდობაში რატომ უყურებდა მანიაკური სიამოვნებით ქართველების წამებას და ხელს არ ანძრევდა მათ დასახმარებლად. როგორც ჩანს, აშშ-სა და იაპონიაში განათლებამიღებულ საყვარელიძეს, პატრონებისგან მიღებული ბრძანებების გულმოდგინედ შესრულების გარდა, სხვა გზა არ ჰქონდა.**



**საყვარელიძე, შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრ ვანო მერაბიშვილსა და ზურაბ ადეიშვილთან ერთად, «ნაცმოძრაობის» იმ ლიდერთა შორის იყო, რომლებიც ცხოვრებაში ახორციელებდნენ სააკაშვილის ლოზუნგს: «ნულოვანი ტოლერანტობა — ყველანი ციხეში!»**

**დოსიე:**

2003-2004 წლებში იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იურიდიული რეფორმებისა და იურიდიული ტერმინების დამდგენი კომისიის წევრი.

2004-2005 წლებში — საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მთავარი კონსულტანტი და იურიდიული აქტების მოსამზადებელი პროექტებისა და ექსპერტიზის საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის მთავრობასთან, აგრეთვე, სხვა სახელმწიფო ორგანოსთან ურთიერთქმედების სამსახურის მთავარი კონსულტანტი.

2005-2006 წლებში ხელმძღვანელობდა თბილისის მერიის მართლწესრიგის დაცვის გენერალურ ინსპექციას.

2007 წელს იყო გენერალური პროკურორის ოფისის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე.

2007-2008 წლებში მუშაობდა მცხეთა-მთიანეთის რეგიონის პროკურორად.

2008-2009 წლებში — საქართველოს მთავარი პროკურორის პირველ მოადგილედ და თბილისის პროკურორად; 2009 წლიდან 2012 წლამდე საქართველოს მთავარი პროკურორის პირველ მოადგილედ;

2015 წლის 16 თებერვალს დაინიშნა უკრაინის გენერალური პროკურორის მოაგილედ.

2008 წელს მიხეილ სააკაშვილმა დააჯილდოვა ღირსების ორდენით. იყო პარლამენტის წევრი.

აი, ასეთია დავით საყვარელიძის ბიოგრაფია, რომელსაც უკრაინული ინტერნეტგამოცემები აქვეყნებენ, ქართულ საიტებზე კი საყვარელიძის ბიოგრაფიული მონაცემები თითქმის არ არის.

2015 წლის 16 თებერვალს უკრაინის გენერალურმა პროკურორმა ვიქტორ შოკინმა საქართველოს მოსახლეობა შოკში ჩააგდო, როდესაც თავის მოადგილედ საკადრო პოლიტიკის, რეფორმებისა და ევროინტეგრაციის საკითხებში დანიშნა (შოკინის თქმით, საყვარელიძე, აგრეთვე, რჩება უკრაინის ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელის პოსტის პრეზიდენტად) დავით საყვარელიძე — საქართველოს ექსგენერალური პროკურორისა და იუსტიციის ყოფილი მინისტრის — **ზურაბ ადეიშვილის** მოადგილე. ეს ის ზურაბ ადეიშვილია, რომელზეც, მიხეილ სააკაშვილთან ერთად, საქართველოს პროკურატურის მიერ საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული.

**სააკაშვილის რეჟიმმა უამრავი დანაშაული ჩაიდინა 9 წლის განმავლობაში:**

***დაკარგა ტერიტორიების 20%, სამშობლოში დევნილად აქცია 300 ათასზე მეტი ადამიანი;**

***სახელმწიფოს აჰკიდა უზარმაზარი საგარეო ვალი, რომელიც მომავალმა თაობებმა უნდა იხადონ;**

***გაანადგურა ქართული კულტურა, განათლება და მეცნიერება;**

***უმაღლესი სასწავლებლებიდან გაყარა ღვაწლმოსილი მეცნიერები და „ჩარეცხა“ ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებთან ერთად;**

***გაანადგურა სოფლის მეურნეობა და დღეს კიტრი, პომიდორი და ხახვიც კი უცხოეთიდან შემოგვაქვს;**

***ააყვავა ელიტური კორუფცია;**

***დააწიოკა ბიზნესმენები, რომლებიც სახელმწიფოს „ჩუქნიდნენ“ მილიონობით თანხას და ქონებას;**

***სამაგიეროდ, სააკაშვილის ოჯახის წევრებმა — დედამ, მამამ, ძმებმა, ბიძამ, კაპიკებად ჩაიგდეს ხელში სახელმწიფოს ქონება;**

*** სააკაშვილის მმართველობის პერიოდში უზომოდ გამდიდრდნენ „ცალ-ცალი კალოშით“ მოსული დეპუტატები და სააკაშვილის გუნდის სხვა წევრები: გია ბარამიძე, გიგა ბოკერია, გივი თარგამაძე, დავით კეზერაშვილი, დავით ბეჟუაშვილი, არჩილ გეგენავა და სხვ.**

***დაარბია ტელეკომპანია „იმედი“. მანამდე კი სააკაშვილის სისხლიანმა რეჟიმმა დახურა ტელეკომპანია „იბერია“, „მეცხრე არხი“, გაზეთი „ახალი ეპოქა“ და ჟურნალი „ომეგა“;**

***მოაწყო 2007 წლის 7 ნოემბრისა და 2011 წლის 26 მაისის სისხლიანი დარბევები;**

***გამოგონილი ბრალდებებით დააპატიმრა ათასობით ადამიანი, მათ შორის, ჟურნალისტებიც;**

***ქუჩაში დახოცა უამრავი ახალგაზრდა;**

***ციხეები გაავსო პატიმრებით, რომლებსაც სასტიკად აწამებდა და ცოცხით აუპატიურებდა...**

აი, ამ პერიოდში იყო დავით საყვარელიძე სამართალდამცველი ორგანოების ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა, რომელსაც, როგორც ჩანს, თავისი კეთილდღეობის გარდა, არაფერი ანაღვლებდა, თორემ ამ სასტიკი დანაშაულების ჩამდენთა მიმართ პროტესტის განცდა მაინც გაჩნდებოდა...

დავით საყვარელიძე ინტერპოლის მიერ ძებნილი ზურაბ ადეიშვილის მარჯვენა ხელი იყო, სწორედ მათი თაოსნობით შემუშავდა კორუფციული სქემა, რომლითაც ბიზნესმენები „ნებაყოფლობით“ ჩუქნიდნენ სახელმწიფოს უზარმაზარ თანხებსა და ქონებას. აღსანიშნავია ისიც, რომ **2010 წელს, როდესაც საყვარელიძე საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე იყო, ამერიკულმა არასამთავრობო ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსმა“ გამოაქვეყნა ანგარიში, რომლის მიხედვითაც „საქართველოში კორუფცია 1999-2000 წლების დონეზეა და კვლავ პრობლემად რჩება“.**

აი, ეს ადამიანია ახლა უკრაინაში გენერალური პროკურორის მოადგილე, მომავალში კი ანტიკორუფციული ბიუროს შეფად დანიშვნას უპირებენ. როგორც საინფორმაციო სააგენტო „საქინფორმი“ წერს, საყვარელიძის ყოფილი კოლეგები არ მალავენ მის უარყოფით როლს, პრაქტიკულად, ყველა შეთხზულ საქმეში, რომლებიც დაკავშირებული იყო სააკაშვილის ზონდერბრიგადების მხრიდან პოლიტიკურ ოპონენტებზე თავდასხმებთან, ნარკოტიკებსა და იარაღის ჩადებასთან. **საყვარელიძე, შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრ ვანო მერაბიშვილსა და ზურაბ ადეიშვილთან ერთად, „ნაცმოძრაობის“ იმ ლიდერთა შორის იყო, რომელიც ცხოვრებაში ახორციელებდა სააკაშვილის ლოზუნგს: „ნულოვანი ტოლერანტობა — ყველანი ციხეში!“**

სააკაშვილმა, როდესაც საქართველო დატოვა და უკრაინაში გადაბარგდა, წინასწარ მოამზადა ნიადაგი, რომ იქ კომფორტულად ყოფილიყო. სააკაშვილმა და მისმა ამერიკელმა პატრონებმა უკრაინაში ჩაიყვანეს „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები, რომლებიც მაიდნის მომწყობ ნაციონალისტებს შეერწყნენ და ახლა თითქმის დაშლილ-დანაწევრებულ ქვეყანაში სურთ აშშ-ის ინტერესების გატარება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და უკრაინაში „კორუფციასთან მებრძოლ დავით საყვარელიძესა და მის ნაციონალ მეგობარ გიორგი ღვინიაშვილს კონკრეტული პირებისგან დიდი ოდენობით თანხის გამოძალვაში ადანაშაულებს ადვოკატი გიორგი ყავლაშვილი. საყვარელიძეს, აგრეთვე, ადანაშაულებენ ძვირად ღირებული სპარსული ხალიჩების მითვისებაშიც.

**სააკაშვილის რეჟიმის ერთ-ერთი „სახე“ — დავით საყვარელიძე — ფიგურირებს რესტორან „ლა ტრუფეში“ მომხდარ სკანდალურ ინციდენტში, როდესაც „ნაციონალებმა“ მოქალაქეებს ჩხუბი აუტეხეს, მაგრამ თვითონ გაილახნენ,** საყვარელიძეს კი ცხვირი გაუტეხეს. გარდა ამისა, საყვარელიძე ფიგურირებს სიაში იმ „ნაციონალებისა“, რომლებმაც სააკაშვილთან ერთად ახალი წლის დადგომა დუბაიში აღნიშნეს.

„ქვეყნის ბიუჯეტიდან შოკისმომგვრელი თანხები იხარჯებოდა პრეზიდენტის, ქალაქის მერის, გუბერნატორებისა და დეპუტატების ფუფუნებაზე, საჩუქრებზე, დასვენებასა და გართობაზე. მაგალითად, ყოფილი დეპუტატი კობა ხაბაზი, ალანა გაგლოევა, აგრეთვე, ზურაბ ჭიაბერაშვილი, ამჟამინდელი დეპუტატები გიორგი ხაჩიძე, ნუგზარ წიკლაური, მარიამ საჯაია, გიორგი ღვინიაშვილი, **დავით საყვარელიძე,** სერგო რატიანი და დავით დარჩიაშვილი ახალ წელს პრეზიდენტთან ერთად შეხვდნენ დუბაიში. შემდეგ კი პრეზიდენტმა ერთადერთ დეპუტატ ქალს ძვირად ღირებული ტელეფონი და სამაჯური უყიდა“, — განაცხადა 2013 წელს იმხანად საპროცედურო საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ, ახლა კი საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა ირინა იმერლიშვილმა.

და მაინც, რატომ უყვარს აშშ-სა და ახლა უკვე უკრაინის ხელისუფლებასაც „დემოკრატიის შუქურად“ შერაცხილი სააკაშვილი და მისი გუნდის წევრები?

უკრაინის მთავრობაში მიხეილ სააკაშვილის, დავით საყვარელიძის, ეკატერინე ზღულაძის, გია გეწაძისა და სხვების „დასაქმება“, უკრაინელთა ნაწილის უკმაყოფილების მიუხედავად, ამერიკელების ძალისხმევით რომ მოხდა, ეჭვი, ალბათ, ცოტას თუ ეპარება.

ამით **აშშ რამდენიმე კურდღლის დაჭერას ცდილობს: სურს, ძმათამკვლელ ომში ჩაძირულ უკრაინაში სააკაშვილისა და მისთანების ლაქლაქითა და მოქმედებით კიდევ უფრო გაამწვავოს ვითარება და რუსეთი ფართომასშტაბიან ომში ჩაითრიოს. თავისი მარიონეტები კი კვლავ დააბრუნოს საქართველოს ხელისუფლების სათავეში. ნაციონალებისთვის, რომლებმაც ამერიკელთა მხარდაჭერით საქართველოს პარლამენტში მანდატების 40% შეინარჩუნეს, უკრაინა პლაცდარმია საქართველოს ხელისუფლებაში რევანშით დასაბრუნებლად...**

თუკი ამის საშუალება მათ ქართველმა საზოგადოებამ მისცა.

მოამზადა
**გიორგი ბერიძემ**

პასუხის პასუხი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


გურამ ფალავანდიშვილი

„ბავშვთა გაშვილების თემა, იმედს გამოვთქვამ, რომ იქნებ აღმოჩნდეს კიდევაც ის საბოლოო საფეხური, რომელიც შეიძლება ამ ბინძურ, ამორალურ კიბეზე ჩამოიშალოს და მიწასთან გაასწოროს ეს, დასავლეთში სახელმწიფო რელიგიის დონემდე აყვანილი, მამათმავლობის დოქტრინა“.



# ბატონ გიგი უგულავას, როგორც ზოგად სახეს გარყვნილების, მამათმავლობის, ჩვილთა მუცელში კვლის, ბოლო ჟამის მქადაგებლებისა — მისი ცდომილებების პასუხად

**ამასწინათ თბილისის ყოფილი მერი გიგი უგულავა წერილით „ბოლო ჟამის მქადაგებლები — ლევან ვასაძის ჭმუნვების პასუხად“ გამოეხმაურა ბიზნესმენ ლევან ვასაძის პუბლიკციას „გარყვნილების პროპაგანდის ანატომია“. ვინაიდან საკითხი ეხება გარყვნილების პროპაგანდასთან ბრძოლისა და ზნეობისა და სიწმინდის დაცვას, გთავაზობთ ბატონი გურამ ფალავანდიშვილის გამოხმაურებას უგულავას წერილის საპასუხოდ.**

**პირველი და მთავარი ცდომილება, რომელიც რეფრენივით გასდევს მთელ ტექსტს, არის ის, რომ ავტორი ქრისტიანობას ხმარობს კრებსითი ფორმით, ანუ მასში მართლმადიდებლებთან ერთად მოიაზრებს სხვა კონფესიებსაც.**

**ეს საკმაოდ ნაცადი და მაცდური ხერხია ქრისტიანობაზე შესატევად,** კერძოდ, თუ ისინი მართლაც ერთ განზომილებაში მოიაზრებიან, მაშინ მართლმადიდებლები, ჭეშმარიტი ქრისტიანები, ავტომატურად პასუხისმგებლები ხდებიან სხვა განდგომილებების, ცრუ ქრისტიანების, მწვალებლობისა თუ ათასგავრი გადახრებისა.

ამის მაგალითი ამ სტატიაშიც ჩანს და „წარმატებითაც“ მოიხმარება. კერძოდ, როდესაც ის კათოლიკეების ინდულგენციების გაყიდვას (კლასობრივ უთანასწორობას), თუ სხვა რომელიღაცა სექტების მიერ შავკანიანების უსულოდ გამოცხადებას (რასობრივ უთანასწორობას) და კიდევ სხვა მიუღებელ შემთხვევებს ზოგადად ქრისტიანობის ნაკლად თვლის. და ამით, რა თქმა უნდა, ჩირქსს ცხებს ჭეშმარიტ ქრისტიანობას, ანუ მართლმადიდებლობას.

თუმცა, რა თქმა უნდა, ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს და **სემინარიაგამოვლილმა ავტორმა, მით უმეტეს რომლის ადრესატიც ამ შემთხვევაში სწორედ ჭეშმარიტი აღმსარებლობის, მართლმადიდებლობის დამცველი და აპოლოგეტია, არ შეიძლება არ იცოდეს მართლმადიდებლების მიერ სხვა კონფესიების ცრუ ქრისტიანებად, მწვალებლებად გამოცხადების შესახებ.**

და, რა თქმა უნდა, მან ძალიან კარგად უნდა იცოდეს, რომ ჭეშმარიტ ქრისტიანობაში, მართლმადიდებლობაში, არც ერთი წმინდა მამის ნაშრომში და საერთოდ არსად არ არსებობს ზემოთ ჩამოთვლილი უთანასწორობა, დიფერენციაცია, და ისინი, კვლავ განვმეორდები, მხოლოდ ცრუ ქრისტიანების, ანუ მწვალებლების მიმდინარეობაშია.

ეს რაც შეეხება ქრისტიანობის „უარყოფით“ მხარეებს.

ბატონი გიგის მიერ ასევე ქრისტიანობის „დადებითი“ მხარეების განხილვისასაც იმავე პრობლემას ვაწყდებით, რადგან იგი მართლმადიდებლებს კვლავ სხვა კონფესიების კონტექსტში მოიაზრებს.

კერძოდ, ის ქრისტიანობის კრებსით სახელს აიგივებს დასავლეთთან, როდესაც ბოლო პერიოდში და ბოლო ტერმინოლოგიებით, მაგალითად, ჩვენ, ქართველები და, ზოგადად, მართლმადიდებლები, ვასოცირდებით აღმოსავლეთის ქრისტიანობასთან, ხოლო დასავლეთი კი ასოცირდება რომის პაპთან და კათოლიკურ ქრისტიანობასთან, მისი ახალ-ახალი განშტოებებით, მაგრამ ნაშრომში ავტორი რატომღაც თითქოს შეუგნებლად ქრისტიანულ მსოფლხედველობას მხოლოდ დასავლეთთან აკავშირებს. და ქრისტიანობის დადებითობად მას მიაჩნია, რომ დასავლეთმა ზუსტად ქრისტიანული იდეალების საფუძველზე მიაღწია ბოლო 500 წელიწადში დომინირებას მსოფლიოში. თუმცა ავტორი, ჩვენი ღრმა რწმენით, კვლავ გზას უვლის მართლმადიდებლობის, ჭეშმარიტი ქრისტიანობის, აღმოსავლეთის ისტორიას.

ის არ აღნიშნავს და თითქოსდა ივიწყებს იმას, რომ როდესაც ამ ბოლო 500 წელიწადში, დასავლეთის ქრისტიანებმა, მათ პირობითად ცრუ ქრისტიანებს ვუწოდებთ, ეკონომიკურ აღმავლობას მიაღწიეს, ამის საპირისპიროდ, იმავე პერიოდში, პირიქით, აღმოსავლეთის ქრისტიანები, მართლმადიდებლები, ჭეშმარიტი ქრისტიანობის მიმდევრები, მათთან შედარებით ეკონომიკურ სიდუხჭირეშიც კი აღმოჩნდნენ.

ანუ **დასავლეთის ეკონომიკური ძლიერება და დომინირება არა ჭეშმარიტი აღმსარებლობის, არამედ სინამდვილეში მწვალებლური, ცრუ ქრისტიანული იდეოლოგიის**







**ბატონო გიგი, როდესაც მამათმავლობას ახალი აღთქმისა და ძველი აღთქმის ტექსტებით განიხილავთ, როგორ გავიწყდებათ (როგორ ივიწყებთ) ბიბლიაში მამათმავლობის უკეთურების შესახებ ყველაზე დიდი მოწმობა – სოდომ-გომორი, რომელიც ღმერთმა სწორედ მამათმავლობის და კიდევ სხვა მსგავსი, ინცესტის და სხვა სექსუალური სიბილწეების გამო გადაწვა და გაანადგურა**

**ფონზე განვითარდა.**

თუ ბატონ გიგის არ გაუგია, რომ არსებობენ როგორც ღვთით, ისე ეშმაკით გამდიდრებულები და ამ უკანასკნელთა რიცხვი ბევრად მეტია.

გავიხსენოთ, მაგალითად, თუნდაც ცნობილი იგავი გლახაკ ლაზარესა და მდიდრის შესახებ. რა, აქ მდიდარი პერსონაჟი დადებითია და გლახაკი ლაზარე უარყოფითი?!

და სამწუხაროდ, **ბატონი გიგის სტატიაში მოხსენებული ჩინეთის ის იმპერატორიც, რომელიც ასე აღფრთოვანებული ყოფილა დასავლეთის ქრისტიანული მსოფლხედველობითა და მორალით, სინამდვილეში შეტრფოდა სწორედ ცრუ, მწვალებლურ, არაქრისტიანულ იდეოლოგიას, რომელიც მომხვეჭელობით, ლიბერტალიანიზმის მსგავსი იდეებითა და სხვა მასონურ-ჯვაროსნული ბოროტი ძალებით იყო ნასაზრდოები.**

თორემ ჩინეთის იმპერატორს ჭეშმარიტი, ანუ აღმოსავლეთის ქრისტიანების, მართლმადიდებლების შესაშური ეკონომიკურად რომ არაფერი ჰქონდა, ყოველი შემთხვევისთვის ამ ბოლო 500 წლის განმავლობაში, ცხადზე უცხადესია.

სამწუხაროდ, **ბატონ გიგის მიერ სტატიაში შემდგომში განხილული სხვადასხვა პასაჟიც დასავლური ქრისტიანობის ისტორიიდან კვლავ და კვლავ სინამდვილეში ცრუ ქრისტიანობის, ჭეშმარიტი ქრისტიანობის უარმყოფელ და დაპირისპირებულ მიმართულებებს ეფუძნება.**

**და სწორედ ამ ფსევდოქრისტიანული, მას შეიძლება კრებსითად მასონურიც ვუწოდოთ, იდეოლოგიის გამოხატულებებია თანამედროვე დასავლეთში ასე ცნობილი ტოლერანტობები, ადამიანის უფლებები, ათასნაირი კონვენციები თუ დეკლარაციები, დემოკრატიები და სხვა მსგავსი, რომელთაც ასე შენატრის წერილის ავტორი.**

ახლა კი ვნახოთ ბატონი გიგისა და მისი მისაბაძი დღევანდელი დასავლეთის, ქრისტეს „ახალი მოციქულების“ მორალი და ცნობიერება. **(ციტატა ბ-ნი გიგის სტატიიდან: „დიახ! ადამიანის უფლებების დამცველები და მებრძოლები ყველაზე უფრო მეტად ეწევიან ქრისტეს მოციქულთა საქმეს და ამ აზრით, ქრისტიანული ცივილიზაცია არასოდეს ყოფილა ასე ძლიერი და გავრცელებული მსოფლიოში, როგორც ეს დღესაა.“)**

## აბორტი

ბატონი გიგი, მისი მასწავლებლების მსგავსად (რომელთა ტიტულატურა და რაოდენობა შთამბეჭდავია), აბორტის აკრძალვის მომხრე არ არის და ამას, როგორც ერული, ასევე „ქრისტიანული“ გაგებითაც ხსნის.

**ა) ერული**

აბორტის აკრძალვა გამოიწვევს არალეგალური აბორტების ზრდას.

აქ საკითხი საკმაოდ მაცდურად დგას (ეს მაცდურობა, ბოროტის იარაღი, სწორედ ერთ-ერთი მთავარი იარაღია დღევანდელ, ახალგამოჩეკილ ლიბერალთა, „ქრისტეს ახალ მოციქულთა“ ხელშიც, ღმერთთან, ჭეშმარიტებასთან ბრძოლაში), მაცდურად დგას იმიტომ, რომ თითქოსდა ცუდია, რომ რაღაცა არალეგალური იმატებს, მაგრამ სინამდვილეში არაფერი არ არის ნათქვამი, რომ ლეგალური იკლებს. და ის, რომ იმავე პერიოდში, როდესაც არალეგალურმა შეიძლება 10-ჯერ მოიმატოს, სრულიად არ არის გამორიცხული, რომ ლეგალურმა შეიძლება 1000-ჯერაც კი დაიკლოს.

და აქ ხომ ადამიანის სიცოცხლეზეა ლაპარაკი.

**მკვლელობა, რომელიც მაგალითად რამდენჯერმე არალეგალურად მოხდება, უარესია უამრავ ლეგალურ მკვლელობაზე?**

**და ნუთუ მკვლელობა ჭუჭყიანი იარაღებით რაიმეთი უარესია, დახვეწილი სუფთა იარაღებით მკვლელობაზე?!**

**ეს ხომ მართლაც სატანური, შემზარავი აზროვნებაა.**

**ბ) „ქრისტიანული“**

თურმე ქრისტიანობა, მიუხედავად იმისა, რომ ჩასახვისთანავე ადამიანის გაჩენას აღიარებს, მაინც მას ნაკლებად აღნიშნავს, ვიდრე, მაგალითად, შობას და თურმე ზოგადად აქ სხვა კითხვა დაისმის: **„რატომ ვზეიმობთ მართლმადიდებლები და ყველა დომინაციის ეკლესიები შობას უფრო მეტი პომპეზურობით და ხაზგასმით, ვიდრე ჩასახვას?“.**

პასუხი ამ „ქრისტეს მოციქულების“ შეკითხვაში უკვე წინასწარ გამოსჭვივის: იმიტომ, რომ განთავისუფლებული სინდისით შევძლოთ ჩვენი ბავშვების მუცელში მოკვლა. და თან კიდევ, რომ გავმაგრდეთ ამ ეშმაკეულ რწმენაში, იმასაც გვამცნობენ, რომ არაა გასაკვირი, ვინაიდან „დაბადებულ ადამიანში, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, მეტი შრომა და ჯაფაა ჩადებული და თურმე მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანულ სამყაროში ჩანასახსა და ჩვილზე საერთო წარმოდგენა მაინც ურთიერთგანსხვავებულია, ის მაინც ჩვილის სასარგებლოდ იხრება.“

**ეს ტექსტი, მის მაცდურობას თუ გავამჭვირვალებთ, ფაქტობ-** ▶

# ერთსქესიანი ქორწინების შენიღბულ დაცვაში ბატონი გიგი ცოტა მოისუსტებს და ამიტომ მისი აზრის გასატარებლად, „ძლიერი არგუმენტების“ უქონლობის გამო, ცოტა გაურკვეველ ბურუსში გვაქცევს.

პასუხის პასუხი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რიგად მოწოდებაა:**
**— ნუ ნერვიულობთ, ყველაფერი ჩვილის სასარგებლოდ იხრება, მოკალით, მოიშალეთ ბავშვები მუცელში.**
**საოცარია, მართლაც რომ ბოლო ჟამის ქადაგებაა!**

## მამათმავლობა – ჰომოსექსუალიზმი

**ქრისტიანული კუთხით**

1. თურმე ახალი აღთქმის გულდასმით წაკითხვისას აღმოვაჩენთ, რომ თავად ქრისტე სექსუალური ორიენტაციის პრობლემას არ ეხება. აქედან „ქრისტეს ახალი მოციქულები“ ცდილობენ დაირწმუნონ თავი და ჩვენც დაგვარწმუნონ, რომ იმიტომ არ ეხება, რომ მამათმავლობა დიდი ცოდვა არ არის (ან საერთოდ იქნებ არც არსებობს).

**აგრეთვე მამათმავლობის მისაღებობის საქადაგებლად ისინი აღნიშნავენ, რომ მამათმავლობა ათ მცნებაში იმიტომ არ „არის მოხსენებული, რომ ნაკლები ცოდვაა“.**

რა თქმა უნდა, ამ მსჯელობებშიც კვლავ მაცდურ ქადაგებებთან გვაქვს საქმე.

და, რა თქმა უნდა, ეს რეალობის დამახინჯებაა, რადგან კიდევ უამრავი საზარელი, საშინელი ცოდვა შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომელიც შეიძლება არ იყოს ნახსენები სახარებაში. მაგალითად, **პედოფილია.**

**და რა, რადგან, მაგალითად, პედოფილია არ არის ნახსენები სახარებაში და არც ათ მცნებაში წერია, ამიტომ ნაკლები მომაკვდინებელი ცოდვაა?!**

ეს ხომ ბავშვისთვისაც გასაგები სოფიზმი და აბსურდია.

**2.** პავლე მოციქული თავის ეპისტოლეში თურმე მამათმავლობას რიგით ცოდვებში ჩამოთვლის. მაგალითად, ურჩთა, ფიცის გამტეხთა გვერდზე.

მოგვყავს თვითონ ბატონ გიგის მიერ მოყვანილი ციტატა: **„არამედ ურჯულოთა და ურჩთა, ულვთოთა და ცოდვილთა, გარყვნილთა და ბილწთა, დედ-მამისა და კაცის მკვლელთათვის, მეძავთა და მამათმავალთა, კაცის მსყიდველთა და ცრუთა, ფიცის გამტეხთა და ყველა სხვათათვის, რაც სალი მოძღვრების საწინააღმდეგოა, კურთხეულ ღვთის სახარების თანახმად, რომელიც მე მაქვს მინდობილი“.**

ბატონო გიგი, რომელმა „მოციქულებმა“ დაგანახეს, რომ აქ მამათმავლების გვერდზე ჩამოთვლილ ცოდვებში, მაგალითად, „დედ-მამისა და კაცის მკვლელობა“-ც სუსტი ცოდვაა, რა, რადგან იგიც ასევე ურჩთა და ფიცის გამტეხთა გვერდით წერია?!

კვლავ აბსურდი.

**3. ძველი აღთქმა — ლევიანნი**

აქ არ მოველოდი, მაგრამ უკვე არა შენიღბული მაცდური, არამედ პირდაპირ ტყუილი წერია.

კერძოდ, თქვენ ბრძანეთ: **„ძველ წიგნ ლევიანნში არის მოხსენიებული მამაკაცის მამაკაცთან დაწოლა, მსგავსად როგორც ქალისა, როგორც სისაძაგლე, ოღონდ აქაც მოსეს წესებისა და კანონების უამრავ ჩამონათვალს შორის (მაგალითად, საქონლის დაკვლის თუ სხვა საყოფაცხოვრებო აკრძალვების პარალელურად მამათმავლობა ცოდვათა იერარქიაში 10 მცნებაში ნახსენებ ცოდვებზე დაბალ ცოდვად მიიჩნევა).“**

მომყავს რეალური ტექსტი ლევიანნიდან.

კერძოდ: **„არ დაწვე მამაკაცთან დედაკაცური წოლით. ეს სისაძაგლეა. არანაირ ცხოველთან არ იქონიო კავშირი, რათა არ გაუწმიდურდე მისგან. არც ქალი არ უნდა დადგეს ცხოველის წინ სამაკინტლოდ; ეს სიბილწეა. არც ერთი ამ სისაძაგლით არ გაიუწმიდუროთ თავი, რადგან ყოველივე ამით არიან გაუწმიდურებული ის ხალხები, რომლებიც უნდა განვდევნო თქვენგან.“** (ლევიანნი თავი 18, 22-24)

ბატონო გიგი, აქ გარკვევითაა ლაპარაკი ზოოფილიაზე, რომელიც მართლაც მამათმავლობის მსგავსია და რა შუაშია აქ საქონლის დაკვლა და სხვა საყოფაცხოვრებო აკრძალვები?

**4. და ბატონი გიგის „ქრისტიანული“ წიაღსვლების შესაჯამებლად.**

**ბატონო გიგი, როდესაც მამათმავლობას ახალი აღთქმისა და ძველი აღთქმის ტექსტებით განიხილავთ, როგორ გავიწყდებათ (როგორ ივიწყებთ) ბიბლიაში მამათმავლობის უკეთურების შესახებ ყველაზე დიდი მოწმობა - სოდომ-გომორი, რომელიც ღმერთმა სწორედ მამათმავლობის და კიდევ სხვა მსგავსი, ინცესტის და სხვა სექსუალური სიბილწეების გამო გადაწვა და გაანადგურა.**

**როგორ ივიწყებთ სოდომ-გომორს, რომელიც ფაქტობრივად კაცობრიობის ისტორიაში ამ ბინძური, მომაკვდინებელი, წარსაწყმედელი ცოდვის სინონიმად იქცა.**

თუნდაც რუის-ურბნისის ცნობილი კრების ძეგლისწერა გავიხსენოთ, რომლის დადგენილებაშიც აღნიშნულია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ათასნაირი ცოდვა ოდითგანვე არსებობდა, არც ერთი ამ ცოდვის გამო ისე არ აღელვებულა ღმერთი, რომ ჩამოსულიყო და ქალაქები გადაეწვა (სოდომი და გომორი). არამედ ეს მოხდა სწორედ სექსუალური უკუღმართობის, მამათმავლობის, ინცესტის და სხვა სიბილწეების გამო:

**„მრავალგზის, მრავალი მოდგმის მიერ მრავალი და ურიცხვი ცოდვა ყოფილა ჩადენილი, როგორიცაა: მტრობა, შური, სიძულვილი, კაცისკვლა, მრუშობა, ცრუფიცობა, ბოლოს ყოველი ბოროტების საწყისი - კერპთმსახურება და თაყვანისცემის გადატანა დამბადებლიდან დაბადებულთა მიმართ. მაგრამ არც ერთი ამათგანის გამო არ აღელვებულა აუღელვებელი ღმერთი, როგორც თვითონ უთხრა აბრაამს: „სოდომისა და გომორის ღაღადება მოვიდა ჩემამდე და ჩამოვედი სანახავად, არის თუ არა მათი ღაღადებისამებრ მათი საქმეები” (შდრ. დაბ. 18, 20-21).“**

**თუმცა ალბათ ამ სტატიის ავტორისთვის არა რუის-ურბნისის კრების დადგენილება, არამედ ახლადგამოჩეკილი მოციქული ფსიქიატრებისა თუ მოსყიდული ფსიქოლოგების და „იდენტობის“ სხვა მსგავსი ბილწი ორგანიზაციების კრებები და დადგენილებებია ავტორიტეტი.**

**5. სოდომიზმის გამართლება სიყვარულის ნიშნით**

ბატონი გიგი ციტირებს:



**ბატონო გიგი, რომელმა «მოციქულებმა» დაგანახეს, რომ აქ მამათმავლების გვერდზე ჩამოთვლილ ცოდვებში, მაგალითად, «დედ-მამისა და კაცის მკვლელობა»-ც სუსტი ცოდვაა, რა, რადგან იგიც ასევე ურჩთა და ფიცის გამტეხთა გვერდით წერია?!**

„გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი, სიყვარული ბოროტს არ უზამს მოყვასს და ამიტომ სიყვარული სჯულის აღვსებაა.“

და ამატებს, რომ ზიზღი ყველაზე დიდი ცოდვაა, **იგი ამბობს: „რომ ბ-ნ ვასაძის მსგავსი, ავადმყოფურად ჰიპერბოლიზებული და ზიზღით დამუხტული დამოკიდებულება ჰომოსექსუალიზმისადმი არა თუ ქრისტიანული, არამედ პირიქით, ქრისტეს მოძღვრების საწინააღმდეგოა.“**

რა თქმა უნდა განსაზღვრება „ავადმყოფური ჰიპერბოლიზაცია“ თავისთავად ნეგატივია, მაგრამ **სიბილწის ზიზღი (ამ შემთხვევაში მამათმავლობის) პოზიტიურია.**

ანუ აქაც, სამწუხაროდ, პრინციპში კვლავ მაცდურად ცნებების აღრევასთან გვაქვს საქმე.

კერძოდ, მეტი სიცხადისთვის ვეცდები, განვმარტო.

**სიყვარული მართლაც არის ის, რაც არის მაცხოვნებელი და რომელიც თავის თავში მოიცავს ღმერთის, სიკეთის, ნებისმიერი ადამიანის სიყვარულს, როგორც ღვთის ხატისას. და ამის საპირისპიროდ, რა თქმა უნდა, ზიზღი, სიძულვილი არის ყველაზე დიდი ცოდვა.**

**თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ, მაგალითად, სიბილწის, მამათმავლობის ან რაიმე ცოდვის, ბოროტის სიყვარული კარგია. და, პირიქით, სიბოროტე (და არა ადამიანი) აუცილებლად უნდა გძულდეს.**

**გეზიზღებოდეს სიბილწე და სიბოროტე, მოიძულო ცოდვა, სწორედ რომ ქრისტიანული სიყვარულისა და სიწმინდის გამოხატულებაა.**

## ერთსქესიანი ქორწინება

ბატონი გიგი და „ახალი მოციქულები“, რომელი თანამედროვე ლიბერალური განვითარებული იდეოლოგიის მატარებლები იქნებოდნენ, რომ არ შეხებოდნენ დასავლეთის კიდევ ერთ „მიღწევას“ — ერთსქესიან ქორწინებას.

ჩვენდა გასაოცრად „ეკლესიურ მხარდაჭერას“, ბატონი ავტორი მაინც „პოულობს“. კერძოდ ის ამბობს: **„ამ საკითხზე დისკუსიები იმართება და ოთხიდან სამი თეთრკანიანი ევანგელისტი პროტესტანტი რჩება ამის მოწინააღმდეგედ.“ ანუ დაფარული აზრი ამ კონტექსტში ასე მოიაზრება: „ეკლესიის“ ოთხი მსახურიდან, ერთი ხომ არის მომხრე, იქნებ ის არის უფრო მართალიო.**

საერთოდ, მინდა გითხრათ, რომ ამ ერთსქესიანი ქორწინების შენიღბულ დაცვაში ბატონი გიგი ცოტა მოისუსტებს და ამიტომ მისი აზრის გასატარებლად, „ძლიერი არგუმენტების“ უქონლობის გამო, ცოტა გაურკვეველ ბურუსში გვაქცევს.

კერძოდ:

**1. მრავალმნიშვნელობისთვის ახვავებს უამრავ უცხოელი „ბოლო ჟამის მქადაგებლების“ ტიტულებსა და გვარებს და აგრეთვე უამრავ თანამედროვე ტერმინს, რომელთა ნაწილი ინტერნეტშიც კი რთულად იძებნება.**

**2. ხოლო, მეორე მხრივ, ერთსქესიანი ქორწინებები უნდა გავამართლოთ თუნდაც იმიტომაც რომ:**

ა) რუსეთი საშინელი და ბნელია და უგანდა კიდევ უარესი.

**ბ) რომ ვასაძე ფაშისტია და არ აქვს კულტურა ამ საკითხებზე ოპონირებისა, თუნდაც ამერიკელი კონსერვატორების დონეზე.**

**გ) რომ უკვე 50 წელი გავიდა ლუთერ კინგის მარშიდან და 30 მარიხუანას აკრძალვიდან, 15 წელი ჩვენი საზოგადოების რელიგიური შეუწყნარებლობიდან და მოკლედ, უბრალოდ მხოლოდ წლების პრობლემაღაა და ერთსქესიანი ქორწინებაც (ღმერთმა ნუ ქნას) ისეთივე ბუნებრივი გახდება ჩვენთვის, როგორც, მაგალითად, ფერადკანიანობა.**

**დ) და თურმე თუ არ გვინდა ჯორჯ ორუელის ცხოველთა ფერმას დავემსგავსოთ, ამისათვის სინამდვილეში სწორედ რომ ცხოველური, ადამიანის ბუნების საწინააღმდეგო ერთსქესიანი ქორწინების სიბილწე უნდა დავაკანონოთ.**

ხოლო ფინალში, ბატონო გიგი უკვე ახალი მოციქულების, ახალი პატრიარქის (ყოველი შემთხვევისათვის შთაბეჭდილების მოსახდენად ეს პიროვნება სტატიაში პატრიარქზე არანაკლები ტიტულებითაა წარმოდგენილი: Washington Post-ის კოლუმნისტი, ფსიქიატრი, Fox News-ის Special Report with Breat Bair-ს კონტრიბუტორი და კონსერვატორული ფრთის ანალიტიკოსი) **ჩარლზ კრაუტჰამერის** აღმოჩენას გვამცნობს.

რომ თურმე ტრადიციული ოჯახის დამცველებს მომავალი პოლიგამიის, უფრო სწორად პოლიამორიის უნდა ეშინოდეთ, სადაც ყველა ყველას წყვილი ხდება, საკუთრება იშლება და რაღაც „ატომების ოჯახის მსგავსი“ იქმნება, თორემ ერთსქესიან ოჯახებზე მათ სანერვიულო არაფერი აქვთ, რადგან ისინი გარკვეულწილად ტრადიციული ოჯახებისნაირსახეობასაც კი წარმოადგენენ, ვინაიდან მათი „ორთა კავშირი“ საკუთრების გრძნობას შეიცავსო. (და მერე რა, რომ ეს ბილწი და გარყვნილი საკუთრების გრძნობაა).

**რაოდენ დიდი ცინიზმია, ამ ბოლო ჟამის გარხწნის მქადაგებლებში. მართლაც ყველა ყველაფერზე მიდის, ოღონდ კი მომაკვდინებელი სიბილწეები დაგვიმკვიდროს.**

**დასასრულს მინდა პოზიტიურ ნოტებზე გადავიდე:**

1. ბატონი გიგი მართალს ბრძანებს, რომ ბატონი ვასაძის ნაშრომი პოლიტიკურ-რელიგიური მანიფესტია, რადგან, ის მართლაც ასეთია და ჭეშმარიტებას ქადაგებს.

**2. აგრეთვე ისიც მომწონს და იმედს მაძლევს, რომ ბატონ გიგის თავისი სტატია არ გამოაქვს აუცილებელ პირობად და მას დისკუსიისათვის განსახილველად გვაძლევს.**

3. აგრეთვე მინდა პოზიტივი დავინახო იმაშიც, რომ ბატონი გიგი საერთოდ გვერდს უვლის და არ ეხება ბოლო ჟამის ქადაგებების, დასავლეთში ადამიანის თავისუფალი ნების გამოხატვისა და უფლებების დაცვის კიდევ ერთ „უმაღლეს მწვერვალს“ - როდესაც ისინი პატარა ბავშვს, მისი ნების საწინააღმდეგოდ ერთსქესიან ოჯახებში აშვილებენ.

**4. და საერთოდ ეს ბავშვთა გაშვილების თემა, იმედს გამოვთქვამ, რომ იქნებ აღმოჩნდეს კიდევაც ის საბოლოო საფეხური, რომელიც შეიძლება ამ ბინძურ, ამორალურ კიბეზე ჩამოიშალოს და მიწასთან გაასწოროს ეს, დასავლეთში სახელმწიფო რელიგიის დონემდე აყვანილი, მამათმავლობის დოქტრინა.**

ამის იმედს თუნდაც ისიც მაძლევს, რომ ამას წინათ ერთსქესიანი ოჯახების მიერ ბავშვთა აყვანის გაუქმების მოთხოვნით, თვით ჰოლანდიაში (მამათმავლობის აღიარებულ მექაში) 800 000 კაცი გამოვიდა და სხვა გამოსვლებიცაა.

და ბოლოს, ბატონო გიგი, მინდა მთელი გულით გისურვოთ მალე განთავისუფლებულიყავით როგორც მატროსოვის ციხიდან, საპყრობილიდან, ისე უფრო მეტად ამ თქვენი თავსმოხვეული წყეული იდეოლოგიისგან.

**პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით და ქრისტესმიერი სიყვარულით,**

**გურამ ფალავანდიშვილი**

ბაჩუ სვანიძის
საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**მიუხედავად იმისა, რომ „ნაციონალების“ პირდაპირ მფლობელობაში არსებული ვითომ „არასამთავრობო“ ორგანიზაცია „თავისუფალი ზონა“ დილიდან გაჰკიოდა: „კოლონა დაიძრა ზუგდიდიდან“, „კოლონა დაიძრა ბათუმიდან“ „კოლონა დაიძრა ფოთიდან“ — ყოველივე ეს უკვე საკმაოდ გაზრდილ და ჩამოყალიბებულ ქართველ საზოგადოებაში მხოლოდ დამცინავ ღიმილს იწვევდა.**

# «ჩაფლავების» ნაციონალური თავისებურებანი

ვისაც არ ახსოვს, შევახსენებ: ერთხელ მოლა მოწყენილი დაიარებოდა ქუჩებში. უცებ გვერდზე ვიღაცამ ჩაურბინა. სხვა გამვლელი დაინტერესდა და მოლას ჰკითხა:

— მოლა, ხომ არ იცი, ეს კაცი სად გარბისო?

მოლამ იფიქრა: მთელი დღეა, მოწყენილი ვარ და მოდი, ცოტას გავერთობიო, და უპასუხა:

— მეჩეთში ფლავს არიგებენ უფასოდ და იქით მიიჩქარისო.

— უი, ეგ რა კარგი ამბავიაო! — იყვირა გამვლელმა, სტაცა ქვაბს ხელი და მეჩეთისკენ გაქანდა. გზად ვიღაცამ მიაყვირა, — სად გარბიხარო?, ამანაც უპასუხა, სად გარბოდა. ეს მესამეც მოტრიალდა და მას დაედევნა. ცოტა ხანში მოლა უყურებს მთელი ქალაქი ქვაბებისა და ჩამჩების რახარუხით მეჩეთისკენ გარბის და ყვირის: ხალხო, იჩქარეთ, მეჩეთში ფლავს უფასოდ არიგებენო!

მოლა ცოტა ხანს გაერთო, უყურა, უყურა და, ხალხი რომ აღარ დაშოშმინდა და ყველა მეჩეთისკენ გარბოდა, დაეჭვდა: ვაჰ, კაცო, ეგებ და მართლა არიგებენ ფლავს უფასოდ მეჩეთში და ემანდ უფლავოდ არ დავრჩეო. წამოავლო ქვაბს ხელი და თავადაც გაეშურა მეჩეთისკენ...

ასეთი მეთოდი „ნაციონალურ“ მოძრაობას უკვე დიდი ხნის აპრობირებული აქვს.

თუ კარგად გავიხსენებთ და გონებაში აღვიდგენთ ფაქტებს, ნათელი გახდება, რომ ამ პოლიტიკურმა ძალამ 2003 წლის ნოემბერში სწორედ ამ მეთოდით მიაღწია „ქუჩაში გამოსული ბევრი ხალხის“ შთაბეჭდილების შექმნას, რომელიც ხელისუფლების უზურპაციისთვის გამოიყენა.

**სრულიად უმიზეზო, უფრო ზუსტად, ერთი შეხედვით, „ჭირვეული ბავშვის“ — მიხეილ სააკაშვილის მიზეზიანობით დაწყებული ძალიან მცირერიცხოვანი საპროტესტო აქციები მოგვიანებით „ვარდების რევოლუციაში“ გადაიზარდა.**

**არადა, 2003 წელს ჩატარებული არჩევნები, ფაქტობრივად, ერთადერთი იყო დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, სადაც სახელისუფლო საარჩევნო ბლოკმა საპარლამენტო უმრავლესობა ვერ მოიპოვა! სწორედ ამიტომ მოინათლა სააკაშვილის მიერ გრიბოედოვის სახელობის თეატრის წინ შეკრებილი ხალხის პროტესტი „ჭირვეულობად“.**

ამ თავდაპირველ შეკრებებს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არც კი აღიქვამდა სერიოზულად — „იყაყანებენ და დაიშლებიანო“...



**თუ კარგად გავიხსენებთ და გონებაში აღვიდგენთ ფაქტებს, ნათელი გახდება, რომ ამ პოლიტიკურმა ძალამ 2003 წლის ნოემბერში სწორედ ამ მეთოდით მიაღწია „ქუჩაში გამოსული ბევრი ხალხის“ შთაბეჭდილების შექმნას, რომელიც ხელისუფლების უზურპაციისთვის გამოიყენა**

ასე გაგრძელდა რამდენიმე დღე. მერე კი დაიწყო!

და დაიწყო სწორედ იმით, რომ ტელეკომპანია „რუსთავი 2“ ყოველდღიურად გადმოსცემდა, — ამა და ამ რაიონიდან დაიძრა მრავალრიცხოვანი კოლონა, რომელიც შეუერთდება საპროტესტო მიტინგს თბილისშიო.

და აჩვენებდნენ კადრებს საქალაქთაშორისო ტრასებზე მავალი ავტობუსებისა და ე. წ. მარშუტკებისა.

**ეფექტურად გამოიყენებოდა ე. წ. პრობკების მეთოდი, ანუ კოლონის წინ მიმავალი სამი-ოთხი დროშებგადმოშვერილი ავტომობილი სიგანეზე განლაგდებოდა, სვლას შეანელებდა და მთელ ტრასაზე ხელოვნურ საცობს წარმოქმნიდა. ამ ყველაფრის დასაგვირგვინებლად საჭირო იყო მხოლოდ და მხოლოდ ოდნავ შემაღლებულ ადგილზე განთავსებული „რუსთავი 2“-ის კამერა და მორჩა — დილმიდან თოთქმის კასპამდე ხელოვნურად „გაჩხერილი“ რამდენიმე ასეული ავტომობილის კოლონა მთლიანად „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერ მოპროტესტე-მომიტინგეებად საღდებოდა...**

და გამოუცდელ, ჯერაც ჩამოუყალიბებელ საზოგადოებაში ძალიან სწრაფად და შედეგიანად მუშაობდა „ფლავის ეფექტი“. „ვაჰ, ამათ, ნახე, რამდენი მხარდამჭერი ჰყოლიათ, მთელი საქართველო მორბის, მოედინება და მოზანზარებს, ემანდ, მე არ გამოვაკლდე მხოლოდ,“ — წამოიძახებდა გულში თითოეული და მართლა გარბოდა ამ „ყველასაგან მხარდაჭერილი“ ძალის მხარდასაჭერად.

თვით ზურაბ ჟვანიასაც კი ეტყობოდა „მოლას სინდრომი“ — თავიდან ის ერთგვარად არადამაჯერებლად გაიძახოდა, — მთელი საქართევლო მხარს გვიჭერსო და ზოგჯერ ელიმებოდა კიდეც სააკაშვილის ზედმეტად თავდაჯერებულ გამოხდომებზე, მაგრამ ბოლოს აშკარად თავადაც იფიქრა: მგონი, მართლა არიგებენ ფლავს მეჩეთში უფასოდო!

აი, რაც შეეხება 2015 წლის 21 მარტს, აქ ეს მეთოდი აშკარად და თვალნათლივ ჩაფლავდა!

**მიუხედავად იმისა, რომ „ნაციონალების“ პირდაპირ მფლობელობაში არსებული ვითომ „არასამთავრობო“ ორგანიზაცია „თავისუფალი ზონა“ დილიდან გაჰკიოდა: „კოლონა დაიძრა ზუგდიდიდან“, „კოლონა დაიძრა ბათუმიდან“ „კოლონა დაიძრა ფოთიდან“ — ყოველივე ეს უკვე საკმაოდ გაზრდილ და ჩამოყალიბებულ ქართველ საზოგადოებაში მხოლოდ დამცინავ ღიმილს იწვევდა.**

რა თქმა უნდა, არ გაჭრა არც „რუსთავი 2“-ის იმ ორიოდე კადრმა, სადაც ხელოვნური საცობის შექმნის გზით „ნაციონალების“ მხარდასაჭერად მომავალი „უამრავი“ ავტომობილის აღბეჭდვის მეტად უსუსური მცდელობა დავინახეთ მხოლოდ!

ეს ტელევიზია რომ, „გამარჯვებული“ კი არა, რეალურად მოტყუებული და გაცუცურაკებული ხალხის ტელევიზიაა, უკვე შესანიშნავად იცის ყველამ და იმიტომ...

## შენი ლოზუნგი მე!

ასე შეიძლება ვუწოდოთ „ნაციონალური მოძრაობის“ კიდევ ერთ მეთოდს, რომელსაც ისინი ასევე წარმატებით იყენებენ ჯერ კიდევ 2000-იანი წლების დასაწყისიდან.

ყველას კარგად ახსოვს, რომ იმ პოლიტიკოსთა გაერთიანებამ, რომლებიც მანამდე ედუარდ შევარდნაძეს ყველა ვითარებაში და ყოველთვის კბილებით იცავდნენ, უცებ დაიწყეს სწორედ იმ ფრაზებისა და ლოზუნგების წამოსროლა, რომელთაც მანამდე ოპოზიციური პარტიების ლიდერები თუ, უბრალოდ, გაბრაზებული და აღელვებული ჩვეულებრივი ადამიანები წამოიძახებდნენ ხოლმე: „ქვეყანა კორუფციის ჭაობშია!“, „მოგვაშორეთ კორუმპირებული ჩინოვნიკები!“, „საქართველო კორუფციის გარეშე!“ — ეს ფრაზები სულ მალე გასაღდა „ნაციონალების“ ლოზუნგებად.

მთავარი იყო ის, რომ „ნაციონალებს“ ეს ლოზუნგები უფრო ხშირად და უფრო მეტ მედიასაშუალებაში ემეორებინათ და ემეორებინათ დაუსრულებლად. საზოგადოებამ უმალ დაივიწყა ყველა სხვა „ანტიკორუფციონერი“ და დაუფიქრებლად მიანიჭა კორუფციის წინააღმდეგ „მთავარი“ მებრძოლების სტატუსი „ნაციონალებს“.

აი, რაც შეეხება 2015 წლის 21 მარტს, ამ შემთხვევაში ანალოგად შეიძლება ავიღოთ ის ფრაზები, რომლებსაც ზოგიერთი „არაქოცი“ პოლიტიკოსი და, ამასთანავე, საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილი ჯერ კიდევ 2013 წლიდან გაიძახის: „მთავრობა არ მუშაობს და უუნაროა“, „გამარჯვებულის კმაყოფილებით გონებადაბნელებულ მთავრობას არ აქვს უნარი პრობლემების მოგვარებისა“, „უუნარო მთავრობა უნდა შეიცვალოს!“

აი, ამ ლოზუნგებისა და თვალსაზრისების მითვისება აშკარად და თავხედურად სცადა „ნაციონალურმა მოძრაობამ“.

ასევე, ორივე შემთხვევაში მოქმედებდა „ერთი ძირითადი სიტყვის პრინციპი“ – 2003 წელს ეს სიტყვა იყო „კორუფცია“, ხოლო 2015 წელს — „უუნარო“.

**და, თუკი 12 წლის წინათ, საზოგადოებამ, რომელმაც ჯერ კიდევ არ იცოდა „ნაცების“ რეალური სა-** ▶



# კომპანია «თბილისის მიკროავტობუსის» საგანგებო განცხადება

**კომპანია „თბილისის მიკროავტობუსმა“ მგზავრობის საფასურის შესახებ საგანგებო განცხადება გაავრცელა.**

„კომპანია კატეგორიულად აცხადებს, რომ მიკროავტობუსით მგზავრობის საფასური არ ძვირდება. კომპანია „თბილისის მოკროავტობუსი“ ითვალისწინებს მოსახლეობის რთულ სოციალურ მდგომარეობას და უარს ამბობს სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობის საფასურის გაძვირებაზე. ლარის თითქმის 30%-იანი გაუფასურების მიზეზით მოცემული მომსახურების სფერო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა დოლარში აღებული საბანკო ვალდებულების გამო, კომპანიას ყოველთვიური საბანკო მომსახურების ხარჯი 400 ათასი ლარით გაეზარდა. შესაბამისად, რომ არ მოხდეს მგზავრობის ტარიფის გაზრდა, კომპანია „თბილისის მიკროავტობუსმა“ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: რამდენიმე ხაზის მიკროავტობუსის მძღოლების ყოველდღიური მოსაკრებელი 12 მარტიდან 3 ლარით გაიზრდება. დღემდე მძღოლების დღიური შემოსავალი საშუალოდ 40-დან 80 ლარამდე იყო, საწვავის გაიაფებასთან დაკავშირებით კი მათი ყოველდღიური ხელფასი საშუალოდ 15 ლარით გაიზარდა, ანუ მძღოლების დღიური სარგო საშუალოდ მერყეობს 55-დან 95 ლარამდე. აღნიშნული დანაზოგიდან სამი ლარის კომპანიისთვის გადახდა წარმოადგენს იმ გამოსავალს, რომლითაც არ გაიზრდება მგზავრობის საფასური, ასევე გამოსწორდება კომპანიის ფინანასური მდგომარეობა, რაც საბოლოოდ აისახება, როგორც მძღოლების კეთილდღეობაზე, ასევე მომსახურების სტანდარტებისა და მგზავრობის საფასურის შენარჩუნებაზე“, — ნათქვამია განცხადებაში.



ბლიცი

# «მოაგროვეს ხუთი თუ შვიდი ათასი» — ივანიშვილის პირველი კომენტარი «ნაციონალების» აქციაზე

**ყოფილი პრემიერმინისტრი ბიძინა ივანიშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ თავისუფლების მოედანზე ჩატარებულ აქციას გადაცემა 20/30-ის ეთერში გამოეხმაურა:**

„საზოგადოებამ აჩვენა, რომ ისეთი არ არის, როგორიც „ნაციონალურ მოძრაობას“ ჰგონია... როდესაც პირველი ინტერვიუ მივეცი „როიტერს“, ვთქვი, რომ ევროპასაც გავაოცებთ ჩვენი დემოკრატიით, ნახეთ, როგორი კულტურული ხალხი ვართ ქართველები, მოძალადეებს ჩვენ მივეცით უფლება ასეთი დემონსტრაციის... თავხედურად გამოდიოდნენ და მოუწოდებდნენ ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებას უმიზეზოდ, აბსურდული მიზეზებით გადადგომას. ასეთი ცინიზმი ძალიან რთული ასატანია, მაგარი ხალხი ვართ, ძალიან მაგარი ხალხი ვართ ქართველები... ისიც, რაც მოაგროვეს, ხუთი თუ შვიდი ათასი, ცოცხლები რომ არიან, აჩვენეს, პრინციპში, მაგრამ მთავარი, რაც გუშინ კარგად ჩანდა, იყო ჩვენი საზოგადოების ზრდა, როგორ გაიზარდა, მიუხედავად მათი მცდელობისა, ისევ სიცრუეში ამყოფონ“, — განაცხადა ივანიშვილმა.



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თუკი 12 წლის წინათ საზოგადოებამ, რომელმაც ჯერ კიდევ არ იცოდა „ნაცების“ რეალური სახე, ხარბად ყლაპა ეს „აბი გლუკოზა“, ამჯერად უკვე კატეგორიული უარი განაცხადა იმავე „რეცეპტის“ მიღებაზე და სრულიად მარტივად გამოხატა, რომ ადამიანებს ისევ „უუნაროები“ და „უნიათოები“ ურჩევნიათ მანიაკებს, კაცისმკვლელებსა და არაადამიანებს!




**ნიკუშ, ძამიკო, და კიდევ სხვა «საზოგადო მოღვაწენო»! მოდით რა, ასე გეტყვით: წნეხი ის არის, რამდენიმე ათეული ქვებმოღერებული მუტრუკი რომ მოგდევს მხოლოდ იმიტომ, რომ ხელში ვიდეოკამერა გიჭირავს და შენს მიკროფონზე, «რუსთავი 2»-ის ლოგოს ნაცვლად, სხვა რომელიმე ტელევიზიის ლოგოა!**

**◀ ხე, ხარბად ყლაპა ეს „აბი გლუკოზა“, ამჯერად უკვე კატეგორიული უარი განაცხადა იმავე „რეცეპტის“ მიღებაზე და სრულიად მარტივად გამოხატა, რომ ადამიანებს ისევ „უუნაროები“ და „უნიათოები“ ურჩევნიათ მანიაკებს, კაცისმკვლელებსა და არაადამიანებს!**

და, თუ საჭირო გახდება „აბი გლუკოზის“ კვლავ გამოყენება, საზოგადოება მას არამც და არამც აღარ მიიღებს „ნაციონალთა“ ხელით და შეეცდება, ვინმე უკეთესი „დასტაქარი“ გამონახოს!

## არ გამიშვა, გამაკავე!

ასეთი პარადოქსული ფორმულა ასახავს „ნაცების“ მესამე ნაცად მეთოდს.

„ჩვენი მხარდამჭერი კოლონები მოემართებიან საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. მათ გზა გადაუღობეს პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმებმა, მაგრამ ჩვენი კოლონები აუცილებლად ჩამოაღწევენ. ადგილებზე ხდება ხალხის დაშინება, მაგრამ არაფერი გამოუვათ!“

ასეთი განცხადებები აღძრავს უხსოვარი დროიდან ადამიანის ფსიქიკაში ჩადებულ „არდამორჩილების“ ინსტინქტს. ასეთი ხმამაღალი შეძახილები ადამიანებში იწვევს შემდეგი სახის ქმედებას — „მაინც გავაკეთებ!“ და მიუხედავად იმისა, რომ არავინ არაფერს უკრძალავს, ის მაინც პროტესტის სურვილით იმსჭვალება!

მახსოვს, 2003 წლის ნოემბერში კახეთში მომიწია ორიოდე დღით ყოფნამ. სწორედ იქ მოვისმინე საინფორმაციო საშუალებებში, — „კახეთიდან დაძრულ კოლონებს პოლიციამ გომბორთან გადაუკეტა გზა და არ უშვებენ თბილისისკენ!“. კარგად მახსოვს ყოველლივე ეს, რადგან ვიფიქრე, თბილისამდე ჩასაღწევად კარგა გვარიანი ჯაფა დამადგება-მეთქი და ასეთი ფიქრებით გამოვწიე დედაქალაქისკენ.

გომბორზე იდგა, ჩვეულებისამებრ, ორიოდე „გაის“ მანქანა და მათ ახლოს გაჩერებული 10-მდე დროშებიანი „მარშუტკაც“ შევნიშნე. დამაინტერესა, რა ხდება-მეტქი და შევჩერდი. იქნებ არც დამიჯეროთ, „მარშუტკებიდან“ გადმოსული კოლონის ხელმძღვანელები ვიღაცებს ურეკავდნენ ტელეფონით და სერიოზულ აღშფოთებას გამოთქვამდნენ: „გომბორზე ვართ და გზას არავინ გვიკეტავს! რას ჰგავს ეს?“

და ვიდრე მე ამ უცნაური საყვედურების ადრესატების დადგენას ვცდილობდი, უეცრად მოვარდა ე. წ. გომბორის ტეკზე 15-მდე „გაის“ მანქანა და 5-6 შინაგანი ჯარის „ბეემპე“!

როგორც კი მათ გზა ჩახერგეს, „მარშუტკების“ მესვეურნი სასწრაფოდ შეცვივდნენ თავიანთ „მარშუტკებში“ და „ეკვეთნენ“ გზაზე შექმნილ „წინაღობას“. შემდეგ ისევ გამოცვივდნენ „მარშუტკებიდან“, თან ჩამოიყოლეს მიკროფონიან-კამერიანი „რუსთავი 2“ და ისეთი ხმაური ატეხეს, მეც კი, მთელი ამ სურათის თავიდან ბოლომდე შემთხვევით შემსწრემ, ლამის დავიჯერე ამ ამბების რეალურობა.

**ფაქტი იყო, რომ საქმე გვქონდა რეალურ საბოტაჟთან და, გარკვეული სოლიდური ანაზღაურების სანაცვლოდ, პოლიცია „ნაცებს“ ეხმარებოდა „დაჩაგრულის“ იმიჯის შექმნაში!**

აქვე მინდა ისიც ვთქვა, რომ ეს ყოველივე მაშინვე გამოვაქვეყნე ქართულ პრესაში, თუმცა ეს ის დრო იყო, როდესაც გაბრიყვებულ საზოგადოებას მიშას ყველა მოწინააღმდეგე „შევარდნაძის დამცველი“ ეგონა და, მიშას გარდა, არავის სიტყვებს არ იჯერებდა...

აი, რაც შეეხება 2015 წლის 21 მარტს, ალბათ, არ გაგიჭირდებათ გახსენება იმ ანალოგიური ფრაზებისა, რომლებსაც „ნაციონალების“ ლიდერთა მხრიდან ისმენდით აქციამდე მთელი ერთი კვირის განმავლობაში... და, ალბათ, არც იმის დამატებაა საჭირო, რომ „ნაცების“ ნაცადი მეთოდებიდან ესეც უკვე მოძველებული და არავითარი შედეგის მომტანი აღმოჩნდა...

## საზოგადო მოღვაწეები

პირდაპირ ვიტყვი, რომ ჩემთვის ყველაზე ტკბილი ლუკმა ბოლოსთვის შემოვინახე!

„აქციაზე იმყოფებიან ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, რომლებიც გამოთქვამენ საკუთარ აზრს დღევანდელი აქციის შესახებ!“ — „კურიერის“ ჟურნალისტის, აი, ასეთი ფრაზის შემდეგ მიკროფონთან რიგ-რიგობით მიდიან:

1. **გიგა ნასარიძე**
2. **გია ჭანტურია**
3. **ნიკა ქავთარაძე**
4. **მიშა მშვილდაძე**
5. **ირაკლი საღინაძე**

ასევე, იყვნენ სხვანი — თეატრალური „მოღვაწენიც“, მაგრამ მე მინდა, თქვენი ყურადღება ამათზე შევაჩერო...

არაერთხელ მითქვამს — „ნაცებო“! ამაზე დიდი და სერიოზული „მოღვაწეები“ არ აღირსოს მამაზეციერმა თქვენს რიგებს-მეთქი, მაგრამ ფაქტია, რომ ესეც ერთ-ერთი „ნაცთა“-ნაცადი მეთოდია, რომელმაც 2003 წლის ნოემბერში მოიტანა კიდეც არც თუ მცირე შედეგი.

იმ პერიოდში, ზემოჩამოთვლილთა გარდა, **ზვიო ბლიაძის, გოჩა თანდარაშვილისა** და კიდევ რამდენიმე მსგავსი პერსონის „საზოგადო მოღვაწეებად“ გასაღებამ საზოგადოებად ჯერაც ჩამოუყალიბებელ მასაზე ეფექტიანად იმოქმედა და ეს „მოღვაწენიც“, ზოგიერთ „გმირ ჟურნალისტთან“ ერთად, ლამის „ერის სულიერ მამებად“ მონათლეს.

მხოლოდ ერთს ვიტყვი: ჩემი სტუდენტობის პერიოდი მახსენდება. ხდებოდა ხოლმე — სადმე სუფრაზე რომ მოვხვდებოდი ჩამოთვლილ „მოღვაწეებთან“ ერთად, მავანი სუფრის წევრი ხელოვნების სადღეგრძელოს ჩვენი თამადობით წარმოთქვამდა...

მახსოვს, როგორ ვწითლდებოდი და ვლუღლუღებდი, — „კარგი კაცო, ეგ ზედმეტია ახლა, ჩვენ რასაც ვაკეთებთ, ეს გართობაა, ხელოვნება გაცილებით მაღალი რანგია-მეთქი“ — და როგორ უიმედოდ ველოდებოდი, რომ რომელიმე მათგანი ამყვებოდა ამ დარცხვენაში.

მარტივად რომ გითხრათ, დავუშვათ, **ალეკო მალხაზიშვილი ისე შეიფერებდა ხოლმე გალაკტიონ ტაბიძესთან ერთად სადღეგრძელოში მის მოხსენიებას, ზოგჯერ ეჭვიც მეპარებოდა, — ამას ნაღდად რაღაც დიდი „ღვაწლი“ მიუძღვის ქართველი ერის წინაშე და მიმალავს-მეთქი.**

რა თქმა უნდა, ასევე იქცეოდნენ დანარჩენებიც. მაშინ კი მიკვირდა, მაგრამ ახლა ვხვდები, თურმე საზოგადო მოღვაწეები ყოფილან!

და მაინც, მათ შორისაც გამოვყოფდი ნიკა ქავთარაძეს, რომელმაც „საზოგადომოღვაწურსაც“ კი გადააჭარბა, ისეთი ფრაზა თქვა:

„მიუხედავად უდიდესი წნეხისა, დღეს ამ აქციაზე მოსული ადამიანები მაინც ვაფიქსირებთ ჩვენს აზრს!“

**ნიკუშ, ძამიკო, და კიდევ სხვა „საზოგადო მოღვაწენო“!**

**მოდით რა, ასე გეტყვით: წნეხი ის არის, რამდენიმე ათეული ქვებმოღერებული მუტრუკი რომ მოგდევს მხოლოდ იმიტომ, რომ ხელში ვიდეოკამერა გიჭირავს და შენს მიკროფონზე, „რუსთავი 2“-ის ლოგოს ნაცვლად, სხვა რომელიმე ტელევიზიის ლოგოა!** წნეხი ის არის, რეგიონული აქციის გასაშუქებლად ჩასულ ჯგუფის წევრებს სასტუმროს ნომერში რიგრიგობით როცა გძინავთ, რადგან სასტუმროს შესასვლელთან „ნაცების“ მოზრდილი ბანდა დაგხვდათ და ცხვირწინ ცეცხლსასროლი იარაღი გიტრიალათ! წნეხი ის არის, შენს ფანჯრებთან რამდენიმე თვე შავი ფერის ავტომობილი რომ „აბირჟავებს“ 24 საათი...

**წნეხი კიდევ ბევრნაირია და ღმერთმა ნუ გამოგაცდევინოთ ნურასოდეს ის, რაც იმ ადამიანებმა გამოცადეს, რომელთა დამწნეხავ, მწამებელ, მკვლელ მანიაკებს თქვენ დღემდე მხარდაჭერას უცხადებთ!**

კიდევ ერთხელ ვიტყვი, რაც აქამდეც არაერთხელ მითქვამს: აქ „პოლიტიკა“ არაფერ შუაშია! სხვადასხვა პარტიის წევრი და მხარდამჭერი მეგობრები მრავლად მყავს, მაგრამ არაადამიანობის მხარდამჭერები, მაპატიეთ და, ვერასოდეს იქნებიან ჩემი მეგობრები!

სხვათა შორის, **რამდენიმე ასეთი „მოღვაწე“ დღეს, მიზეზთა გამო, ხელისუფალთა მხარდამჭერად გვევლინება და მთელი უბედურებაც სწორედ ის არის, რომ დღევანდელ ხელისუფალთაც და მათ „არაფორმალურ მილიარდერ გურუსაც“ ისინი მართლა „მოღვაწეებად“ მიაჩნიათ... მაგრამ ამაზე სხვა დროს...**

ახლა, დასკვნის სახით, მინდა, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს მივმართო:

რუსეთით გვაშინებთ? ხალხმა ხომ უკვე საკუთარ ტყავზე გამოსცადა, რომ, „კრემლი“ კი არა, ნებისმიერი „ოქროს ურდოც“ კი გაცილებით სჯობია თქვენნაირ მანიაკებს და უტიფარ და სადისტ არაადამიანებს!

**ყველაფერთან ერთად, თქვენ ძალიან მძიმე დებილებიც ხართ, ბატონებო! თანაც ორმაგი დებილები!**

**ერთი იმიტომ, რომ თავის დროზე ვერ მიხვდით, ადამიანთა ტანჯვა-წამება-ცემა-მკვლელობებზე აწყობილი ხელისუფლება, ადრე თუ გვიან, აუცილებლად დაგემხობოდათ თავზე!**

მეორე იმიტომ, რომ დღესაც ვერ ხვდებით ადამიანთა მტანჯველ-მწამებელ-მცემელ-მკვლელების იმიჯით ვეღარასოდეს მიაღწევთ ხელისუფლებამდე იმავე მოძველებული მეთოდებით, რომლებითაც ამ 12 წლის წინათ მიაღწიეთ!

აი, აქ კი, კიდევ ერთი მეთოდი მახსენდება „ნაცებისა“:

„შეიძლება კეთილშობილი ბუნებისა არ არის, მაგრამ ძალიან ნიჭიერი და წარმატებულია!“ — ასეთი ხმების გავრცელება საკუთარ თავზე მათი ერთ-ერთი უსაყვარლესი მეთოდია...

არადა, ის, ვინც ზემოთ ნათქვამ აქსიომებს ვერ ხვდება და ვერ იაზრებს, „ნიჭიერი“ კი არა, იშვიათი იდიოტია!

**და ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ ზუსტად ასეთივე იდიოტია ის, ვინც მათ ამას იჯერებს და ამ ადამიანებს „გზასაცდენილ ნიჭიერ ადამიანებად“ მოიხსენიებს ხოლმე...**

მომავალ „ფლავისჭამამდე“, ბატონებო!



**პოლ კრეიგ რობერტსი:**

## ვაშინგტონი და გაყიდული მედიასაშუალებები მსოფლიოს თავს ახვევენ ატომურ აპოკალიფსს

**ამერიკელი ეკონომისტისა და პოლიტოლოგის — პოლ კრეიგ რობერტსის აზრით, აშშ-ის ხელისუფლება და მოსყიდული მედიასაშუალებები მსოფლიოს ატომური ომისკენ მიაქანებენ.**

„ვაშინგტონელი ნეოკონსერვატორები ანგრევენ ყველაფერს, რასაც კი რეიგანისა და გორბაჩოვის ადმინისტრაციებმა მიაღწიეს. 13 მარტს ტელეკომპანია „სი-ენ-ენ“-ის წამყვანმა ვოლფ ბლიტცერმა ეთერში პირდაპირ მესამე რაიხისდროინდელი პროპაგანდა წამოიწყო, ორუელის „1984 წლის“ მსგავსი და რუსეთი აგრესიულ სამხედრო სახელმწიფოდ წარმოაჩინა. ეკრანზე აჩვენეს საარტილერიო დაბომბვის კადრები და ბევრმა ამერიკელმა სამხედრომ მოითხოვა ღონისძიებების გატარება რუსული მუქარის წინააღმდეგ. ბლიტცერის ეს გადაცემა გასცდა პროპაგანდისტული კამპანიის ჩარჩოებს, რომლის მიზანიც ამერიკელების მომზადებაა რუსეთთან კონფლიქტისთვის. აშკარაა, რომ ასეთი უპასუხისმგებლო პროპაგანდისა და თავხედური ტყუილების მიუხედავად, „სი-ენ-ენ“-ს და პირადად ვოლფ ბლიტცერს არ ეშინიათ, რომ წამქეზებლობაში დაადანაშაულებენ, რადგან ე. წ. ძირითადი მედიასაშუალებები „პროპაგანდის სამინისტროდ“ იქცნენ.

**ვაშინგტონმა და გაყიდულმა მედიასაშუალებებმა ადამიანურობა დაკარგეს და „ბოროტების აგენტებად“ იქცნენ. და, თუკი მსოფლიოში ატომური სოკო აღმოცენდება, პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს „სი-ენ-ენ“-ს, პირადად — ბლიტცერს და იმ მედიასაშუალებებს, რომლებიც გააფთრებით მოუწოდებენ ომისკენ,“** — წერს ამერიკელი პოლიტოლოგი.

მსოფლიო

## ფრანკფურტში ანტიკაპიტალისტების გამოსვლა შეტაკებებში გადაიზარდა

**ფრანკფუტში ანტიკაპიტალისტების გამოსვლა შეტაკებებში გადაიზარდა. დაშავდა 98 პოლიციელი და 100 პროტესტანტი. დაკავებულია 350 ადამიანი.** აქცია მოაწყო მემარცხენე რადიკალურმა მოძრაობამ Blockupy Frankfurt, რომელიც ევროკავშირისა და ევროპის ცენტრალური პოლიტიკის წინააღმდეგია. აქციის მონაწილეები ევროპის ცენტრალური ბანკის მილიარდ ევროდ ღირებული ახალი ცენტრალური ოფისის მშენებლობას აპროტესტებდნენ. აქცია გაიმართა ლოზუნგით „ხალხი უფრო ღირებულია ვიდრე ბანკები“. პოლიციის ცნობით, ევროპის ცენტრალური ბანკის მშენებარე შენობასთან გამართულ საპროტესტო აქციაში 3500 პროტესტანტი მონაწილეობდა. აქციის ორგანიზატორები 2-ჯერ მეტ რიცხვს ასახელებენ.



პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რა ენაზე აღარ გვითხრეს, ნატოში დღეს და ხვალ არ მიგიღებთო, და მაინც ვერ გავიგეთ. საინტერესოა, კიდევ ვინ ან რა ენაზე უნდა გვითხრას, რათა დავიჯეროთ და გავაცნობიეროთ, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში არ დგას? ჩვენ შეიძლება ძალიან გვინდოდეს ნატოს წევრობა, მაგრამ არავითარი რეალური კონტურები, რომ ჩვენ ნატოს წევრი გავხდეთ, არ არსებობს; თუმცა ეს ხელს არ უნდა გვიშლიდეს, ქვეყანა ვაშენოთ, საერთო ენა ყველა მეზობელთან გამოვნახოთ და ვეცადოთ, რეგიონში ჩვენი ტრადიციული ლიდერის როლი აღვიდგინოთ, რომელიც, პირდაპირ ვთქვათ, საქართველოს სააკაშვილმა დააკარგვინა“.**

# «ნატოსა და ევროკავშირის წევრობაზე საუბარი უკვე დაგვიანებულია»

**არასამთავრობო ორგანიზაცია „გლობალური კვლევების ცენტრმა“ ქვეყნაში მიმდინარე აქტუალურ მოვლენებზე კონფერენცია გამართა. 17 მარტს სასტუმრო „ვერე პალასში“ საგანგებოდ მიწვეულმა პოლიტოლოგებმა, სხვადასხვა სფეროს ექსპერტებმა და სპეციალისტებმა ქვეყანაში არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებასა და მდგომარეობიდან გამოსვლის გზებზე იმსჯელეს.**



**ნანა დევდარიანი, „გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი:**

**—რა ენაზე აღარ გვითხრეს, ნატოში დღეს და ხვალ არ მიგიღებთო, და მაინც ვერ გავიგეთ. საინტერესოა, კიდევ ვინ ან რა ენაზე უნდა გვითხრას, რათა დავიჯეროთ და გავაცნობიეროთ, რომ ეს საკითხი დღის წესრიგში არ დგას? ჩვენ შეიძლება ძალიან გვინდოდეს ნატოს წევრობა, მაგრამ არავითარი რეალური კონტურები, რომ ჩვენ ნატოს წევრი გავხდეთ, არ არსებობს. თუმცა ეს ხელს არ უნდა გვიშლიდეს, ქვეყანა ვაშენოთ, საერთო ენა ყველა მეზობელთან გამოვნახოთ და ვეცადოთ, რეგიონში ჩვენი ტრადიციული ლიდერის როლი აღვიდგინოთ, რომელიც, პირდაპირ ვთქვათ, საქართველოს სააკაშვილმა დააკარგვინა.**

ასევე ცხადია ახალი ხელისუფლების უნიათობა და არაკომპეტენტურობა, ვინაიდან კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი დაპირებული სამართლიანობის აღდგენის პროცესის ფაქტობრივი სტაგნაციაა. ის გამოღვიძება, რომელიც იური ვაზაგაშვილის შვილის საფლავზე აფეთქებას მოჰყვა, საკმაოდ მალე მინავლდა და, თუ ამ მიმართულებით ხელისუფლება ნაბიჯებს არ გადადგამს, ეს მისი კიდევ ერთი სერიოზული მინუსი იქნება.

დღეს ასევე აქტუალურია საკითხი რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების შესახებ. რეგიონული ოფისებიდან პერიოდულად გამოდის ინფორმაცია, რომ ისინი რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადებას იწყებენ. თუმცა, ობიექტურად რომ ვთქვათ, დღეს ჩვენი პოლიტიკური სპექტრი, მათ შორის, ხელისუფლება, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებისთვის მზად არ არის.

რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობას“, ვერც ერთი პოლიტიკური პარტია ვერანაირი „მაიდნის“ მოწყობას ვერ მოახერხებს, თუ ის საკმარისი რაოდენობის ადამიანების ნდობით არ სარგებლობს. ხოლო როგორ ენდობა ხალხი „ნაციონალებს“, კარგად ვიცით და მათ რამდენიც უნდა იმანიპულირონ მიღებული პროცენტებით, ფაქტია, რომ ყველა არჩევნებზე ხმებს კარგავენ, მათი მხრიდან ნებისმიერი დესტრუქციული ქმედების მცდელობა კი ამ რეიტინგს საერთოდ გააცამტვერებს.



**სოსო ცინცაძე, ექსპერტი:**

— საქართველოში **დღეს შეიძლება ბევრმა არც იცის, რა დაუჯდა უნგრეთს ნატოში გაწევრება. უნგრეთს ჰქონდა ექვსი სადავო სოფელი მეზობელთან, ამიტომ მას პირდაპირ უთხრეს: თუ ნატოში გინდა, ეს პრობლემა გადაწყვიტეთო და უნგრეთმა ამჯობინა, ექვსი სოფელი დაეკარგა.**

საქართველოს ნატოში შესვლა ჩვენ შეუძლებელი მაშინ გავხადეთ, როდესაც ყოფილმა ხელისუფლებამ მიიღო კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, მანმადე, თეორიულად მაინც, რუსეთიც აღიარებდა ჩვენს ტერიტორიებს. ამ კანონის მიღების შემდეგ კი ხელისუფლებამ უკვე თვითონ აღიარა, რომ ტერიტორიული დავა აქვს თავის ყველაზე პრობლემურ მეზობელთან.

**ჩვენი ოპონენტები, მაგალითად, ირაკლი ალასანიას პარტია და „ნაციონალური მოძრაობა“, ცდილობენ, წარმოაჩინონ, თითქოს საქართველოში არის პატარა ჯგუფი, სექტა, რომელიც ნატოს წინააღმდეგია და არის მეორე დიდი ჯგუფი, რომელიც ნატოს მომხრეა. არადა, ასე ნამდვილად არ არის. რადგან, შეიძლება, ნატოს მომხრე მე უფრო ვიყო, ვიდრე ალასანია, ვინაიდან მას თავისი კერძო ინტერესები აქვს, მე კი ამ ყველაფერს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ვლაპარაკობ, მაგრამ საქმე ის არის, რომ, ჩვენი დიდი სურვილის მიუხედავადაც კი, ნატოში არავინ მიგვიღებს.**

რაც შეეხება ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას, ზოგიერთ ქვეყანას, უკვე 50 წელია, ეს შეთანხმება აქვს გაფორმებული, მაგრამ დღემდე არ არის ევროკავშირის წევრი. **თურქეთს 30 წელი დასჭირდა იმის მისახვედრად, რომ ევროკავშირში არასდროს მიიღებდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტა თავისი საგარეო პოლიტიკის კორექტირება. საინტერესოა, ჩვენ რამდენი 30 წელი დაგვჭირდება იმის მისახვედრად, რომ არც ნატოში და არც ევროკავშირში არ მიგვიღებენ?**

რაც შეეხება საშინაო პოლიტიკას, დღეს ყველაზე საშიში ტენდენცია სიძულვილის კულტივირებაა. მე ვხედავ სიძულვილს ახალგაზრდა თაობაში. როდესაც ეს ხელისუფლება მოვიდა, თუ ის დარწმუნებული იყო „ნაციონალური მოძრაობის“ დანაშაულში, არ უნდა შეშინებოდა, უნდა მოეწყო „ნაციონალებისთვის“ სასამართლო და საკითხიც დაიხურებოდა. ახლა კი **ნელ-ნელა სამოქალაქო დაპირისპირებისკენ მივდივართ.**



**ტარიელ გაგნიძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ თავმჯდომარე:**

— ნატოსა და ევროკავშირის წევრობაზე საუბარი, ვფიქრობ, უკვე დაგვიანებულია. დღეს ევროკავშირი დაშლის პირასაა და მისი არსებობა დღეებს ითვლის. არანაკლები წინააღმდეგობებია თვითონ ნატოშიც. **თუ ვსაუბრობთ, რომ გვინდა ნატოში, მაშინ უნდა დავსვათ კითხვა — რა გვინდა ნატოში და რას მოგვცემს მისი წევრობა? ამას გარდა, ცხადია, რომ საქართველოს ნატოში მიღებას არც არავინ აპირებს და ამის შესახებ უკვე არაერთხელ საჯაროდ გვითხრეს.**

**მსოფლიოში გლობალური ცვლილებები მიმდინარეობს, ახალი ეკონომიკური თუ პოლიტიკური კონფიგურაციები ყალიბდება და გაუგებარია, ჩვენ მაინც იმ ძველში რატომ ვხედავთ ხსნას, რომელსაც რა პერსპექტივა აქვს, არავინ იცის!** პირიქით, ახლა იმაზე უნდა ვიმსჯელოთ, რა ხდება საქართველოს გარშემო, ჩვენს სამეზობლოში და როგორ ვიპოვოთ ჩვენი ადგილი თანამედროვე მსოფლიოში.

ვთქვათ ისიც, რომ **რუსეთსა და საქართველოს შორის პრობლემები მაშინ გაჩნდა, როდესაც ჩვენ, რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების სანაცვლოდ, ნატოში გაშესვლაზე დავიწყეთ საუბარი.** რა თქმა უნდა, არც ერთ შეგნებულ ადამიანს არ ემეტება დასაკარგავად საკუთარი ტერიტორია; არც არავის სურს, მის ტერიტორიაზე სხვა ქვეყნის ჯარი იდგეს, მაგრამ ვთქვათ სიმართლე: **იქ რომ რუსეთის ჯარი არ მდგარიყო, დიდი ალბათობით, თურქეთის არმის იდგებოდა და, თუ არჩევანზეა საქმე, მირჩევნია, ისევ რუსის ჯარი ყოფილიყო.**

დღეს ქვეყანაში პოლიტიკის ყველაზე დიდი დეფიციტი, ზნეობრივი ფასეულობების ორიენტირის არარსებობაა. არ მესმის, რას ნიშნავს განცხადება, რომ ჩვენ ცივილიზებული სამყაროს ნაწილი უნდა გავხდეთ. რა ზნეობრივი ფასეულობები აქვს ამ სამყაროს? **ჩემთვის ცივილიზაცია და ცივილიზებულობა ნიშნავს მართლმადიდებლური მცნებებით ცხოვრებას, კაცთმოყვარეობას, ოჯახის პატივისცემას, იმ ფასეულობებით ცხოვრებას, როდესაც ქალსაც და კაცსაც თავისი ადგილი აქვს და ვერავითარ შემთხვევაში ჩემთვის ფასეულობა ვერ იქნება, როდესაც ქალი ქალზე და კაცი კაცზე თხოვდება.** ცოტა ხნის წინათ ვნახე სკოლამდელი ბავშვების მოსამზადებელი სახელმძღვანელო, რომლითაც ერთ-ერთ განვითარებულ ევროპულ ქვეყანაში ბავშვებს ასწავლიან. **ბოდიში და, სახელმძღვანელოში, ქალისა და მამაკაცის სასქესო ორგანოები იყო დახატული და 4-5 წლის ბავშვებს ამ წიგნით ასწავლიდნენ.** საკუთარი თვალით რომ არ მენახა, არ დავიჯერებდი. ასეთი ფასეულობები ჩემთვის მიუღებელია.



**მამუკა არეშიძე, ექსპერტი კავკასიის საკითხებში:**

— მინდა, იმ რისკებს, საფრთხეებსა და გამოწვევებს მივაქციოთ ყურადღება, რომლებიც დღეს ქვეყნის წინაშეა. დღეს ქვეყანა კონკრეტული სახელმწიფო მოხელეების კეთილსინდისიერებაზეა მინდობილი.

მაგალითად, ვხედავ, რომ დიდი პროექტები, რომლებიც მიბმულია მრავალმილიონიან ინვესტიციებზე, წლები გადის და შედეგს არ იძლევა. როდესაც კითხვას სვამ, აღმოჩნდება, რომ იქ რაღაც ბიუროკრატიული პრობლემაა. **ხშირად ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ „ნაციონალურ მოძრაობაში“ არსებობს ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც ასეთ პროგრამებსა და ტენდერებს შლის. ასევე ორგანიზებულად ინიშნებიან „ნაციონალები“ თანამდებობებზე, აბა, როგორ შეიძლება ავხსნათ, საქალაქო ტრანსპორტის სამსახურის უფროსად კეზერაშვილის მოლარის დანიშვნა, რომელიც ეზუგბაიას მარჯვენა ხელი იყო?!**

**ამიტომ ვფიქრობ, დღეს ქვეყანაში არის საბოტაჟიც და დივერსიაც, ხელისუფლება ვერ ახერხებს, ხალხს თავისი გაკეთებული საქმის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს.**



**ირაკლი უბილავა, პოლიტოლოგი:**

— გასაგებია, რომ საქართველო პატარა სახელმწიფოა და მოკავშირე სჭირდება, რათა პოტენციური მოწინააღმდეგე შეაკავოს, მაგრამ ვსვამ კითხვას — **რაში გვჭირდება ისეთი მოკავშირე, რომელიც ჩვენს მოწინააღმდეგეს ვერ გაუმკლავდება?**

ჩემი აზრით, დღეს საქართველოში არიან პოლიტიკური ძალები, რომლებსაც გულწრფელად სჯერათ ამერიკის და ასევე არიან პრორუსული ძალები, რომლებსაც ასევე სჯერათ, რომ რუსეთი დალაგებს ვითარებას. სწორედ ამ პრორუსული და პროდასავლური ძალების კონსესუსი უნდა შედგეს ქვეყანაში. უკრაინული მოდელი უნდა გადმოვიღოთ, რომელიც მაიდნამდე იყო და რომელიც შემდგომ დაარღვიეს ამერიკელებმა.

**არავინ თქვას, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ დამოუკიდებელ თამაშს თამაშობს. მიხეილ სააკაშვილისა და „ნაციონალების“ დანიშვნა კიევში ამერიკელების სურვილით მოხდა, ვინაიდან, როგორც ჩანს, ამერიკელებს სურთ, სააკაშვილმა იგივე პოლიტიკა და რეფორმები გაატაროს უკრაინაში, როგორიც საქართველოში. იქაც იმავე ტვინების გამორეცხვის პოლიტიკისა და სოციალურ-პოლიტიკური სისტემის შექმნა სურთ, როგორც ჩვენთან.** ან, საერთოდ, „ნაციონალური მოძრაობის“ მოშორება უნდათ ამერიკელებს და ხვდებიან ახლა, საბოლოოდ ჩაირეცხავენ თავს, ან — საქართველოშიც სიტუაციის ესკალაცია და მაიდნის მოწყობა.

მოამზადა **შორენა ციფქარაშვილმა**

**«თუ ვსაუბრობთ, რომ გვინდა ნატოში, მაშინ უნდა დავსვათ კითხვა — რა გვინდა ნატოში და რას მოგვცემს მისი წევრობა? ამას გარდა, ცხადია, რომ საქართველოს ნატოში მიღებას არც არავინ აპირებს და ამის შესახებ უკვე არაერთხელ საჯაროდ გვითხრეს. მსოფლიოში გლობალური ცვლილებები მიმდინარეობს, ახალი ეკონომიკური თუ პოლიტიკური კონფიგურაციები ყალიბდება და გაუგებარია, ჩვენ მაინც იმ ძველში რატომ ვხედავთ ხსნას, რომელსაც რა პერსპექტივა აქვს, არავინ იცის?!»**

**გასაგებია, რამაც განაპირობა ლომჯარია-კოჟორიძე-გიგაურის ეგზომ „დემოკრატიული არჩევანი“, — ისინი გრანტებს ზუსტად იმ ძალებისგან იღებენ, რომლებიც „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკური გარანტორები არიან და „ვარდოსნების“ გურუს — მიხეილ სააკაშვილს კბილებით იცავენ. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ ის ოთხი ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაცია, ყველანაირად ცდილობს, დამნაშავე უგულავა პოლიტპატიმრად გამოაცხადოს.**

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# არასამთავრობო ორგანიზაციები უგულავას პოლიტპატიმრად გამოცხადებას ცდილობენ!

**„ენჯეოების“ სახით ქვეყანაში მოქმედი მეხუთე კოლონა არ ცხრება, — „დასავლური ღირებულებების“ სადარაჯოზე მდგომთ „დემოკრატიის სულ მცირე ხელყოფაც“ კი ერთობ აშფოთებთ. ამას წინათ „ნაცმოძრაობის“ ქორის — გიგი უგულავას, მიმართ მართლმსაჯულების „უსამართლო მოქმედებაზე“ აღვარღვარეს ცხარე ცრემლი — პროკურატურა მიკერძოებულობაში დაადანაშაულეს, ხოლო ბრალდებებს, რომლებიც მატროსოვის ბინადრის მისამართით გაჩნდა, უსაფუძვლო უწოდეს.**



მოგეხსენებათ, მთავარმა პროკურატურამ ამჟამად პატიმარ თბილისის ყოფილ მერს 2014 წლის 28 ივლისს წარდგენილი ბრალის ფაქტობრივი გარემოებები დაუზუსტა, რომლის საფუძველზეც მას წინასწარი პატიმრობის ვადა გაეზარდა. აღნიშნული ბრალი ტელეკომპანია „იმედისა“ და მთაწმინდის პარკის უკანონოდ დაუფლებას ეხება და წინა ბრალდებებთან შედარებით ახალ, უფრო მკაფიო გარემოებებს შეიცავს.

მიუხედავად ამისა, **როგორც კი სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის მოთხოვნა და გამოაცხადა გადაწყვეტილება კრიმინალ უგულავასთვის პატიმრობის გახანგრძლივების თაობაზე, გრანტიჭამია „ენჯეოები“ მარტის კატებივით აკნავლდნენ, — მართლმსაჯულება პოლიტიკურადაა მოტივირებული.** თუმცა ესეც არ იკმარეს და მოგვიანებით ოთხმა არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“, „სამართლიანმა არჩევნებმა“ და „სამოქალაქო განვითარების სააგენტომ“ ვრცელი განცხადება გაავრცელეს. გთავაზობთ ამონარიდს ამ განცხადებიდან: „მართალია, საგამოძიებო ორგანოს აქვს უფლება, გამოძიება აწარმოოს გონივრულ ვადაში, დააზუსტოს ფაქტობრივი გარემოებები და შეცვალოს დანაშაულის კვალიფიკაცია, თუმცა საქმეში არსებული ზემოაღნიშნული გარემოებები მიანიშნებს გამოძიების ხელოვნურ გაჭიანურებაზე და აჩენს საფუძვლიან ეჭვებს, რომ პროკურატურამ შინაარსობრივად ერთი საქმე ხელოვნურად დაყო სამ სხვადასხვა ეტაპად, რათა მისთვის სასურველ დროს შესძლებოდა უგულავასთვის პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვა, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნული პოლიტიკური მოტივითაა განპირობებული“.

... არსებობს ძველთაძველი შეგონება: „მკვდარზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერს“. ზემოაღნიშნულ „არასამთავრობო ორგანიზაციებს“ უგულავაზე, როგორც ცოცხალ მკვდარზე, შეეძლოთ პირში წყალი ჩაეგუბებინათ და საერთოდ არაფერი ეთქვათ, მაგრამ მათ გაჩუმებას დუჟმორეული ყაყანი და „ნაცმოძრაობის“ წისქვილზე წყლის დასხმა ამჯობინეს. **გასაგებია, რამაც განაპირობა ლომჯარია-კოჟორიძე-გიგაურის ეგზომ „დემოკრატიული არჩევანი“, — ისინი გრანტებს ზუსტად იმ ძალებისგან იღებენ, რომლებიც „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკური გარანტორები არიან და „ვარდოსნების“ გურუს — მიხეილ სააკაშვილს კბილებით იცავენ. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ ის ოთხი ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაცია, ყველანაირად ცდილობს, დამნაშავე უგულავა პოლიტპატიმრად გამოაცხადოს. გასაკვირი ის უფრო იქნებოდა, მართლმსაჯულების წარმომადგენლები „ნაცკრიმინალების“ დაუსჯელობისთვის გაეკრიტიკებინათ...** მოკლედ, ფაქტია, რომ მეხუთე კოლონა ისე გათამამდა, უკვე ნიღაბს საკუთარი ხელით იხსნის, არც ხალხის მრისხანების ეშინია და არც „ყოვლისშემძლე ოლიგარქის“, ეს კი ერთადერთ რამეზე მიგვანიშნებს: როგორც ჩანს, ისინი ვიღაცამ დაარწმუნა (და. ალბათ, ასეც არის), რომ მათ გავლენას ქვეყანაში ვერანაირი საზოგადოებრივი მღელვარება ვერ შეასუსტებს...

სხვათა შორის, ერთი თვის წინათ ივანიშვილმა სწორედ იმ სამ „არასამთავრობო ორგანიზაhციაზე“ („ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ და „სამართლიანი არჩევნები“) განაცხადა, საეჭვოდ მეჩვენება და მათ საქმიანობას დეტალურად შევისწავლითო. ეტყობა, ოლიგარქმა იმთავითვე იცოდა, რომ ეს ორგანიზაციები სააკაშვილის მამა-მარჩენალთა ყურმოჭრილი მონები არიან და პირდაპირ თუ ირიბად ხელს უწყობენ „ნაცმოძრაობის“ რეინკარნაციას.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, საქმეს ისეთი პირი უჩანს, საბოლოოდ მეხუთე კოლონა თავისას გაიტანს — უგულავას, მერაბიშვილსა თუ სხვა „ნაცზონდერს“, რომლებიც დღეს ციხეში სხედან, პოლიტპატიმრად გამოაცხადებს და მსოფლიოს წამყვან უფლებადამცველ ორგანიზაციებსაც იმავეს გააკეთებინებს. ეს უკვე ნამდვილად იქნება ქართული სახელმწიფოს კრახი და მერე იძახოს „მთაწმინდის ლომმა“, — დემოკრატიით დასავლეთსაც გავაოცებო. დასავლეთს რომ ქართული დემოკრატია ფეხებზე ჰკიდია, უკვე ყველასთვის ცხადია, მას საქართველოში მხოლოდ „ნაცრეჟიმი“, საქართველოსგან კი პოლიტიკური კონტრიბუცია და მსხვერპლის გაღება სჭირდება, 2008 წლის აგვისტოში რომ გაგვაღებინეს, ისეთი...

სულ ეს არის ჩვენი „ისტორიული მისიაც“ და „არჩევანიც...“

**ჯაბა ჟვანია**

# რაბინი იეჰუდი: სტეპან ბანდერა თვითკმარი ნაცისტი იყო



**საქართველოში ევრაზიის ინსტიტუტის მოწვევით იმყოფებოდა ორთოდოქსი ებრაელი რაბინი — ხასიდი, მეორე მსოფლიო ომის ისტორიის ბრწყინვალე მცოდნე, იგაელ იეჰუდი, რომელიც ამჟამად ბელარუსში ცხოვრობს. მან ლექციები წაიკითხა ქართული აკადემიური საზოგადოებისათვის. ლექციების თემა იყო მეორე მსოფლიო ომი და, განსაკუთრებით, უკრაინის მძიმე წარსულის ფაშისტური ეპიზოდები, უკრაინისავე სავალალო აწმყოს ჩათვლით.**

რაბინმა იეჰუდიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დღევანდელ უკრაინაში “ეროვნულ გმირად“ შერაცხილ სტეპან ბანდერას, გავრცელებული პროპაგანდის საპირისპიროდ, არასოდეს უბრძოლია გერმანელი ნაცისტების წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ასევე, რომ ბანდერა მივიჩნიოთ ჰიტლერის უბრალო „კუდად“, დანამატად. „ბანდერა თვითკმარი ნაცისტი იყო“ — ამბობს ებრაელი რაბინი.

საბჭოთა კავშირის როლს მეორე მსოფლიო ომში იგაელ იეჰუდი ერთმნიშვლენოვნად აფასებს:

**„როგორც იმ ერის შვილი, რომელსაც ნაციზმი ჰპირდებოდა ამოწყვეტას და მნიშვნელოვან წარმატებასაც მიაღწია ამ საქმეში, ნაციზმს მივიჩნევ აბსოლუტურ ბოროტებად. იმ ძალებს, რომლებმაც დაამხეს ნაცისტური რაიხი, მივიჩნევ აბსოლუტური სიკეთის მიერ მოვლენილ ძალებად. ნებისმიერი მცდელობა, გათეთრებულ იქნან ნაცისტები, ნებისმიერი მოწოდება, უფრო კეთილგანწყობილად შევხედოთ მათ, ვინც ნაცისტებს ჩემი ხალხისა და სხვა ხალხების გენოციდის განხორციელებაში ეხმარებოდნენ, ჩემს მიერ ვერანაირად ვერ იქნება გაზიარებული.“** — განაცხადა მან სპეციალურ ბრიფინგზე.

სტუმარმა ლექციებზე ისაუბრა სხვადასხვა ქვეყნებში ნაცისტური იდეოლოგიის მიზეზებსა და რეციდივებზე, აბრაამული რელიგიების ფასეულობების წინააღმდეგ მიმდინარე შემოტევასა და რელიგიურ-ეროვნული იდენტობის შენარჩუნების პერსპექტივებზე. იგაელ იეჰუდიმ ასეთი ტერმინიც შესთავაზა საზოგადოებას — „ორთოფობია“, რომელიც ყველა ტრადიციული რელიგიისა და ამ რელიგიებიდან გამომდინარე მორალისა და ფასეულობების წინააღმდეგ სიძულვილსა და ბრძოლას გულისხმობს.

მან აღნიშნა: როდესაც ნაციზმის სულისკვეთებაზეა ხოლმე საუბარი, „საჭიროა აღინიშნოს, რომ ნაციზმი არსებობდა არა მხოლოდ გერმანელ ხალხს შორის, სადაც ნაციზმმა მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მოიცვა“. იეჰუდიმ გაიხსენა 1941 წლის ივლისის ლვოვის მოვლენები:

**„ებრაელების ხოცვამ ლვოვში ორ ეტაპად ჩაიარა: 1941 წლის ივლისის პირველ დღეებში და იმავე წლის ივლისის ბოლოს. პირველი ხოცვა-ჟლეტა გერმანელების ტაშის ფონზე მიმდინარეობდა. ბანდერელთა ჯარებს სურდათ, ეჩვენებინათ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა გერმანელებს ისე ხვდება, როგორც განმათავისუფლებლებს და საკუთარი ინიციატივით ახორციელებს ებრაელების ამოწყვეტას. ბანდერელები ახდენდნენ ამის დემონსტრირებას, მაგრამ არა გერმანელების დავალებით. ეს სრულიად მათი საკუთარი ინიციატივა იყო“** — განაცხადა იგაელ იეჰუდიმ.

მისივე თქმით, ლვოვში იმჟამად დაახლოებით 4 ათასი ებრაელი დაიღუპა, მაგრამ უკრაინაში არავინ ფიქრობს ამ დანაშაულებების გამო ბოდიშის მოხდას:

**„ეს მოქმედებები დღემდე არც ერთ უკრაინულ ხელისუფლებას არ დაუგმია, არც პარტიებს, არც საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომ აღარაფერი ვთქვათ უკრაინის სახელმწიფოს მეთაურებზე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უკრაინაში არავინ გამოსულა ამ ნაცისტური მხეცობების დასაგმობად. ამ მხრივ უკრაინა გერმანიას ჩამორჩება. გერმანიაში გერმანელების მიერ ჩადენილი დანაშაულების ფაქტები ჩამოთვლილია, დასახელებული და დაგმობილი. უკრაინაში კი ამდაგვარი არაფერი ხდება“** — აღნიშნა რაბინმა.

იეჰუდის აზრით, დღესდღეობით არსებობს „მეოთხე რაიხის“ საფრთხე:

**„დასავლური იმპეროფაშიზმი, რომელიც სულ ახალ და ახალ ქვეყნებსა და ხალხებს იპყრობს და მას გლობალიზმს უწოდებენ, გვევლინება ნაცისტურ რაიხში წარმოშობილი იდეების პირდაპირ გაგრძელებად“,** — ამბობს იეჰუდი.

რაბინს მიაჩნია, რომ ეს მოვლენა ეფუძნება დასავლეთ ევროპასა და აღმოსავლურ-სლავურ, მართლმადიდებელ სამყაროს შორის დაპირისპირებას.

რაბინი იგაელი იეჰუდი წარმოშობით ბელარუსიდან არის, ამჟამად, როგორც აღვნიშნეთ, ბელარუსში ცხოვრობს, მაგრამ დიდი ხნის მანძილზე მოღვაწეობდა ისრაელში და ისრაელის მოქალაქეა.

ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა გულბაათ რცხილაძემ ქართველ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა:

„ყოველივე ის, რაც თქვენ მოისმინეთ, მორწმუნე ებრაელი ადამიანის მიერ ითქვა, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. დღესდღეობით **ჩვენი მედასავლეთეები ცდილობენ, ფაშისტები ჰუმანისტებად წარმოაჩინონ, ოღონდ კი ყველაფერში რუსეთის დემონიზაცია მოახდინონ და ჩვენს ხალხებს შორის ხელოვნური განხეთქილება შეიტანონ. ამიტომ საჭიროა იმის შეხსენება, რომ ნაციზმსა და ფაშიზმს ამაზრზენი სახე აქვს. დღევანდელი უკრაინა ჩვენთვის მისაბაძი მაგალითი კი არა, საშინელი გაკვეთილი უნდა იყოს, თუ როგორ არ უნდა მოვიქცეთ“.**

ჩვენ სპეციალურად არ მოვიწვიეთ რუსეთის მოქალაქე ებრაელები, არამედ — ისრაელის მოქალაქე, რომელიც აბსოლუტურად დამოუკიდებელია რუსეთის ხელისუფლებისაგან. ამიტომ ვერავინ დაგვწამებს ტენდენციურობას. ასეთი ადამიანის ნათქვამი კიდევ უფრო მეტი დაფიქრების საბაბი უნდა გახდეს ჩვენთვის.

აქვე აუცილებლად აღსანიშნავია რაბინ იეჰუდის უდიდესი კეთილგანწყობა საქართველოს მიმართ, ისევე, როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანებისა და ტრადიციული მუსლიმების მიმართ. იგაელ იეჰუდი სამი აბრაამული რელიგიის — ქრისტიანობის, ისლამისა და იუდაიზმის ჰარმონიული თანაარსებობისა და დასავლური ნეოწარმართობის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედებების გულწრფელი მომხრეა.

**ევრაზიის ინსტიტუტის პრესსამსახური**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**კვირის კითხვა**

**— ერთ თვეში 70 წელი შესრულდება სამამულო ომის დამთავრებიდან. რას იტყვით ამ ღირსახსოვარ თარიღზე?**

**გრიგოლ ონიანი:** — სამამულო ომი, რომელიც მსოფლიო ომად გადაიქცა, თავისი მასშტაბებით წარმოუდგენელია. ომში ჩართული იყო პლანეტის მოსახლეობის 80%. საომარ მოქმედებებში კი მონაწილეობდა 72 სახელმწიფო, ხოლო ომის ხანძარი უშუალოდ გაჩაღებული იყო 40 ქვეყანაში. ჯარისკაცის ფარაჯა ჩაიცვა 110 მილიონმა ადამიანმა. მათგან 12 მილიონი ჯარისკაცი ერთ არმიად შეიკრა, რომელსაც მართავდა მთავარსარდალი სტალინი — მსოფლიოში ყველაზე დიდი და სისხლისმღვრელი ომის ტრიუმფატორი.

# სტალინის როლი ქართული საგანძურის საქართველოსთვის დაბრუნებაში

## წერილი მეხუთე

### საგანძურის ოდისეა მარსელიდან პარიზში

1921 წლის 11 აპრილს, როდესაც განძი საბოლოოდ ჩაბარდა საფრანგეთის ბანკის მარსელის განყოფილებას, ძალა დაკარგა ექვთიმე თაყაიშვილის სახელზე გაცემულმა ფრანგულ ენაზე დაწერილმა ცნობამ, რომ „საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგს, ექვთიმე თაყაიშვილს მიაქვს საზღვარგარეთ „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის კუთვნილი ოქრო-ვერცხლი ზოდებად და მონეტებად, ისევე, როგორც სხვა ძვირფასი ნივთები, რათა ჩააბაროს ისინი ევროპის ბანკებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით". და რომ ამ განძის „გამგებლობის უფლება ეკუთვნის აღნიშნული რესპუბლიკის მთავრობას", რაც იმას ნიშნავდა, რომ ქართული განძის პატრონად ცხადდებოდა მენშევიკური მთავრობა.

განძის ბანკში ჩაბარების ძირითადი საფუძველი იყო სწორედ ეს საბუთი, რომლის ერთი პირიც განძთან ერთად ბანკმა ჩაიბარა. ვინ მოაწერა განძის ჩაბარებას ხელი ბანკში, ცნობილი არ არის, მაგრამ, **თუ ბანკში მიბარებული 167 ყუთი განძეულიდან მისი უდიდესი ნაწილის გამოტანა, „განძის გუშაგის" წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც შეძლეს მენშევიკური მთავრობის წარმომადგენლებმა, აშკარაა, რომ განძის ჩაბარებასაც იმ პირებმა მოაწერეს ხელი, რომლებმაც განძი ბანკიდან გამოიტანეს, ე.ი. ზურაბ ავალიშვილმა და იოსებ ელიგულაშვილმა.**

გამოდის, რომ იმ დღიდან ექვთიმე თაყაიშვილმა დაკარგა „განძის გუშაგობის" არა მხოლოდ მორალური მხარე, არამედ ის იურიდიულადაც არ ითვლება მის გამგებლად.

**მარსელის ბანკის საცავებში დარჩენილი 39 ყუთის განძის ხელშეუხებლობა შედეგია არა მენშევიკური მთავრობის თავშეკავების, არამედ იმისა, რომ ბანკში არ იყო გადახდილი საგანძურის შენახვის საფასური (ყოველწლიურად 2500 ფრანკი), რის გამოც მას ყადაღა ჰქონდა დადებული.**

1932 წელს გაუქმდა საფრანგეთში მოქმედი ემიგრანტული მენშევიკური მთავრობა. ფარატინა ქაღალდად იქცა მარსელის ბანკში შენახული ქართული საუნჯის მეპატრონის მფლობელობაზე გაცემული დოკუმენტიც, რის გამოც **1934 წლის 8 მაისს საფრანგეთის სასამართლომ „რეფერეს განაჩენის" საფუძველზე გაუქმებული ემიგრანტული მთავრობის კუთვნილი განძეული საფრანგეთის რესპუბლიკის საკუთრებად აღიარა, როგორც უპატრონო ქონება და იგი სხვა ქონებასთან ერთად სახელმწიფო მოხელე პიერ ჟოდონს ჩააბარა.**

სასამართლოს განაჩენის გასაჩივრების ვადა, რომელიც 2 კვირას მოიცავდა და 22 მაისს მთავრდებოდა, ვერ გამოიყენეს „განძის მცველებმა" თუ ემიგრანტული მთავრობის მესვეურებმა (მიზეზად ომის დაწყება დაასახელეს) და საგანძურს საბოლოოდ საფრანგეთის ხელისუფლება დაეუფლა. ამის შემდეგ კი **პიერ ჟოდონმა, რომელსაც საფრანგეთის ხელისუფლებამ ქართული საგანძური ჩააბარა, მოითხოვა თავისი ქონების მარსელიდან პარიზში გადატანა და საქართველოს საგანძურმა მარსელიდან პარიზში გადაინაცვლა — კრუა-დე-პტი-შანის ქუჩაზე მდებარე № 39 სახლში.**

აქამდე აღუნუსხავი და უცნობი განძი პიერ ჟოდონმა ყუთებიდან ამოალაგა, დაახარისხა და საქართველოდან განძის გატაცების შემდგომ პირველად გააკეთა ჩამონათვალი, რომელიც შემონახულია დღემდე.

ფრანგ მოხელეთა თავხედური თუ კანონიერი მოქმედებით აღელვებული ექვთიმე თაყაიშვილი წუხს: „მთელი ჩვენი განძი დაუწყვიათ საფრანგეთის ბანკის მთავარ შენობაში კრუა-დე-პტი-შანის ქუჩაზე მდებარე № 39-ე სახლში, იგი დაულაგებიათ ერთ პატარა ოთახში თაროებზე მიჯრით".

სწორედ ახლა გავიხსენოთ, თუ რა განძი გადაიტანეს მარსელის ნავსადგურიდან მარსელის ბანკში:

„ბანკში შეზიდულ ქართულ განძეულობასა და სხვა ქონებას, ჩალაგებულს 248 მომეტებულად დიდ ზომის ყუთსა და ერთ დიდ კალათაში, დაუკავებია საფრანგეთის ბანკის მარსელის განყოფილების არა მხოლოდ ოთახები, არამედ კორიდორებიც და ძლივს დატეულა" (გ. ჟორდანია. „დაბრუნებული საუჯე". გვ. 56.). **ადვილი მისახვედრია, როგორ შემოადნა ხელში მენშევიკურ მთავრობას საქართველოდან გატაცებული საუნჯე.**

**„არც აკაკი ჩხენკელი, რომლის სახელზეც ყუთები იყო ბანკში დადებული, არც ევგენი გეგეჭკორი, რომელიც მოპასუხედ სუდში იყო დაბარებული, არ მიუპატიჟებიათ ყუთების გახსნის დროს, რათ ინებეს ეს, ჩემთვის გაუგებარია"** (გ. ჟორდანია. „დაბრუნებული საუნჯე", გვ. 83). არც ამ შემთხვევაში ჩანს, რომ ექვთიმე რაიმეთი არის დაკავშირებული ქართულ საგანძურთან.

იქვე გივი ჟორდანია კომენტარს უკეთებს ექვთიმე თაყაიშვილის გულისტკივილს: „ჩვენთვის ასეთი უყურადღებლობა და ანგარიშის გაუწევლობა ქართული ემიგრანტული „მთავრობისათვის" სრულიად გასაგები უნდა იყოს. მენშევიკური მთავრობა „არაარსებულად" იყო გამოცხადებული. განძი მიეკუთნა მის დროებით გამგებელს — პიერ ჟოდონს. ამის შემდეგ რა ანგარიში უნდა გაეწია ფრანგ მოხელეს არაარსებულ მთავრობისათვის?!"



ექვთიმე თაყაიშვილი

ზვერვა ყველგან მიაგნებდა. ამ განძით მენშევიკურ მთავრობას საბჭოთა დაზვერვა „კუდზე" დააჯდა. ჯერ — პარიზში, ხოლო შემდგომ — ლევილის მამულში, განძის მდევნელთა და განძის მცველთა მიმოწერა და ურთიერთკავშირი — ეს ხომ იმის აშკარა მცდელობაა, რომ არც ერთი გაქცეულის კვალი არ დაიკარგოს.

**მარსელში განძის დაბინავებისთანავე საქართველოს სპეცსამსახურებმა „ცენტრის" დავალებით საფრანგეთში მიავლინეს ტიტე ლორთქიფანიძე, რომელმაც აქტიური მოღვაწეობა საგანგებო კომისიაში უკვე 1921 წლიდან დაიწყო და, რომელსაც არა მხოლოდ განძი, არამედ სხვა რამეც აინტერესებდა.**

„ეროვნული განძის თემას მიება საქართველოს აკადემიური წარმომადგენლის (მოსკოვში) დამიანე ჯგუშიას აქტიური მიმოწერა და ურთიერთობა ექვთიმე თაყაიშვილთან.

**პიერ ჟოდონმა, რომელსაც საფრანგეთის ხელისუფლებამ ქართული საგანძური ჩააბარა, მოითხოვა თავისი ქონების მარსელიდან პარიზში გადატანა, და საქართველოს საგანძურმა მარსელიდან პარიზში გადაინაცვლა — კრუა-დე-პტი-შანის ქუჩაზე მდებარე № 39 სახლში**

1935 წლის მაისში ექვთიმეს მიერ დაწერილ წერილში მინიშნებულია, რომ „განძი დაუთვალიერებია ბანკის პატარა ოთახში ხუთ კაცს: აკ. ჩხენკელს, ევ. გეგეჭკორს, კ. კანდელაკს, ე. თაყაიშვილსა და ი. გოგოლაშვილს. მათ მხოლოდ თვალი გადაუვლიათ თაროებზე მიჯრით დალაგებული საუნჯისათვის".

1921 წლის 11 მაისის შემდეგ ეს იყო ქართულ განძთან ექვთიმე თაყაიშვილის მეორე შეხვედრა.

თუ რას იცავდა და რას ყარაულობდა განძის მცველი მთელი 25 წლის განმავლობაში, ნათელ წარმოდგენას გვაძლევს განძის მიღებისას, 1945 წლის 15 აგვისტოს, „ქართული სამუზეუმო განძეულობის მიმღები კომისიის თავმჯდომარის, აკადემიკოს ს. ჯანაშიას მოხსენება", სადაც ვკითხულობთ:

**„არავითარი დოკუმენტი განძეულობის თვით საცავებიდან ამოღებისა და გადაბარება-ჩაბარებისა არ შემონახულა. და, როგორც მცოდნე პირები მოწმობენ, არც ყოფილა როდისმე შედგენილი. ასეთი სიები არ ყოფილა შედგენილი, აგრეთვე, განძეულობის საზღვარგარეთ ყოფნისას, ყოველ შემთხვევაში ჩვენს განკარგულებაში ასეთი სიები არ არის. პირველად ეს სია შედგენილია, როდესაც საფრანგეთმა ეს განძეულობა ჩაიბარა.** საყურადღებოა ისტორია ამ განძეულობის მოგზაურობისა და მისი დაცვისა საზღვარგარეთის სხვადასხვა პუნქტებში. ამ ისტორიის ვრცლად და დასაბუთებულად მოსახსენებლად ამჟამად მე, სამწუხაროდ, მასალები არ გამაჩნია, თავის დროზე ეს ისტორია დაიწერება; ერთი შეიძლება ითქვას, რომ განძეულობამ გამოიარა სრულიად განსაკუთრებული ოდისეა, ვიდრე თავის ნამდვილ პატრონს დაუბრუნდებოდა ამა თუ იმ სახით".

მართალს ბრძანებს ბატონი სიმონ ჯანაშია, რომ მომავალში ამაზე ისტორია დაიწერებაო. საარქივო მასალებზე გრიფ „საიდუმლოს" მოხსნა და მომავალში კიდევ ბევრი „სრულიად საიდუმლოს" გამჟღავნება, სრულ სურათს მისცემს ჩვენს მომავალ თაობას, თავისი წინაპრების გმირულ თუ ლაჩრულ ცხოვრებაზე, სადაც უღირსი დაფნის გვირგვინით იმკობა, ხოლო ღირსეული უღირსად წარმოგვიდგება. თუმცა მე ამის იმედი არ მაქვს, რადგან ვიცი, რომ ისტორია მეძავი ქალია — ვინც მეტს უხდის, იმას აძლევს.

მენშევიკური მთავრობის ყაჩაღურად გატაცებული განძის ნაწილის ნაჩქარევად გადადნობისა და გაყიდვის შემდეგ, მარსელის ბანკში ეულად დარჩენილი 39 ყუთი, რომლებშიც ჯერ კიდევ იყო აღურიცხავი განძი, სხვადასხვა უცხო ხელით ჩაწყობილ-ჩალაგებული, ამაოდ ელოდა მზის სინათლეზე გამოტანას.

განძის გადარჩენილ ნაწილზე სხვადასხვა დროს სხვადასხვა მთხრობელის მიერ სხვადასხვანაირად მოთხრობილ ამბავს იმ აბდაუბდამდე მივყავართ, სადამდეც მოვედით.

განძის გატაცების „ოდისეაში" დევს ის საიდუმლო კოდი, რომელსაც ისტორია მომავალში გამოაჩენს. შორს გამიზნულმა პოლიტიკურმა ალღომ შედეგი გამოიღო. გაქცეულ მენშევიკურ მთავრობას დიპპასპორტებში საიდუმლო კოდად ეროვნული საგანძური ჩაუკრეს, რომლითაც მათ საზღვარგარეთ საბჭოთა და-

1935 წლის ნოემბერში საქართველოდან გაგზავნილ **ბიქტორ კვიტაშვილს** პარიზში გამგზავრებამდე ოპერატიული ვითარების გასაცნობად და შესაბამისი ინსტუქციების მისაღებად შეხვედრები ექნებოდა მოსკოვში საბჭოთა საგარეო დაზვერვის შესაბამის მიმართულების წარმომადგენლებთან.

ბიქტორ კვიტაშვილის საფრანგეთში გამგზავრების თაობაზე, ინფორმირებული იყო საბჭოთა საგარეო დაზვერვის პარიზის რეზიდენტურა, რომელმაც მას ადგილზე კარგი სამუშაო პირობები შეუქმნა (გ. სულაძე. „ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები". გვ. 414).

ექვთიმე თაყაიშვილი, როგორც დიდი მეცნიერი და უკეთილშობილესი პიროვნება, ნაკლებად იყო გათვიცნობიერებული, რა მრავალმხრივ და რთულ საქმეს ემსახურებოდა ბიქტორ კვიტაშვილი, ამიტომაც ის გულწრფელად შენიშნავს: „ბიქტორი კარგი ადამიანი, მაგრამ განძეულობის საქმეში ნაკლებად ჩახედული იყო".

„ბიქტორ კვიტაშვილის საქმეში „ჩაუხედაობის" მიუხედავად, ექვთიმე თაყაიშვილმა ლევილში ყველა მასალა, რაც კი მოითხოვა, მას გადასცა. ხოლო შემდეგ თვითონ ეახლა პარიზში, სადაც ▶

**სტალინის დავალებით, საგარეო უწყებამ ქართული ეროვნული ფასეულობის შესახებ სასწრაფოდ მოამზადა და გაგზავნა სპეციალური მემორანდუმი საფრანგეთის მთავრობის სახელზე. გენერალმა დე გოლმა მემორანდუმი მოსკოვში გაფრენამდე რამდენიმე დღით ადრე მიიღო. მან საკითხის სამართლებრივად რეგულირება იუსტიციის მინისტრ ჟანენესს დაავალა.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საარქივო მასალებზე გრიფ «საიდუმლოს» მოხსნა და მომავალში კიდევ ბევრი «სრულიად საიდუმლოს» გამჟღავნება, სრულ სურათს მისცემს ჩვენს მომავალ თაობას თავისი წინაპრების გმირულ თუ ლაჩრულ ცხოვრებაზე, სადაც უღირსი დაფნის გვირგვინით იმკობა, ხოლო ღირსეული უღირსად წარმოგვიდგება. თუმცა მე ამის იმედი არ მაქვს, რადგან ვიცი, რომ ისტორია მეძავი ქალია — ვინც მეტს უხდის, იმას აძლევს**

◀ კვიტაშვილთან ერთად დაჰყო ერთი თვე. ბიქტორ კვიტაშვილმა, თავის მხრივ, ექვთიმესთან თანამშრომლობა და ურთიერთობა დაავალა საელჩოს მდივანს, საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტურის თანამშრომელ ალექსანდრე ვლადიმერის ძე გირშფელდს — შემდგომში მოსკოვის უნივერსიტერის პროფესორს" (გ. სულაძე. „ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები". გვ 419).

1944 წლის 10 სექტემბერს აღდგენილი იქნა საბჭოთა კავშირის საელჩო საფრანგეთში. ელჩად დაინიშნა ალექსანდრე ბოგომოლოვი.

სტალინის განკარგულებით, ალექსანდრე ბოგომოლოვი ჯერ კიდევ 1943 წელს ალჟირში „საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტში" საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად იყო დანიშნული. ამდენად, დე გოლთან დაახლოებული პირის ელჩად დანიშვნა, როგორც სსრკ-ისთვის, ისე საფრანგეთის მთავრობისთვის, ფრიად სასარგებლო იყო.

საფრანგეთში საბჭოთა საელჩოს პარალელურად აღდგენილი იქნა საბჭოთა კავშირის საგარეო დაზვერვის პარიზის რეზიდენტურაც, რომელსაც სათავეში ჩაუდგა, ჩვენთვის კარგად ცნობილი ელჩის „მოადგილედ" წოდებული ალექსანდრე გუზოვსკი.

„საფრანგეთში გამგზავრების წინ ალექსანდრე გუზოვსკი მოსკოვში, სსრკ-ის უშიშროების სახალხო კომისარიატის პირველ მთავარ სამმართველოში (საგარეო დაზვერვაში) გაეცნო ყველა იმ მასალას, რომლებიც დაკავშირებული იყო ოპერატიულ ვითარებასთან და სადაზვერვო საქმიანობის სამომავლო გეგმებთან, მათ შორის, ქართული ემიიგრაციის პრობლემატიკასაც. აქედან გამომდინარე, პარიზში ჩასვლისთანავე გუზოვსკი ქართული ეროვნული საგანძურის საბჭოთა კავშირში დაბრუნებისა და ამ საკითხზე კომპლექსური ღონისძიებების გატარების პროცესში იმთავითვე ჩართული აღმოჩნდა" (გ. სულაძე. ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები. გვ. 429).

1921 წლიდან მოყოლებული, უშუალოდ სტალინის ბრძანებით, საბჭოთა საგარეო დაზვერვას თვალი არ მოუშორებია ქართული ეროვნული საგანძურისთვის. ამის ძირითადი საფუძველი იყო ის ნელი მოქმედების „ქართულ ნაღმი", რომელიც „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის" მთავრობის სახით იყო წარმოდგენილი და რომლის ოფიციალური რეზიდენციაც პარიზში იყო განთავსებული.

სტალინმა ბრძნულად განსაზღვრა ფაშისტური გერმანიის განადგურება, დამოუკიდებელი საფრანგეთის არსებობა და აყვავებაც და „ნელი მოქმედების ნაღმის" გაუვნებელყოფის შემდეგ ქართული საგანძურის სამშობლოში დაბრუნება.

თუ სამამულო ომის დამთავრებამდე სტალინი ორჯერ იყო დასახელებული პლანეტის უდიდეს ადამიანად, ომის მიწურულს იგი კრემლში მობინადრე ღმერთკაცად იყო აღიარებული, რომელზეც თვით კაპიტალიზმის ბებერი ლომი „სანთლებს ანთებდა და ლოცულობდა".

**მრავალ გამარჯვებათა შორის სტალინური პოლიტიკის გამარჯვების ბრწყინვალე მაგალითია „საფრანგეთის საკითხის" მოგვარება, ანტიფაშისტურ მოძრაობაში ფრანგი ხალხის ჩართვა და დემოკრატიული საფრანგეთის ხელისუფლებაში შარლ დე გოლის მოყვანა.**

ამერიკა-ინგლისის კატეგორიული წინააღმდეგობის მიუხედავად, სტალინური გენიალური პოლიტიკის შედეგად, ფრანგი ხალხი თავისი ისტორიული მისიის აღსრულებას შეუდგა. ის დამოუკიდებელი და თავისუფალი გახდა. სწორედ ამის პასუხი იყო **შარლ დე გოლის** დეპეშა 1945 წლის 9 მაისს სტალინისადმი გაგზავნილი:

„თუ დღეს ევროპა თავისუფალია, ეს სტალინგრადისა და სტალინის დამსახურებაა".

როგორც კი გენერალი დე გოლი ალჟირიდან პარიზში გადავიდა და დაიწყო დანგრეული ქვეყნის აღდგენის ურთულესი საქმე, პირველი, რაც გააკეთა საგარეო პოლიტიკაში, იყო სტალინთან შეხვედრა. მრავალმხრივ დატვირთული და ჯერ კიდევ ცეცხლის ალში გახვეული ევროპის ბატონპატრონი ვერ იცლიდა კერძო საუბრებისთვის, მაგრამ საგარეო უწყებისა და დაზვერვის მცდელობამ შედეგი გამოიღო და ალექსანდრე ბოგომოლოვმა დავალება მიიღო, სწრაფად დაეწყო ხელშეკრულების პროექტის მომზადება. საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილე კრესტინსკიმ, რომელიც აქტიურად იყო ჩართული „ქართული განძის" დაბრუნების საქმეში, დავალება მიიღო სტალინისაგან, მოლაპარაკების წინაპირობებში ასახულიყო ქართული საგანძურის საქართველოსთვის დაუყოვნებლივ დაბრუნება.

„ამ მხრივ საკმარისზე მეტი საქმე გაუჩნდა გუზოვსკისაც... „ცენტრის" მითითებით, გუზოვსკის არა მხოლოდ ეროვნული ფასეულობების დაბრუნება ევალებოდა საბჭოთა კავშირში, არამედ თითქმის 25-წლიანი განშორების შემდეგ სამშობლოში უვნებლად უნდა დაებრუნებინა მხცოვანი მეცნიერი ექვთიმე თაყაიშვილი.

გუზოვსკიმ დიდი მზრუნველობა გამოიჩინა ექვთიმე თაყაიშვილის მიმართ, მან მხცოვანი მეცნიერი საცხოვრებლად საბჭოთა საკონსულოში გადაიყვანა. რომ არა საბჭოთა დიპლომატიური მისიისა და პირადად საბჭოთა საგარეო დაზვერვის რეზიდენტის ძალისხმევა და ყურადღება, ექვთიმე თაყაიშვილი ვერ გადაიტანდა ჯანმრთელობის მკვეთრად გაუარესებას, რომელიც მას ბოლო თვეებში აღენიშნებოდა.

ექვთიმე თაყაიშვილის მთავარი მომვლელ-პატრონი იყო გუზოვსკის მეუღლე, რომლის ღვაწლს დიდი მადლიერებით იხსენებდა ექვთიმე თავის მოგონებებში" (გ. სულაძე. „ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები". გვ. 434).

საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის ხელშეკრულების მომზადების პერიოდში, სტალინის მითითებისა და კრესტინსკის დავალების შესასრულებლად, წინა პლანზე უნდა წამოეწიათ ეროვნული საგანძურის დაბრუნების საკითხი, რომლის უზრუნველსაყოფადაც საგარეო დაზვერვის უფროსი, რომელიც გენერალურ კონსულად იყო წარდგენილი, ქართველ გ. გეგელიასთან ერთად, საფრანგეთის იუსტიციის მინისტრს ეახლა. მათ მინისტრისგან მოითხოვეს, მთავრობათა შეთანხმების საფუძველზე, ქართული საგანძურის გადმოცემა უახლოეს დღეებში. იუსტიციის მინისტრმა სასტიკი უარი განაცხადა განძის დაბრუნებაზე. ცალკე კი გ. გეგელიას უსაყვედურა: „საბჭოთა გენერალური კონსული ამას რომ მოითხოვს, ეს კიდევ გასაგებია, მაგრამ თქვენ ხომ იცით აქაური წესები და ასეთი რამის თხოვნა როგორ იკადრეთ სასამართლოს დადგენილების გვერდის ავლით?!" (გეგელია იურისტი იყო და დიდი ხნის განმავლობაში პარიზში მუშაობდა).


სტალინი და დე გოლი

**მრავალ გამარჯვებათა შორის სტალინური პოლიტიკის გამარჯვების ბრწყინვალე მაგალითია «საფრანგეთის საკითხის» მოგვარება, ანტიფაშისტურ მოძრაობაში ფრანგი ხალხის ჩართვა და დემოკრატიული საფრანგეთის ხელისუფლებაში შარლ დე გოლის მოყვანა**





საგარეო დაზვერვამ შიფროგრამით აცნობა თავის შეფს — ლავრენტი ბერიას სახელმწიფოთა შორის ხელშეკრულების წინაპირობის შეუსრულებლობის შესახებ, რაც დაუყოვნებლივ მოხსენდა სტალინს.

სტალინის დავალებით, საგარეო უწყებამ ქართულ ეროვნული ფასეულობის შესახებ სასწრაფოდ მოამზადა და გაგზავნა სპეციალური მემორანდუმი საფრანგეთის მთავრობის სახელზე. გენერალმა დე გოლმა მემორანდუმი მოსკოვში გაფრენამდე რამდენიმე დღით ადრე მიიღო. მან საკითხის სამართლებრივად რეგულირება იუსტიციის მინისტრ ჟანენესს დაავალა.

**„საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის მთავრობისათვის ქართული განძის შემცველი მოძრავი ქონების გადაცემის თაობაზე, საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის მთავრობისა და საფრანგეთის რესპუბლიკის დროებით მთავრობას შორის მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, სენის დეპარტამენტის სამოქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ 1944 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით გააუქმა თავისი 1934 წლის 8 მაისის დადგენილება ქართული განძის დროებითი გამგებლების — ჟორდონისა და ლამპერიერისათვის გადაცემის შესახებ და ეს უკანასკნელნი გაათავისუფლა ადრე დაკისრებული მოვალეობებისაგან"** (გ. სულაძე. „ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები", გვ. 435).

1952 წლის ნოემბრის მოგონებებში კი ექვთიმე თაყაიშვილი ამ ამბავს ასე იხსენებს:

**„ზრუნვა ამ განძეულობის შესახებ მე და მის საქმის მწარმოებელს და რუსეთის კონსულს საფრანგეთში ა. გუზოვსკის მოგვანდო ბოგომოლოვმა. მეორე დღეს გუზოვსკი მივიდა ჟორდონთან, რომელსაც ებარა განძეულობა და მოსთხოვა დაბრუნება. ჟორდონი ამ საქმემ შეაშფოთა, მან განაცხადა, დე გოლს ამის უფლება არ ჰქონდა, ეს საკითხი შინაგან საქმეთა მინისტრს უნდა გადაეწყვიტაო. გუზოვსკიმ უთხრა ჟორდონს, მინისტრი ხომ მთავრობის თავმჯდომარეს ექვემდებარებაო, რა ნება აქვს მის წინააღმდეგ წავიდესო, თუ ხვალ გადაჭრილი პასუხი არ მოგიცია, ამის შესახებ ტელეგრამას გავუგზავნით დე გოლს, რომ თქვენ არ ასრულებთ მის ბრძანებას. რა თქმა უნდა, ჟორდონმა ამის შემდეგ ჩაგვაბარა მთელი გამნძეულობა"** (გ. ჟორდანია. „დაბრუნებული საუნჯე"). გვ. 140.)

ამ ჩანაწერის გაცნობით, ბევრ ჩანაწერზე მიჩნდება ეჭვი, რომელიც კი მეცნიერმა თავისი სიცოცხლის ბოლო პერიოდში დაგვიტოვა.

ქრონიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ზოგიერთი სამხედრო სპეციალისტი ვლადიმირ პუტინს, როგორც უმაღლეს მთავარსარდალს ურჩევდა, გამოეყენებინა ყველა არსებული საშუალება იმის სადემონსტრაციოდ, რომ რუსეთი მზად არის თავისი ეროვნული ინტერესების დასაცავად. პუტინს უპასუხია, რომ სიტუაციის სირთულისა და დრამატიზმის მიუხედავად, „ცივი ომი“ დამთავრდა და საჭირო არ იყო კარიბის კრიზისის მსგავსი საერთაშორისო კრიზისების ხელოვნურად შექმნა, მით უფრო, რომ ასეთი მოქმედება რუსეთის ინტერესებისთვის შეუსაბამო იქნებოდა. ხოლო ბირთვული შემოტევის შეჩერების ძალები ყოველთვის სრულ საომარ მზადყოფნაშია.**

# ოპერაცია «გზა შინისკენ»

## ვლადიმერ პუტინმა ყირიმის ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებაზე, «მწვანე კაცუნებსა» და კიევში განხორციელებულ გადატრიალებაზე ისაუბრა

## რატომ შევიდნენ «ზრდილობიანი ადამიანები» ყირიმში

**დღეს გთავაზობთ ტელემიმომხილველ ანდრეი კონდრაშოვის დოკუმენტური ფილმის — „ყირიმი. გზა სამშობლოსკენ“ მეორე ნაწილის საგაზეთო ვარიანტს (პირველი ნაწილი იხ. „საქართველო და მსოფლიო“, №10). შეგახსენებთ, რომ ფილმი სრულად იყო დემონსტრირებული ტელეარხ „როსია 1“-ის ეკრანზე 15 მარტის ღამის 11 საათზე. ფილმის „მთავარი სიუჟეტი“ რუსეთის პრეზიდენტისთვის „ცხელ კვალზე“ ჩამორთმეული ინტერვიუა. ვლადიმერ პუტინი ლაპარაკობს რუსეთის აქტიურ მონაწილეობაზე ისტორიულ სამშობლოში ყირიმის დასაბრუნებლად დაწყებულ მოძრაობაზე, ყვება იმის თაობაზე, თუ როგორ გამოჩნდნენ ნახევარკუნძულის ქალაქების ქუჩებში ზრდილობიანი „მწვანე კაცუნები“, როგორ ჩატარდა რეფერენდუმი, რაზე ესაუბრა იმ დღეებში აშშ-ის პრეზიდენტს ბარაკ ჰუსეინ ობამას და ა. შ.**



ყირიმში მცხოვრები უკრაინელებისთვის უმძიმესი დღეები დგებოდა და უკრაინაში ცხოვრების გაგრძელება მათთვის სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი იყო.

— მაშინ გახდა აშკარა, — **ამბობს ვლადიმერ პუტინი კონდრაშოვისთვის მიცემულ ინტერვიუში,** — რომ არ შეგვიძლია, მივატოვოთ ეს ადამიანები ამ სიტუაციაში.

ყირიმელები ამ დროისთვის ერთიანდებიან სახალხო თავდაცვის რაზმებში, ემზადებიან ნაციონალისტების შესაძლო შემოტევების მოსაგერიებლად.

დაეხმარებოდა თუ არა რუსეთი მათ ბანდერელებთან და ფაშისტებთან დაპირისპირებაში, იმხანად არავინ იცოდა.

წინა პლანზე გამოდიან სახალხო ლიდერები. კონდრაშოვი ეკითხება რუსეთის პრეზიდენტს, თუ საიდან გამოვიდა ასპარეზზე აქსიონოვი — ყირიმის პარლამენტის მომავალი თავმჯდომარე.

— არ ვიცი, — **უპასუხებს ვლადიმერ პუტინი,** — ამ ადამიანს არ ვიცნობდი, არასოდეს მენახა, თუმცა არ დაგიმალავთ, რომ მისი გვარი მსმენოდა: ყირიმის რადამ ამ ადამიანის კანდიდატურა წამოაყენა... — როცა ვკითხე ყირიმელებს, როგორ აფასებდნენ მას, მიპასუხეს — ჩე გევარაა! დღეს ჩვენ ასეთი კაცი გვჭირდება *(იცინის).*

**ყირიმში ხალხი ერთ მუშტად შეიკრა.**

**პუტინი:** — ყირიმში მცხოვრებთა ეთნიკურ შემადგენლობას თუ გავითვალისწინებთ, დარწმუნებული ვარ, იქ *(კორსუნის დარბევაზე)* უარესი ამბები დატრიალდებოდა. უნდა განგვეხორციელებინა გარკვეული ღონისძიებები, რათა არ დაგვეშვა მოვლენების ნეგატიური განვითარება, რათა არ მომხდარიყო ისეთი ტრაგედიები, როგორც ოდესაში, როცა ათობით ადამიანი ცოცხლად დაწვეს. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაგვეშვა სისხლისღვრა.

**ყირიმი თავს იცავდა. მზად იყო მოვლენების არასასურველი განვითარებისთვის.**

**პუტინი:** —სიტუაციის ფოკუსი ისაა, რომ **ოპოზიციას ფორმალურად მხარს უჭერდნენ ევროპელები, მაგრამ ჩვენ შესანიშნავად ვიცოდით, კი არ ვვარაუდობდით, არამედ — ვიცოდით, რომ თოჯინებს რეალურად ათამაშებდნენ ჩვენი ამერიკელი პარტნიორები, მეგობრები. ისინი ეხმარებოდნენ საბრძოლო რაზმების მომზადებაში, წვრთნიდნენ დასავლეთ უკრაინაში, პოლონეთში, ნაწილობრივ — ლიტვაში.**

**«ოპოზიციას ფორმალურად მხარს უჭერდნენ ევროპელები, მაგრამ ჩვენ შესანიშნავად ვიცოდით, კი არ ვვარაუდობდით, არამედ — ვიცოდით, რომ თოჯინებს რეალურად ათამაშებდნენ ჩვენი ამერიკელი პარტნიორები, მეგობრები. ისინი ეხმარებოდნენ საბრძოლო რაზმების მომზადებაში, წვრთნიდნენ დასავლეთ უკრაინაში, პოლონეთში, ნაწილობრივ — ლიტვაში»**

რას იქმოდნენ ჩვენი პარტნიორები?

ხელს უწყობდნენ სახელმწიფო გადატრიალების განხორციელებას, ანუ დაიწყეს ძალის პოზიციიდან მოქმედება. არა მგონია, რომ ეს არის საერთაშორისო ასპარეზზე საქმის წარმართვის საუკეთესო საშუალება საერთოდ, კერძოდ კი, — პოსტსაბჭოთა პერიოდის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ, სუსტ სახელმწიფოთა მიმართ, ფრთხილად უნდა მოვეპყროთ მათ სახელმწიფოებრიობას, კონსტიტუციას, სამართლის სისტემას. ეს ყველაფერი არად ჩააგდეს, ფეხქვეშ გათელეს. შედეგები, ხომ ხედავთ, რა მძიმეა, ნაწილი *(უკრაინის მოსახლეობის)* დაეთანხმა ამ რეალობას, ნაწილს კი არ სურს ამის აღიარება. ქვეყანა გახლეჩილი აღმოჩნდა.

**მაიდნის შემდეგ უკრაინას ტექნოლოგიურად ხლეჩდნენ ისეთი ინსტრუქციების მიხედვით, რომლებშიც სისხლიც კი რეგლამენტირებული იყო. „რევოლუციური ბრბო“ კარგად იყო ორგანიზებული.**

**პუტინი:** — ვიდრე დაიწყებდნენ ისეთ მოქმედებას, როგორიც 22 თებერვალს განახორციელეს, უნდა გაეთვალათ შედეგები... ანგარიში უნდა გაეწიათ მათი პარტნიორების სამართლიანი ინტერესებისთვის, თუ სურდათ, ერთმანეთს პატივისცემით მოვპყრობოდით. როცა ისტორიულ უსამართლობაზე ვლაპარაკობთ, უნდა ვთქვათ, რომ სევასტოპოლი ყოველთვის რუსული დიდების ქალაქი იყო და ასეც ვუწოდებდით... ყველაფერი თავდაყირა დააყენეს.

**რუსეთის ისტორიაში არ არის სხვა ასეთი ქალაქი, რომლისთვისაც ამდენი სისხლი დაიღვარა.**

**სწორედ ამ ქალაქში გახდა შესაძლებელი, მერად რუსეთის მოქალაქე ალექსეი ჩალოვი აერჩიათ.**

**პუტინი:** — რუსეთის მოქალაქის შეგნებაში ყირიმი ასოცირდება ჩვენი ისტორიის გმირულ ფურცლებთან... რუსეთის მთელი ისტორიის ქსოვილი მეტ-ნაკლებად ყირიმთანაა გადახლართული.

**შექმნილ სირთულეში განსაკუთრებით მწვავედ გამოიკვეთა ყირიმელი თათრების პრობლემა.**

**პუტინი:** — ყირიმელი თათრების ნაწილი თავიანთი ლიდერების გავლენის ქვეშ მოექცა, მათგან ზოგიერთი, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, ადამიანის, ყირიმელი თათრების უფლებათა „პროფესიონალი დამცველია“. ასეთი სიტუაცია მათთვის მაინცდამაინც კომფორტული არ იყო, რადგან გარიყულები აღმოჩნდნენ.

ყირიმელი თათრები ერთგვაროვანი მასა არ არის... მათ შორის არიან მოხალისეები, რომლებიც ფრიად ენერგიულად მოქმედებდნენ და რომელთაც დასაყრდენი ჰქონდათ მოსახლეობაში.

ჩვენ არავისი განაწყენება არ გვსურს — არც ყირიმელი თათრების, რომლებიც იქ ცხოვრობენ, არც ბერძნების, არც რუსების, არც უკრაინელების. გვინდა, რომ ერთიან ოჯახად იყვნენ წარმოდგენილი. მიგვაჩნია, რომ ყირიმელი თათრების ისტორიული პრობლემები უნდა გადავწყვიტოთ იმ ადამიანებთან ერთად, რომლებიც იქ ცხოვრობენ. ჩვენ მათ ეთნიკური პრინციპით არ განვასხვავებთ. სასიამოვნოდ განცვიფრებული დავრჩი, როცა იმ დღეებში ყირიმელებთან საუბრისას ვკითხე, რამდენი იყო მათ შორის უკრაინელი, თვალები გაუფართოვდათ: იცით, ჩვენ მათ არ განვასხვავებთ, ყველანი ერთი ოჯახის წევრები ვართო.

**ყირიმელთა სახალხო მოხალისეობა შვიდიოდე დღეში ჩამოყალიბდა.**

**2014 წლის 25 თებერვალს სიმფეროპოლში გამართულ სახალხო მიტინგზე გადაწყდა, რომ ყირიმი უკრაინის ხელისუფლებას არ დაემორჩილებოდა...**

**როცა ერთ მომენტში მოხალისეთა უიარაღო რაზმს, რომელიც სიმფეროპოლის აეროპორტში შევა და ადგილობრივი ძალოვანი სტრუქტურის რაზმელების მხრიდან უეჭველი განადგურება დაემუქრება, სულზე მიუსწრებენ სევასტოპოლიდან შემოსული რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ქვეითების სპეცრაზმელები: „ისინი იყვნენ ზრდილობიანი „მწვანე კაცუნები“, — იხსენებს მოხალისეთა რაზმის მეთაური.**

**რამდენიმე წუთში საზღვაო ქვეითებმა ყველა სტრატეგიული პოზიცია დაიკავეს ისე, რომ სიმფეროპოლის საერთაშორისო აეროპორტის არც მგზავრებს, არც პერსონალს არაფერი გაუგია.**

**პუტინი:** — **ჩვენ არასოდეს გვიფიქრია, ჩამოგვეცილებინა ყირიმი უკრაინისთვის. არასოდეს. მაგრამ, როცა დაიწყო გადატრიალებასთან დაკავშირებული მოვლენები, ხელისუფლების ანტიკონსტიტუციურად და ძალადობრივად შეცვლის გზით, ხალხს კი ნაციონალისტების მხრიდან დამცირების საშიშროება დაემუქრა, პირველი, რაც გავაკეთე, პრეზიდენტის ადმინისტრაციას დავავალე, მოეწყო საზოგადოებრივი აზრის დახურული გამოკითხვა რუსეთთან ყირიმის შესაძლო შემოერთების საკითხზე. გაირკვა, რომ რუსეთთან შემოერთების მსურველთა რაოდენობა იქ 75 პროცენტია...** საბოლოო მიზანი

მსოფლიო



## ნატოს გენერალი: აშშ-ს მოუწევს შეგუება იმასთან, რომ რუსეთი წინ გაიჭრა

**ნატოს გაერთიანებული სამხედრო ძალების ყოფილი მთავარსარდლის — უესლი კლარკის განცხადებით, რუსეთსა და აშშ-ს შორის ფსიქოლოგიურ ომში ვლადიმერ პუტინი ლიდერობს, რომელიც ცდილობს, თავიდან აიცილოს მის წინააღმდეგ მიმართული ვაშინგტონის მოქმედებები.** „ჩვენ გველის შეიარაღებისკენ რბოლა და უნდა შევეგუოთ, რომ რუსეთი, ვლადიმერ პუტინის მეთაურობით, წინ გაიჭრა“, — განაცხადა ნატოს ყოფილმა მთავარსარდალმა „სი-ენ-ენ“-ის ეთერში.



# მარტში სიტუაცია მკვეთრად იცვლება: ნატოს წევრი ქვეყნები იწყებენ სამხედრო სწავლებას შავ ზღვაზე: რუმინეთის ნაპირებთან მიდის ამერიკული საესკადრო ნაღმოსანი, ყირიმისკენ დაიძრება ფრთიანი რაკეტებით აღჭურვილი აშშ საზღვაო სამხედრო ძალების ნაღმოსანი „დონალდ კუკი“. მაშინ არავინ იცოდა, რომ ცოტა ადრე რუსეთის შავი ზღვის ნაპირებიდან ყირიმში გადაიტანეს რაკეტების სანაპირო თავდაცვის კომპლექსი „ბასტიონი“.

ქრონიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

არც ყირიმის შემოერთება იყო, არც ანექსია. საბოლოო მიზანი იყო, ადამიანებისთვის მიგვეცა შესაძლებლობა გამოეხატათ თავიანთი აზრი იმის თაობაზე, თუ როგორ აპირებენ მომავალში ცხოვრებას...

მინდა, გითხრათ, რომ საჭირო გახდა ფედერაციის საბჭოს ნებართვის გამოყენება უკრაინაში ჩვენი ჯარის შესაყვანად. არ მითვალთმაქცია, რადგან შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების მიხედვით, უფლება გვქონდა ყირიმის ჩვენს სამხედრო ბაზაზე გვყოლოდა 20 ათასი კაცი, ცოტა მეტიც კი. დამატებითი ძალების შეყვანით ჩვენ 20 ათასიც კი ვერ შევაგროვეთ... ასე რომ, არაფერი დაგვირღვევია.

**პუტინი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ უნდა უზრუნველეყოთ ხალხის წარმომადგენლობითი ხელისუფლების — ყირიმის პარლამენტის ფუნქციონირების უსაფრთხოება.**

**პუტინი:** — თქვენი ყურადღება მინდა, მივაქციო იმ გარემოებას, რომ ყირიმის პარლამენტი იყო აბსოლუტურად ლეგიტიმური, სრულფასოვანი, წარმომადგენლობითი სახელისუფლო ორგანო, რომელიც ჩამოყალიბდა ტრაგიკული მოვლენების განვითარებამდე კარგა ხნით ადრე. ეს ხალხი შეიკრიბა, კენჭი უყარა და აირჩია ყირიმის მთავრობის ახალი თავმჯდომარე სერგეი ვალერის ძე აქსიონოვი. იმ მომენტისთვის იურიდიულად მოქმედმა პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა იგი დაამტკიცა. უკრაინაში მოქმედი კანონის თვალსაზრისით ყველაფერი აბსოლუტურად დაცულია. რა თქმა უნდა, შეიძლება ილაყბონ, და როგორც სურთ, ისე შეაფასონ ეს მოვლენები, მაგრამ თუ სამართლებრივი კუთხით მივუდგებით, ხინჯს ვერ მოუძებნიან. ადამიანებისთვის საქმიანობის უსაფრთხო პირობების შესაქმნელად, იმისთვის, რომ მათ შიში არ ჰქონოდათ საკუთარი ოჯახების დაუცველობის, ჩვენ ეს გავაკეთეთ.

**მხოლოდ მას შემდეგ, რაც პარლამენტის შენობაში და მის გარშემო „მწვანე და ზრდილობიანმა“ კაცებმა დაიკავეს პოზიციები, პარლამენტარებს შესაძლებლობა მიეცათ მშვიდად გაეგრძელებინათ მუშაობა.**

**ყირიმში ჩავიდნენ კაზაკი მოხალისეებიც, რომლებიც თავდაპირველად ანდრია პირველწოდებულის ეკლესიამ შეიფარა.**

**უკრაინის მხრიდან „გრადები“ მიადგა ყირიმის საზღვარს.**

**პუტინი:** — ეს დავაფიქსირეთ საჰაერო თავდაცვის საშუალებებით... იძულებული გავხდით, დაგვეყენებინა ჩვენი სისტემები, რომლებითაც, თუ საჭირო გახდებოდა, პირველივე გასროლით მათ *(უკრაინულ „გრადებს“)* გავანადგურებდით...

## «ბასტიონი“ ისეთი რაკეტებითაა აღჭურვილი, რომლებიც დღეს არსებული ანტისარაკეტო რადარებისთვის უხილავია. მიზანს ასპროცენტიანად ანადგურებს. ამერიკული ნაღმოსანი თავდაჯერებულად მიიწევდა ყირიმისკენ და მზად იყო, თავისი «ტომაჰავკებით» ნახევარკუნძულის გასანადგურებლად. და უცებ, სევასტოპოლს მიახლოებული «დონალდ კუკი», «ბასტიონის» რუსული რაკეტების გამოსხივება რომ იგრძნო, მკვეთრად შებრუნდა სამხრეთისკენ და მაქსიმალური სისწრაფით ბოსფორისკენ გაემართა»




ყირიმი რაღაც გაურკვეველი ტერიტორია კი არ არის, არამედ ისტორიულად რუსული, რუსეთის ტერიტორიაა, ძირითადად რუსი მოსახლეობით. იძულებული ვიყავით ასე გვემოქმედა იმიტომ, რომ მან *(უკრაინის ხელისუფლებამ)* ასეთ მდგომარეობაში ჩაგვაგდო. არჩევანის საშუალებაც კი არ დაგვიტოვა: ჩვენ უნდა დაგვეცვა ეს ადამიანები.

**გადამწყვეტი ფაქტორი იყო დრო. სისხლი რომ არ დაღვრილიყო, რუსეთის მხარე ყოველთვის ერთი ნაბიჯით წინ უნდა ყოფილიყო.**

**მარტში სიტუაცია მკვეთრად იცვლება: ნატოს წევრი ქვეყნები იწყებენ სამხედრო სწავლებას შავ ზღვაზე: რუმინეთის ნაპირებთან მიდის ამერიკული საესკადრო ნაღმოსანი, ყირიმისკენ დაიძრება ფრთიანი რაკეტებით აღჭურვილი აშშ საზღვაო სამხედრო ძალების ნაღმოსანი „დონალდ კუკი“. მაშინ არავინ იცოდა, რომ ცოტა ადრე რუსეთის შავი ზღვის ნაპირებიდან ყირიმში გადაიტანეს რაკეტების სანაპირო თავდაცვის კომპლექსი „ბასტიონი“.**

**კონდრაშოვი: — ესეც თქვენ გადაწყვიტეთ?**

**პუტინი:** — დიახ. ამას უმაღლესი მთავარსარდლის მეტი სხვა ვერავინ გადაწყვეტდა. „ბასტიონი“ თავდაცვითი კომპლექსია, რომელიც იცავს ნაპირს, ტერიტორიას და არავის თავს არ ესხმის. მაგრამ იგი თანამედროვე, მაღალეფექტიანი იარაღია. ასეთი იარაღი ჯერ არავის აქვს, შეიძლება ითქვას დღეისთვის მთელ მსოფლიოში ყველაზე უფრო ეფექტიანი იარაღია. „ბასტიონი“ გადავიტანეთ ყირიმში, რათა ყველასთვის საცნაური ყოფილიყო, რომ ნახევარკუნძული სათანადოდაა დაცული.

კომპლექსები ისე განვალაგეთ, რომ კოსმოსიდან დაენახათ.

**„ბასტიონი“ ისეთი რაკეტებითაა აღჭურვილი, რომლებიც დღეს არსებული ანტისარაკეტო რადარებისთვის უხილავია. მიზანს ასპროცენტიანად ანადგურებს.**

**ამერიკული ნაღმოსანი თავდაჯერებულად მიიწევდა ყირიმისკენ და მზად იყო, თავისი „ტომაჰავკებით“ ნახევარკუნძულის გასანადგურებლად. და უცებ, სევასტოპოლს მიახლოებულ „დონალდ კუკი,“ „ბასტიონის“ რუსული რაკეტების გამოსხივება რომ იგრძნო, მკვეთრად შებრუნდა სამხრეთისკენ და მაქსიმალური სისწრაფით ბოსფორისკენ გაემართა: იგრძნო, რომ მიზანში იყო ამოღებული და ნებისმიერ მომენტში შეიძლება თავდასხმის ობიექტი გამხდარიყო.**

**კონდრაშოვი: — დასავლეთის ლიდერებთან საუბრის დროს თუ იყო თქვენთვის თავიდანვე გასაგები, რომ ისინი ამ ისტორიაში სამხედრო ძალით არ ჩაერეოდნენ?**

**პუტინი:** — არა, რა თქმა უნდა. არ შეიძლებოდა, ეს რომ თავიდანვე გასაგები ყოფილიყო. ამიტომ მუშაობის პირველსავე ეტაპზე იძულებული ვიყავი, სათანადო ორიენტაცია მიმეცა ჩვენი შეიარაღებული ძალებისთვის. პირდაპირ მიმეთითა, მებრძანებინა რუსეთისა და ჩვენი შეიარაღებული ძალების შესაძლებელი მოქმედების თაობაზე მოვლენების ნებისმიერი განვითარების შემთხვევაში.

**კონდრაშოვი: — ის, რასაც ახლა ამბობთ, ნიშნავს თუ არა, რომ ჩვენ საომარ მდგომარეობაში მოვიყვანეთ ჩვენი ბირთვული ძალები?**

**პუტინი:** — ჩვენ მზად ვიყავით ამის გასაკეთებლად. ჩემს *(დასავლელ)* კოლეგებს რომ ველაპარაკებოდი, ვეუბნებოდი, როგორც თქვენ ახლა, სრულიად გულწრფელად და დაუფარავად, რომ ყირიმი რუსული ტერიტორიაა, იქ ცხოვრობენ რუსი ადამიანები, რომლებსაც საშიშროება დაემუქრა, ჩვენ არ შეგვიძლია მათი მიტოვება. მათ სახელმწიფო გადატრიალება არ მოუხდენიათ. ეს გააკეთეს ნაციონალისტებმა და რადიკალური შეხედულების მქონე ადამიანებმა. თქვენ მათ მხარი დაუჭირეთ.

თქვენ სად იმყოფებით? — ათასობით კილომეტრს იქით, ჩვენ კი აქ ვართ. ეს ჩვენი მიწა-წყალია. თქვენ რისთვის გსურთ იომოთ? არ იცით? ჩვენ კი ვიცით და საამისოდ მზად ვართ. ეს პატიოსანი და ღია პოზიციაა...

არა მგონია, ვინმეს სურდა ამ ყველაფრის მსოფლიო კონფლიქტად გადაქცევა. ჩვენ არ ვაპირებდით ცეცხლთან თამაშს, გვაიძულეს, ასე გვემოქმედა. ვიმეორებ: მზად ვიყავით ყველაზე არასასურველი მოვლენების სათანადოდ დასახვედრად, მაგრამ მიმაჩნდა, რომ საქმე აქამდე არ მივიდოდა. სიტუაციის ზედმეტად გამძაფრება საჭირო არ იყო.

**იმ დღეებში ზოგიერთი სამხედრო სპეციალისტი ვლადიმირ პუტინს, როგორც უმაღლეს მთავარსარდალს ურჩევდა, გამოეყენებინა ყველა არსებული საშუალება იმის სადემონსტრაციოდ, რომ რუსეთი მზად არის თავისი ეროვნული ინტერესების დასაცავად.**

**პუტინს უპასუხია, რომ სიტუაციის სირთულისა და დრამატიზმის მიუხედავად, „ცივი ომი“ დამთავრდა და საჭირო არ იყო კარიბის კრიზისის მსგავსი საერთაშორისო კრიზისების ხელოვნურად შექმნა, მით უფრო, რომ ასეთი მოქმედება რუსეთის ინტერესებისთვის შეუსაბამო იქნებოდა. ხოლო ბირთვული შემოტევის შემაჩერებელი ძალები ყოველთვის სრულ საომარ მზადყოფნაშია.**

საგაზეთო ვარიანტი
მოამზადა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. ამასობაში „დონალდ კუკის“ რამდენიმე ათეულმა მეზღვაურმა მეთაურებს გათავისუფლების შესახებ პატაკებით მიმართა. ამის მიზეზად პრესის პუბლიკაციებში სხვა საკითხებთან ერთად დასახელებული იყო რუსული „სუ-24“, რომელმაც საშიშ სიმაღლეზე გადაუფრინა სამხედრო გემს: ნაღმოსნის ეკიპაჟი ისედაც საკმაოდ იყო დამფრთხალი რუსული „ბასტიონის“ რაკეტებით.**



## ელენა ბონდარენკო: სააკაშვილი ჩვენს მთავრობას ასწავლის, თუ როგორ ღეჭონ ჰალსტუხი

**უკრაინის უმაღლესი რადას ყოფილი დეპუტატი ელენა ბონდარენკო სოციალურ ქსელში მიხეილ სააკაშვილის შესახებ წერს:** „უკვე მესმის, რისთვის სჭირდება ჩვენს ქვეყანას სააკაშვილი! ის ყოველი მძიმე დღის შემდეგ, საღამოობით მინისტრთა კაბინეტს და პრეზიდენტის ადმინისტრაციას ასწავლის, თუ როგორ ღეჭონ ჰალსტუხი!“



## ჯონ მაკკეინს რუსეთში ჩასვლა აუკრძალეს

**რუსეთმა ამერიკელ სენატორ ჯონ მაკკეინს რუსეთში ჩასვლა აუკრძალა. გავრცელებული ცნობით, მოსკოვმა შეიმუშავა 200-კაციანი შავი სია.** მაკკეინის გარდა, აღნიშნულ სიაში აშშ-ის პრეზიდენტის მრჩევლის მოადგილე ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში — კაროლინ ატკინსონი, სენატის დემოკრატიული პარტიის ლიდერი — ჰარი რეიდი, წარმომადგენელთა პალატის სპიკერი — ჯონ ბონერი და სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე — რობერტ მენენდესი მოხვდნენ. მათ წინააღმდეგ დაწესდება სავიზო და ფინანსური სანქციები. „ჩვენ არ გვაქვს განსაკუთრებული სურვილი დასავლეთის მიერ წამოწყებულ თამაშებს ავყვეთ, მაგრამ, თუ ისინი შეინარჩუნებენ ჩვენ წინააღმდეგ სანქციებს, ახალ შავ სიას შევიმუშავებთ“, — განუცხადა „იზვესტიას“ კრემლის წყარომ.



## ბესარიონ გუგუშვილი: ნაცხროვამ 15 ათასზე მეტი ვერ მოხიკა



**საქართველოს პირველი პრეზიდენტის — ზვიად გამსახურდიას მთავრობის პრემიერმინისტრი ბესარიონ გუგუშვილი სოციალურ ქსელში წერს, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გუშინდელ აქციაზე 15 000-ზე მეტი მხარდამჭერის მობილიზება ვერ შეძლო.**

„გაჭედილობაში — კვ.მ-ზე 3 ადამიანი, ანუ გაჭედილ მოედანსა და მისასვლელ ქუჩებზე დაეტევა 60ათასი. საკუთრივ მოედანი 12 ათასი კვ.მ. — ჭედვით მაქს. 40 ათასი — სუნთქვა რომ გაჭირდება ისე. სურათზე საშუალოდ 3 კვ.მ-ზე 1 ადამიანი დგას (კაცი არც ერთი)... — ანუ სულ მაქს. 10-12 ათასია. რაც სურათზეა მაგ ადამიანებით, სრული ფიასკოა! — ნაცხროვამ 15ათასზე მეტი ვერ მოხიკა!.. პარიზში პედარასტების წინააღმდეგ მილიონ კაცზე მეტი გამოვიდა“, — წერს გუგუშვილი.

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ გეოპოლიტიკურ სიბრმავეს, ანუ აშშ-ნატოსადმი მონურ ტრფიალს განვაგრძობთ, საქართველოს ტერიტორიების დაკარგვაც გაგრძელდება. იუგოსლავიის 7 სახელმწიფოდ დამშლელი აშშ-ის იმედი გაქვთ, ვაინაციონალებთან ერთად, თავგამოდებით რომ ჰმონებთ, ბატონო პრეზიდენტო?!**

# ღია წერილი ბატონ გიორგი მარგველაშვილს!

**ბატონო პრეზიდენტო!**
**პარლამენტში თქვენი მოხსენებით გამოსვლისას, ვისურვებდი, ქართველი პაასიკივის როლში გიხილოთ, რასაც ობიექტურად ჩამოყალიბებული საქართველოს გეოპოლიტიკური კანონზომიერება სასიცოცხლოდ მოითხოვს! ამ მოთხოვნას მე, პოლიტოლოგი, ვახმიანებ, რადგან საქართველოს გეოგრაფიულ სივრცეს მეტყველება არ შეუძლია. თუ ქართველი პაასიკივის მისიას იკისრებთ, ეს იქნება საქართველოს თავდაღწევა ხანგრძლივი გეოპოლიტიკური სიბრმავიდან; შევაჩერებთ ქვეყნის შემდგომ დაშლას და ტერიტორიული გამთლიანების რეალურ პერსპექტივასაც ხელს შევუწყობთ.**



ბატონო პრეზიდენტო! შეგახსენებთ, რომ **იუჰო კუსტი პაასიკივი** (1870-1956) უკვე ხანდაზმული და დიდი გამოცდილების მქონე პოლიტიკური მოღვაწე, 1946-1956 წლებში ფინეთის პრეზიდენტი იყო; იმ ფინეთისა, რომელიც ფაშისტურ გერმანიასთან სამხედრო ბლოკში მყოფი მასთან ერთად ჩაება 1941-1945 წლების ომში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ფინეთმა, რომელსაც 1300-კილომეტრიანი საზღვარი ჰქონდა სსრ კავშირთან, გერმანიასთან ერთად დამარცხების მწარე გაკვეთილები იწვნია. **პაასიკივიმ თავისი პრეზიდენტობის პირველივე წლებში დაარწმუნა პოლიტიკური წრეები, რომ უშუალო მეზობელ დიდ ქვეყანასთან — საბჭოთა კავშირთან, საჭირო იყო კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება.** ომის დამთავრებიდან 3 წლის შემდეგ, 1948 წელს, ფინეთის სეიმში, ანუ პარლამენტში ვრცელი გამოსვლისას პაასიკივი საბჭოთა კავშირთან ჩარჩო ხელშეკრულების მომზადების ინიციატივით გამოვიდა. აქ, ბატონო პრეზიდენტო, პაასიკივის გამოსვლიდან (რუსულ ენაზე) გაახლებთ ამონარიდს, რომელშიაც ნათქვამია: „По моему убеждению, в коренных интересах нашего народа проводить впредь внешнюю пропитку так, чтобы она не была направлена против Советского Союза“ („Линия Паасикиви“, М., 1958,с. 170).

„მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება“ ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ძალაში იმავე 1948 წელს შევიდა. მოგვიანებით, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, **ფინეთმა უარი თქვა ნატოს სამხედრო-პოლიტიკურ გაერთიანებაზე და ასეთ პოზიციას დღემდე ინარჩუნებს, რამეთუ კარგად იცის, რომ ნატო ამჟერადაც რუსეთის წინააღმდეგაა მიმართული.**

პაასიკივიმ შესანიშნავად შეიმეცნა ფინეთის გეოპოლიტიკური კანონზომიერება, იმოქმედა მისი კარნახით და ქვეყანაც მრავალმხრივ მოგებული აღმოჩნდა; ფინეთმა არა მხოლოდ ბაზარი მოიპოვა თავისი პროდუქციის საბჭოთა კავშირში სარეალიზაციოდ, არამედ დასაქმების საშუალებაც მურმანსკის ოლქის ტერიტორიაზე, სადაც მისი კვალიფიციური მუშა-ხელი ნაყოფიერად მოღვაწეობდა.

პაასიკივის შემდეგ აღნიშნული ხელშეკრულება კიდევ უფრო გააფართოვა ახალმა პრეზიდენტმა **ურჰო კალევა კეკკონენმა** და იგი დიპლომატიის ისტორიაში **პაასიკივი-კეკკონენის** ხაზის სახელით შევიდა.

**საქართველო კი რა განსაცდელშია, ბატონო პრეზიდენტო? მისი ხელისუფალნი, ოპოზიციის უმრავლესობა და მათ მიერ გაბრიყვებული ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილი, უკვე დიდი ხანია, გეოპოლიტიკურ სიბრმავეშია მოქცეული. ამ საშინელი სენით აშშ-დასავლეთმა დაგვაავადა და თავს ტრაგედიათა მრავალსერიალი დაგვატეხა. გეოპოლიტიკური დაბრმავების შედეგია ის, რომ დღემდე ვერ გავიგეთ, სად მდებარეობს ჩვენი ბედგამწყრალი საქართველო და ისეთ საგარეო-პოლიტიკურ კურსს ვატარებთ, თითქოს იგი სადღაც ბისკაის ყურეში, ესპანეთ-საფრანგეთის საზღვრებთანაა მოთავსებული და არა სამხრეთ კავკასიაში — რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ირანის სამეზობლოში.**

თუ გეოპოლიტიკურ სიბრმავეს, ანუ აშშ-ნატოსადმი მონურ ტრფიალს განვაგრძობთ, საქართველოს ტერიტორიების დაკარგვაც გაგრძელდება. იუგოსლავიის 7 სახელმწიფოდ დამშლელი აშშ-ის იმედი გაქვთ, ვაინაციონალებთან ერთად, თავგამოდებით რომ ჰმონებთ, ბატონო პრეზიდენტო?

**არ მოგერიდებით და ბევრ საყვედურს გაახლებთ, რამეთუ თქვენ კარგად იცით, როგორ დავაღწიოთ თავი გეოპოლიტიკურ სიბრმავეს, როგორ შევაჩეროთ ქვეყნის შემდგომი დაშლა, მაგრამ ამას არ აკეთებთ.** არადა, ჯავახეთელი სომხების ერთ-ერთი ლიდერი **აღასი არაბიანი** გვემუქრება და გვაფრთხილებს: **„თუ საქართველო ნატოში გაერთიანდება, ჩვენ დავიწყებთ მოძრაობას ჯავახეთის საქართველოდან გამოსაყოფად!“** (გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, 2012, №13, გვ. 11). ჯავახეთის სამი რაიონი — ახალქალაქის, ასპინძის, ნინოწმინდის — აჭარის ტერიტორიას აღემატება, თანაც მოსახლეობის უმრავლესობა ეთნიკური სომეხია. **ადვილი შესაძლებელია, იქ თავს მოგვახვიონ ყირიმის მსგავსი რეფერენდუმი და ჩვენთვის ტრაგიკული შედეგი მივიღოთ.**

სწორედ დღევანდელ საქართველოზეა ზედგამოჭრილი ცნობილი ხალხური სიბრძნე: „რაც მოგივა დავითაო, ყველა — შენი თავითაო!“. არ მეთანხმებით, ბატონო პრეზიდენტო?

**ბატონო გიორგი! ანგლო-საქსების ნაშიერი აშშ თავისი ვერაგული მიზნების სხვისი ხელით აღსრულების დიდოსტატია. მოსყიდვა, შეთქმულება, პოლიტიკური ტერორი, სახელმწიფო გადატრიალებები, „ფერადი რევოლუციები“ მისი მოგონილია; ამისათვის მილიარდებს არ იშურებს; სადაც დოლარების ძალა არ გადის, იქ სისხლისღვრას არ ერიდება — როგორც, მაგალითად, იუგოსლავიაში, სადაც აღდგომას, 1999 წლის გაზაფხულზე, უმოწყალოდ ბომბავდა მართლმადიდებლურ ეკლესიებს, სკოლებს, სხვა სამშვიდობო ობიექტებს. სისხლიანი ორგიები ერაყში, ლიბიაში, ავღანეთში და ა.შ. მხოლოდ აშშ-ის ნახელავია. 2008 წლის აგვისტოში ცხინვალის ომის პროვოცირება, ბოლოს კიევის სისხლიანი მაიდნის ორგანიზება, რომელსაც 5 მილიარდი დოლარი დაახარჯა, ასევე აშშ-ის დამსახურებაა. ამერიკამ გეოპოლიტიკური სიბრმავით უკრაინაც დაასნეულა, რომელიც დღეს სავალალო შედეგებს იმკის.** ცნობილმა თბილისელმა ფოტოხელოვანმა **იური მეჩითოვმა** მართებულად შენიშნა: „სულ მეგონა, რომ ჩვენზე სულელი ხალხი არ არსებობდა, თუმცა უკრაინის მაგალითზე დავრწმუნდი, რომ თურმე ჩვენზე სულელებიც არსებობენ“ (გაზ. „საქართველო და მსოფლიო“, 2014, №34, გვ.4).

გასული წლის სექტემბერში, გაეროში გამოსვლისას, აშშ-ის პრეზიდენტმა რუსეთს აგრესორი უწოდა. ამაზე ითქმის: „ჩემი შენ გითხარი, — გული მოგიკალი“. მსოფლიოს ყველა კუთხეში სისხლისმნთხეველი აშშ, რომლის სამხედრო ბაზები უმრავლეს ქვეყნებში უხვადაა მოფენილი — მშვიდობის მტრედი ყოფილა, ხოლო რუსეთი, რომელიც აშშ-ნატოს ძალმომრეობისგან თავს იცავს, თურმე აგრესორია.

ბატონო პრეზიდენტო! თქვენს საყურადღებოდ ხაზგასმით ვაცხადებ:

დღეს აშკარად გამოკვეთილი, მიზანმიმართულად მუდმივმოქმედი აგრესიული ძალა, რომელიც მიისწრაფვის, კლანჭებში მოიქციოს მსოფლიო, არის აშშ. იგი თავისი ნატოთი ვერაგულად იჭრება აღმოსავლეთისკენ, ზედ რუსეთის საზღვრებთან; მე-19 საუკუნის გერმანელთა მსგავსად, მიმართავს „დრანგ ნახ ოსტენის“ პოლიტიკას. ასეთ დროს რუსეთი ცდილობს, თავის უშუალო სამეზობლოში აშშ-ნატოს დამკვიდრება არ დაუშვას. ამ ამოცანის აღსრულების გზაზე მას აშკარად აიძულებენ, ზოგჯერ აგრესიული ილეთებიც გამოიყენოს, როგორც, მაგალითად, საქართველოსა და უკრაინაში; შემედავეთ, ბატონო გიორგი!

მიზანმიმართულ აგრესორსა და იძულებით აგრესორს შორის დიდი განსხვავებაა, ბატონო პრეზიდენტო!

გაეროს ეგიდით ცხინვალში მყოფი მშვიდობისმყოფელები რომ დახოცა, ამით სააკაშვილი საერთაშორისო დამნაშავედ იქცა, მაგრამ ამ დამნაშავემ აშშ-ის საქმეები აკეთა და მას, ნიკარაგუელი სომოსას მსგავსად, თავის „ძაღლიშვილად“ მიიჩნევს, კბილებით იცავს. ხომ დაინახეთ, ბატონო პრეზიდენტო, როგორ დაგისვეს ევროპარლამენტში ცხვირწინ, პრესტიჟულ ადგილზე. თქვენ არ გეყოთ გამბედაობა, ამის გამო მცირე საყვედური მაინც გამოგეთქვათ. გეტყვით, რომ გაკლიათ პრინციპულობა, ნაკლებად გამოხატავთ საკუთარ მეს; საქართველოს ღირსების დაცვა იმ დღეს თქვენ ვერ შეძელით! დასანანია.

რუსეთი მზადაა, იყოს საქართველოს სამხედრო ნეიტრალიტეტის დაცვის გარანტი, — ამის შესახებ ყოფილმა ელჩმა ვ. კოვალენკომ 2006 წლის ბოლოს და 2007 წლის დასაწყისში ჩვენს ჟურნალისტებს არაერთხელ განუცხადა. **თუ ფინეთმა, რომელიც ორჯერ იყო საომარ მდგომარეობაში რუსეთთან, მალე მოახერხა გეოპოლიტიკური სიბრმავიდან გამოსვლა და მასთან ურთიერთთანამშრომლობის, მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება გააფორმა, ჩვენ რა უბედურება გვჭირს? ასე როგორ დავემონეთ აშშ-ნატოს, რითაც საკუთარი მიწა-წყლის 20 პროცენტი დავკარგეთ. რას ფიქრობთ, ბატონო პრეზიდენტო, როდემდე ვიცხოვროთ გეოპოლიტიკურ სიბრმავეში?**

ერთ რჩევას გაძლევთ:

მოიხმეთ ყველაზე თავგახურებული ნატოელები – ალასანია, პეტრიაშვილი, ბარამიძე, ბაქრაძე, სხვები და სხვები და ხანგრძლივი დროით მიავლინეთ ბრიუსელში. დაე, იქ, ნატოს შტაბ-ბინის ფანჯრებთან, სერენადები იმღერონ, რამეთუ მათ, ეგ წყეული ნატო, ჩვენი მტერი და დამაქცეარი, მზეთუნახავი ქალწული ჰგონიათ, ქართული სახელით — ნატო.

ბატონო პრეზიდენტო, საოცარია, მაგრამ აუცილებელი ჭეშმარიტება, რომ გეოგრაფიული სივრცის კანონზომიერებაში, უშიშროება-უსაფრთხოების თვალსაზრისით, მის დანიშნულებაში დღეს ძაღლები უფრო უკეთ ერკვევიან, ვიდრე ჩვენი ხელისუფალნი, ოპოზიციური პოლიტიკოსები, ჩემი კოლეგა პოლიტოლოგ-ისტორიკოსთა დიდი ნაწილი და ა. შ. ხშირად შემიმჩნევია, თავისი ეზო-კარმიდამოდან როგორი თავგამეტებით უყეფს ძაღლი მეზობელ კარმიდამოში შესულ უცხო პიროვნებას. ამის შემდეგ რატომ გიკვირთ, როცა რუსეთი თავგამეტებით ეწინააღმდეგება ნატოს გამოჩენას საქართველოს, უკრაინის და სხვა მეზობელი ქვეყნების გეოგრაფიულ სივრცეში?

რუსეთის მოძულე მავანისაგან ხშირად გაიგონებთ, კრემლის მონა ვიყავითო; სიცრუეა — **არავითარი მონა ჩვენ არ ვყოფილვართ. აი, დღეს კი ერთბაშად ოთხი ბატონის — ვაშინგტონის, სტრასბურგის, ბრიუსელის, ვენეციის კომისიის მონად ვიქეცით. ისინი კანონმდებელ-განმკარგულებელი ფუნქციებით არიან აღჭურვილნი, ხოლო ქვეყნის შიგნით ჩვენი ხელისუფლების სამივე განშტოება მონამორჩილ აღმასრულებელთა ფუნქციებს ასრულებენ.**

რიჩარდ ნორლანდი არა მხოლოდ ელჩი, არამედ საქართველოს გენერალ-გუბერნატორიცაა, რომელიც ყველგან და ყველაფერში კანონმდებელია; აქსიომური ჭეშმარიტებაა ეს და მტკიცებას არ საჭიროებს.

გირჩევთ, ბატონო პრეზიდენტო:

1. იზრუნეთ რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობის აღდგენაზე, რომელიც სასიცოცხლოდ აუცილებელია; დაელაპარაკეთ რუსეთის პრეზიდენტს;

**2. ყოველგვარი წინაპირობის გარეშე დააჩქარეთ რუსეთთან ადრე არსებული სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა, რომელსაც უდიდესი და მრავალმხრივი შეფასება მიეცემა საქართველოს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სულიერ-კულტურულ და ა. შ. ცხოვრებაში; შექმნის ქვეყნის ტერიტორიული გამთლიანების პერსპექტივას;**

3. უცხოტომელებზე არც ერთი გოჯი ქართული მიწა არ უნდა გაიყიდოს;

4. **უნდა დასახოთ გზები დიალოგისთვის აფხაზებთან და ოსებთან, გამოვიყენოთ რუსეთის შუამავლობა და არა — ჟენევა და მისთანები;**

5. დასაშვებად მიმაჩნია, ვიფიქროთ საქართველოს ფედერაციულ რესპუბლიკად ჩამოყალიბებაზე, ამ ფედერაციაში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გაერთიანებაზე, მაგალითად გამოვიყენოთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი მოწყობა.

პატივისცემით,

**გივი გურეშიძე**,
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი**
**ქუთაისიდან**

**ალან გრინსპინის მიხედვით, დოლარის გარდაუვალი კოლაფსი განაპირობებს იმას, რომ საშუალო ამერიკელის არსებობა ოთხჯერ გაძვირდება.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ისტებლიშმენტის მაღალი რანგის პედოფილები

**ნელ-ნელა გროვდება მტკიცებულებები და სამხილები, რომლებიც იმაზე მიანიშნებს, რომ 1970-იან და 1980-იან წლებში მოქმედებდა მაღალი რანგის პედოფილების მთელი ქსელი ეგრეთ წოდებული ისტებლიშმენტიდან. მათ შორის იყვნენ: პარლამენტის წევრები, დიპლომატები, სახელმწიფო მოხელეები და პოლიციელები. რამდენიმე დღის წინათ პოლიციის მიმართ საჩივრების შემსწავლელმა დამოუკიდებელმა კომისიამ განაცხადა, რომ მისი მეთვალყურეობით შესწავლილ იქნება მდგომარეობა იმ მიზეზების გამოვლენის მიზნით, რომელთა გამოც ლონდონის პოლიციამ თავის დროზე ვერ შეძლო, გამოეძია ბავშვებზე სექსუალური ძალადობის შემთხვევები, რადგან ამ საქმესთან დაკავშირებულნი აღმოჩნდნენ ცნობილი მოღვაწეები.**



საირილ სმიტი



იმავე დღეს პროგრამა BBC Newsnight-ში გაისმა განცხადება იმის შესახებ, რომ 1981 წელს დედაქალაქის პოლიციის მიერ ჩატარებული მასშტაბური გამოძიების ფარგლებში მოპოვებულ იქნა ვიდეოჩანაწერები, რომლებიც ადასტურებს სექსუალური ორგიების მოწყობასა და ჩატარებას ლიბერალური პარტიის პარლამენტარის — საირილ სმიტისა და სპეცსამსახურების მაღალი რანგის ხელმძღვანელების მონაწილეობით. ეს ადამიანები სექსუალურ ძალადობას ახორციელებდნენ ბავშვთა სახლების მოზარდებზე.

აღნიშნული გამოძიება არაერთხელ იქნა მოულოდნელად შეწყვეტილი უცნობი მაღალი რანგის ხელმძღვანელის მიერ, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოს გაუთქმელობის შესახებ კანონის ფარგლებში სასამართლო დევნით ემუქრებოდა ნებისმიერ პოლიციელს, რომელიც მისთვის ცნობილი ფაქტების გამოქვეყნებას გაბედავდა.

თუ ეს განცხადება გამყარებულია ფაქტებით და საფუძვლიანია, მაშინ იმაზე მიანიშნებს, თუ რამდენად ამაზრზენი და საზიზღარია მთელი ეს ისტორია, რომელიც ასახავს, თუ რამდენად უძლურია პოლიცია ძალადობის მსხვერპლთა დაცვის საქმეში, მაგრამ ამავე დროს ეს შეიძლება იქცეს სულ სხვა გვარის დანაშაულადაც, უფრო საშინელ და შავბნელ დანაშაულად — სამსახურებრივი უფლებამოსილების უნამუსოდ გადამეტებად.

სახელმწიფო საიდუმლოებების გაუთქმელობის შესახებ კანონს აქვს ერთადერთი მიზანი: დაიცვას სახელმწიფოს უსაფრთხოება. ეს უკანასკნელი ინსტანციის საშუალებაა, რომელსაც შეიძლება მიმართო მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში. შეუძლებელია იმის დაჯერება, რომ მას იყენებდნენ ისეთი ამაზრზენი დანაშაულის გამოძიების შეწყვეტისათვის, როგორიც მოზრდილების მხრიდან ბავშვებზე სექსუალური ძალადობაა.

მაგრამ არის მეორე ასპექტიც. რა საფრთხეების შესახებაც არ უნდა ყოფილიყო საუბარი 30 წლის წინათ, ისინი ვერ გაამართლებენ ამჟამინდელ სიტუაციას. **პოლიციელები დღემდე ეუბნებიან პარლამენტარებს, რომ ახლაც კი ეშინიათ, მათ წინააღმდეგ არ იქნეს გამოყენებული კანონი სახელმწიფო საიდუმლოების გაუთქმელობის შესახებ.**

შინაგან საქმეთა პარტიათშორისი კომიტეტის სხდომაზე რამდენიმე დღის წინათ შინაგან საქმეთა მინისტრი ტერეზა მეი დაყაბულდა მოთხოვნებს იმის შესახებ, რომ ნებისმიერ პოლიციელს, რომელიც ჩვენების მიცემას დათანხმდება, გაუსამართლებლობის გარანტია უნდა მიეცეს. საბოლოო ჯამში ეს საკითხი გენერალურმა პროკურორმა და ბავშვების წინააღმდეგ სექსუალური ძალადობის შემთხვევათა გამოძიების კომისიის ახალმა თავმჯდომარემ, მოსამართლე ლოუელ გოდარდმა უნდა გადაწყვიტონ.

პრეცენდენტი უკვე არსებობს და ის გაჩნდა ბელფასტში მდებარე ბიჭების ბავშვთა სახლ „კინკორას" საქმის ძიებისას, რომელიც ცალკე მიმდინარეობს. თუმცა ძალზე ძნელი გასაგებია, როგორ მოახდინა გავლენა პოლიციელებზე სასამართლო დევნის საფრთხემ, თუ საუბარია ესოდენ მძიმე დანაშაულზე. ნუთუ მათ უნდათ, თქვან, რომ იმ ყველაფრის შემდეგ, რაც ბოლო წლების მანძილზე გახდა ცნობილი, ხელისუფლება განაგრძობს თვალის დახუჭვას ბავშვების წინააღმდეგ ჩადენილ სექსუალურ დანაშაულებზე?

აღნიშნულთან დაკავშირებით კონსპიროლოგიური ჭორები სავსებით საფუძვლიან საქმედ იქცა. აუცილებელია აქტიური და ენერგიული გამოძიება, მაგრამ არავინაა დარწმუნებული, რომ გამოძიება საერთოდ ჩატარდება. მოსამართლე გოდარდი ელვისებური ვიზიტისას ლონდონში მინისტრ მეის შეხვდა და კვლავ გაემგზავრა შინ. თემთა პალატაში რამდენიმე დღის წინათ მოისმინეს საკუთარი უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი, პრიორიტეტების განსაზღვრას ის აღდგომამდე მაინც არ დაიწყებს. ასე რომ, მანამდე გავა ათი თვე, რაც შინაგან საქმეთა მინისტრმა პირველად დადო პირობა, სრულმასშტაბიანი გამოძიების ჩატარებაზე იმის დასადგენად, თუ რატომ ვერ შეძლეს სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურებმა ძალადობისგან ბავშვების დაცვა.

გასულ წელს ტერეზა მეიმ მნიშვნელოვნად გაიმყარა პოზიციები. იგი ნელ-ნელა აყალიბებს ნდობაზე აგებულ ურთიერთობებს სექსუალური ძალადობის მსხვერპლებთან. არჩევნების შემდეგ იმავე სამუშაოს გაგრძელება მის მემკვიდრეს მოუწევს. ძალიან ბევრი ძველი და საშინელი საიდუმლოს გამოაშკარავება ჯერ კიდევ წინაა...

**guardian**



## რუსეთი, ბელარუსი და ყაზახეთი სავალუტო კავშირს შექმნიან

**ასტანაში რუსეთის, ბელარუსისა და ყაზახეთის პრეზიდენტები სამმხრივ შეხვედრებს მართავენ.** განხილვის მთავარი თემა ევრაზიულ კავშირში სავალუტო პრობლემებია. ამასთან დაკავშირებით, ვლადიმერ პუტინი სავალუტო კავშირის შექმნის იდეით გამოვიდა. „ჩვენ შევთანხმდით პარტნიორებთან, რომ მოხდება მონეტარული პოლიტიკის კოორდინაცია. ვფიქრობთ, რომ მოვიდა დრო, ვისაუბროთ სავალუტო კავშირის შექმნაზე", — განაცხადა ვლადიმერ პუტინმა შეხვედრის შემდეგ. ევრაზიული კავშირის სამივე ქვეყანა ეროვნული ვალუტის გაუფასურებას ებრძვის. ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა განაცხადა, რომ, თუ 2008-09 წლებში კრიზისი მთელ მსოფლიოში იყო, ახლა ეს კრიზისი გამოწვეულია საწვავის ფასების მკვეთრი კლებით. მისი თქმით, ამის გამო ევრაზიულ კავშირში თვითბრუნვა მნიშვნელოვნად შემცირდა. ნაზარბაევის თქმით, მათ ასევე განიხილეს ყირგიზეთის ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების პერსპექტივაც, თუმცა მან დაამატა, რომ რუსეთს, ბელარუსსა და ყაზახეთს დიდი ფასის გადახდა მოუწია ამ კავშირისთვის და ახალი წევრები მათ მიერ დადგენილ თამაშის წესებს უნდა დაემორჩილონ.

# ამერიკას არეულობები ელის

**გასულ თვეში ცნობილი გახდა, რომ ფედერალური სარეზერვო სისტემის ყოფილი თავმჯდომარე, ამერიკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის არქიტექტორი ქვეყნის ოთხი პრეზიდენტის მმართველობისას ირწმუნება, რომ უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში სისტემაში ტრილიონობით დოლარის ჩაყრის შედეგად ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვლილებებია მოსალოდნელი.**


ალან გრინსპენი



თუ გრინსპენს დავუჯერებთ, რაღაც დიდი ახლოვდება. მისი აზრის შესახებ ცნობილი გახდა სახელგანთქმული ანალიტიკოსის — ბრაიან ლუნდინის წყალობით. იგი ფედერალური სარეზერვო სისტემის ექსხელმძღვანელთან კერძო საუბარს შეუერთდა New Orleans Investment Conference-ზე.

თავის ბოლო ინტერვიუში ლუნდინმა ახსნა გრინსპინის მოსაზრება მიმდინარე ეკონომიკურ და ფულად-საკრედიტო პოლიტიკასთან დაკავშირებით და ასევე გაშიფრა ფედერალური სარეზერვო სისტემის ექსმეთაურის თვალსაზრისი იმასთან დაკავშირებით, რომ „რაღაც მასშტაბური ახლოვდება".

„გრინსპენმა თავისი პროგნოზის რამდენიმე უმნიშვნელოვანესი პუნქტი გაახმოვანა.

იგი შეშფოთებულია ინფლაციის ტემპებით... მისთვის განსაკუთრებულად საგანგაშოა 3 ტრილიონი დოლარის რეზერვების გადამეტებული მოცულობა, რომელიც ფედერალური სარეზერვო სისტემის ბალანსზეა. ეს ფული აშშ-ის ეკონომიკის თავზე იმ საჰაერო ბუშტის მსგავსად კიდია, რომელიც წყლითაა გაბერილი და ჩხვლეტას ელის".

გრინსპენმა ამას ფეთქებადი ინფლაციის დენთის კასრი უწოდა, კასრი, რომლისთვისაც ერთი ნაპერწკალიც კმარა. ფედერალური სარეზერვო სისტემის ექსხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ ხუთი წლის შემდეგ ოქროს ფასი მნიშვნელოვნად მაღალი იქნება მიმდინარე დონეებთან შედარებით იმ ჭარბი ლიკვიდურობის გამო, რომელიც საბოლოო ჯამში ღია ბაზარზე გაეშვება.

ამგვარი მოვლენა გარდაუვალად განაპირობებს არეულობებს ამერიკაში, რადგან საზოგადოება უკიდურესად მოუმზადებელია ფასების ავარდნისთვის. როგორც კი დოლარების ბუშტი გასკდება, ადამიანები წვდომას დაკარგავენ ისეთი ძირითადი საქონლების მიმართ, როგორიცაა პროდუქტები, გაზი და სხვა რესურსები.

**ალან გრინსპინის მიხედვით, დოლარის გარდაუვალი კოლაფსი განაპირობებს იმას, რომ საშუალო ამერიკელის არსებობა ოთხჯერ გაძვირდება.** მთელი იმ დროის განმავლობაში, ამერიკის შეერთებული შტატები როგორც თითოეული ადამიანის ცხოვრებაში, ასევე ექსტრემალური ფულად-საკრედიტო და ეკონომიკური არასტაბილურობის სამყაროში უმნიშვნელოვანესი მოვლენის წინაშე დგას, საფონდო ბაზრები წარმოუდგენლად მაღალ დონეებზე არიან.

**cont.ws**



## ობამას ყველაზე ცუდი პრეზიდენტი უწოდეს

**ჟურნალ Playboy-სთან ინტერვიუში დიკ ჩეინიმ პრეზიდენტი ბარაკ ობამა გააკრიტიკა და მას აშშ-ის ისტორიაში ყველაზე ცუდი პრეზიდენტი უწოდა.** აშშ-ის ყოფილი ვიცეპრეზიდენტის განცხადებით, ობამა და გენერალური პროკურორი ერიკ ჰოლდერი ოპონენტებთან კამათის დროს ყურადღებას ამახვილებენ რასობრივ თემაზე და ოპონენტებს ადანაშაულებენ იმაში, რომ მათი კრიტიკა კანის ფერის გამო ხდება. „ეს ტყუილია. ისინი კრიტიკას იმსახურებენ საკუთარი ქმედებისა და არაკომპეტენტურობის გამო. რასა აქ არაფერ შუაშია", — განაცხადა ჩეინიმ.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-ის კონტროლის პალატა 2013 წლის ანგარიშში წერდა, რომ იემენში არასაიდუმლო კონტრტერორისტული პროგრამა არასაკმარისად კონტროლდება და რომ პენტაგონმა ვერა და ვერ შეაფასა, მოაქვს თუ არა ამ პროგრამას რაიმე სარგებელი.**

# პენტაგონმა იემენისთვის მიწოდებული 500 მილიონი დოლარის იარაღი დაკარგა

**პენტაგონს არ შეუძლია, ახსნას, სად გაქრა იემენისთვის გაწეული 500 მილიონ დოლარად ღირებული სამხედრო დახმარება. ამერიკის წარმომადგენლები შიშობენ, რომ ეს იარაღი — ლეტალური აპარატები და სამხედრო ტექნიკა — შესაძლოა, მოხვდა ირანის მხარდაჭერის მქონე ამბოხებულების ან „ალ ქაიდას" ხელში.**



**იემენი მსოფლიოში მეორე ადგილზეა იარაღის რაოდენობით ერთ სულ მოსახლეზე და მხოლოდ აშშ-ს უთმობს პირველობას, მის ბაზებზე წარმოდგენილი მძიმე შეიარაღება კი მრავალფეროვანია**

ახლა იემენში გაურკვევლობაა, სახელმწიფო იხლიჩება და ამ პირობებში თავდაცვის სამინისტროს არ შეუძლია, გააკონტროლოს იმ სასროლი იარაღის, ღამის ხედვის მოწყობილობების, საპატრულო კატერების, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა ტექნიკის ადგილმდებარეობა, რომლებიც ამერიკამ მიაწოდა. მას შემდეგ, რაც გასულ თვეს აშშ-მა დაკეტა დედაქალაქ სანაში საკუთარი საელჩო და ქვეყნიდან თავისი სამხედრო მრჩევლების უმეტესობა გაიწვია, მდგომარეობა იქ დღითიდღე უარესდება.

ბოლო კვირების განმავლობაში ამერიკული კონგრესის წევრები ატარებენ დახურულ შეხვედრებს სამხედრო უწყების წარმომადგენლებთან და ცდილობენ, მიიღონ მათგან ახსნა-განმარტება, თუ სად გაქრა მიწოდებული იარაღი და ტექნიკა. პენტაგონი აცხადებს, რომ არ ფლობს საკმარის ინფორმაციას და მოცემულ მომენტში არ შეუძლია, რაიმე გააკეთოს საიმისოდ, რომ არ დაუშვას ამ იარაღის არასასურველ ხელში მოხვედრა.

„იძულებულნი ვართ, ვაღიაროთ, რომ მას საფრთხე შეექმნა და დაიკარგა", — განაცხადა კაპიტოლიუმის ბორცვიდან კონგრესის თანამშრომელმა, რომელმაც, საკითხის დელიკატურობიდან გამომდინარე, საკუთარი ვინაობის გამხელა არ ისურვა.

ამერიკის სამხედრო წარმომადგენლები კომენტარზე უარს აცხადებენ. სამხედრო უწყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი დათანხმდა ანონიმურ საუბარს პენტაგონის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად და განაცხადა, რომ არ არსებობს მტკიცე სამხილები, რომლებიც დაამტკიცებს ამერიკის იარაღისა და ტექნიკის დარბევის ან კონფისკაციის ვერსიას, თუმცა აღიარა, რომ პენტაგონმა კვალი დაკარგა და წარმოდგენა არ აქვს, სად წავიდა იარაღი.

„საუკეთესო შემთხვევაშიც კი არასტაბილურ ქვეყანაში არ შეიძლება არსებობდეს 100-პროცენტიანი ანგარიშიანობა", — განაცხადა ამავე წარმომადგენელმა.

იანვარში იემენის ხელისუფლება დაამხო შიიტურმა ამბოხებამ — ჰუსიტებმა, რომლებსაც ირანი უჭერთ მხარს და რომლებიც მკაცრად განიკითხავენ აშშ-ის შეტევებს უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებით იემენის ტერიტორიაზე არსებული სამიზნეების წინააღმდეგ. ხუსიტებმა მრავალი სამხედრო ბაზა მიიტაცეს იემენის ჩრდილოეთ ნაწილში, მათ შორის სანაში, სადაც დისლოცირებულია ამერიკელების მიერ გაწვრთნილი ანტიტერორისტული ქვედანაყოფები. ზოგიერთი ბაზა კი ხელში ჩაიგდეს „ალ ქაიდას" წარმომადგენლებმა.

ამ ყველაფრის შედეგად თავდაცვის სამინისტრომ შეწყვიტა იემენში 125 მილიონი დოლარის სამხედრო ტექნიკის გაგზავნა, ტექნიკისა, რომელიც დანიშნულების ადგილამდე მიმდინარე წელს უნდა მისულიყო. მისაწოდებელი შეიარაღების ჩამონათვალში იყო ScanEagle-ს უპილოტო საფრენი აპარატები, საავიაციო ტექნიკის სხვა სახეობები, ასევე, ჯიპები. თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ეს ტექნიკა გადაეცემა ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის სხვა ქვეყნებს.

იემენში გაგზავნილი იარაღისა და ტექნიკის დაკარგვა განაპირობებს უხერხულობას, მაგრამ ამერიკელი წარმომადგენლები აცხადებენ, რომ საეჭვოა, მან ქვეყანაში ძალთა ბალანსი შეცვალოს. უფრო მეტიც, ამერიკის ხელისუფლება იარაღის მიწოდების საქმეში შემოიფარგლა სასროლი იარაღითა და საბრძოლო მასალებით, იემენს უარი უთხრეს გამანადგურებლებისა და ტანკების მიწოდებაზე. **იემენი მსოფლიოში მეორე ადგილზეა იარაღის რაოდენობით ერთ სულ მოსახლეზე და მხოლოდ აშშ-ს უთმობს პირველობას, მის ბაზებზე წარმოდგენილი მძიმე შეიარაღება კი მრავალფეროვანია.**

იემენსა და სხვა ქვეყნებში ობამას ადმინისტრაციის სტრატეგია მიმართულია ადგილობრივი შეიარაღებული ძალების გაწვრთნისა და აღჭურვისკენ მეამბოხე და პარტიზანული მოძრაობების დაძლევის მიზნით, ასევე „ალ ქაიდასთან" დაკავშირებული დაჯგუფებების განადგურების მიზნით. ამ სტრატეგიამ შესაძლებელი გახადა, აღნიშნულ რეგიონებში არ განელაგებინათ ამერიკის მსხვილი კონტინგენტები, მაგრამ მანვე გააჩინა მთელი რიგი დაუსრულებელი პრობლემები.

ამერიკელების მეთაურობით 2003 წელს ერაყში შეჭრის შემდეგ ვაშინგტონმა 25 მილიარდი დოლარი დახარჯა ერაყის არმიის აღდგენასა და შეიარაღებაზე, მაგრამ ეს არმია გასულ წელს იოლად გაანადგურეს „ისლამური სახელმწიფოს" რაზმებმა, რომლებმაც ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი მიიტაცეს. გასულ წელს პრეზიდენტი ობამა აქებდა იემენს და მას კონტრტერორისტული ბრძოლის საკუთარი კონცეფციის წარმატებულ მაგალითს უწოდებდა.

„ადმინისტრაციას ძალიან უნდოდა, ეჩვენებინა, რომ იემენი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერაყისგან, რომ იქ ჩვენ წარმატებებს მივაღწევთ ნაკლები ძალებით, რომ იქ დიდი ხარჯები არ გვექნება, — განაცხადა წარმომადგენელთა პალატის რესპუბლიკელმა წევრმა ტეხასიდან — მაკ ტორნბერიმ, რომელიც შეიარაღებული ძალების კომიტეტს ხელმძღვანელობს. — ის ცდილობდა, გამოეყენებინა მინიმალური მიდგომა, რადგან ეს შეესაბამებოდა წარმოდგენილ კონცეფციას... რომ ერაყი აღარ განმეორდებოდა".

2007 წლიდან ვაშინგტონი თავდაცვის სამინისტროსა და სახელმწიფო დეპარტამენტის მთელი რიგი პროგრამების ფარგლებში იემენს სამხედრო დახმარებას უწევდა და ამ საქმეს 500 მილიონ დოლარზე მეტი დაახარჯა. პენტაგონი და ცსს დამატებით დახმარებას უწევდნენ მას საიდუმლო პროგრამების ფარგლებში და ამის გამო ძნელი დასათვლელია, საერთო ჯამში რამდენი მიიღო იემენმა დახმარების სახით.

**ამერიკის ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ იემენში „ალ ქაიდას" განყოფილება აშშ-ისთვის პირდაპირ და უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენს, ვიდრე ნებისმიერი სხვა ტერორისტული დაჯგუფება.** მისთვის წინააღმდეგობის გასაწევად ობამას ადმინისტრაცია იყენებს თავის დანიშნულ მალალჩინოსნებს და ქვეყნის საზღვრებს მიღმა ბაზირებული უპილოტო საფრენი აპარატების დარტყმებს.

ამ სტრატეგიის ფარგლებში ამერიკელმა სამხედროებმა მთელი ძალისხმევა მიმართეს იემენში რესპუბლიკური არმიის შემადგენლობაში ელიტური სპეცრაზმის შექმნისკენ. ისინი წვრთნიდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვეგანყოფილებებს და იემენის განუვითარებელ სამხედრო-საჰაერო ძალებში მოდერნიზებას ახორციელებდნენ.

აღნიშნულ საქმეში წარმატების მიღწევა რთული აღმოჩნდა. 2011 წელს, როდესაც ყოფილმა პრეზიდენტმა ალი აბდალა სალეხმა არაბული გაზაფხულის ამბოხი ჩაახშო, ობამას ადმინისტრაციამ დროებით შეწყვიტა კონტრტერორისტული დახმარების გაწევა და იემენიდან საკუთარი მრჩევლებიც გაიყვანა. პროგრამა განახლდა ერთი წლის შემდეგ, როდესაც სალეხი თანამდებობაზე ვიცეპრეზიდენტმა აბდ რაბო მანსურ ხადიმ ჩაანაცვლა და ვაშინგტონმა მასთან გარიგება მოახერხა.

**აშშ-ის კონტროლის პალატა 2013 წლის ანგარიშში წერდა, რომ იემენში არასაიდუმლო კონტრტერორისტული პროგრამა არასაკმარისად კონტროლდება და რომ პენტაგონმა ვერა და ვერ შეაფასა, მოაქვს თუ არა ამ პროგრამას რაიმე სარგებელი.**

სხვა ყველაფერთან ერთად კონტროლის პალატის ინსპექტორებმა აღმოაჩინეს, რომ იემენის შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გადაცემული „ჰამერები" უსაქმოდ დგანან და რემონტს საჭიროებენ,ვინაიდან თავდაცვის სამინისტრომ უარი განაცხადა სათადარიგო ნაწილების მიცემაზე. ორი სამინისტრო ასევე დავობს, თუ ვის ეკუთვნის ვაშინგტონის მიერ გადაცემული ვერტმფრენები HueyII.

დიდი ხნის მანძილზე იემენში ნამუშევარმა მაღალი რანგის ამერიკელმა სამხედრომ აღნიშნა, რომ ადგილობრივი ჯარები აქტიურად არიან დაკავებულნი საბრძოლო მზადებით და მარჯვედ იყენებენ ამერიკულ სასროლ იარაღსა და აღჭურვილობებს, მაგრამ მათმა მეთაურებმა, პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, არ ისურვეს „ალ ქაიდას" წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციების ჩატარება.

„მათ შეეძლოთ ამ იარაღით ბრძოლა და საკმაოდ მარჯვედ იყენებდნენ მას, მაგრამ ჩვენ ვერ ვაიძულებდით მათ, საბრძოლველად წასულიყვნენ", — განაცხადა ზემოხსენებულმა სამხედრო პირმა, რომელმაც ვინაობის გამხელისგან თავი შეიკავა.

ამერიკელ ინსტრუქტორებთან გაწვრთნილ იემენის ყველა სამხედრო ნაწილსა თუ ქვეგანყოფილებას განაგებდნენ ექსპრეზიდენტ სალეხის ახლო ნათესავები. მათმა უმეტესობამ თანამდებობა დაკარგა ან სხვა ადგილზე გადავიდა მას შემდეგ, რაც სალეხი იძულებული გახდა, 2012 წელს გადამდგარიყო. ამერიკელი წარმომადგენლები აღ- ▶

მოკლედ

## კალინინგრადში «ისკანდერის» განლაგებით მოსკოვი ფსონებს ზრდის

**სარაკეტო კომპლექსების განლაგება კალინინგრადში მიანიშნებს მოსკოვის მზადყოფნაზე, გაზარდოს ფსონები იმის საპასუხოდ, რომ ნატო მისი საზღვრებისკენ მიიწევს.**

ამის შესახებ New York Times-ი მოულოდნელად დაწყებული სამხედრო სწავლებების კომენტირებისას წერს. **„რაკეტები, რომლებსაც შეუძლიათ 500 კილომეტრის დაშორებიდან გაანადგურონ მტრის სამიზნეები, შეიძლება აღჭურვილ იქნენ ბირთვული ან ჩვეულებრივი ქობინებით. კალინინგრადიდან მათ შეეძლებათ, მიწვდნენ ნატოს რამდენიმე წევრ ქვეყანას",** — წერს გამოცემა.

პოლონეთის პრემიერმინისტრმა ევა კოპაჩმა ამ ნაბიჯს უწოდა მოსკოვის მცდელობა, ზეწოლა მოახდინოს ევროკავშირის ქვეყნებზე, რადგან ისინი ახალ შესაძლო სანქციებს განიხილავენ.



**აშშ, რომელიც ცინიკურად ირწმუნება, რომ წვლილი არ მიუძღვის სხვადასხვა სახელმწიფოში გადატრიალებების შედეგად პროდასავლური ხელისუფლებების მოსვლაში, პოლიტოლოგის აზრით, ძალიან ჰგავს გრაფ დრაკულას, რომელიც ირწმუნებოდა, რომ მკაცრად იცავდა ვეგეტარიანულ დიეტას.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ნიშნავენ, რომ ამ ქვედანაყოფების ნაწილმა სალეხისა და მისი ოჯახისადმი ერთგულება შეინარჩუნა.

გაეროს მიერ გასულ თვეს გამოქვეყნებული გამოძიების მონაცემების თანახმად, ყოფილი პრეზიდენტის ვაჟმა ახმედ ალი სალეხმა გაძარცვა რესპუბლიკური გვარდიის იარაღის არსენალი, როდესაც ორი წლის წინათ ამ ელიტური სამხედრო ფორმირების მეთაურის თანამდებობიდან დაითხოვეს. იარაღი გადაიტანეს კერძო სამხედრო ბაზაზე, რომელიც სანას საღვრებს მიღმა მდებარეობს და რომელსაც სალეხის ოჯახი აკონტროლებს.

**გაურკვეველია, მოპარულ იქნა თუ არა ის იარაღიც, რომელიც იემენს ამერიკის ხელისუფლებამ გადასცა, თუმცა იემენურ დოკუმენტებში, რომელსაც ეყრდნობიან გაეროს გამომძიებლები, აღნიშნულია, რომ გაძარცვულ არსენალში ათასობით იყო ამერიკული წარმოების M-16.**

მოპარული შეიარაღების სიაშია ასევე ათეულობით „ჰამერი“, „ფორდის“ ფირმის ავტომობილები, პისტოლეტები. ეს ყველაფერი იემენს ერთ დროს აშშ-მა გადასცა. 2014 წლის აგვისტოში გაეროს გამომძიებლებთან შეხვედრისას ახმედ სალეხმა საწყობების ძარცვა უარყო.

იემენშიც და აშშ-შიც მრავალი ხელმძღვანელი პირი სალეხს სანაში ხელისუფლების დამხობის მიზნით ჰუსიტებთან შეთქმულებაში ადანაშაულებს. ვაშინგტონის დაჟინებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ნოემბერში დააწესა ფინანსური სანქციები და შეზღუდვები ყოფილი პრეზიდენტის გამგზავრებებზე, ასევე ჰუსიტების ორი ლიდერის გამგზავრებებზეც. ასე დასაჯეს ისინი იემენის დესტაბილიზაციის გამო.

ალი აბდალა სალეხი უარყოფს ყველა აღნიშნულ ბრალდებას. გასულ თვეს მან განაცხადა, რომ ახლა დროის უმეტეს ნაწილს კითხვაში ატარებს და იშუშებს ჭრილობებს, რომლებიც 2011 წელს პრეზიდენტის სასახლეში მომხდარი ტერაქტის შედეგად მიიღო.

სახეზეა მკაფიო მინიშნებები, რომ სალეხი და მისი ოჯახი ხელისუფლებაში აპირებს დაბრუნებას. რამდენიმე დღის წინათ სანაში ასეულობით დემონსტრანტმა გამართა მიტინგი. ისინი მოითხოვდნენ, ჩატარდეს საპრეზიდენტო არჩევნები და ახმედ სალეხს ამ არჩევნებში მონაწილეობისკენ მოუწოდებდნენ.

მართალია, იემენის დედაქალაქში აშშ-ის საელჩო დაიკეტა, ქვეყნის სამხრეთ ნაწილში მდებარე სამხედრო ბაზებზე, რომელთაც აშშ-ის მიმართ კეთილგანწყობილი მეთაურები მართავენ, ამერიკელი მრჩევლების ჯგუფი მაინც დარჩა...

**The Washington Post**

# ნიუ იორკის ქუჩებში ფარულ მიკროფონებს ამონტაჟებენ

**ნიუ იორკის პოლიციამ, მთელი ქალაქის მასშტაბით, ასობით ფარული მიკროფონი დაამონტაჟა. ჩანაფიქრის თანახმად, ამ მიკროფონებმა სროლის ხმები უნდა დააფიქსირონ, მაგრამ აქტივისტები, რომლებიც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას იცავენ, შეშფოთებულნი არიან იმით, რომ იმავე მიკროფონებმა, შესაძლოა, ადამიანების ჩვეულებრივი საუბრებიც ჩაიწეროს.**




გასროლების ლოკატორები არის მაღალტექნოლოგიური სისტემები, რომლებიც მგრძნობიარე მიკროფონების გამოყენებით ამოიცნობენ სროლის ხმას. ხმაურის წყაროს განსაზღვრის შემდეგ ისინი გაააქტიურებენ მახლობლად მდებარე კამერებს, სამართალდამცავი ორგანოები კი მიიღებენ განგაშის სიგნალს. ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, შემთხვევათა 75%-ში, როდესაც ადამიანებს სროლის ხმა ესმით, პოლიციას არ მიმართავენ.

**„იზრდება მსროლელის დაჭერის შანსი, დანაშაულის იარაღის პოვნის, შესაძლო სამართალდარღვევების თავიდან აცილების შანსი“,** — ამბობს ერთ-ერთი მოქალაქე.

მაგრამ ეს ექსპერიმენტული პროგრამა, რომელიც 1,5 მილიონი დოლარი ჯდება, შეშფოთებას იწვევს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის თვალსაზრისით — სად მიდის ამ მიკროფონების მიერ ჩაწერილი მონაცემები და როგორ გამოიყენებენ მიღებულ ინფორმაციას?

2012 წელს სროლების ლოკაციის სისტემამ მასაჩუსეტსის შტატში ჩაიწერა ქუჩაში მომხდარი ხმამაღალი ჩოჩქოლი, რომელსაც სროლა მოჰყვა. შედეგად ადამიანები დაიხოცნენ. შესაბამისი ორდერის გარეშე გაკეთებული ჩანაწერი გამოყენებულ იქნა გამომძიებლების მიერ ორი ეჭვმიტანილის დასაკავებლად, ამ ორიდან ერთს კი ადვოკატი ფრენკ კამერა იცავდა.

**„გარდა სროლებისა, საკმაოდ მკაფიოდ იყო ჩაწერილი საუბრებიც. ეს, რა თქმა უნდა, შეშფოთებას იწვევს, რადგან არღვევს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას“,** — განაცხადა მან.

**„თუ აღნიშნულ ტექნოლოგიას შეუძლია, ჩაიწეროს ადამიანთა საუბრები, ყველაფერი გაცილებით უფრო რთულდება: გამოდის, რომ ეს მიკროფონები „უფროსი ძმის“ მსგავსი რაღაცაა. აქ უკვე აღარ არის საუბარი მოქალაქეთა უსაფრთხოებაზე, ეს არის ჩარევა ადამიანების ჩვეულებრივ, ყოველდღიურ საუბრებში. ჩნდება კითხვა: რას უზამს პოლიცია ჩანაწერებს?“** — კითხულობს ადვოკატი.

ნიუ იორკის პოლიციის დეპარტამენტმა განაცხადა, რომ ქალაქის ქუჩებში სროლების გახშირებასთან დაკავშირებით გაჩნდა სროლების 300 ლოკატორი, მაგრამ კონკრეტულად სად არის დამონტაჟებული ეს ლოკატორები, გაურკვეველია და ეს აშფოთებს ქალაქის მოსახლეობას.

კანონპროექტი, რომელიც ნიუ იორკის საქალაქო საბჭომ დაამტკიცა, პოლიციის დეპარტამენტს ავალდებულებს, შეადგინოს კვარტალური ანგარიშები. ამ ანგარიშებში უნდა იყოს აღნიშნული, კონკრეტულად რა ჩაიწერეს სროლების ლოკატორებმა, მაგრამ, თუ როგორ გამოიყენებენ შემდგომში შეგროვილ ინფორმაციას, დაზუსტებული არ არის.

**russian.rt.com**

# აშშ-ს რუსეთში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა სურდა

**ვაშინგტონი გაოგნებული დარჩა მოსკოვის მყისიერი რეაგირებით ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციების მცდელობაზე, შეეცვალათ რუსეთში ხელისუფლება ქართული და უკრაინული სცენარით.**



სახელმწიფო მდივანი განაგრძობს განცხადებებს იმის თაობაზე, რომ ამერიკა არაფერ კავშირშია მსოფლიოში მომხდარ უამრავ „ფერად რევოლუციასთან“, მაგრამ პოლიტიკური რეალობა სერბეთში, საქართველოსა და უკრაინაში ააშკარავებს ამერიკის ხელმძღვანელობის ტყუილს.

ამის შესახებ წერს პოლიტოლოგი და პუბლიცისტი, აშშ-ის როკფორდის ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობათა ცენტრის დირექტორი სრჯა ტრიფკოვიჩი.

**აშშ, რომელიც ცინიკურად ირწმუნება, რომ წვლილი არ მიუძღვის სხვადასხვა სახელმწიფოში გადატრიალებების შედეგად პროდასავლური ხელისუფლებების მოსვლაში, პოლიტოლოგის აზრით, ძალიან ჰგავს გრაფ დრაკულას, რომელიც ირწმუნებოდა, რომ მკაცრად იცავდა ვეგეტარიანულ დიეტას.**

მაგრამ, როგორც იგივე ანალიტიკოსი აცხადებს, ხელისუფლების შეცვლის პროგრამის რეალიზება ვერ მოხერხდა.

პირველ რიგში, არ არსებობდა სახალხო მხარდაჭერა: ასობით „აქტივისტი“, რომლებიც 2012 წელს პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის წინააღმდეგ ქუჩაში გამოდიოდა, მართალია, ამ დასავლური მედიის რეპორტაჟებში „ათასებად“ იყვნენ ქცეულნი, ამ შემთხვევაშიც კი პროტესტის მასობრიობა არ მიდიოდა ოპერაციის დაწყებისთვის აუცილებელ დონემდე.

აღსანიშნავია მოსკოვში აშშ-ის ყოფილი ელჩის — მაიკლ მაკფოლის მოღვაწეობა. მან, დაინიშნა თუ არა ამ თანამდებობაზე 2012 წელს, გაზეთ The New York Times-ს განუცხადა, რომ აპირებდა რუსეთში შესამჩნევი პროდემოკრატიული კვალი დაეტოვებინა და რომ ამას „აგრესიულ სტილში“ გააკეთებდა.

**„რამდენიმე თვის შემდეგ მაკფოლი საუბრობდა იმაზე, რომ დასავლელი ლიდერები უნდა მისდევდნენ მიზანს — შექმნან პირობები რუსეთში დემოკრატიული ლიდერის გაჩენისთვის.**

**ეს არის უჩვეულო სწორხაზოვნებით გადმოცემული სახელმწიფო გადატრიალების პოლიტიკური დღის წესრიგი: იგი გულისხმობდა, რომ ქვეყნის დეპუტინიზაცია სურდათ. საინტერესოა, რა რეაქცია ექნებოდა ამერიკას ვაშინგტონში რუსეთის ელჩის მხრიდან ამერიკის დეობამიზაციის სურვილთან დაკავშირებით ანალოგიური განცხადების მოსმენის შემთხვევაში.“**

ექსპერტი აღნიშნავს, რომ ვაშინგტონი ხელმოცარული დარჩა მოსკოვის მყისიერი პასუხით — არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ კანონით, რომელიც უცხოელი აგენტების რეგისტრირების ამერიკული აქტის მსგავსად შეიქმნა. 1930 წელს დაწერილი ამ კანონის თანახმად, იმ ამერიკელების გამოსააშკარავებლად, რომლებიც ნაცისტური გერმანიის ხელისუფლებისთვის მუშაობდნენ, აშშ-ის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა უცხოური ორგანიზაციის მოღვაწეობა გამჭვირვალე უნდა ყოფილიყო, მისი დაფინანსებისა და სტრუქტურის შესახებ ინფორმაცია კი — საჯარო.

ასევე აშშ-ში მოქმედებს კანონი, რომელიც არეგულირებს ფედერალურ არჩევნებზე ელექტორალური კამპანიების სპონსორობის მექანიზმებს. ამ კანონის თანახმად, მკაცრადაა აკრძალული ნებისმიერი უცხოური მონაწილეობა ამერიკულ ელექტორალურ პროცედურებში.

მიუხედავად ამისა, ამგვარი ჩარევა ამერიკული ხელისუფლების მიერ ლეგიტიმურად განიხილება, თუ საუბარია „ვაშინგტონის პროტეჟეებზე“, რომლებიც რუსეთში დემოკრატიის გავრცელების საბურველქვეშ მოქმედებენ.

**rusvesna.su**

მოკლედ



## თეთრ სახლში ციანიდის შემცველი წერილი გაგზავნეს

**უცნობმა მამაკაცმა თეთრ სახლში ფოსტით გაგზავნა წერილი, რომელიც, სავარაუდოდ, ციანიდს შეიცავდა.** ამის შესახებ მედია აშშ-ის საიდუმლო სამსახურის განცხადებაზე დაყრდნობით იტყობინებოდა. **„16 მარტს კონვერტი მიიღო თეთრი სახლის საფოსტო გზავნილების შემოწმების სამსახურმა. პირველადმა ბიოლოგიურმა ტესტმა უარყოფითი პასუხი აჩვენა, მაგრამ 17 მარტს ქიმიურმა ანალიზმა გამოააშკარავა, რომ კონვერტი, სავარაუდოდ, ციანიდს შეიცავდა“,** — ნათქვამია საიდუმლო სამსახურის ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებაში. კონვერტიდან ნიმუშები გაიგზავნა სხვადასხვა დაწესებულებაში მათი შემდგომი ანალიზისთვის.



ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პირველი ქართველი გენერალი იყო ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი (1674-1711), რომელსაც 1700 წელს რუსეთის იმპერატორმა პეტრე I გენერალ-ფელდცოიგმაისტერის (არტილერიის მთავარი ხელმძღვანელი) წოდება მიანიჭა. ალექსანდრე ბაგრატიონი — იმერეთის მეფე არჩილ II ვაჟი — რუსეთის არმიის არტილერიის ფუძემდებელი გახლდათ.**

# საიდან წარმოიშვა სამხედრო წოდებები და ვინ იყვნენ პირველი ქართველი გენერლები და მარშლები

**ძველ საქართველოში თანამედროვე სამხედრო წოდებების ნაცვლად გამოიყენებოდა ტერმინები: ასისთავი (ასეულის მეთაური), ერისთავი, სპასპეტი, ამირსპასალარი და სხვ. ჩვენ მოვიძიეთ ცნობები, როგორ და საიდან გაჩნდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში თანამედროვე სამხედრო წოდებები.**

## კაპრალი

**კაპრალი** (ფრ. — **caporal;** გერმ. — **kapral** — მეთაური) — ეს არის მეთაურთა უმცროსი შემადგენლობის სამხედრო წოდება, რომელიც ევროპის სახელმწიფოების არმიებში მე-17 საუკუნეში გაჩნდა. წარსულში კაპრალს მხოლოდ განყოფილების (9-10 ჯარისკაცი) მეთაურობა შეეძლო.

## სერჟანტი

**სერჟანტი** (Sergent) ფრანგული სიტყვაა, რომელიც, თავის მხრივ, ლათინურიდან მოდის — Serviens (მოსამსახურე).

პირველი სერჟანტები XI საუკუნეში გაჩნდნენ ინგლისში, ოღონდ იმხანად ისინი არა სამხედრო მოსამსახურეები, არამედ მიწათმოქმედები იყვნენ და მეფის სხვადასხვა დავალებას ასრულებდნენ.

XII საუკუნის ინგლისში კი სერჟანტებს ეძახდნენ ადამიანებს, რომლებიც პოლიციელის ფუნქციებს ასრულებდნენ.

სერჟანტი, როგორც სამხედრო წოდება, გაჩნდა XV საუკუნის საფრანგეთის არმიაში, შემდეგ — გერმანიისა და ინგლისის არმიებში, XVIII საუკუნიდან კი — რუსეთის არმიაშიც.

## ლეიტენანტი

სიტყვა **ლეიტენანტი** ფრანგული Lieutenant-ისგან მომდინარეობს და ნიშნავს „მოადგილეს“. XV საუკუნის საფრანგეთში ასე უწოდებდნენ ხელმძღვანელ პირებს, რომლებიც სამხედრო რაზმების მეთაურთა მოადგილეებად ითვლებოდნენ. XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან კი ლეიტენანტი სამხედრო წოდება გახდა.

XV-XVI საუკუნეების ესპანეთში ასეთივე თანამდებობას Lugar teniente-ს უწოდებდნენ.

საბჭოთა კავშირში სამხედრო წოდება — ლეიტენანტი — 1935 წლის 22 სექტემბერს შემოიღეს, როგორც ოფიცრის წოდება.

## კაპიტანი

სიტყვებს — **კაპიტანსა** და **კაპუტს** ერთი ძირი აქვს. ლათინურად Caput ნიშნავს თავს, კაპიტანი კი — მეთაურს.

კაპიტნის წოდება პირველად საფრანგეთში შემოიღეს. შუა საუკუნეებში ასე უწოდებდნენ სამხედრო ოლქების მეთაურებს. 1558 წლიდან კი კაპიტანს უწოდებდნენ ასეულის მეთაურს.

რუსეთში კაპიტნის ჩინი XVI საუკუნეში გაჩნდა და ასეულის მეთაურს ნიშნავდა.

საბჭოთა არმიაში კაპიტნის წოდება 1935 წლის 22 სექტემბერს შემოიღეს. სამხედრო ფლოტში კი დაწესდა 1-ლი, მე-2 და მე-3 რანგის კაპიტნების წოდებები.

## მაიორი

**მაიორი** ლათინური სიტყვაა (maior) და ნიშნავს უფროსს.

ეს წოდება წარმოიშვა მე-17 საუკუნეში. ასე ეძახდნენ პოლკის მეთაურის თანაშემწეს, რომელიც პასუხისმგებელი იყო ჯარისკაცების კვებასა და დაცვის დაყენებაზე (ყარაული). საბჭოთა არმიაში მაიორის წოდება 1935 წელს შემოიღეს.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში სახელგანთქმული სამხრეთამერიკელი რევოლუციონერი (წარმოშობით არგენტინელი), კუბის სახელმწიფო მოღვაწე **ერნესტო ჩე გევარა** — კომანდანტე ჩე — მაიორი იყო, რადგან წოდება „კომანდანტე“ „მაიორს“ უთანაბრდება.

## გენერალი

სიტყვა **გენერალი** ლათინური წარმოშობისაა (generalis) და მთავარს ნიშნავს.

ეს წოდება პირველად გაჩნდა საფრანგეთში, როგორც სხვა წოდებების დანართი, მაგალითად, კაპიტან-გენერალი. XVI საუკუნიდან კი გერმანელებმაც გამოიყენეს თავიანთ შეიარაღებულ ძალებში.


იოსებ სტალინი


მარშალი არჩილ გელოვანი

პირველი ქართველი გენერალი იყო ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი (1674-1711), რომელსაც 1700 წელს რუსეთის იმპერატორმა პეტრე I გენერალ-ფელდცოიგმაისტერის (არტილერიის მთავარი ხელმძღვანელი) წოდება მიანიჭა.

**ალექსანდრე ბაგრატიონი** — იმერეთის მეფე არჩილ II ვაჟი — რუსეთის არმიის არტილერიის ფუძემდებელი გახლდათ.

1684-იდან იზრდებოდა რუსეთის სამეფო კარზე და ძალიან იყო დაახლოებული პეტრე I-თან, რომელიც დედის მხრიდან ბიძაშვილად ერგებოდა (არჩილს II ცოლად ჰყავდა ერეკლე I და). სწორედ ალექსანდრე ბაგრატიონი იყო მომავალი იმპერატორის ბავშვური თამაშების უცვლელი მონაწილე. ასაკით თითქმის ტოლი, ბუნებით ცნობისმოყვარე ახალგაზრდები მალე განუყრელი მეგობრები გახდნენ. ისინი ერთად ესწრებოდნენ კარზე გამართულ დიპლომატიურ შეხვედრებს, მონაწილეობდნენ სადღესასწაულო ნადიმებსა და სამხედრო თამაშობებში. 1697 წელს პეტრე პირველთან ერთად იმოგზაურა ევროპაში — კენიგსბერგსა და ჰააგაში. ალექსანდრე დიდი მონდომებით დაეწაფა საარტილერიო საქმეს – პეტრე I-თან ერთად თეორიული ცოდნის პარალელურად პრაქტიკულ ჩვევებსაც იღებდა – გემსაშენში მუშაობისას რუსეთის მეფე და ქართველი ბატონიშვილი არც ჩაცმულობითა და არც საქმიანობით არ გამოირჩეოდნენ ადგილობრივი მუშებისაგან. პეტრე I აღფრთოვანებული იყო იმით, რომ ბატონიშვილმა შეისწავლა კატარღის მართვა, გაიცნო და გადმოიღო საფლოტო ტერმინები და ხელი მიჰყო საჭირო წიგნების რუსული ენიდან ქართულად თარგმნას. ალექსანდრე ბაგრატიონი, სადაც უნდა ყოფილიყო, თავის ქართულ წარმომავლობას ხაზს უსვამდა. მეცადინეობისა და მძიმე ფიზიკური შრომისაგან თავისუფალ საათებში უფლისწული დადიოდა ქართულ ტანსაცმელში გამოწყობილი, რომელსაც იგი, როგორც ამას ჰოლანდიელები აღნიშნავდნენ, „აღმოსავლური ბრწყინვალებით ატარებდა“. ალექსანდრე ბაგრატიონი 1699 წლამდე სწავლობდა საარტილერიო საქმეს. 1700 წლის 19 მაისს პეტრე I მას მიანიჭა გენერალ-ფელდცოიგმაისტერის წოდება და რუსეთის არტილერიის უფროსად დანიშნა — შვედეთის წინააღმდეგ ომში იგი რუსეთის არტილერიას ხელმძღვანელობდა. სწორედ მისი უშუალო მეთვალყურეობით დამზადდა 60 000 ყუმბარა. 1700 წლის 19 ნოემბერს ნარვის ბრძოლაში შვედებმა ტყვედ ჩაიგდეს ალექსანდრე ბაგრატიონი. ►

**პეტრე I შვედებისგან ალექსანდრე ბაგრატიონის დაბრუნებას ითხოვდა და მზად იყო, მისი წონა ოქრო გაეღო, მაგრამ შვედები არ დათანხმდნენ. მხოლოდ 10 წლის შემდეგ, როდესაც რუსებმა ორი შვედი ფელდმარშალი შეიპყრეს, გადაწყვიტეს, ალექსანდრე ბაგრატიონი მათზე გაეცვალათ. 1711 წელს ტყვეობიდან გამოხსნილი დაავადებული უფლისწული გზაში გარდაიცვალა — შვედეთის ქალაქ პიტეოში; დაკრძალულია მოსკოვში, დონის მონასტერში**

## საპრეზიდენტო არჩევნებში ტეხასელი სენატორი ებმება

**ტეხასელმა სენატორმა რესპუბლიკური პარტიიდან ტედ კრუზმა აშშ-ის 2016 წლის ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა გადაწყვეტა.** 44 წლის კრუზი პირველი ჩაებმება საპრეზიდენტო მარათონში.

ტედ კრუზი კანადაში დაიბადა და მამით კუბელია. 2013 წლიდან ამერიკის სენატორია, 2014 წლიდან კი კანადის მოქალაქეობაზე უარი განაცხადა. ის მოქმედი პრეზიდენტის, ბარაკ ობამას, პოლიტიკას მკვეთრად ეწინააღმდეგება.

მოსალოდნელია, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში არანაკლებ ათი რესპუბლიკელი კანდიდატი მიიღებს მონაწილეობას. მათ შორის ექსპრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ძმა ჯებ ბუში, ნიუ-ჯერსის გუბერნატორი კრის კრისტი, სენატორები მარკო რუბიო, რენდ პოლი და სხვები. მეტ-ნაკლებად სავარაუდო კანდიდატები კი დემოკრატებიდან მიიჩნევიან ყოფილი პირველი ლედი ჰილარი კლინტონი და ვიცეპრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი. თუმცა მათ ოფიციალურად თავიანთი გადაწყვეტილებების შესახებ ჯერ არ განუცხადებიათ.



1935-1991 წლებში საბჭოთა კავშირის მარშლის წოდება მიენიჭა სულ 41 პიროვნებას, მათ შორის იყო სამი ქართველი: სტალინი (1878—1953), ლავრენტი ბერია (1899-1953 წ.წ., მარშლის წოდება მიენიჭა 1945 წელს) და არჩილ გელოვანი (1915-1978 წ.წ., სსრკ-ის საინჟინრო ჯარების მარშლის წოდება მიენიჭა 1977 წელს).

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




1701 წლის დასაწყისში ტყვეები ნარვიდან სტოკჰოლმში გადაიყვანეს, სადაც აგვისტომდე საკმაოდ მკაცრად ექცეოდნენ. ალექსანდრეს მდგომარეობა არც სტოკჰოლმში გადაყვანის შემდეგ გაუმჯობესებულა. კარლოს XII რუსი ტყვეებისა და პეტრეს დასამცირებლად ძალ-ღონეს არ იშურებდა. გამარჯვების აღსანიშნავად სტოკჰოლმში ტრიუმფალური მსვლელობა მოაწყო — ტყვეთა მწკრივის თავში პოლონელი ელჩის, გენერალ-მაიორ დანგეს გვერდით, ალექსანდრე ბატონიშვილი მიაბიჯებდა. კარლოს XII-ის საქციელით აღშფოთებულმა პეტრე I-მა გამოაყვანინა ტყვე შვედები და შვედეთის ელჩის მეთაურობით მოსკოვის ქუჩები შემოარბენინა. სტოკჰოლმში ალექსანდრე სტირნდალის სახლში დააბინავეს, მასთან ერთად იყო რვა ქართველიც. ტყვეობაში მყოფ ალექსანდრე ბატონიშვილს პეტრე I წოდება და ნახევარი ხელფასი შეუნარჩუნა. პეტრე I შვედებისგან ალექსანდრე ბაგრატიონის დაბრუნებას ითხოვდა და მზად იყო, მისი წონა ოქრო გაეღო, მაგრამ შვედები არ დათანხმდნენ. მხოლოდ 10 წლის შემდეგ, როდესაც რუსებმა ორი შვედი ფელდმარშალი შეიპყრეს, გადაწყვიტეს, ალექსანდრე ბაგრატიონი მათზე გაეცვალათ. 1711 წელს ტყვეობიდან გამოხსნილი დაავადებული უფლისწული გზაში გარდაიცვალა — შვედეთის ქალაქ პიტეოში. დაკრძალულია მოსკოვში, დონის მონასტერში.

სტოკჰოლმში, მეფის სასახლის ახლოს, იმ სახლზე, სადაც ალექსანდრე ბაგრატიონი ცხოვრობდა, წარწერაა ქართულად:

**„ამ სახლში ცხოვრობდა ქართველი პრინცი ალექსანდრე ბაგრატიონი“.**

## მარშალი

**მარშალი** (marechal) ფრანგული სიტყვაა და მეჯინიბეს ნიშნავს.

სსრკ-ის შეიარაღებულ ძალებში ეს წოდება, რომელსაც პერსონალურად ანიჭებდა სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ჯარების ხელმძღვანელობის საქმეში დიდი დამსახურებისთვის, 1935 წლიდან დამკვიდრდა.

**1935-1991 წლებში საბჭოთა კავშირის მარშლის წოდება მიენიჭა სულ 41 პიროვნებას, მათ შორის იყო სამი ქართველი: სტალინი (1878—1953), ლავრენტი ბერია (1899-1953 წ.წ., მარშლის წოდება მიენიჭა 1945 წელს) და არჩილ გელოვანი (1915-1978 წ.წ., სსრკ-ის საინჟინრო ჯარების მარშლის წოდება მიენიჭა 1977 წელს).** 1945 წლამდე მარშალი ითვლებოდა უმაღლეს სამხედრო წოდებად, ვიდრე არ შემოიღეს წოდება გენერალისიმუსი.


მარშალი ლავრენტი ბერია

## გენერალისიმუსი

სხვადასხვა პერიოდში ტერმინი **გენერალისიმუსი** სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენებოდა. XVI-XIX საუკუნეებში ეს იყო სამხედრო ტიტული, რომელსაც სამეფო დინასტიის წარმომადგენლებსა და სახელhმწიფო მოღვაწეებს ანიჭებდნენ. წმინდა რომის იმპერიაში, ავსტრიის იმპერიასა და ინგლისში ეს იყო მოქმედი არმიის მთავარსარდლის ტიტული. გენერალისიმუსის ტიტული პირველად ისტორიაში 1569 წელს საფრანგეთის მეფე შარლ IX-მ მიანიჭა თავის ძმას — ანჟუს ჰერცოგს (მოგვიანებით საფრანგეთის მეფე — ანრი III).

ტიტული **გენერალისიმუსი** არსებობდა მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში: საფრანგეთში, წმინდა რომის იმპერიაში, რუსეთში, შვედეთში, ესპანეთში, მექსიკაში, ჩინეთში, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში და სხვ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1945 წლის 26 ივნისს, დაწესდა წოდება **საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი.** მეორე დღეს ეს წოდება მიენიჭა **იოსებ სტალინს.** მარშალი კონსტანტინე როკოსოვსკი იხსენებს, რომ დიდი ხნის სჯაბაასის შემდეგ დაარწმუნა სტალინი, გენერალისიმუსის წოდება მიეღო — „მარშალი ბევრია, გენერალისიმუსი კი — ერთი“.

ამჟამად ამ წოდებას არავინ ატარებს.


ვარსკვლავის ამოვლება

## სხვათა შორის

ახალი წოდების მიღებისას, ანუ სამხრეებზე ახალი ვარსკვლავის დამატებისას სამხედროები ბევრ ქვეყანაში იცავენ ტრადიციას, რომელიც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში დამკვიდრდა საბჭოთა კავშირში.

ვარსკვლავებს ყრიან ჭიქაში, რომელსაც ავსებენ არყით, შემდეგ სვამენ, ვარსკვლავებს კი ჭიქიდან იღებენ და სამხრეებზე იდებენ.

მოამზადა
**გიორგი ბერიძემ**

# მთავარ პროკურორს რეკომენდაციას აძლევენ, სააკაშვილის მიმართ სამართლებრივი დევნა განაგრძოს

**პროკურატურის მრჩეველთა საერთაშორისო ჯგუფი საქართველოს მთავარ პროკურორს რეკომენდაციას აძლევს, ყოფილი პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილისა და სხვა მაღალი რანგის თანამდებობის პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება განაგრძოს.**

აღნიშნულთან დაკავშირებით განცხადებას მთავარი პროკურატურა ავრცელებს, რომელშიც განმარტავს, რომ რეკომენდაცია 2007 წლის 7 ნოემბერს მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალის გამოყენებისა და არკადი პატარკაციშვილის ქონების, მათ შორის ტელეკომპანია „იმედის“, ხელში ჩაგდებას შეეხება.

„პროკურატურის მრჩეველთა საერთაშორისო ჯგუფმა დაასრულა საქართველოს მთავარ პროკურატურაში წარმოებული მორიგი გახმაურებული სისხლის სამართლის საქმის შესწავლა და დადო დასკვნა, რომლის თანახმადაც, პროკურატურის მრჩეველთა საერთაშორისო ჯგუფი რეკომენდაციას აძლევს საქართველოს მთავარ პროკურორს, განაგრძოს სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება ყოფილი პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილისა და სხვა მაღალი რანგის თანამდებობის პირების მიმართ 2007 წლის 7 ნოემბერს მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალის გამოყენებისა და არკადი პატარკაციშვილის ქონების, მათ შორის, ტელეკომპანია „იმედის“ ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით.

პროკურატურის მრჩეველთა ჯგუფმა საქმეზე მთავარი პროკურატურის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების რამდენიმეთვიანი შესწავლის შემდეგ დაასკვნა, რომ 2007-2012 წლებში საქართველოს მთავრობის ქმედებები, რომლებიც მიმართული იყო სამთავრობო ინსტიტუტების გამოყენებით არკადი პატარკაციშვილისა და მისი ოჯახის კუთვნილი ქონების უკანონოდ ჩამორთმევისკენ; ასევე, 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენები, რა დროსაც მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ მოხდა ძალის გამოყენება, დასკვნის მიხედვით, აღნიშნული საკმარისია ბრალდების მხარდაჭერისათვის და სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა გაგრძელდეს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილის, საქართველოს ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის — ივანე მერაბიშვილის, ყოფილი თავდაცვის მინისტრის — დავით კეზერაშვილის, ყოფილი მთავარი პროკურორის — ზურაბ ადეიშვილისა და თბილისის ყოფილი მერის — გიორგი უგულავას წინააღმდეგ სხვადასხვა დანაშაულის ჩადენისთვის“.

საერთაშორისო ჯგუფი 2014 წლის ივლისში მთავარი პროკურორის ინიციატივით შეიქმნა იმ მიზნით, რომ აქტიურად შეესწავლა მთავარი პროკურატურის მიერ მიწოდებული მასალები, რომლებიც მოიცავდა მოწმეთა ჩვენებებს, ექსპერტიზის დასკვნებს, სასამართლო ოქმებს, საქართველოს კანონმდებლობასა და შესაბამის მასალებს.

პროკურატურის მრჩეველთა საერთაშორისო ჯგუფში გაწევრიანებული არიან: **სერ ჯეფრი ნაისი** (გაერთიანებული სამეფოს დედოფლის ადვოკატი), **მოშე ლადორი** — ისრაელის სახელმწიფოს ყოფილი მთავარი პროკურორი და **პოლ კოფი** — ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის განყოფილების ყოფილი უფროსი“, — ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.



ეკონომიკა



# უკრაინის ეროვნული ბანკის ექსპრეზიდენტი: უკრაინის პროდუქცია ევროპას არ სჭირდება!

**„რუსეთის ბაზარი გაცილებით მომგებიანი იყო უკრაინის საწარმოებისთვის“, — დაწერა სოციალურ ქსელში უკრაინის პრემიერმინისტრის მოვალეობის ყოფილმა შემსრულებელმა და ქვეყნის ეროვნული ბანკის ექსხელმძღვანელმა სერგეი არბუზოვმა.** „2014 წლის მონაცემების მიხედვით, ევროკავშირში უკრაინული პროდუქციის მოცულობა მხოლოდ 2,6%-ით გაიზარდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ევროპას უკრაინული პროდუქცია არ სჭირდება. რუსეთის ბაზარი გაცილებით მომგებიანია! ეს უკვე მერამდენედ, ეკონომიკამ გაკვეთილი ჩაუტარა პოლიტიკას, სამწუხაროა, რომ ამ გაკვეთილის ათვისება ჩვენს ბევრ პოლიტიკოსს არ ძალუძს“, — განაცხადა უკრაინის ეროვნული ბანკის ყოფილმა ხელმძღვანელმა.



მსოფლიოს გარშემო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95








# ვენესუელა — ქვეყანა ნავთობის საბადოებითა და მსოფლიოს უმაღლესი ჩანჩქერით



სიმონ ბოლივარი

## გეოგრაფიული და დემოგრაფიული მონაცემები

ვენესუელა (ოფიციალური სახელწოდება — **ბოლივარული რესპუბლიკა ვენესუელა**) სამხრეთ ამერიკის ჩრდილოეთში მდებარეობს. ჩრდილოეთით ესაზღვრება კარიბის ზღვასა და ატლანტიკის ოკეანეს, აღმოსავლეთით — გაიანას, სამხრეთით — ბრაზილიას, დასავლეთით —კოლუმბიას. მისი სანაპიროს სიგრძე დაახლოებით 2800 კმ-ია და აქვს ბევრი კუნძული კარიბის ზღვაში.

**ტერიტორია: 916 445 კვ.კმ** (32-ე მსოფლიოში).

ესპანეთის მიერ თითქმის მთელი სამხრეთ ამერიკის დაპყრობის შემდეგ (1522 წ) ვენესუელა პირველი კოლონია იყო, რომელმაც 1811 წელს დამოუკიდებლობა გამოაცხადა (ვენესუელის პირველი რესპუბლიკა), თუმცა ვერ შეინარჩუნა და დიდი კოლუმბიის ფედერაციის ნაწილი გახდა. საბოლოოდ კი დამოუკიდებლობა 1830 წელს მოიპოვა. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის სამხრეთ ამერიკის სახელგანთქმულ პოლიტიკურ მოღვაწეს **სიმონ ბოლივარს** (1783-1830), რომლის ავტორიტეტსაც ანგარიშს უწევდა ამერიკის კონტინენტი. ამ ეროვნული გმირის სახელს ვენესუელაში თითქმის ყველაფერს არქმევენ. ქვეყნის ყველაზე მაღალ მწვერვალს **ბოლივარის პიკი (4981 მ)** ჰქვია, ბოლივარი, აგრეთვე, ჰქვია ბევრ დასახლებულ პუნქტს, თეატრსა თუ კულტურის სხვა დაწესებულებას.

ვენესუელას მთებისა და დაბლობების ქვეყანას ეძახიან. მისი ტერიტორია, რელიეფის, კლიმატისა და მცენარეული საფარის მიხედვით შეიძლება დაიყოს ოთხ ნაწილად: ანდების მთათა სისტემად; მარაკაიბოს დაბლობად; ლიანოსის (მდინარე აპურესა და ორინოკოს დაბლობები) დაბლობად და გვიანის მაღლობად.

**კლიმატი.** ვენესუელის კლიმატს ტენიანი ეკვატორული ჰაერის მასები განსაზღვრავს. წლის განმავლობაში ტემპერატურა მკვეთრად არ იცვლება და პლუს 24-დან პლუს 34 გრადუსამდე დიაპაზონში მერყეობს.

**ფლორა.** ქვეყნის ჩრდილოეთ ტერიტორიაზე ხარობს მარცვლეული მცენარეები, კაქტუსები; ფოთლოვანი ხეებიდან აღსანიშნავია ქინაქინის ხე. მდინარე ორნოკოს აუზში ხარობს კაკაო, შაქრის ლერწამი, პალმა, ორქიდეა; სამხრეთ ნაწილში — კაუჩუკის ხე.

**ფაუნა.** ვენესუელის ტერიტორიაზე ბინადრობს იაგუარი, პუმა, მაიმუნი, ნუტრია, ტაპირი, ირემი, ნიანგი, ალიგატორი, კუ, მახრჩობელა გველი. ფრინველთა შორის აღსანიშნავია წერო, ყარყატი და იხვი.

**უდიდესი მდინარეები: ორინოკო (2736 კმ); რიუ-ნეგრუ (2300); აპურე (1580 კმ).**

**ტბები: მარაკაიბო** და **ვალესია.**

**მოსახლეობა.** ვენესუელის მოსახლეობა 2013 წლის აღწერის მიხედვით **28,4 მლნ** კაცს შეადგენს (45-ე მსოფლიოში).

ძირითადი ნაწილი მეტისია (ევროპელებისა და ინდიელთა შთამომავლობა) — 67%. ესპანელი კოლონიზატორების, აგრეთვე, იტალიელების, პორტუგალიელების, გერმანელებისა და ფრანგების შთამომავლები კი მოსახლეობის 21%-ს შეადგენენ აფრიკელები — 10%-ს, ინდიელები — 2%-ს.

**დედაქალაქი: კარაკასი (3,1 მლნ).**

**უდიდესი ქალაქები: მარაკაიბო (1,2 მლნ)** და **ვალენსია (900 ათასი).**

**ოფიციალური ენა: ესპანური.**

## მმართველობის ფორმა და რელიგია

ვენესუელა ფედერაციული რესპუბლიკაა, რომელიც 23 შტატსა და 1 ოლქისაგან (დედაქალაქის) შედგება. სახელმწიფოს პირველი პირია პრეზიდენტი, რომელიც 6 წლით ირჩევა ამჟამად ვენესუელის პრეზიდენტია **ნიკოლას მადურო.** მისი წინამორბედი იყო **უგო ჩავესი.** საკანონმდებლო ორგანოა ეროვნული ასამბლეა, რომელიც 165 დეპუტატისგან შედგება.

**რელიგია.** ვენესუელის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი თავს რომის კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლად მიიჩნევს. ქვეყანაში, აგრეთვე,



კარაკასი



ანხელი

მოქმედებს (2006 წლიდან) ვენესუელის „რეფორმირებული კათოლიკური ეკლესია", რომელსაც მხარს უჭერდა უგო ჩავესი.

ვენესუელაში, აგრეთვე, ცხოვრობენ ორმოცდაათიანელები (410 ათასი), ევანგელისტები (190 ათასი), ლუთერანები (7 ათასი) და სხვა კონფესიის წარმომადგენლები.

## ეკონომიკა

XXI საუკუნის დასაწყისში ქვეყანაში განვითარდა არა მხოლოდ ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობა (ვენესუელა ნავთობის მოპოვების მხრივ მსოფლიოში წამყვან პოზიციებზეა), არამედ შავი მეტალურგიის, სამშენებლო მასალებისა და მობილური კავშირგაბმულობის დარგები.

ქვეყნის ეკონომიკაში თავისი წვლილი შეაქვს სოფლის მეურნეობასაც. ქვეყანაში საექსპორტოდ აწარმოებენ ყავას, კაკაოს, ბრინჯს, სიმინდს, ხორცს, ტყავს და ა.შ.

ვენესუელის მთლიანი შიგა პროდუქტი **334,7 მლრდ-ს** შეადგენს (31-ე), მოსახლეობის ერთ სულზე — 12 ათას დოლარს.

**ვალუტა: ვენესულური ბოლივარი (1 ბოლივარი = 0,157 დოლარს).**

**ინტერნეტდომენი: VE;**

**სატელეფონო კოდი: +58;**

**საათობრივი სარტყელი: UTC/GMT — 4:30.**

## კულტურა

ვენესუელის, ისევე, როგორც სამხრეთ ამერიკის უმეტესი ქვეყნების კულტურაზე, დიდი გავლენა იქონია ესპანურმა კულტურამ.

იუნესკოს მსოფლიოს მემკვიდრეობის სიაში შეყვანილია ვენესუელის რამდენიმე ობიექტი. ესენია: ქალაქი სანტაანა დე კორო (ფალკონის შტატი) და მისი პორტი; კანაიმას ნაციონალური პარკი (ბოლივარის შტატი) და საუნივერსიტეტო ქალაქი კარკასში: აგრეთვე, მსოფლიოში ყველაზე მაღალი ჩანჩქერი — ანხელი (1054 მ), რომელიც კანაიმას ნაციონალური პარკის ტერიტორიაზე მდებარეობს.

ვენესუელური ლიტერატორის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის **სიმონ როდრიგესს, ანდრეს ბელიოსა და სიმონ ბოლივარს.**

XX საუკუნის ყველაზე გამოჩენილი მწერალი იყო ვენესუელის ექსპრეზიდენტი **რომელო გალიეგოსი** (1884-1969), რომლის რომანმაც „დონია ბარბარა", საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.

**ღირსშესანიშნაობები: კარაკასში** — ტრიუმფალური თაღი, ოპერა, გომესის (პრეზიდენტი — 1908-1935 წლებში) კანაიმას ნაციონალური პარკი; ჩანჩქერი ანხელი; **მარაკაიბო** — ხიდი რაფაელ ურდანეტა, რომელიც ყველაზე გრძელია (8679 მ) სამხრეთ ამერიკაში.

## სამზარეულო

ვენესუელური სამზარეულო ევროპელი კოლონიზატორების, ამერიკის კონტინენტზე მცხოვრები ხალხების, აგრეთვე, აფრიკელთა კულინარული ტრადიციების საფუძველზე ჩამოყალიბდა.

კერძების ძირითადი ინგრედიენტებია ხორცი, თევზეული, კრევეტები, მარცვლეული (ლობიო), სიმინდი, ბრინჯი, კარტოფილი, ბანანი, ცოცხალი ბოსტნეული და სანელებლები — წიწაკა, დარიჩინი, მიხაკი.

ხორცსა და თევზს ხშირად ნაკვერჩხალზე წვავენ.

### „პაბელინ კრიოლიო"

**ვენესუელაში ყველაზე პოპულარული კერძია „პაპელინ კრიოლიო", რომელიც ძროხის ხორცით, შავი ლობიოთი, ყველითა და შემწვარი ბანანებით მზადდება.**



**ინგრედიენტები:**

*ძროხის ხორცის რბილი ნაჭერი ან სტეიკი — 0,5 კგ
*ზეითუნის ზეთი — 1/4 ჭიქა
*ხახვი — 1 თავი
*მარილი — 2 ჩ.კ.
*პილპილი — 1 ჩ.კ.
*წითელი წიწაკა — 1 ც
*პომიდორი — 2-3 ც.
*ბრინჯი — 4 ჭიქა
*ლობიო (შავი) — 1 ჭიქა
*ბანანი — 1 ც
*ყველი — 100 გრ
*ნიორი — 1 კბილი

**მომზადება:**

*ტაფაზე დაასხით ზეთი და ძლიერ ცეცხლზე გაახურეთ. შემდეგ დადეთ ხორცი და ორივე მხრიდან შებრაწეთ.

*ხორცი გადადეთ ქვაბში. მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ხახვი, მარილი და პილპილი. დაასხით წყალი იმდენი, რომ ხორცი დაიფაროს და ხარშეთ დაბალ ცეცხლზე 1 საათის განმავლობაში — ხორცის კარგად დარბილებამდე.

*ამოიღეთ ქვაბიდან ხორცი, ნახარში კი შეინახეთ.

*გაცივების შემდეგ ხორცი წვრილად დაჭერით.

*კვლავ გაახურეთ ტაფა. დაყარეთ მასზე წვრილად დაჭრილი ხახვი, ნიორი წიწაკა და მოასხით ზეთი. შემდეგ დაუმატეთ წვრილად დაჭრილი ხორცი, კანგაცლილი პომიდვრები, მარილი, პილპილი, ნახარში და 15-20 წუთის განმავლობაში შეწვით.

*კერძი გადადეთ თეფშზე და მაგიდაზე მიიტანეთ მოხარშულ ბრინჯსა და ლობიოსთან (რომელსაც გახეხილი ყველი უნდა მოაყაროთ), აგრეთვე, შემწვარ ბანანთან (ორად გაჭრილ) ერთად.

მოამზადა
გიორგი გაჩეჩილაძემ

ცვლილებების პერიოდია. წარმატებას მიაღწევთ, თუ გულმოდგინედ ივლით დასახული მიზნისკენ. კარგი პერიოდია ვერძის, კუროსა და თევზების ნიშნით დაბადებულთათვის.

ჰოროსკოპი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

25 – 30 მარტის ასტროლოგიური პროგნოზი

## ვერძი
21 მარტი – 20 აპრილი

საუკეთესო პერიოდია ბინაში რემონტის დასაწყებად. იდეებით აღსავსე იქნებით, ამას თქვენი ხელმძღვანელობა აუცილებლად შეამჩნევს და მათ განხორციელებას შეეცდება. შედეგად შეძლებთ მომგებიანი კონტრაქტის გაფორმებასა და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მოერიდეთ ოჯახის წევრების გაკრიტიკებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი ემოციური გამონათქვამების გამო, კონფლიქტი გარდაუვალია. უფრო მეტი დრო დაუთმეთ საყვარელი ადამიანების პრობლემების მოგვარებას.

მოერიდეთ სტრესულ სიტუაციებს, რადგან შესაძლოა, გაგიმწვავდეთ ნერვული სისტემისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებები!

**დადებითი დღე: 29 მარტი;**
**უარყოფითი დღე: 27 მარტი.**

## კურო
21 აპრილი – 21 მაისი

გაგიჩნდებათ კარიერის კიბეზე მაღლა ასვლის ახალი შესაძლებლობები. გაბედულად დაიწყეთ ჩაფიქრებული პროექტების განხორციელება, რადგან ამ პერიოდში ფორტუნა თქვენ მხარესაა — კომერციულ გარიგებებშიც და აზარტულ თამაშებშიც, თუმცა სამსახურში მოსალოდნელია კონფლიქტი კოლეგებთან.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას, შესაძლოა, მცირე გაუგებრობა წარმოიშვას, მაგრამ, თუ ემოციებს მოთოკავთ, ყველაფერი მშვიდად ჩაივლის.

ამ პერიოდში დიდია ინფექციებით დაავადების რისკი. იმუნიტეტის გასაძლიერებლად მიიღეთ ვიტამინები და ფიზიკურად დაიტვირთეთ.

**დადებითი დღე: 23 მარტი;**
**უარყოფითი დღე: 30 მარტი.**

## ტყუპი
22 მაისი–21 ივნისი

ხელმძღვანელობამ, შესაძლოა, მეტად მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება დაგავალოთ, რომელიც თქვენგან მოთმინებასა და შრომისმოყვარეობას მოითხოვს. წარსულში ნაყოფიერად მუშაობისთვის კი, არ არის გამორიცხული, პრემიით დაგაჯილდოვოთ.

დაოჯახებულ ტყუპებს, შესაძლოა, ურთიერთობა დაეძაბოთ მეუღლესთან, ამის მიზეზი ახლობელი ადამიანის მიერ გავრცელებული ჭორი იქნება.

მარტოხელა ტყუპებს კი რომანტიკული თავგადასავალი ელით.

უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე და ყურადღებით მართეთ ავტომობილი!

**დადებითი დღე: 26 მარტი;**
**უარყოფითი დღე: 28 მარტი.**

## კირჩხიბი
22 ივნისი–22 ივლისი

ეს ბევრი კირჩხიბისთვის წარმატების მომტანი პერიოდი იქნება. გაგიჩნდებათ სამსახურში დაწინაურების ან ხელსაყრელი კონტრაქტის გაფორმების შანსი.

შეეცადეთ, ყურადღება მთავარზე გაამახვილოთ და პარტნიორებთან და კოლეგებთან დაპირისპირებას თავი აარიდოთ.

თუ ოჯახის წევრებს ბევრ მოთხოვნას წაუყენებთ, შეიძლება, გაგინაწყენდნენ. გულწრფელი საუბარი გაამყარებს ურთიერთობებს და ყველა უთანხმოებას მშვიდად მოაგვარებს.

შეეცადეთ, მოსწყდეთ საქმეებს და რამდენიმე საათი ბუნების წიაღში გაატაროთ!

**დადებითი დღე: 28 მარტი;**
**უარყოფითი დღე: 24 მარტი.**

## ლომი
23 ივლისი –22 აგვისტო

იმ ლომებმა, რომლებსაც თავიანთი ბიზნესი აქვთ და სურთ, მაქსიმალურ წარმატებას მიაღწიონ, ყურადღება კონკურენტების მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე უნდა გაამახვილონ და შეეცადონ, ახალი მოკავშირეები და პარტნიორები მოძებნონ. ახალ პარტნიორებთან თანამშრომლობა მეტ შემოსავალს მოგიტანთ.

ლომების უმრავლესობას მეუღლესთან პრობლემა შეექმნება ოჯახის ბიუჯეტის განაწილების გამო. საერთოდ კი, ფული ეკონომიურად ხარჯეთ და თავი შეიკავეთ სარისკო ფინანსური ოპერაციებისგან.

ამ პერიოდში დიდია ტრამვის მიღების ალბათობა, ამიტომ სიფრთხილე გამოიჩინეთ გზაჯვარედინზე გადასვლის მომენტში და ავტომობილის მართვისას.

**დადებითი დღე: 30 მარტი;**
**უარყოფითი დღე: 24 მარტი.**

## ქალწული
23 აგვ. –23 სექტემბ.

შესრულებული სამუშაოს შედეგები კმაყოფილებას მოგგვრით და შესანიშნავ გუნებაგანწყობაზე დაგაყენებთ. ამ პერიოდში შეძლებთ პასუხების მიღებას იმ კითხვებზე, რომლებიც დიდი ხანია, გაწუხებთ.

ქალწულებმა, რომლებსაც საყვარელ ადამიანთან უთანხმოება ჰქონდათ, მათ მიმართ მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინონ და ურთიერთობაში პრობლემები აღმოიფხვრება.

მარტოხელა ქალწულები კი, შეიძლება, ძველ შეყვარებულს შეხვდნენ და არ არის გამორიცხული, გრძნობამ კვლავ იფეთქოს.

სამსახურში მეტისმეტად ნუ დაიტვირთავთ თავს და შეეცადეთ, დაიცვათ კვების რეჟიმი!

**დადებითი დღე: 29 მარტი;**
**უარყოფითი დღე:  24 მარტი.**

## სასწორი
24 სექტ. – 23 ოქტ.

სამსახურებრივი საქმეები ისე წარიმართება, როგორც დაგეგმილი გქონდათ, მაგრამ ხელმძღვანელობისა და კოლეგებისგან მხარდაჭერას ვერ მიიღებთ. შეინარჩუნეთ სიმშვიდე და ყურადღება თქვენს პროფესიულ უნარებზე გაამახვილეთ. ამ პერიოდში თქვენი ფინანსური მდგომარეობა არასტაბილური იქნება, ამიტომ მოერიდეთ ფულის ხარჯვას.

მარტოხელა სასწორებს ელით რომანტიკული თავგადასავალი, რომელიც დიდხანს დაამახსოვრდებათ.

დაოჯახებულ სასწორებს კი მეუღლესთან პრობლემები შეექმნებათ, თუ მის მოთხოვნებს არ გაითვალისწინებენ.

მეტი დრო დაუთმეთ ძილსა და დასვენებას. მოიწესრიგეთ კვების რეჟიმი, რადგან დიდია კუჭ-ნაწლავის სისტემის დაავადებების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 25 მარტი;**
**უარყოფითი დღე: 27 მარტი.**

## მორიელი
24 ოქტ. – 22 ნოემბ.

ამ პერიოდში წარმატებას მიაღწევენ ის მორიელები, რომლებიც არასტანდარტულად აზროვნებენ და გამომგონებლობისკენ არიან მიდრეკილნი. ფინანსური მდგომარეობა კი იმ შემთხვევაში გექნებათ სტაბილური, თუ ხარჯებს სწორად გაანაწილებთ.

მოიმატებს თქვენი მომხიბვლელობა და საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთა ყურადღებას მიიპყრობთ. დაოჯახებულმა მორიელებმა მეტი მზრუნველობა უნდა გამოიჩინონ ოჯახის წევრების მიმართ.

ამ პერიოდში დიდია ტრამვებისა და უბედური შემთხვევების ალბათობა. სიფრთხილე გამოიჩინეთ ელექტროხელსაწყოების გამოყენებისა და ავტომობილის მართვისას.

**დადებითი დღე: 28 მარტი;**
**უარყოფითი დღე: 30 მარტი.**

## მშვილდოსანი
23 ნოემ. – 21 დეკ.

დასახული მიზნების მიღწევას მხოლოდ აქტიურობითა და მუხლჩაუხრელი მუშაობით შეძლებთ. შეცდომები თავიდან რომ აიცილოთ, წვრილმანებზე დროს ნუ დახარჯავთ და ყურადღება მთავარზე გადაიტანეთ. ნუ გარისკავთ. შეეცადეთ, მოაგვაროთ დაძაბული ურთიერთობები კოლეგებსა და ხელმძღვანელობასთან, რადგან არ არის გამორიცხული, ემოციური გამონათქვამების გამო, პრობლემები შეგექმნათ.

თუ დაქორწინებული მშვილდოსნები მეტ ყურადღებას დაუთმობენ მეუღლეებსა და მეტ მზრუნველობას გამოიჩენენ შვილების მიმართ, ოჯახში იდილია დაისადგურებს.

მოერიდეთ სტრესულ სიტუაციებს და შეეცადეთ, ბუნების წიაღში დაისვენოთ.

**დადებით დღე: 29 მარტი;**
**უარყოფითი დღე: 26 მარტი.**

## თხის რქა
22 დეკემ. – 20 იან.

ენერგიით აღსავსე ხართ, მაგრამ, თუ რამდენიმე საქმეს ერთდროულად შეეჭიდებით, არაფერი გამოგივათ. წარმატებას იმ შემთხვევაში მიაღწევთ, თუ დასახული მიზნებისკენ ნელა და მეთოდურად ივლით. შეეცადეთ, კოლეგებსა და ხელმძღვანელებთან არ იკამათოთ, რადგან შესაძლოა, კონფლიქტში აღმოჩნდეთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას ყველა სიტყვა აწონ-დაწონეთ, მის სიტყვებს კი გულთან ახლოს ნუ მიიტანთ, რამდენიმე დღეში თქვენი ურთიერთობა საგრძნობლად გაუმჯობესდება.

დაძაბულმა სამუშაო გრაფიკმა შეიძლება, ძალიან გადაგღალოთ, ამიტომ შეეცადეთ, მეტი დაისვენოთ.

კარგი იქნება, თუ ფიზიკურად დაიტვირთებით.

**დადებით დღე: 24 მარტი;**
**უარყოფითი დღე: 27 მარტი.**

## მერწყული
21 იან. – 19 თებ.

პროფესიულ სფეროში ნებისმიერი წამოწყება წარმატებას მოგიტანთ. ხელმძღვანელობამ კი, შეიძლება, ახალი თანამდებობა შემოგთავაზოთ. ამ პერიოდში მოსალოდნელია დამატებითი შემოსავლის მიღება, რომელიც დიდად წაადგება თქვენს შეთხელებულ ჯიბეს.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება, თუ მასთან ურთიერთობას მეტ დროს დაუთმობთ. არ დაივიწყოთ ოჯახის ხანშიშესული წვრებიც. ახლა მათ თქვენი მზრუნველობა ძალიან სჭირდებათ.

თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს და გაუფრთხილდით ნერვულ სისტემას. გაიმყარეთ იმუნიტეტი!

**დადებითი დღე: 25 მარტი;**
**უარყოფითი დღე: 29 მარტი.**

## თევზები
20 თებ. – 20 მარტი

სამსახურში ვითარება, შეიძლება, რადიკალურად შეიცვალოს, ყველაფერი დამოკიდებული იქნება თქვენს გადაწყვეტილებაზე — დარჩეთ ძველ სამსახურში თუ ახალ შემოთავაზებას დათანხმდეთ. სწორ გადაწყვეტილებას ინტუიცია გიკარნახებთ.

ამ პერიოდში თქვენი ფინანსური მდგომარეობა შეიძლება დამატებითმა შემოსავალმა გააუმჯობესოს.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ობიექტურად შეაფასეთ — დაივიწყეთ ძველი წყენა და მის მიმართ მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ. მეტი დრო გაატარეთ ოჯახის წევრებთან.

გაუფრთხილდით ფეხებს, განსაკუთრებით — ტერფებს, რადგან დიდი იქნება მათი დაზიანების ალბათობა.

**დადებითი დღე: 28 მარტი;**
**უარყოფითი დღე: 26 მარტი.**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვისკის წარმოშობის ისტორია, სულ მცირე, ჩვენი წელთაღრიცხვით V საუკუნიდან იწყება. ამბობენ, რომ „მწვანე კუნძულზე“ დისტილაციის მეთოდი მისიონერმა ბერებმა თავად წმიდა პატრიკის ხელმძღვანელობით ჩაიტანეს იორდანიიდან, სადაც ეს ყველაფერი ჯვაროსნებისგან უსწავლიათ.**

# ზოგი რამ ვისკის შესახებ

**ვისკი არის მაგარი სპირტიანი სასმელი, რომელიც ნატურალური მარცვლეულის, წყლისა და საფუარისგან მზადდება. მისმა ძლიერებამ და არომატების ფართო პალიტრამ ბევრი ქვეყანა დაიპყრო, მაგრამ ნამდვილი ვისკი მხოლოდ შოტლანდიური ან ირლანდიურია და ეს ორი უძველესი სახეობა დიდად განსხვავდება ამერიკული ბურბონისგან ან კანადური და იაპონური ვისკებისგან. ასევე არსებობს კანადური, იაპონური, ავსტრალიური, ახალზელანდიური, არგენტინული, ტაილანდური და ინდური ვისკებიც, მაგრამ ყველა ეს სახეობა ძალიან განსხვავდება ვისკის სამშობლოში – შოტლანდიაში ან ირლანდიაში დამზადებული სასმელისგან.**



**ვისკი უნდა დაძველდეს არანაკლებ სამი წლის განმავლობაში, ოპტიმალური დრო კი 10–20 წელია, თუმცა 30–50–წლიანი დაძველების ვისკიც არსებობს და, როგორც ამბობენ, მისი გემო კუბოს კარამდე მიჰყვება ადამიანს**




შოტლანდიაში ვისკის წარმოების მთავარი რაიონებია ჰაილენდსი, სპეისაიდი და ორკნის კუნძულები ქვეყნის ცენტრალურ და ჩრდილოეთ ნაწილში, ასევე ლოულენდსი სამხრეთით, კემპბელტაუნის ნახევარკუნძული და კუნძული აილეი სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. შოტლანდიაში ვისკის ამზადებენ ჭვავისგან და მას სკოჩს ეძახიან. არსებობს სკოჩის სამი სახეობა: blend, pure malt და single malt. კლასიკური შოტლანდიური ვისკია single malt. Pure malt წარმოადგენს სხვადასხვა სახის single malt-ის ნარევს, რომელიც ღვინის სხვადასხვა ქარხანაშია დამზადებული. Pure mail-ს სხვაგვარად Vatted malt-საც უწოდებენ.

SINGLE MALT ერთალაოიან ვისკის ნიშნავს, იგი ნამდვილი არისტოკრატია, ვისკების მეფე. მის გამოსახდელად მხოლოდ ქერს იყენებენ, ერთი წლის მოსავალს კარგად არჩევენ, ასუფთავებენ და აშრობენ, შემდეგ ასველებენ და 10 დღის მანძილზე აღვივებენ. ამასობაში ქერის სახამებელი შაქრად იქცევა, რომელიც დუღილისთვისაა აუცილებელი და მალე ტორფზე გაშრობა-შებოლვის დროც დგება. ასე მიიღება ალაო, მთავარი კომპონენტი ვისკისთვის.

გასუფთავებულ და დაფქულ ალაოს (Grist) თბილ წყალს ასხამენ და ამ ტკბილ წვენს (Wort) საფუარს ამატებენ. დუღილი ორი დღე-ღამე გრძელდება. მიღებულ 5-8%-იან ლუდს (Wash) ორჯერ ხდიან. პირველი აპარატიდან (Wash Still) გამოხდილ სითხეს Low Wine-ს უწოდებენ და მას 25-30%-იანი სიმაგრე აქვს, უკვე მეორე აპარატიდან (Wash Still) კი 65-70%-იანი ვისკი მოწვეთავს. მეორე გამოხდის დროს თავსა და ბოლოს აცლიან სასმელს (ჩვენებური ჭაჭის ენაზე, „წინწანაქარსა“ და „კუდს“), „გულს“ კი, ანუ ძირითად ნაწილს, წყაროს წყალს ამატებენ, რათა ვისკის სიმაგრემ 50%-მდე დაიკლოს. ინახავენ ძველ კასრებში, რომლებშიც ადრე ბურბონი (ამერიკული ვისკი) ესხა. ყველაზე ელიტურ Single Malt-ს კი მხოლოდ ხერესის კასრებში აძველებენ.

დაძველების პროცესშივე ხდება ალკოჰოლის აორთქლება, რომელსაც „ანგელოსთა წილი“ ჰქვია და ვისკი 40%-ზე დგება. **ვისკი უნდა დაძველდეს არანაკლებ სამი წლის განმავლობაში, ოპტიმალური დრო კი 10-20 წელია, თუმცა 30-50-წლიანი დაძველების ვისკიც არსებობს და, როგორც ამბობენ, მისი გემო კუბოს კარამდე მიჰყვება ადამიანს.**

Pure Malt ითარგმნება, როგორც სუფთა ალაოიანი ვისკი და სხვადასხვა ხარისხისა და სხვადასხვა ქარხანაში გამოხდილი Single Malt-ების ნარევს წარმოადგენს. მისი ძირითადი არსი ყველაზე მძაფრი სინგლების შედარებით რბილი ვისკით (ასევე Single Malt-ებით) განელებაში მდგომარეობს. ამ ვისკის Vatted Malt-საც უწოდებენ.

Blend-ი ესაა შერეული, ანუ კუპაჟირებული ვისკი. ვისკის სპეციალისტები ხშირად ამბობენ ხოლმე: გამოხდა მეცნიერებაა, კუპაჟირება კი — ხელოვნებაო. ჰოდა, ამ ხელოვნებას, რა უცნაურიც უნდა იყოს, მხოლოდ XIX საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი (არადა, დღეს ყველაზე დიდი რაოდენობით სწორედ ბლენდები იყიდება მთელ მსოფლიოში). ენდრიუ იუშერი პირველი იყო, ვინც 1860 წელს ალაოსა და ხორბლის ვისკები შეურია ერთმანეთს და ამით ბლენდის სახელოვან ისტორიასაც დაუდო სათავე. ბლენდი ყველაზე გავრცელებული ვისკია. მაგალითად, ბლენდია J&B, Johnnie Walker, Chivas Regal, Cutty Sark, The Famous Grouse, Ballantine's და ა. შ. თუკი ბლენდის ბოთლზე ვისკის ასაკია მითითებული, ეს ნიშნავს, რომ ამდენივე წლისაა კუპაჟში არეული ყველაზე ახალგაზრდა ვისკი. თუკი ძველი Single Malt-ების წილი მეტია ნარევში, მაშინ ბოთლზე Deluxe ან Premium უნდა ეწეროს.

მრავალი იმ ლეგენდის მიუხედავად, რომლებიც მოგვითხრობენ ირლანდიური ვისკის წარმოშობის შესახებ, დღემდე არ არის ზუსტად ცნობილი, თუ როდის მოევლინა ის სამყაროს. დოკუმენტურად იგი პირველად მოიხსენიება საპარლამენტო აქტში, რომელიც დათარიღებულია 1556 წლით. არსებობის მანძილზე მას ჰქონდა წარმატებაც და წარუმატებლობაც, მაგრამ დღემდე უწევს ღირსეულ კონკურენციას თავის შოტლანდიელ „ძმას“.

**ვისკი ირლანდიელთა სიამაყეა და ის უმაღლესი ხარისხის სასმელადაა აღიარებული მსოფლიოში. მართლწერა ირლანდიური სიტყვისა Whiskey განსხვავდება შოტლანდიური Whisky-სგან და ეს არაა შემთხვევითი. ირლანდიური ვისკის მთელი საწარმოო პროცესი არსებითად განსხვავდება შოტლანდიურისგან.**

ირლანდიაში იწარმოებს სხვადასხვა სახის ვისკი: ეს არის ტრადიციული ირლანდიური ვისკი დადუღებული და დაუდუღებელი ქერის ალაოსგან, შეიძლება იყოს ჭვავისა და შვრიის დანამატი, რომელიც მიღებულია patent still-ის გამოსახდელ აპარატში.

Grain-ი — ეს არის მარცვლეულის ვისკი, უფრო ხშირად სიმინდის, ხორბლის ან ქერის ალაოს დამატებით, გამოხდილი (დისტილირებული) აპარატში patent still. Single malt დამზადებულია ქერის ალაოსგან და იწარმოება მხოლოდ ერთ გამოსახდელში. იგი იხდება pot still-ის აპარატში. PPure malt შედგება single malt-ის ნარევებისგან, რომლებიც სხვადასხვა გამოსახდელშია გამოხდილი. Blend — ეს ვისკიც ნარევია ალაოსა და მარცვლეულის ვისკებისა.

წარმოების ერთ-ერთი განსხვავება ირლანდიურ და შოტლანდიურ ვისკებს შორის არის ის, რომ ძირითადი ნედლეული — ქერი — შეიძლება არ დაექვემდებაროს ალაოდ გადაქცევას და იყოს მხოლოდ ოდნავ გაფუებული, მზარდი და მოხარშული. მაგრამ თუ მაინც სრულად მოხდა გაფუება, ამ შემთხვევაში არ ხდება ტორფის მეშვეობით შებოლვა და გაფუების მერე ქერს, უბრალოდ, აშრობენ ღუმელში.

ირლანდიური ვისკის წარმოებისთვის, ისევე, როგორც შოტლანდიური ვისკისათვისაც, მეორად მარცვლეულს ანაკუწებენ grist-ში და ურევენ ცხელ წყალს, რომლის შემდეგ იღებენ wort-ს. მიღებულ მასას უმატებენ საფუარს, შემდეგ ერთად ადუღებენ.

დისტილაცია და ჩამოსხმის პროცესი ყველა სახდელ ქარხანაში (ისინი კი ირლანდიაში სამია — „მედლტონი“ „ბუშმილსი“ „კულეი“) სხვადასხვაგვარად ხდება. „მედლტონში“ აწარმოებენ ყველა სახის ირლანდიურ ვისკის, ამ სახარშში დამონტაჟებულია მსოფლიოში ყველაზე რთულად მოწყობილი სადისტილაციო დანადგარი, აქ pot still-ი შეერთებულია ორსვეტიან patent still-ის აპარატთან. ეს დანადგარები განკუთვნილია ძირითადად მარცვლოვანი ვისკის წარმოებისათვის. აღსანიშნავია, რომ ყველა სახის ვისკის გამოსახდელად ყველა ტიპის აპარატს იყენებენ მხოლოდ სხვადასხვა თანმიმდევრობით. buSmilsi-ისა და wash-ის გამოხდა ხდება სამჯერ pot still-ის აპარატში.

„კულეის“ გამოსახდელში გამოხდა ხდება ორჯერ, ისევე, როგორც შოტლანდიაში, და სწორედ ამის გამო ზოგს მიაჩნია, რომ ამ ქარხანაში წარმოებული ვისკი კარგავს თავის ხარისხს. ვისკი ვარგდება მუხის კასრებში სამი წლის მანძილზე, სადაც ადრე ინახებოდა ბურბონი ან ჰერესი. ზოგჯერ კი იყენებენ იმ კასრებს, რომლებშიც პორტოს ავარგებდნენ. კუპაჟირების პროცესი მიმდინარეობს ისევე, როგორც შოტლანდიური ვისკისა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სახეობების შერევა (ალაოს ან მარცვლეულის ვისკის) ჩამოსხმამდე ვარგდება მუხის კასრებში მხოლოდ რამდენიმე დღე ან კვირა.

**ირლანდიური ვისკის ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს ის, რომ მასში არ იგრძნობა ტორფის გემო და ის არის ძლიერ მსუბუქი და ელეგანტური სასმელი.**

ამერიკული ვისკი ამერიკაში შოტლანდიიდან და ირლანდიიდან გადასახლებულთა წყალობით გაჩნდა. სახელწოდებად ამერიკელებმა ვისკის ირლანდიური დაწერილობა Whiskey შეარჩიეს. წარმოების დროს პოპულარული სასმელის ამერიკულ ვერსიაში მოხარშული სიმინდი და თავთავები გამოიყენება. ვისკის ინახავენ გამომწვარ კასრში, რაც მას მოტკბო გემოსა და ლამაზ, ოქროსფერს აძლევს.

კანადური ვისკი თავის წარმატებას ამერიკის შეერთებული შტატების მშრალ კანონს უნდა უმადლოდეს. ამ პერიოდში ქვეყანაში ვისკის წარმოება 100-ჯერ გაიზარდა. კანადურ ვისკის აქვს კლასიფიკაცია Ო-დან Ე-მდე, სასმელის ხარისხის შესაბამისად.

**ვისკის წარმოშობის ისტორია, სულ მცირე, ჩვენი წელთაღრიცხვით V საუკუნიდან იწყება. ამბობენ, რომ „მწვანე კუნძულზე“ დისტილაციის მეთოდი მისიონერმა ბერებმა თავად წმიდა პატრიკის ხელმძღვანელობით ჩაიტანეს იორდანიიდან, სადაც ეს ყველაფერი ჯვაროსნებისგან უსწავლიათ.** თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ წმიდა პატრიკი კონკრეტულად ირლანდიის მფარველია, ეს გადმოცემა უფრო სარწმუნო ხდება.

ამ ვერსიას გაცხარებით ეწინააღმდეგებიან შოტლანდიელები და მუდამ აპროტესტებენ, მაგრამ ლეგენდის გარდა, არსებობს ოფიციალური დოკუმენტიც იმის შესახებ, რომ პირველი ლიცენზია, რომელიც დისტილაციის უფლებას იძლეოდა, ღვინის საამქრო Old Bushmills-ს ეკუთვნის. ეს საამქრო ირლანდიაში მდებარეობს. მიუხედავად იმისა, რომ ეს დოკუმენტი დათარიღებულია 1608 წლით, ვისკის შესახებ სკოტურ-კელტური მძაფრი კამათი დღემდე არ წყდება.

ვისკის პირველი მწარმოებლები მონასტრები აღმოჩნდნენ, მას ლათინურად Aqua vitae-ს (სიცოცხლის წყალს) უწოდებდნენ და ძირითადად სამკურნალო მიზნებისთვის იყენებდნენ. ძველ შოტლანდიურ ენაზე „სიცოცხლის წყალი“ ჟღერს, როგორც uisque baugh, რომელმაც რამდენიმე სახეცვლილების შემდეგ დაიმკვიდრა საბოლოო სახელი და უკვე ასე ნაცნობად ჟღერს – ვისკი.

ამას ირლანდიელები აპროტესტებენ, რომლებიც სიცხარით არაფრით ჩამოუვარდებიან შოტლანდიელებს და ისევ და ისევ წმინდა პატრიკის ლეგენდასთან ერთად აუცილებლად გაიხსენებენ ხოლმე თავიანთ თანამემამულე იენეს კოფის, რომელმაც 1830 წელს საბოლოოდ დახვეწა და დანერგა ვისკის ახალი ტიპის სახდელი, რომელიც მომავალში გახდება ყველა თანამედროვე სახდელების ანალოგი და რომელიც, თავის მხრივ, პირდაპირ სამრეწველო დონეზე დააყენებს ვისკის წარმოებას. ამაზე შოტლანდიელები პირქუშად უპასუხებენ, რომ კოფიმ მხოლოდ და მხოლოდ შოტლანდიელი რობერტ სტეინის გამოგონებული სახდელი აპარატი გააუმჯობესა, სამაგიეროდ ირლანდიელები დღემდე შემორჩენილ 1556 წლის საპარლამენტო ▶

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




# დღესდღეობით ყველაზე ძვირად ღირებული ვისკია 60 წლის დაძველების MACALLAN, რომელიც 62 ათასი დოლარი ღირს. ასეთი სულ 40 ბოთლია ჩამოსხმული.

აქტს აუფრიალებენ ცხვირწინ, სადაც ვისკი, ქრონოლოგიურად პირველად, კონკრეტულად ირლანდიის კონტექსტში მოხსენიებული. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, შოტლანდიელებსაც აქვთ დოკუმენტი, რომელიც კიდევ უფრო ადრე — 1505 წლით არის დათარიღებული და სადაც ერთ საკმაოდ საინტერესო ფაქტს ამოვიკითხავთ — თურმე, ასე ვთქვათ, ვისკის წარმოების მონოპოლიური უფლება ქალაქ ედინბურგის მაშინდელი საბჭოს ქირურგებისა და დალაქების გილდიისთვის მიუცია. ეს ჯერ კიდევ ის ეპოქაა, როდესაც ყველა დარწმუნებული იყო ვისკის სამკურნალო თვისებებში.

ამჟამად ვისკი ბრიტანეთის საექსპორტო პროდუქციის ხუთეულში შედის. მსოფლიოში ვისკის 5 ათასამდე სახეობაა ცნობილი. მათგან 90% შოტლანდიაში მზადდება. მსოფლიოში ყოველწლიურად 30 ათასი ბოთლი შოტლანდიური ვისკი იყიდება, რაც ორჯერ მეტია კანადაში, ამერიკაში, იაპონიასა და ირლანდიაში წარმოებული ვისკის რაოდენობაზე. საფრანგეთში კი ვისკი კონიაკზე მეტად გაყიდვადია.

**შოტლანდიური ვისკის ექსპორტი 2009 წელს 3%-ით გაიზარდა და თანხის რეკორდული რაოდენობა – 3,13 მილიარდი ფუნტი (4,85 მილიარდი აშშ დოლარი) შეადგინა. შოტლანდიური ვისკის გასაღების ძირითადი ბაზარი ამერიკის შეერთებული შტატებია, სადაც ექსპორტმა 13%-ით მოიმატა და 419 მილიარდ ფუნტს მიაღწია. მეორე ადგილზეა საფრანგეთი, თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ ევროპაში შოტლანდიური ვისკის ექსპორტი 1%-ით შემცირდა. გასულ წელს ვისკის შოტლანდიელმა მწარმოებლებმა ფალსიფიკატორთა წინააღმდეგ ბრძოლა გააძლიერეს და მარკირების აქამდე არსებული წესებიც გაამკაცრეს — ახლა უკვე აუცილებელია ბოთლის ეტიკეტზე, როგორც ვისკის მწარმოებელი ქარხნის, ისე თვითონ სასმელის კატეგორიის მითითება.** საინტერესოა, რომ დიდი ბრიტანეთის მიერ ექსპორტირებული საკვები პროდუქტების 25% შოტლანდიურ ვისკიზე მოდის, თვითონ შოტლანდიაში კი ეს მაჩვენებელი 80%-ს აღწევს.

ვისკის ცნობილმა შოტლანდიურმა მწარმოებელმა Glenfiddich-მა ბაზარზე 40 წლიანი ვისკის საკოლექციო, ლიმიტირებული პარტია გამოიტანა. ფირმის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ამ ვისკის მხოლოდ 600 ბოთლი გაიყიდება და თითოეული ეგზემპლარი 2600 დოლარი ეღირება. საგულისხმოა, რომ ამ კომპანიის ლიმიტირებული კოლექციები ყოველთვის მაღალი ფასითა და ძვირფასი შეფუთვით გამოირჩევა. ყოველ ბოთლზე დატანილია ნომერი და ხელმოწერა, ბოთლები ცვილითაა დაბეჭდილი და სპილენძის ნიშნით დამშვენებული, ჩასადები ყუთი კი ხბოს ტყავითაა გაწყობილი და პაწაწინა ბოქლომით იკეტება. ამასთან ერთად, ყუთში ვისკის ნამდვილობის დამადასტურებელი სერთიფიკატი დევს, რომელსაც კომპანია William Grant & Sons-ის ხელმძღვანელის — პიტერ გორდონისა და კუპაჟის ოთხი მთავარი სპეციალისტის ხელმოწერა ამშვენებს.

დღესდღეობით მაღაზიის დახლებზე უამრავი ალკოჰოლური სასმელია გამოტანილი. ფასის მიხედვით, მეტ-ნაკლებად ვმსჯელობთ მათ ხარისხზე და გემოზე. თუმცა ფასი არ არის სასმელის შეფასების ერთადერთი კრიტერიუმი, განსაკუთრებით ისეთი დახვეწილი სასმელის შეფასებისას, როგორიც ვისკია.

ვისკი კეთილშობილი და ძვირადღირებული ალკოჰოლური სასმელია, თუმცა მაღაზიების დახლებზე ხშირად შემხვდებით ყალბ სუროგატებს. შოტლანდიელმა მეცნიერებმა შეიმუშავეს სასმელის ხარისხის შემამოწმებელი მოწყობილობა, მაგრამ ჯერჯერობით ის არ იყიდება თავისუფლად. ვისკის ორიგინალობის ან სიყალბის დადგენა შეგიძლიათ ინსტრუქციაში მოყვანილი რამდენიმე მარტივი საშუალებითაც.

ყურადღებით დაათვალიერეთ ბოთლი. მასზე აუცილებლად უნდა იყოს აქციზური მარკა. ყურადღებით შეისწავლეთ ეტიკეტი. თუ იგი ბოთლზე მიწებებულია დახრილად და მოჩანს წებოს კვალი, მისმა ნამდვილობამ მაშინვე ეჭვი უნდა გამოიწვიოს თქვენში. წარწერა „შოტლანდიური ტიპის ვისკი" მოწმობს, რომ თქვენ წინაშეა იმიტაცია. მარკირება Blended ნიშნავს, რომ თქვენ წინაშეა რამდენიმე ტიპის ვისკის ნაზავი, მაგრამ წარწერა „ჩამოსხმულია და დაძველებულია შოტლანდიაში" არაა სასმელის ნატურალურობის გარანტია.

ვისკი თავისუფლად შეიძლება დამზადდეს ნახევარფაბრიკატებისგან და გაზავებული იყოს წყლით შოტლანდიის გარეთაც. ეტიკეტები წარწერით Deluxe და Premium გვამცნობენ, რომ ბოთლში ვისკის ელიტური სახეობებია.

ნამდვილი სასმელის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს: მეთანოლი, ეთანოლი, მსგავსი სპირტული მინარევები, არომატიზატორი და საკვები დანამატები.

ყურადღებით დააკვირდით სასმელის ფერს. ნატურალური ვისკის ფერი ღია და მუქი ოქროსფერია. ხშირად სუროგატული იმიტაციები მოყავისფრო შეფერილობის, ამღვრეული და ნალექის მქონეა.

ამოატრიალეთ ბოთლი. ყალბი სასმელი ჩამოიწურება კედლებიდან, ხოლო ვისკის ხარისხიანობის შემთხვევაში ბოთლის ფსკერიდან უნდა ჩამოვარდეს დიდი წვეთი.

გასინჯეთ გემო. ნამდვილი სასმელი არის მსუბუქი, ბალანსირებული და დიდხანს ტოვებს გემოს. კარგი ვისკი მზადდება ალაოსა და საუკეთესო ინგრედიენტებისგან. ის აუცილებლად გადის ფილტრაციის რამდენიმე საფეხურს, რაც აღიბეჭდება მის გემოზე და ნაკლებად მივყავართ ნაბახუსევის სინდრომისკენ.

ვისკი კეთილშობილურ სასმელად ითვლება, ის ჩვენთან კელტებიდან მოვიდა. მართალია, შესანიშნავი გემო შეინარჩუნა, მაგრამ ამ სასმელის გამოყენების წესები მეტწილად დაიკარგა, ამიტომ ვისკის ყველა მოყვარულმა როდი იცის მისი სწორად სმა.










ვისკი ორიგინალური სასმელია არა მხოლოდ რთული ტექნოლოგიის გამო, არამედ ჩვენთვის რამდენადმე უჩვეულო გემოს მიზეზითაც. ვისკის მიღების პროცესი ცალკე რიტუალია. შოტლანდიური ვისკის დაგემოვნებისთვის არ არის აუცილებელი მიზეზის გამოგონება ან დღესასწაულის ცდა, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია ამ შემთხვევისთვის ადგილის სწორად შერჩევა. უმჯობესია, ვისკი სახლში, შესაბამის გარემოში დალიოთ. თუ სასმელს დღისით სვამთ, შეგიძლიათ ფარდები ჩამოაფაროთ და მხოლოდ პატარა ჭუჭრუტანა დატოვოთ დღის სინათლისთვის. თქვენ არ დაგჭირდებათ მზე, მისი ნაწილი ვისკიან ბოკალში აღმოჩნდება. გამორთეთ ტელევიზორი და მოაშორეთ ყველა ის საგანი, რომლებიც ყურადღებას გიფანტავთ. შეგიძლიათ, ჩართოთ საყვარელი მუსიკა, არაფერზე იფიქროთ და მაქსიმალურად კონცენტრირდეთ სასმელის გემოზე. მოდუნდით, გამოეთიშეთ ყველა პრობლემას, ვისკი მოგანიჭებთ საოცარ სიამოვნებას, გაგიუმჯობესებთ განწყობას და აგავსებთ ძალებით.

**ვისკის დალევა შეიძლება დღის ნებისმიერ მონაკვეთში, მაგრამ უმჯობესია სადილის შემდეგ ან საღამოს. რადგან ვისკი სპირტს შეიცავს, მისი გადაჭარბებული მიღება ნაშუადღევს არ არის კარგი ტონი.** დილით ვისკის მხოლოდ სამკურნალო მიზნით სვამენ. დალევამდე ვისკი ცოტათი უნდა გააცივოთ, თუმცა ძალიან ცივიც არ შეიძლება. მოათავსეთ სასმელი მაცივარში 15-20 წუთით.

**მაგიდაზე ვისკი უნდა მიიტანოთ ბოთლით და მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოასხათ ბოკლებში. გახსნის წინ ბოთლი აუცილებლად შეანჯღრიეთ. ბოკალი ბოლომდე არ გაავსოთ. ვისკით უნდა შეავსოთ ჭიქის მესამედი.** არ გააფორმოთ ვისკიანი ბოკალი სხვადასხვა ხილის, მაგალითად, ლიმონის, ფორთოხლისა თუ კივის ნაჭრებით. ვისკი სერიოზული ადამიანების სასმელია და არ საჭიროებს სამშვენისებს.

ვისკის სუფთა სახით მიღება, ტრადიციებისა და კარგი ტონის მიხედვით, დაუშვებელია. მას შემდეგ, რაც ვისკის ფუჟერებსა და ბოკლებში დაასხამთ, ის უნდა განაზავოთ მცირე რაოდენობის ცივი წყლით. ვისკის ნამდვილი გემოს შესაგრძნობად დაუშვებელია მასში ლიმონის ნაჭრის ჩაგდება. ლიმონის წვენი გაუფუჭებს სასმელს გემოს. სხვა სასმელების, ალკოჰოლურისა თუ უალკოჰოლოს, შერევაც არ ღირს. ასეთი ნარევი არავითარ სიამოვნებას არ მოგანიჭებთ. ვისკის არც სხვა სასმელი ან წყალი მიაყოლოთ.

**არ დალიოთ ვისკი ერთბაშად. ის უნდა მიირთვათ მცირე ყლუპებით, აუჩქარებლად, ისიამოვნეთ ყოველი ყლუპით და შეეცადეთ, პირში რაც შეიძლება დიდხანს გაიჩეროთ. ვისკის სრული ღირსება რომ შეიგრძნოთ, მოიქეცით პროფესიონალი დეგუსტატორივით.** ნუ იჩქარებთ პირველი ყლუპის გადაყლაპვას. სითხე პირში ერთი მხრიდან მეორეში გადაიტანეთ, შემდეგ კი ენის ქვეშ ჩაუშვით. აქ არის მოთავსებული გემოვნების ყველაზე მგრძნობიარე ჯირკვლები. სასმელის ნამდვილი გემო ისეთია, როგორსაც თქვენ ენის ქვეშ იგრძნობთ. ცხადია, მთელ სასმელს ასე ვერ დალევთ, მაგრამ სწორად გაუკეთეთ დეგუსტაცია პირველ ყლუპს და ჭიქის დაცლის შემდეგ ნურაფერს შეჭამთ.




ნუ დადგამთ მაგიდაზე ყვავილებს. ყვავილები და ვისკი შეუთავსებელია. არომატული სანთლებისგანაც თავი შეიკავეთ. ვისკის ხშირად ჩამოსხმა მიღებული არ არის. ბოკლების შევსებას შორის დრო ნახევარი საათი და მეტიც უნდა იყოს. ცხადია, ამას არავინ გაიძულებთ, მაგრამ არ დაივიწყოთ, რომ ვისკი საკმაოდ ძლიერი სასმელია და მისი გადაჭარბებულად მიღება არასასურველია.

ვისკის სმისას შეიძლება მსუბუქი სალათების მირთმევა. ჩვეულებრივ, ვისკით სადღეგრძელოებს არ ამბობენ, რადგან რაიმე ღირსშესანიშნავი ამ სასმელით არ აღინიშნება. საღამოს რომელ მომენტში შემოიტანოთ ვისკი სუფრასთან, თქვენი გადასაწყვეტია. სუფრის გაწყობასაც თავისი წესი აქვს — მთავარია, მაგიდაზე ზედმეტი არაფერი იყოს. ვისკის სმის დროს ყველაზე კარგი მამაკაცთა საზოგადოებაა, თუმცა ქალებიც საკმაოდ სიამოვნებით სვამენ მას მამაკაცებთან ერთად. ვისკისთან ერთად მაგიდაზე შეგიძლიათ მოიტანოთ მსუბუქი საუზმე ან ხილი — ვაშლი, ატამი, გარგარი, ყურძენი, ბანანი. მოერიდეთ ციტრუსებს, მათ შეიძლება გადაფარონ სასმელის გემო და სუნი. შოტლანდიაში ვისკის, როგორც სურთ, ისე სვამენ. შეგიძლიათ, ვისკი საჩუქრად მამაკაცსაც მიართვათ და ქალბატონსაც.

არსებობს ვისკის სპეციალური ბირჟა World Whisky Index, რომლის შეკვეთების საერთო ღირებულებაც დღეისათვის 392 000 დოლარს აღემატება. ბირჟაზე ვისკის შეძენისას გაიცემა სპეციალური სერთიფიკატი, რომელიც შეძენილი ბოთლის გაყიდვის უფლებას იძლევა. ვისკიში დიდ ინვესტიციებს დებენ იაპონელები, ჩინელები და რუსები.

ვისკი ძალიან დეფიციტურ და მოთხოვნად სასმელად ითვლებოდა ყოფილ საბჭოთა კავშირშიც კი, სადაც კანადური ტექნოლოგიით ე. წ. ვისკი-73-ის ჩამოსხმა დაიწყეს. საბჭოთა ვისკი უცხოეთში შეძენილი არომატიზატორებით მზადდებოდა და პრაქტიკულად ვისკის იმიტაციას წარმოადგენდა.

ვისკის წარმოების წესები საკმაოდ მკაცრია. მაგალითისთვის, 1915 წელს ხის კასრებში ვისკის შენახვის ვადად 2 წელი დადგინდა, 1916 წელს კი დაძველების ვადა 3 წლამდე გაიზარდა.

მალე, შესაძლოა, ვისკი მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული სასმელი გახდეს. **დღესდღეობით ყველაზე ძვირადღირებული ვისკია 60 წლის დაძველების Macallan, რომელიც 62 ათასი დოლარი ღირს. ასეთი სულ 40 ბოთლია ჩამოსხმული.** რაც შეეხება სააუქციონო ექსპონატებს, XIX საუკუნეში დამზადებული ირლანდიური ვისკი 200 ათას დოლარად გაიყიდა. **მსოფლიოში ვისკის ყველაზე მსხვილი მწარმოებელი და მომხმარებელი, რაც უნდა გასაკვირი იყოს, ინდოეთია.**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ყველაზე სექსუალური პოლიციელი



**ახალგაზრდა ფილიპინელი ნი პერესი ცოტა ხნის წინათ მისტერ ინტერნაციონალად დაასახელეს, რომლითაც დიდი პოპულარობა მოიპოვა სოციალურ ქსელებში. მისი ნამდვილი სახელი მარიანო პერეს ფლორმატაა.**

სანამ ამ ტიტულს მიიღებდა, ის ფილიპინების ნაციონალური უსაფრთხოების სამსახურში მსახურობდა. სილამაზის კონკურსში გამარჯვების შემდეგ მას ყველაზე ლამაზი პოლიციელი უწოდეს მსოფლიოში.

ამჟამად ნილი მოგზაურობს აზიაში, აქვს აქტიური ურთიერთობა პრესასთან, დაკავებულია ქველმოქმედებით და საკუთარ ფოტოებს ინსტაგრამზე ათავსებს.



## დედამიწის ფარი

**მეცნიერებმა მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტიდან 11,5 ათას კმ სიმაღლეზე ზღვის დონიდან აღმოაჩინეს დედამიწის რაღაც ფარი, რომელიც იცავს პლანეტას ზესიჩქარის ნაწილაკებისგან.**

ვლევები, რომლის დროსაც ეს აღმოჩენა მოხდა, გამოქვეყნებულია ჟურნალში Nature.

ფარი ძალიან ჰგავს ტექნოლოგიას ფილმიდან „ვარსკვლავთა გზა“, მაგრამ მეცნიერები ამბობენ, რომ ეს სამეცნიერო ფანტასტიკა სულაც არაა.

მეცნიერი დანიელ ბაიკერიმა ამბობს, რომ ელექტრონები თითქოს ეჯახებიან შუშის კედელს კოსმოსში. მან აღნიშნა, რომ ეს ნამდვილად იდუმალებით მოცული ფენომენია.

ადრე მიიჩნეოდა, რომ სწრაფი ელექტრონები აღწევენ ატმოსფეროში, მხოლოდ მერე ურთიერთქმედებებისას მოლეკულებთან ვერ აღწევენ დედამიწის ზედაპირამდე.



## მარაკუია ორგანიზმს სიმსივნისგან იცავს

**მარაკუია საკმაოდ პოპულარული ხილია სპეციფიკური გემოთი და სუნით. დიეტოლოგები მას სუპერპროდუქტად მიიჩნევენ, პირველ რიგში, იმიტომ, რომ მარაკუია ორგანიზმს კიბოსგან იცავს, რადგან შეიცავს დიდი რაოდენობით ვიტამინ A და C-ს. ისინი ძლიერი ანტიოქსიდანტები არიან, რომლებიც თავისუფალ რადიკალებს ანეიტრალებს.**

ამასთან, ეს ხილი წნევას დაბლა წევს კალიუმის დიდი შემცველობის გამო. ის თითქმის არ შეიცავს მარილს. მარაკუიას დახმარებით შესაძლებელია ჯანმრთელი თვალების შენარჩუნება. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ მარაკუიას ნაყოფი ჰემოგლობინის მაჩვენებელს სისხლში მაღლა წევს რკინის დიდი რაოდენობისა და ვიტამინ C-ს მეშვეობით. ჰემოგლობინის ამაღლების პარალელურად, აუმჯობესებს საჭმლის მონელებას.



## სასჯელი ღალატისთვის

**შორეულ წარსულში დანიის მცხოვრებლები ქალს ღალატისთვის სიკვდილით სჯიდნენ, ხოლო მკვლელობისთვის მხოლოდ ჯარიმა იყო დაწესებული.**

მონღოლები მოღალატე ცოლს ორ ნაწილად ჭრიდნენ.

ტონკინის სამეფოში მოღალატე ქალს სპილო თელავდა.

სიამში, გინდ დაიჯერეთ გინდ არა, მოღალატე ქალს სპეციალურად მოწყობილ ადგილას სვამდნენ, სადაც სპილო ქალთან სექსუალურ კავშირს ამყარებდა, ხოლო სპილოს ეგონა, რომ მდედრ სპილოსთან ჰქონდა კავშირი.

აფრიკაში პატარა სამეფო არსებობს, სახელწოდებით ლუანგო, სადაც მოღალატე ქალსა და მის საყვარელს მთიდან აგდებდნენ.

გალები ქალს ტალახს უსვამდნენ და მას მთელ ქალაქში ათრევდნენ.

ზოგიერთ ქვეყანაში მოღალატე ქალისთვის განაჩენის გამოტანა მეუღლეს შეეძლო; ეს იქნებოდა სიკვდილით დასჯა თუ სხვა რამ, თუმცა ამავე



დროს ქმარს შეეძლო, მობეზრებულ ცოლზე უარი ეთქვა.

აბისინელებს კი ქალი ქუჩაში გამოჰყავდათ და აკუწავდნენ. კანადის აბორიგენები მოღალატე ქალს სკალპს აძრობდნენ.

რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში მოღალატე ცოლს ყიდდნენ.

დიარბეკირში ქალს მთელი ოჯახით კლავდნენ.

## ნასას ხომალდმა ჯუჯა პლანეტაზე სინათლე აღმოაჩინა



**6 მარტს NASA-ს კოსმოსური ხომალდი Dawn პლანეტა კერესის ორბიტაზე დაჯდა, ასტეროიდების სარტყელში მოძრავ ჯუჯა პლანეტაზე, რომელიც პოტენციურად დასახლებულ ობიექტად განიხილება. დაჯდომის წინ, პლანეტასთან მიახლოებისას, პლანეტის ზედაპირზე, ერთ-ერთ კრატერზე უზარმაზარი სინათლის ლაქა შეამჩნიეს. ამ სინათლის წარმოშობის შესახებ მეცნიერებმა ჯერჯერობით არაფერი იციან.** 1801 წელს აღმოჩენილი პლანეტა კერესის შესახებ ძალიან ცოტა რამაა ცნობილი. ვარაუდობენ, რომ მისი ზედაპირის ქვეშ ოკეანე უნდა იყოს. მისი ზომა მთვარის მეოთხედია. ფოტოზე აღნიშნული მისტიკური თეთრი სინათლე კიდევ უფრო ამძაფრებს ინტერესს პლანეტის მიმართ. შესაბამისად, მსოფლიოს მეცნიერები ელოდებიან, თუ რას აღმოაჩენს პლანეტაზე დაფრენის შემდეგ მკვლევარი ხომალდი.

## სიცოცხლე 500 წლამდე



**Google Ventures პრეზიდენტი ბილ მერისი აცხადებს, რომ შესაძლებელია, ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა, ახალი სამედიცინო აღმოჩენებისა და ბიომექანიკური ტექნოლოგიების შემუშავების დამსახურებით, 500 წლამდე გაიზარდოს.**

**„სილიკონის ველზე ბევრი მილიარდერია, მაგრამ საბოლოოდ ყველანი მოვკვდებით. არჩევანი გასაკეთებელია ბევრი ფულის შოვნასა და იმას შორის, რომ ვიპოვოთ ხერხი, რომლითაც ადამიანები უფრო დიდხანს იცოცხლებენ“,** — აღნიშნავს მერისი.

მერისი, ბოლო წლებია, ადამიანის სიცოცხლის გასახანგრძლივებელი ხერხების აღმოჩენაზე მუშაობს. Google-ი მიიჩნევს, რომ თანამედროვე ადამიანს შეუძლია, 120 წელი იცოცხლოს. შემდეგ მას დასჭირდება ახალი თაობის მანქანების დახმარება იმისთვის, რომ საკუთარი სიცოცხლე თითქმის უსასრულობამდე გაზარდოს.

ამერიკელი ფუტურისტი და გამომგონებელი რეიმონდ კურცვეილი მიიჩნევს, რომ 30 წელიწადში ადამიანები ბიოლოგიური მანქანების შექმნას მოახერხებენ, რომლებიც ადამიანის ორგანიზმს ჩაანაცვლებს. მისი აზრით, ნეირობიოლოგიის განვითარება საშუალებას მოგვცემს, სამუდამოდ შევინახოთ ტვინი ადამიანის სხეულის გარეშე.

## შაქრის ახალი მსოფლიო ნორმა ცნობილია



**შაქრის მოხმარების შეზღუდვისკენ ექიმები ხშირად მოგვიწოდებენ, თუმცა ეს ცნება ზოგადი რეკომენდაციაა და კონკრეტულ დოზებს არ გვიწესებს.** მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ გადაწყვიტა, მეტი სიცხადე შეიტანოს შაქრის შეზღუდვის კამპანიაში. ორგანიზაციის ექსპერტები აცხადებენ, რომ ამ პროდუქტზე აბსოლუტური უარის თქმა არ შეიძლება, მეტიც — შაქარი მცირე რაოდენობით მაინც უნდა იყოს ჩვენს ყოველდღიურ რაციონში.

„ნორმალური წონის ზრდასრულმა ადამიანმა, შაქრიანი დიაბეტის, კარიესის და სიმსუქნის საფრთხე რომ არ დაემუქროს, ყოველდღიურად 6 ჩაის კოვზი შაქარი უნდა მიიღოს“, — ასეთია ორგანიზაციის ექსპერტების დასკვნა, რომელიც ბავშვებისა და მოზრდილებისთვის დამტკიცებულ ახალ რეკომენდაციებში შევიდა. სპეციალისტების განმარტებით, შაქრის ეს რაოდენობა ყოველდღიურად მიღებული კალორაჟის დაახლოებით 5%-ს შეადგენს. საყურადღებოა ისიც, რომ ახალი ნორმა განახევრებულია იმასთან შედარებით, რასაც ორგანიზაცია 2002 წელს გვირჩევდა.

შემოთავაზებულ ნორმაში იგულისხმება, როგორც მონოსაქარიდები (გლუკოზა, ფრუქტოზა), ასევე დისაქარიდები (ჩვეულებრივი სუფრის რაფინირებული შაქარი). დაკვნის ავტორების თქმით, ხალხს ავიწყება, რომ შაქარს იმ პროდუქტებიდანაც იღებენ, რომლებსაც ტკბილი გემო საერთოდ არ აქვს. მაგალითად, შაქარი შედის ბევრ გადამუშავებულ პროდუქტში, სასმელებსა და სოუსებში, კეტჩუპში (1 კოვზი კეტჩუპი 4 გრ. შაქარს შეიცავს).

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




## ნახატები მანქანის ჭუჭყიან შუშაზე

**სანამ ზარმაცი ადამიანები საკუთარი მანქანების გასარეცხად მოიცლიან, ამერიკელი მხატვარი სკოტ ვეიდი დროს არ კარგავს.** მხატვარი პატარაობიდანვე შედევრებს მანქანის ჭუჭყიან მინებზე, თითით ჰქმნიდა. ერთი ნახატის შესასრულებლად მხატვარს 4 საათამდე სჭირდება.

ამ ყველაფერმა სკოტს დიდი პოპულარობა მოუტანა და დღეს ის უამრავი ფესტივალის, კორპორატიული საღამოსა და წვეულების ორგანიზატორია.

# ბუნების 10 საოცრება, რომლებიც მალე გაქრება

**ტურისტულმა პორტალმა Budget Travel-მა გაქრობის პირას მისული ბუნების 10 საოცრების ნუსხა გამოაქვეყნა. მათი განადგურების თარიღად მეცნიერები 2030 წელს ასახელებენ.**



**ბელიზის ბარიერული რიფი** მნიშვნელოვნად დაზარალდა. მრავალ ადგილას მან მარჯნების 50% დაკარგა, ისინი გაუფერულებას ამ დრომდე განაგრძობენ. ამის მიზეზი გლობალური დათბობაა.



**კონგოლეზის ღრმული** ამაზონის შემდეგ სიდიდით მეორე მასივია, რომლის ფლორისა და ფაუნის ორი-მესამედი 2040 წლისთვის, გაეროს დასკვნის თანახმად, განადგურდება. მისი გადარჩენა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ გარემოს დამცველები ეფექტურ ღონისძიებებს გაატარებენ. ამჟამად ტყეებს ინტენსიურად ჩეხავენ, რადგან ფერმერები პირუტყვისთვის საძოვრის ნაკლებობას განიცდიან. აფრიკაში მაღაროების ინტენსიური მშენებლობა მიმდინარეობს.



**ვეფხვების ნახევარზე მეტი ინდოეთის ბინადარია.** მსოფლიოში მათი რაოდენობა ამჟამად 3200-ია. ვეფხვები, შესაძლოა, 12 წელიწადში მთლიანად განადგურდნენ. მარტო ჩინური ტრადიციული მედიცინის საჭიროებისთვის დღე-ღამეში საშუალოდ თითო ვეფხვს კლავენ.



**ევერგლეიდსის ეროვნული პარკი** (აშშ, ფლორიდა) ერთადერთი ადგილია, სადაც ფლორიდული პანტერა ბინადრობს, პარკის მოცულობა უკვე 60%-ით შემცირდა.



**მადაგასკარის ტყეების** გადარჩენაზე თუ არ იზრუნებენ, 35 წელიწადში ისინი მთლიანად გაიჩეხება და დაიწვება, მადაგასკარის მკვიდრნი კი დაიღუპებიან.



**ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლუსებიც** საფრთხის წინაშეა. გლობალური დათბობა განადგურებით ანტარქტიდის პინგვინების 80%-ს ემუქრება. არქტიკაში ამ ბედს თეთრი დათვებიც გაიზიარებენ. პოლარული ყინულის დადნობასთან ერთად, ეკოსისტემები იღუპებიან. 20-40 წლის შემდეგ ანტარქტიდაში ახალი ყინულის მასივები აღარ შეიქმნება.



**მალდივის კუნძულები** ზღვის დონიდან დაახლოებით 2 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. თუკი გლობალური დათბობის პროცესი გაგრძელდება, კუნძულები ჩაიძირება.



**ტაჰუამანუს ჯუნგლები** პერუს პროვინციაში მადრე დე დიოსში **წითელი ხის** უკანონო ჩეხვის გამო ხეები დღითიდღე ნადგურდება. მხოლოდ აშშ წითელი ხის 80%-ს მოიხმარს, რომლისგანაც ავეჯს ამზადებენ.



**მდინარე იანძის** აუზი, მკვლევარების აღიარებით, სერიოზული საფრთხის წინაშე დგას, მაგრამ ტურისტების მიერ დახარჯულმა თანხებმა, შესაძლოა, ბუნება განადგურებისგან იხსნას.



**მკვდარი ზღვის** მოცულობა ბოლო 40 წლის განმავლობაში მესამედით შემცირდა, ზღვის დონემ კი 24 მეტრით დაიკლო. დაახლოებით 50 წელიწადში მკვდარი ზღვა აღარ იარსებებს. ამასთან, კოსმეტიკის მწარმოებლები ზღვის ფსკერის მინერალურ მარაგს ანადგურებენ.





# საქართველოს პრემიერ მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს, ბატონ სოზარ სუბარს თბილისის მერს, ბატონ დავით ნარმანიას




**1941-1945 წლების დიდი სამამულო ომი, რომელიც მსოფლიო ომად გადაიქცა, თავისი მასშტაბებით წარმოუდგენელია.**

ომში ჩაება პლანეტის მოსახლეობის 80%. საბრძოლო მოქმედებებში ჩართული იყო 72 სახელმწიფო. უშუალოდ ომის ხანძარი 40 ქვეყანაში გიზგიზებდა. ჯარისკაცის ფარაჯა 110 მილიონმა კაცმა ჩაიცვა. დედამიწა თვითმკვლელობისთვის ემზადებოდა, მაგრამ გადარჩა.

უპირველესად, პლანეტის და შემდეგ ცივილიზაციის გადარჩენაში უდიდესი წვლილი მიუძღვის საქართველოს და მის გმირ შვილებს. პირველმა, ვინც დედამიწის მოსახლეობას ახარა, რომ ფაშიზმი დამხობილია, ჩვენი თანამემამულე **მელიტონ ქანთარია** იყო, რომელმაც რუს ეგოროვთან ერთად გამარჯვების დროშა აღმართა რაიხსტაგზე.

დღეს **მელიტონ ქანთარიას** ქალიშვილი ციალა ქანთარია, როგორც ლტოლვილი, საბერძნეთს აფარებს თავს ოჯახთან ერთად. ხოლო 1993 წლის თებერვალში ომში დაღუპული მისი შვილის საფლავი უპატრონოდ არის მიტოვებული აფხაზეთში.

**ბატონო პრემიერმინისტრო**, ნუთუ რამე ცნობა და შუამდგომლობაა საჭირო, რომ განკარგულება გასცეთ და ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა, ბატონმა სოზარ სუბარმა და ქალაქის მერმა, ბატონმა დავით ნარმანიამ სასწრაფოდ გამოუნახონ თავშესაფარი **მელიტონ ქანთარიას** ოჯახს; გმირის შვილიშვილი კი, რომელმაც სამშობლოსთვის გაწირა თავი, გადმოვასვენოთ და იმ სახელოვან მამულიშვილთა შორის დავკრძალოთ, რომლებსაც მუდამ დიდ პატივს მიაგებს ქართველი ხალხი.

**გრიგოლ ონიანი,**
**საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის" თავმჯდომარე**

# 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ პროკურატურაში 52 ათასზე მეტი საჩივარი შევიდა

**2012 წლის ოქტომბრიდან 2015 წლის იანვრამდე საქართველოს პროკურატურაში სულ 52 530 საჩივარი/განცხადება შევიდა, რომლებიც საჯარო მოხელეთა მხრიდან მოქალაქეთა წინააღმდეგ განხორციელებულ უკანონო ქმედებებს შეეხებოდა. ეს ინფორმაცია თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა გაავრცელა.**

10 379 განცხადებით მოთხოვნილი იქნა კონკრეტულ ფაქტებზე გამოძიების დაწყება. მათგან 3495 სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა და სამართალდამცავთა მიერ ჩადენილ დანაშაულებს შეეხებოდა, 697 — ქონების უკანონოდ ჩამორთმევის ფაქტებს, ხოლო 6187 — სხვადასხვა დანაშაულს.

2012 წლის ოქტომბრამდე ჩადენილი დანაშულისთვის დევნა დაიწყო 367 სჯარო მოხელის წინააღმდეგ. გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილია 147 პირის მიმართ, გამამართლებელი განაჩენი კი — 29 პირის მიმართ, 13 პირი განერიდა სისხლისსამართლებრივ პასუხიმგებლობას, დანარჩენ შემთხვევებთან დაკავშირებით კი საქმის წარმოება გრძელდება.

## პეტრე მამრაძე:

# «ნაციონალებს» არ აქვთ უფლება, აკრიტიკონ არსებული ხელისუფლება, რადგან მათ თვითონ აქვთ ჩადენილი საშინელი დანაშაულები!

**„მართვის სტრატეგიული ცენტრის" ხელმძღვანელი პეტრე მამრაძე „ნაციონალური მოძრაობის" მიერ მთავრობის მიმართ გამოცხადებული უნდობლობის საკითხს გამოეხმაურა. როგორც მამრაძემ აღნიშნა, „ნაციონალებს" მთავრობის მიმართ უნდობლობის გამოცხადებისა და მისი გადაყენების მოთხოვნის ზნეობრივი უფლება არ აქვთ, რამეთუ თვითონ აქვთ ჩადენილი საშინელი დანაშაულები.**



„2012 წლის ოქტომბრის არჩევნებიდან დღემდე დრომ დაამტკიცა, რომ არსებული ხელისუფლება არის სრულიად უნიათო. მე ამ სიტყვას ვიყენებდი მანამ, სანამ „ნაციონალური მოძრაობა" იტყოდა მსგავს რაღაცებს. ხელისუფლებამ იმის ნაწილიც კი ვერ გააკეთა, რაც ევალებოდა და შეეძლო. განწყობა, რომ ესენი პრემიების გამოსაწერად და ძვირფასი „ჯიპებით" სასეირნოდ მოვიდნენ და არა ქვეყნის სამსახურისათვის, უკვე მასობრივია.

სააკაშვილისა და მისი თანამზრახველების ლოზუნგი „რაც უარესი იქნება საქართველოსთვის, უკეთესია ნაცებისთვის", აშკარაა. ივანიშვილმა სწორად თქვა, „ნაციონალები" ნებისმიერ პროვოკაციაზე არიან წამსვლელები.

„ნაციონალებს" მთავრობის მიმართ უნდობლობის გამოცხადების და მისი გადაყენების მოთხოვნის ზნეობრივი უფლება არ აქვთ. მათ არ აქვთ უფლება, აკრიტიკონ არსებული ხელისუფლება და დაიწყონ მისი გადაყენებისთვის საჭირო პროცედურა, რამეთუ თვითონ აქვთ ჩადენილი საშინელი დანაშაულები. ახალ ხელისუფლებას შეიძლება უნიათობა დააბრალონ, მაგრამ დანაშაულს ვერ დააბრალებენ", — განაცხადა პეტრე მამრაძემ.



# საფრანგეთში სამგზავრო თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა

**საფრანგეთის სამხრეთ რეგიონში ავიაკომპანია „ჯერმანვინგის" კუთვნილმა თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა.**

სამგზავრო თვითმფრინავი Airbus A320 რეისს ბარსელონიდან დიუსელდორფის მიმართულებით ასრულებდა, როდესაც ზემო პროვანსის ალპების ტერიტორიაზე ჩამოვარდა. წინასწარი ინფორმაციით, ბორტზე 142 მგზავრი და ეკიპაჟის 6 წევრი იმყოფებოდა.

# აშშ-ის კონგრესმა უკრაინისთვის იარაღის მიწოდებაზე რეზოლუცია დაამტკიცა




**აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ უკრაინისთვის ლეტალური იარაღის მიწოდების შესახებ რეზოლუცია დაამტკიცა. დოკუმენტს 348 კანონმდებელმა დაუჭირა მხარი, 48 კი წინააღმდეგ გამოვიდა. რეზოლუციის მიხედვით, აშშ-ის კონგრესის ქვედა პალატა პრეზიდენტ ბარაკ ობამას მოუწოდებს, კიევი თავდაცვითი იარაღით უზრუნველყოს.**

„წარმომადგენელთა პალატამ უკრაინის კრიზისის მოსაგვარებლად კიევისთვის სამხედრო დახმარების გაგზავნის მიმართ ძლიერი მხარდაჭერა გამოხატა. ამ ნაბიჯის გარეშე რუსეთის აგრესია უპასუხო დარჩება", — განაცხადა წარმომადგენელთა პალატის სპიკერმა ჯონ ბონერმა. მიუხედავად სენატორების მოწოდებისა, თეთრი სახლი ჯერჯერობით თავს იკავებს კიევისთვის თავდაცვითი იარაღის გადაცემაზე, თუმცა ამერიკულმა მხარემ უკრაინას არალეტალური სამხედრო აღჭურვილობა უკვე გაუგზავნა.

ირაკლი თოდუა იუწყება, რომ გარდაიცვალა დამსახურებული პედაგოგი, პერსონალური პენსიონერი, ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენების კავალერი

**შოთა ლევანის ძე მარგველანი**

და თანაუგრძნობს მისი ოჯახის წევრებს.

პანაშვიდი: ოთხშაბათს, 25 მარტს.

დაკრძალვა: ხუთშაბათს, 26 მარტს, 15 საათზე. გამოსვენება გარდაბნის რაიონის სოფელ კრწანისის წმიდა გიორგის ეკლესიიდან.

გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ მიხეილ მათიაშვილს გარდაეცვალა და

**ნინო მათიაშვილი**

და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

პანაშვიდი: ოთხშაბათს, 26 მარტს, 10 საათიდან დიდუბის ტაძარში.

გამოსვენება: იმავე ტაძრიდან 14 საათზე.


## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

მკურნალობა — ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**
**მის.: აღმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»**

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**


ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894